კ. ასტახიშვილი

ტურიზმი

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებისათვის.

გამომცემლობა „განათლება"
თბილისი — 1976

7A6.1
796.5
Ა 891

წინამდებარე ნაშრომში განხილულია: ტურიზმის განვითარების ისტორია ჩვენში, მისი სახეები, მოძრაობის დღიური ნორმები, ტურიზმის ნიშანი და მისი სათანრიგო მოთხოვნები, ადგილმდებარეობის ორიენტირება, პირველადტერისტული სექციებისა და კლუბების მუშაობა, დასვენების დღის ტურიზმის ორგანიზაცია ლაშქრობის მოწყობისათვის საჭირო დოკუმენტები, სალაშქროდ მიმავალი ჯგუფისათვის საჭირო მედიკამენტები და კვების პროდუქტები.

K 166/93

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

А 60903—062 / М—602 (08) 76 215—76

© გამომცემლობა „განათლება“, 1976

წინასიტყვაობა

ჩვენს ქვეყანაში მილიონობით მშრომელი ჩაბმულია ფიზიკურ კულტურასა და სპორტში, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი საშუალებაა ახალგაზრდა თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისა და სოციალისტური სამშობლოს ძლიერების უზრუნველყოფის საქმეში.

სპორტის ფართო გავრცელება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის შედეგია.

„ახალგაზრდობას, — აღნიშნავს ლენინი, — განსაკუთრებით ესაჭიროება სიცოცხლის ხალისი და მხნეობა, ჯანსაღი სპორტი — ტანვარჯიში, ცურაობა, ექსკურსიები, ყოველი სახის ფიზიკური ვარჯიშობანი; სულიერი ინტერესების მრავალმხრივობა, სწავლება, გარჩევა, კვლევა-ძიება და ყოველივე ეს შეძლებისდაგვარად ერთად აღებული“ [1].

პარტია მოგვიწოდებს აღვზარდოთ ახალი ადამიანი, რომელშიც ჰარმონიულად იქნება შეხამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა. სკკპ პროგრამაში ჩაწერილია: „კოლექტივიზმი და ამხანაგური ურთიერთდახმარება; ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“ [2].

საბჭოთა სპორტსმენებს ყველა შესაძლებლობა აქვთ იმისა, რომ მიაღწიონ მაღალ სპორტულ შედეგებს. ეს ეხება, აგრეთვე სპორტის ისეთ ღირსშესანიშნავ სახეს, როგორიცაა ტურიზმი.

ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობა არსებობს ტურისტული, სპორტის მასობრივი განვითარებისთვის.

როგორც ცნობილია, ტურიზმს აქვს დიდი სპორტული და ქვეყნის თავდაცვითი მნიშვნელობა. იგი სპორტის ერთ-ერთი სრულქმნილი სახეა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის ფიზიკურ და სულიერ განვითარებას. ტურიზმი არის მშრომელი მასების აქტიური დასვენების საშუალება, ამავე დროს უდიდეს სამსახურს უწევს მეცნიერებასა და სახალხო მეურნეობას ბუნების სიმდიდრეთა აღმოჩენისა და შესწავლის საქმეში.

---

[1] ლ ე ნ ი ნ — ახალგაზრდობის შესახებ, II, რუსული გამოცემა, გამ. „მოლოდაია გვარდია“, 1935, გვ. 189.

[2] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა. თბილისი, 1961, გვ. 133.

ჩვენი ვალია ყოველნაირად ხელი შევუწყოთ მოზარდ თაობას მშობლიური მხარის შესწავლაში, რომელსაც ტურიზმი ახორციელებს.

„მინდა ვნახო, მინდა შევიცნო" — ეს არის ძირითადი სტიმული ტურისტული მოგზაურობისა ჩვენ დიად სამშობლოში, ჩვენს მხარეში.

არსებობს მთელი რიგი ფორმები ტურისტული მუშაობისა, რითაც ჩვენ შეგვიძლია მშრომელთა ფართო მასები ჩავაბათ ამ ღირსშესანიშნავ საქმეში და გავაცნოთ მათ დიადი სამშობლოს ისტორიული, კულტურული და შრომითი შემოქმედება. ეს გახლავთ: ქალაქგარეთ გასეირნება, ექსკურსიები, გამოსასვლელი დღის ტურიზმი, მშობლიურ მხარეში მასობრივი მოგზაურობა, თვითმოქმედი მოგზაურობა, ლაშქრობები, შეკრებები და სხვ.

მ. ი. კალინინი აღნიშნავდა: „ჩვენ ყველანი ძალზე ბევრს ვლაპარაკობთ პატრიოტულ აღზრდაზე. მაგრამ ეს აღზრდა ხომ საკუთარი სამშობლოს ღრმა შეცნობით იწყება"[1].

მოგზაურობა არის ტურისტული ჯგუფის მომხიბლავი ჭიდილი ბუნებრივ გარემოსთან, რელიეფის სირთულესთან და კლიმატურ პირობებთან. ამიტომ ტურიზმისთვის მარტო წინაღობათა გადალახვის ტექნიკის დაუფლება კი არ არის მთავარი, არამედ გარემო ბუნების ღრმა ცოდნა, მის საიდუმლოებაში ჩაწვდომა და უავარიოდ მოქმედება.

ტურიზმი ადამიანს უვითარებს ისეთ სრულფასოვან ჩვევებს, რომელიც საწინდარია გამძლეობის, ამტანობის, ნებისყოფის, მოსაზრებულობის, გამარჯვებისადმი სწრაფვის და სხვ.

ტურიზმის ისტორიის ასახვა, ამასთანავე სახელმძღვანელოს შექმნა პირველი ცდაა, რომლის შედგენას საფუძვლად დაედო ჩვენს მიერ მრავალი წლის მანძილზე წაკითხული ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების კონსპექტები.

---

[1] მ. ი. კ ა ლ ი ნ ი ნ ი — კომუნისტური აღზრდის შესახებ. რუსული გამოცემა. მოსკოვი, 1958, გვ. 264.

ტურიზმის განვითარების ისტორიის საკითხისათვის სსრ კავშირში

რუსეთში, პირველად, 1895 წელს პეტერბურგში შეიქმნა „რუსეთის ტურისტული საზოგადოება“, რომელშიც ძირითადად ველოსიპედისტები იყვნენ გაერთიანებული, უმთავრესად მაღალი წრის საზოგადოებიდან. იგი მშრომელთა ფართო მასებისთვის ხელმიუწვდომელი იყო. ამ საზოგადოებას თავის მხრივ ფილიალები ჰქონდა მოსკოვსა და სხვა დიდ ქალაქებში. აღნიშნულ საზოგადოებას მეფის მთავრობა არავითარ დოტაციას არ აძლევდა. იგი თავის წევრთაგან შეგროვებული საწევრო-ანარიცხების ხარჯზე არსებობდა და ტურისტული მოღვაწეობის ფართო მასშტაბითა და მასობრივად გაშლის არავითარი ფინანსური საშუალება არ გააჩნდა, ფაქტიურად მოწყვეტილი იყო მშრომელი მასებისაგან. მსგავს მდგომარეობაში იყო „რუსეთის სამთო საზოგადოებაც“, სადაც 1913 წლისათვის 126 წევრი ირიცხებოდა. ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ „პიატიგორსკის სამთო საზოგადოება“, „ყირიმ-კავკასიის სამთო საზოგადოება“ და სხვანი, რომელთა წევრების რიცხვი თანდათანობით მცირდებოდა. ამ გარემოების ერთ-ერთ ხელმშემწყობ პირობას მეფის მთავრობის პოლიციური რეჟიმი წარმოადგენდა. აღნიშნულ საზოგადოებათა მოღვაწეობა პირველი მსოფლიო ომის დროს თითქმის მთლიანად შეწყდა და თუ სადმე კიდევ რამე კეთდებოდა — მისი ზოგიერთი წევრის პირადი ინიციატივის წყალობა იყო. ამ საზოგადოებათა მოქმედება კიდევ უფრო შესუსტდა რევოლუციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში და მის შემდეგ. მართალია, ზოგმა მათგანმა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც, 1930 წლამდე იარსება („რუსეთის სამთო და ტურისტული საზოგადოება“; „პიატიგორსკის სამთო საზოგადოება“) მაგრამ მათი არსებობა ფორმალური იყო.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა, გაჩნდა ახალი მოთხოვნები და შეხედულებები. გაიზარდა მშრომელთა ფართო მასების სწრაფვა ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხის შესწავლა-შეცნობისთვის. იზრდება ტურიზმისადმი მისწრაფება და ლტოლვა, ეწყობა მრავალი ექსკურსია და ლაშქრობა.

1927 წელს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ ინიციატივით დაიწყო ტურიზმის ფართო პროპაგანდა, რასაც ფართოდ გამოეხმაურნენ ადგილობრივი გაზეთები და მშრომელთა ფართო მასები. საბჭოთა კავშირის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი გახდა ტურისტული მოძრაობის ორგანიზატორი და ლოზუნგით: „ტურიზმი კომკავშირის სამსახურში“, წარიმართა მუშაობა. ამის საფუძველზე, 1928 წელს შეიქმნა პროლეტარული ტურიზმის საკავშირო საზოგადოება, (პტს), რომელმაც შემოიკრიბა ამ საქმის მოყვარულები და ენთუზიასტები. ამის შემდეგ ყალიბდება პროლეტარული ტურიზმის რესპუბლიკური და საოლქო საზოგადოებები, სექციები და წრეები ქალაქებსა და დიდ წარმოება-დაწესებულებებში, რომლებიც ადგილებზე ხელმძღვანელობდნენ ტურიზმის განვითარებას.

ტურიზმი უფრო და უფრო მეტ პოპულარობას იძენდა საბჭოთა ახალგაზრდობაში. მათთან მეტი კავშირისა და მუშაობის წარმართვისთვის, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო პროლეტარული ტურიზმის საზოგადოების ინიციატივით, 1929 წელს შეიქმნა საგამომცემლო ბეჭდვითი ორგანო, რომელმაც გამოსცა ჟურნალი „На суше и на море“. იგი თავის ფურცლებზე ვრცლად აშუქებდა ტურისტულ და ალპინისტურ მუშაობას, ჩატარებული ლაშქრობა-ექსკურსიების შესახებ ანგარიშებსა და სხვა მასალებს.

ამრიგად, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და პროლეტარული ტურიზმის საზოგადოების ორგანომ უდიდესი ორგანიზატორული როლი შეასრულა და ხელი შეუწყო ტურიზმის აღორძინებას საბჭოთა კავშირში.

სულ უფრო და უფრო მატულობდა ტურისტულ მოგზაურობათა რიცხვი, რის საფუძველზეც იხვეწებოდა დაბრკოლებათა დაძლევის ტექნიკა, საჭურველ-კაზმულობის სახეები და ზამთარ-ზაფხულ ტარდებოდა სხვადასხვა ხასიათისა და სირთულის მრავალრიცხოვანი მასობრივი ტურისტული ლაშქრობები და ექსკურსიები.

ჩატარდა ქვეითად და თხილამურებით მოგზაურობები ურალზე, ჟიგულში, კარელიაში, კავკასიაში, მოსკოვის გარეუბნებში და სხვა ადგილებში. მოეწყო ნავებით ლაშქრობა პეჩორაზე, დნეპრზე, ვოლგაზე, ენისეიზე და სხვა მდინარეებზე. ყოველწლიურად, გამოზაფხულობისთანავე ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხისკენ მიემართებოდნენ სხვადასხვა, გაერთიანებული ტურისტული და საკვლევ-საძიებო და გეოლოგიური პარტიები (1925 — 26 წ.წ. — 210 ჯგუფი, 1926—27 წ.წ.— 296, 1927—28 წ.წ.—460 და ა. შ.). აღმოჩენილ იქნა მრავალი მადანი (რკინა, ტყვია, ნიკელი, კალა, ვერცხლი, ოქრო, ნახშირი, მარგანეცი) და სხვა მინერალები და წიაღისეული სიმდიდრე. ჩატარდა დაკვირვებები და შესრულდა გეოგრაფიული, გეოლოგიური, ბოტანიკური,

ზოოლოგიური, არქეოლოგიური, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, და ა. შ. საკვლევი სამუშაოები.

1930 წელს, სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილებით გაუქმებული იქნა მანამდე არსებული ტურისტული და სამთო საზოგადოებები („რუსეთის სამთო საზოგადოება," „პიატიგორსკის სამთო საზოგადოება" და სხვა). ასევე შეიცვალა „ოპტ" და მის ბაზაზე შეიქმნა „ოპტე" — საკავშირო პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოება.

აღნიშნული დადგენილება უაღრესად დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენდა ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის შემდგომი განვითარებისთვის. მან ტურიზმი აიყვანა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დონემდე, განამტკიცა მისი მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლები.

ამავე წელს, პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოების ხელმძღვანელობით, რიგ ღირსშესანიშნავ ადგილებსა და რაიონებში, სადაც მოგზაურთა მეტი სიჭარბე იყო, აშენდა და გაიხსნა ტურისტული სახლები და ბაზები, რომლებიც ოპერატიული ტურიზმის გარდა, თვითმოქმედ ჯგუფებსაც უწევდნენ მომსახურებას.

ტურიზმმა წითელ არმიაშიც მოიკიდა ფეხი, სადაც შეიქმნა ტურისტული საზოგადოება, რომელიც თავის მხრივ ხელმძღვანელობდა მის განვითარებას სამხედრო ოლქებში, ნაწილებსა და ქვეგანყოფებში.

1931 წელს შეიქმნა პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საკავშირო საზოგადოების ყოველთვიური ჟურნალი „ტურისტ აქტივისტი", რომელიც თავის ფურცლებზე ვრცლად აშუქებდა ტურიზმის განვითარების კარდინალურ საკითხებს, (კადრების მომზადება, უჯრედებისა და ძირეული სექციების მუშაობა, ტურიზმის მეთოდური საფუძვლები, პროპაგანდა, ტურისტების როლი სამეურნეო-კულტურული ამოცანების შესრულებაში და ა. შ.).

ამავე წელს, თებერვლის თვეში საკავშირო პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოების ინიციატივით მოეწყო საამთოსათხილამურო ტურისტული ლაშქრობა კავკასიონზე. მოლაშქრეთა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში 12 კაცი მონაწილეობდა, კავკასიონის ქედზე გადალახა ტვიბერის უღელტეხილი და ზემო სვანეთზე გავლით, ლატფარის გადასავლით მშვიდობით დაეშვა ქვემო სვანეთის ცენტრ ლენტეხში, რითაც საფუძველი ჩაუყარა სათხილამურო ტურიზმს კავკასიაში.

იმავე წლის ზაფხულში, რიგ ტურისტულ მასობრივ ღონისძიებებთან ერთად, საკავშირო პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოების ხელმძღვანელობით, შხელდისა და ბაქსანის ხეობების სამთო-ტურისტულ ბაზებზე მომზადდა ტურიზმისა და ალპინისტთა

კადრები. აღნიშნული სემინარის კურსდამთავრებულებმა, სათანადო თეორიული და პრაქტიკული მომზადების შედეგად, ხალხმრავალი ჯგუფით გადალახეს ჯან-თუღანის უღელტეხილი და ლეხზირის მყინვარით ჩავიდნენ ზემო სვანეთის ცენტრ მესტიაში.

ამავე წელს გაიხსნა ექსკურსიამძღოლების საკავშირო გადასამზადებელი დაუსწრებელი კურსები.

1932 წელს ჩატარდა საკავშირო პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საზოგადოების 1-ლი ყრილობა, სადაც განხილული და შეჯამებული იქნა წარსული მუშაობის შედეგები და დაისახა ახალი ამოცანები.

ყრილობის რეზოლუციის შესაბამისად, საკავშირო პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოებას, საწევრო ანარიცხების მიხედვით 800 ათასი კაცი ჰყოლია გაერთიანებული, ხოლო ლაშქრობებისა და ექსკურსიების ხაზით 3 მილიონი კაცი. ყრილობამ საკავშირო პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოებას მოუწოდა გაეუმჯობესებინა მასობრივ-ორგანიზაციული მუშაობა და განეხორციელებინა ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარება.

იმავე წლის დასასრულს ქ. მოსკოვში ჩატარდა პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საკავშირო ცენტრალური საზოგადოების პირველი პლენუმი, რომელმაც განიხილა და გაანაზოგადა სამთო ლაშქრობათა და მწვერვალებზე ასვლათა გამოცდილება. ეს პლენუმი, ამავე დროს, წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის სამთო-ლაშქრობათა და მთამსვლელთა ასვლების ხელმძღვანელთა სემინარს. პლენუმმა განიხილა მომავალი გეგმების შესრულება და დასახა მთელი რიგი ღონისძიებები.

მომდევნო წელს საგრძნობლად გამრავლდა ტურისტული ბანაკები, ბაზები და სასწავლო-ტურისტული ლაშქრობანი, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ და ატარებდნენ არა მარტო პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საკავშირო საზოგადოება, არამედ დიდ ქალაქებში, ოლქებში, რესპუბლიკებსა და მხარეებში ჩამოყალიბებული ფილიალები და ცალკეულ წარმოება-დაწესებულებებში შექმნილი სექციები და უჯრედები. მათ უფრო მეტად განავითარეს და ხალხმრავალი გახადეს ტურისტული ლაშქრობანი და ექსკურსიები.

შემუშავდა და გაიხსნა ახალი ტურისტული მარშრუტები საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რაიონებში, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობდა. იგი სისტემატურად ქვეყნდებოდა ჟურნალ „На суше и на море"-სა და „ტურისტ აქტივისტის" ფურცლებზე. ზაფხულის სეზონისთვის გაიხსნა ტურისტული ბაზები — ნალჩიკში, თეგენეკლში, ზემო ჩეგემში, იალბუზის კალთებზე, თავრარში, ბეჩოში, მესტიაში და

სხვა. ასევე სამთო ქოხები, „11-ის თავშესაფარი“, „ჩრდილო და სამხრეთ დონღუზ-ორუნი“, „ჩრდილო იუსენგი,“ „ჩრდილო და სამხრეთ ბეჩო“, „ტვიბერი“, „მისეს-ყოში“, „წანერი“ და სხვა.

ამრიგად უფრო და უფრო ვითარდებოდა ტურისტული მოღვაწეობა და მასობრივად ხდებოდა საბჭოთა ტურიზმის მრავალათასიანი არმია. დღითი-დღე მატულობდა და ყოველწლიურად ტარდებოდა ლაშქრობები ახალ-ახალ მარშრუტებით — ქვეითად, სამთო, სათხილამურო, სამდინარო (ნავებით, ბაიდარებით, ტივებით, ბოტანებით), ველო-მოტო და სხვა. იძენდნენ გამოცდილებას და სათანადო დაკვირვებებით აღწერდნენ გავლილ გზებს. ვითარდებოდა და იზრდებოდა ბავშვთა ტურისტული რიგები და მათი მოგზაურობათა რაოდენობა.

მრავლდებოდა გასამხედროებული ტურისტული ლაშქრობები, სათხილამურო და ველო-რბოლები, მშრომელი მასებისთვის თავდაცვითი საქმის სწავლებისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისთვის.

გაძლიერდა აღმზრდელობითი მუშაობა ტურიზმში, გამოიცა მრავალი სახელმძღვანელო მასალა მოგზაურობებზე და ცალკეულ საზოგადოებების გამოცდილებაზე და ა. შ. დღითიდღე იზრდებოდა ტურისტთა რიგები. 1935 წლის 1 იანვრისათვის „საკავშირო პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საკავშირო საზოგადოების“ წევრი იყო 790 ათასი კაცი.

1936 წელს საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, გაუქმდა პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საკავშირო საზოგადოება და ტურისტული მოძრაობის ხელმძღვანელობა დაევალა ფიზიკური კულტურის საკავშირო საბჭოს, რომელიც იმავე წელს გადაკეთდა სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტად, ხოლო პროფკავშირულ ორგანიზაციათა წევრებზე, ტურიზმსა და ალპინიზმში ექსკურსიების ხაზით, ხელმძღვანელობა დაევალა საკავშირო პროფესიონალური კავშირების ცენტრალურ საბჭოს („ვცსპს“).

ამრიგად, პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოში („ვცსპს“), შეიქმნა ტურიზმის საექსკურსიო სამმართველო („ტეუ“). ეს სამმართველო ხელმძღვანელობდა და გეგმავდა მშრომელთა ფართო მასებისთვის საკავშირო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტურისტული მარშრუტების ქსელს. „ოპტე“-ს ლიკვიდაციამ და მის ბაზაზე „ვცსპს“-თან შექმნილმა ტურისტულმა საექსკურსიო სამმართველომ („ტეუ“) შექმნა აუცილებლობა თვითმოქმედი ტურისტული მუშაობის წარმართვისა და ორგანიზაციული ფორმების დასახვისთვის.

დაისვა საკითხი ტურისტული კლუბების შექმნის შესახებ, რომელიც უფრო მეტად შეუწყობდა ხელს ბავშვთა ტურიზმის განვითარე-

ბას. ჟურნალ „На суше и на море“-ში სისტემატურად შუქდებოდა ახალ-ახალი მარშრუტები, გავლილი გზები, საჟურვლის (ნავები, ბაიდარები, ტივები, ნიჩბები და სხვა), თვითდამზადების წესები, ველოსიპედისთვის ბარგის დასამაგრებელი საშუალებები, სპეციალური ტანსაცმელის შეკერვის წესები და სხვა საკითხები. ყოველწლიურად ეწყობოდა მოსკოვის ტურისტული ორგანიზაციების შეკრება-მოფრენი, სადაც ტარდებოდა სხვადასხვა ღონისძიებები, შეჯიბრებებისა და ლაშქრობების შედეგების განხილვა და ა. შ.

ტარდებოდა ურთულესი გზებით მოგზაურობა-ლაშქრობები ქვეითად, სამთო-ქვეითად, თხილამურებით, ველოთი, ნავებით, ბაიდარებით, და ა. შ.

დაიწყო ბუნებრივი მღვიმეების შესწავლა, ქვეყნდებოდა მათი აღწერა სქემებით, რითაც საფუძველი ეყრებოდა სპელეოტურიზმს.

1938 წელს საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, ტურიზმი გამოეყო ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილებას და მიეკუთვნა ტურიზმისა და ექსკურსიების სამმართველოს, რომელსაც დაევალა მუშაობის წარმართვა და ხელმძღვანელობა. მასვე დაევალა პროფკავშირების ხაზით ალპინიზმის დარგში მუშაობის ხელმძღვანელობა.

ამავე წელს, სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ საკავშირო ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტშიც შეიქმნა ტურისტული სექცია, რომელსაც დაევალა მასზე დაქვემდებარებულ ფ. კ. კომიტეტებსა და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში სექციების შექმნა და სხვა სპორტის სახეების თანაბრად ტურიზმში მუშაობის წარმართვა-განვითარება.

იმავე წელს ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის ტურიზმის სექციის მიერ შემუშავებული და გადაცემული იქნა დასამტკიცებლად „სსრკ ტურისტი“-ს ნიშნის ნორმატივები და მოთხოვნები.

1938 წლის 30 ნოემბერს მოსკოვის ბავშვთა ტურისტული და ექსკურსიების სადგურის ხელმძღვანელობით პიონერთა სასახლეში ჩატარდა იმ მოსწავლეთა შეკრება-მოფრენი, ვინც იმავე წელს მონაწილეობდა ტურისტულ ლაშქრობებში. მოხსენებებით გამოვიდნენ იმ სკოლების წარმომადგენლები, ვინც ჩაატარა ლაშქრობები, ასეთი კი 3 — 4 სკოლა აღმოჩნდა. ამ მოფრენმა გამოავლინა, რომ ბავშვთა ტურიზმი კვლავ ძალზე ჩამორჩებოდა და საჭირო იყო მეტი ქმედითი ზომების მიღება.

1938 წლის ნოემბერში სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტმა გამოსცა ბრძანება № 649, ტურისტული მუშაობის გაშლის თაობაზე, ძირეულ

ფიზკულტურულ ორგანიზაციებში და საბჭოთა მთავრობის 1936 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების ცხოვრებაში ქმედითად გატარების შესახებ.

იმავე წლის დეკემბრის თვეში საკავშირო ფ. კ. და სპორტის საქმეთა კომიტეტმა ჩაატარა 1-ლი საკავშირო თათბირი ტურიზმში. ამ თათბირში მონაწილეობდნენ 8 ქალაქის წარმომადგენლები და დაინტერესებული პირები. განხილული იქნა ორგანიზაციული საკითხები ტურიზმის შემდგომი განვითარების შესახებ, ტურისტული ლიტერატურისა და რუკების გამოცემის, ტურისტული საჭურვლის სტანდარტული ნორმების დადგენისა და სხვა საკითხებზე. ეს თათბირი წინასწარი სამზადისი იყო მომავალი საკავშირო კონფერენციისა. იმ ხანად საკავშირო მასშტაბით შემუშავებული და დამტკიცებული იქნა ტურიზმის ოთხ სახეობისათვის ქვეითი, სათხილამურო, სანაოსნო და ველო მოგზაურობათა სიძნელის განმსაზღვრელი მაჩვენებლები. 1939 წლის 17 მარტს სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ფ. კ. და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტმა დაამტკიცა ტურისტის ნიშანი „სსრკ ტურისტი" და მისი მიღების ნორმები და მოთხოვნები მის მოსაპოვებლად.

ტურისტის ნიშნის დებულება შემდეგს ითვალისწინებდა:

1. „სსრკ ტურისტი"-ს ნიშნის მოთხოვნები და მისი დებულება ძირითად ამოცანად ისახავდა:

ა) საბჭოთა კავშირის მოსახლეობას შორის თვითმოქმედი ტურიზმის ფართოდ განვითარებას, როგორც აქტიური დასვენებისა და ფიზიკური განვითარების ერთ-ერთ საუკეთესო შერწყმული ფორმის როგორც მშრომელი მასების კულტურის დონის ამაღლების, სოციალისტური სამშობლოს გაცნობისა და თავდაცვის ჩვევების გამომუშავების საშუალება, რაც საჭიროა ჩვენი სამშობლოს ყველა დამცველისთვის;

ბ) ტურისტთა შორის სავალდებულო მინიმალური სპეციალური ცოდნის გავრცელება ტურიზმის სახეებისდამიხედვით (ქვეითი, სათხილამურო, საწყლო, ველო და. ა. შ.).

გ) ტურიზმის ცალკეული სახეების მიხედვით კვალიფიციური კადრების გამოვლინება და მათი აღრიცხვა.

2. „სსრკ ტურისტი"-ს ნიშნის მიღების ნორმების კომპლექსს, მომზადების პროგრამას, გამოცდის ჩატარებისა და ნიშნით დაჯილდოვების წესებს ადგენს სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფ. კ. და სპორტის საკავშირო კომიტეტი.

3. „სსრკ ტურისტი"-ს არსებული ნიშანი ერთიანია ტურიზმის ყველა სახეობისთვის.

4. „სსრკ ტურისტი"-ს ნიშნის მიღების ნორმატივების მომზადება და ჩაბარება წარმოებს:

ა) წარმოება-დაწესებულებების, სასწავლებლებისა და კოლმეურნეობების ფიზკულტურულ კოლექტივებში;

ბ) წითელ არმიისა და საზღვაო-ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი დაცვის სამხედრო ნაწილებსა და განაყოფებში, სასწავლებლებსა და დაწესებულებებში;

გ) სასწავლო ტურისტულ შეკრებებზე, სპორტული საზოგადოებების, საკავშირო პროფესიონალური კავშირების ტურისტულ ექსკურსიების სამმართველოს, წითელი არმიის, საზღვაო ფლოტისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საბანაკო შეკრებებზე.

5. ფიზკულტურის კოლექტივების ტურისტული სექციები უნდა აწარმოებდნენ მუშაობას არა მარტო თავიანთ კოლექტივებში არსებული სექციების წევრების მიერ „ტურისტულ ნიშანზე" ნორმების მომზადებისა და ჩაბარებისთვის, არამედ ასევე უნდა ზრუნავდნენ წარმოება-დაწესებულების, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების და ა. შ. კოლექტივის მთელ შემადგენლობაზე და მათი ოჯახის წევრებზე.

6. „სსრკ ტურისტი"-ს ნიშნის მიღებისათვის საჭიროა:

ა) ფიზკულტურის კოლექტივის ან ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების წევრობა;

ბ) მონაწილეობა არა ნაკლებ ერთ 2-ე კატეგორიის, ან ორ 1-ლ კატეგორიის (საკლასიფიკაციო მარშრუტების მოთხოვნათა მიხედვით) სირთულის ლაშქრობაში;

გ) „სსრკ ტურისტი"-ს ნიშნის მისაღებად განსაზღვრული და დამტკიცებული საპროგრამო მასალის ცოდნა;

დ) წარმოება-დაწესებულების, სასწავლებლისა და ა. შ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა.

7. „სსრკ ტურისტი"-ს ნიშნის მიღების მსურველს საშუალება ეძლევა სურვილისამებრ აირჩიოს ტურიზმის ესა თუ ის სახე და ჩააბაროს პროგრამით გათვალისწინებული გამოცდა.

8. „სსრკ ტურისტი"-ს ნიშნის მიღებისა და ტარების ნება ეძლევათ საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს, რომელთაც 17 წელი შეუსრულდათ და აკმაყოფილებენ ზემოთ აღნიშნულ სპეციალურ მოთხოვნებს. ამრიგად, ტურისტის ნიშნის ნორმების დამტკიცება ფართო გზას ხსნიდა ტურიზმის პროპაგანდისა და მისი შემდგომი განვითარებისთვის საბჭოთა კავშირში.

„სსრკ ტურისტის" ნიშანზე საბჭოთა მოქალაქეთა მომზადება მშთ კომპლექსისათვის მზადების დონეზე იქნა აყვანილი. დაისახა ამოცა-

ნა, რომ 1939 წლის განმავლობაში მომზადებულიყო 20 — 25 ათასი ნიშნოსანი ტურიზმში.

მართლაც, ამ მიმართულებით წარიმართა დიდი მუშაობა, ძირეულ ფიზკულტურულ ორგანიზაციებში გამრავლდა ახალი ტურისტული სექციები და უჯრედები. ჩატარდა და დაიგეგმა მრავალი ლაშქრობა-გასელა, შორეული და ადგილობრივი, ურთულესი მარშრუტებით ქვეითად, ნავებით, ბაიდარებით, ტივებით და ნავტიკებით, თხილამურებით, ველოსიპედებით, მანქანებით და ა. შ. გაცხოველდა მუშაობა მოსწავლე-ახალგაზრდობაში და სამხედრო ნაწილებში. დამუშავდა და გაიხსნა მთელი რიგი ახალი ოპერატიული და თვითმოქმედი მარშრუტები.

ზაფხულისათვის გაიხსნა ტურისტული და ალპინისტური საჭურველის გამქირავებელი პუნქტები — პიატიგორსკში, თებერდაში, დომბაიში და სხვა ადგილებზე, რომლებიც მომსახურებას უწევდნენ სამთო მარშრუტებზე მიმავალ თვითმოქმედ ტურისტებს.

1940 წლის დამდეგისათვის ტურისტულ ორგანიზაციებს კარგი შედეგები ჰქონდათ: გაიხსნა ტურისტული ბაზა არხიზში (ყარაჩაი), ხოლო დომბაისა და თებერდაში მთავრდება ბაზების მშენებლობა. მარტო სოხუმის ბაზამ წინა 1939 წელს მომსახურება გაუწია 7.000 გეგმიან ტურისტსა და 3624 თვითმოქმედ მოლაშქრეს.

1940 წელს მარტო თებერდის ტურისტული ბაზა მოემსახურა 15 ათას გეგმიან და 12 ათას თვითმოქმედ ტურისტს.

ამ წელს 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის", დამტკიცებული სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის მიერ.

„მშთ" ახალ კომპლექსში ტურიზმმაც ნახა თავისი გამოხატულება. ტურისტული ნორმატივები შემდეგ მოთხოვნებს ითვალისწინებდა: იმშთ ნორმებში (ჭაბუკებისა და გოგონებისათვის), სავალდებულო იყო ქვევით ჩატარებულიყო ერთდღიანი ტურისტული ლაშქრობა — 15 კმ. „ჩათვლაზე", ხოლო 20 კმ. — „ფრიადზე, ამავე დროს ყოველ ჩამბარებელს უნდა ცოდნოდა ტურისტული რუკის კითხვა, კომპასის ხმარება და ქვეყნის მხარეების გარკვევა ადგილობრივი ნიშნებით, ე. ი. კომპასის გარეშე.

„მშთ" I საფეხურის ნიშნის ამორჩევით IV-ე ჯგუფის ნორმებში (ქალებისა და კაცებისათვის) შემდეგი მოთხოვნები იყო შეტანილი: ერთი თვითმოქმედი ტურისტული ლაშქრობის ჩატარება ტურიზმის რომელიმე სახეში, სახელდობრ: ქვეითად 25 — 30 კმ. მანძილზე, თხილამურებით 25 — 30 კმ; ველოთი 60 — 70 კმ; ნავეურეკლით 20 —

25 კმ. ხოლო ავტომანქანით და მოტოციკლეტით (იმ შემთხვევაში თუ თვით მართავდა მანქანას) 150 — 200 კმ. მანძილზე.

ტურიზმის ნიშნით დაჯილდოებულ პირებს აღნიშნული ნორმატივი ჩაბარებულად ეთვლებოდათ.

„მშთ“ კომპლექსში შეტანილმა მოთხოვნებმა ხელი შეუწყვეს ტურიზმის შემდგომ აღმავლობას.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტმა დაამტკიცა ტურისტულ-ალპინისტური სექციების შექმნის პრინციპები, რომლის მიხედვითაც ეს სექციები ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივებში ყალიბდებოდა.

ამავე წლის 21 — 24 აპრილს ფ. კ. და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტში, ტურიზმისა და ალპინიზმის ხაზით ჩატარდა საინსტრუქციო თათბირი, მოსმენილი იქნა რიგი მოხსენებები. ასე მაგალითად: ფიზკულტურული ორგანიზაციების მიზანი და ამოცანები (მომხ. კომიტეტის თავმჯდომარე), ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობა „სსრკ ალპინისტი“-ს ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების მიზნით, „სსრკ ტურისტი“-ს ნიშნის მომზადება და ჩაბარება; საკავშირო პროფსაბჭოს ფიზკულტურის განყოფილების 1940 წლის სპორტული მუშაობის გეგმის განხილვა, და სხვა საკითხები.

1940 წელს დაინერგა ტურისტული მოგზაურობა გემით, შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში — მათი ღირსშესანიშნავი საექსკურსიო ობიექტების დათვალიერებით.

ამავე წელს გამომცემლობა „ფიზკულტურა და სპორტმა“ გამოსცა (ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი) სახელმძღვანელო მასალა ტურიზმში, „ტურისტის თანამგზავრი“, სადაც გაშუქებული იყო მთელი რიგი აუცილებელი და საჭირბოროტო საკითხები, სახელდობრ: ტურიზმი საბჭოთა კავშირში, ტურისტული შესაძლებლობანი ჩვენს ქვეყანაში, მოგზაურობის მომზადება, ტურისტის ფიზიკური მომზადება,— საჭურველკაზმულობა, ტურიზმის სახეები და მათი დახასიათება, სამღვიმეო ტურიზმი, ადგილობრივი და შორეული ტურიზმი, საკვლევი მუშაობა ტურიზმში, ბანაკის მოწყობის ორგანიზაცია, ტურიზმის ჰიგიენა, ტოპოგრაფია, მეტეოროლოგია, ნადირობა და თევზაობა, მოგზაურობის ფოტოგრაფირება, მოგზაურობის ანგარიშგების შედგენა, ტურისტის პრაქტიკული დარიგება, რეკომენდებული მარშრუტების ჩამოთვლა, მარშრუტთა კლასიფიკაცია სირთულის მიხედვით, მხატვრული ლიტერატურის ჩამოთვლა და დანართი.

იგივე, ხსენებული წიგნი უფრო სრულყოფილი და დახვეწილი სახით მეორედ გამოიცა 1941 წელს. აღნიშნულმა „ტურისტის თანამგზავრებმა“ დიდი მოწონება ჰპოვა ტურიზმის მოყვარულთა შორის და დიდი და სასარგებლო სამსახური გაუწია მათ, სხვადასხვა სირთუ-

ლისა და ხასიათის თვითმოქმედი ტურისტული ლაშქრობების მარ-შრუტთა შერჩევასა და ჩატარებაში.

გამოცემული იქნა ტურისტული რუკები, „უკრაინის ისტორიული ადგილები“, „მზიური საქართველო“, „სამხრეთი ყირიმი“ და სხვა.

ტარდებოდა ტურისტული შეკრება-მოფრენები და შეჯიბრებები ტურისტულ ორიენტირებაში, ღამისთევის ორგანიზაციაში და ა. შ. ტურიზმი თანდათან იძენდა მუშაობის ახალ ფორმებს — შეჯიბრების ელემენტებს.

მომდევნო წელს დაიგეგმა მთელი რიგი ახალი ღონისძიებები გეგ-მიანი და თვითმოქმედი ტურიზმის განსაკითარებლად. დიდ ქალაქებსა და ცენტრებში ტურიზმისა და ექსკურსიების სამმართველოებთან შექმნილი ტურისტული კლუბები გეგმავენ და კონსულტაციას უწევენ მთელ რიგ ტურისტული ღონისძიებების ჩატარებას. ზამთრის სეზონ-ში ტარდება მრავალი გასამხედროებული ტურისტული ლაშქრობა, კარელიის მხარეში ფინელებთან წარსული ბრძოლების ადგილებში და სხვაგან.

სულ უფრო იძაბებოდა საერათშორისო მდგომარეობა, რის გამოც პრესა მოგვიწოდებდა: „რთული საერთაშორისო და დაძაბული მდგო-მარეობა, რომელშიაც ჩვენ გვიხდება ცხოვრება და შრომა, გვიკარნა-ხებს მუდმივ მზად ყოფნას. ამასთან ერთად საჭიროა ყოველდღიურად და განუწყვეტლივ ვზრდიდეთ ფიზიკურად ძლიერ, გამძლე და მამაც ახალგაზრდობას წითელი არმიის რიგებისათვის“.

ასეთი იყო ჩვენს პრესაში გამოთქმული მოწოდება, რომელსაც საბჭოთა ფიზიკური აღზრდის სისტემა და ფიზკულტურული კომპლექ-სი „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისათვის“ ემსახურებოდა. ტუ-რიზმიც, როგორც საბჭოთა ფიზიკური კულტურის განუყოფელი ნაწი-ლი, დასახულ ამოცანას ემსახურებოდა.

ამ წელს იგეგმება და ტარდება სხვადასხვა სირთულისა და ხასია-თის მრავალი თვითმოქმედი ლაშქრობა და გასამხედროებული გადა-სვლები, მაგრამ რიგი მათგანი ვერ შესრულდა დიდი სამამულო ომის დაწყების გამო. 22 ივნისს დღის 12 საათზე მთელ ქვეყანას ეცნობა ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმა ჩვენს სამშობლოზე. ეს ცნობა ელვის სისწრაფით მოედო ჩვენს თვალუწვდენელ ქვეყანას და გზად მიმავალი ტურისტები დაბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ ქალა-ქებში.

ყველა ტურისტი, ისე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, განწყობი-ლი იყო პატრიოტული სულისკვეთებით სამშობლოს დაცვისა და ვე-რაგი მტრის გასანადგურებლად. ბევრი ტურისტი იბრძოდა სხვადასხვა ფრონტის ხაზზე და ანადგურებდა ფაშისტთა ურდოებს, ხოლო ზოგი ზურგში სჭედდა მტერზე გამარჯვებას.

ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული და ბრძოლები შორს კარპატებსა და ვარშავის მისადგომებზე მიმდინარეობდა, როცა ტურისტებმა ხელი მოჰკიდეს თავის საქმიანობას და დანგრეული მეურნეობის აღდგენას. დიდ წარმოება-დაწესებულებებში და სხვა ადგილებზე ამუშავდა ძირეული ტურისტული სექციები, დაიწყო ომისაგან განადგურებული ბაზებისა და ბანაკების და საერთოდ ტურისტული მეურნეობის აღდგენა.

აღდგა და გამოცოცხლდა ტურისტული მოღვაწეობა, ჩატარდა სხვადასხვა ხასიათის ლაშქრობები და შეკრებები ტურისტული კადრების მომზადების მიზნით. ომისშემდგომი ტურისტული სეზონი 1946 წელს გაიხსნა, ეს იყო მზარდი აღმავლობის ხანა ტურიზმში, ამ წელს ჩატარდა მრავალი მასობრივი ღონისძიებები—როგორც ოპერატიული, ასევე თვითმოქმედი მოგზაურობები. სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის მიერ შემუშავებული იქნა ახალი მოთხოვნები და საკლასიფიკაციო ნორმატივები ტურიზმის ოთხი სახეობისთვის. დამტკიცებული იქნა მთელი რიგი ინსტრუქციები და სახელმძღვანელო მასალა ტურისტული ლაშქრობებისა და ღონისძიებების ჩატარების წესებისა და მოთხოვნების შესახებ.

1948 წელს ტურიზმი ჩართული იქნა ერთიან საკავშირო სპორტულ კლასიფიკაციაში. თანაბრად სპორტის სხვა სახეებისა, შემუშავებული და დამტკიცებული იქნა სპორტული თანრიგები და მარშრუტთა სიძნელის განმსაზღვრელი ცხრილი ტურიზმის ოთხ სახეობაში (ქვეითი, ველო, საწყლო და სათხილამურო).

1948 წლის საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ — ფიზიკური კულტურის შემდგომი მასობრივი და სპორტული განვითარების შესახებ — ახალი ამოცანები დასახა.

ეს დადგენილება გაშლილი სამოქმედო პროგრამა იყო საბჭოთა ფიზკულტურელების მრავალმილიონიანი არმიისათვის.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში მთავარ ამოცანად მიიჩნია ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული მოძრაობის მასობრივი გაშლა, სპორტული მაჩვენებლების შემდგომი ზრდა და ამის საფუძველზე საბჭოთა სპორტსმენთა მიერ, უახლოეს წლებში, საერთაშორისო სარბიელზე სპორტის სახეებში მიღწევების მოპოვება.

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე ტურიზმის მოძავალი განვითარების პერსპექტივებიც იქნა დასახული და მართლაც, ტურიზმმა მზარდი აღმავლობით წარმართა მუშაობა. ყოველწლიურად შენდება და იხსნება ახალი მარშრუტები, მზადდება ახალ-ახალი კად-

რები, იხვეწება საჭურველ-კაზმულობა და ა. შ. მომდევნო წელს ჩატარდა მრავალი ადგილობრივი და შორეული რთული ლაშქრობა ჩვენი ქვეყნის ბევრ მხარეში, რის საფუძველზეც შესწავლილი და ათვისებული იქნა მთელი რიგი მიუვალი რაიონები.

ომის შემდეგ აღმავლობით ჩატარებულმა მუშაობამ, კადრების მომზადებამ, რთული ლაშქრობების ჩატარებამ, ტურიზმში ნორმატიულ მოთხოვნილებათა გაზრდამ და ა. შ. დასახა ამოცანა კიდევ და კიდევ მეტად დახვეწილიყო სათანრიგო მოთხოვნები და მართლაც სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა 1949 წლის 23 თებერვლის ბრძანებით დაამტკიცა ახალი საკავშირო ერთიანი სპორტული კლასიფიკაცია და სათანრიგო მოთხოვნები ჩვენს ქვეყანაში კულტივირებულ სპორტის 43 სახეში. ახალი კლასიფიკაცია უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებდა თითოეულ სპორტის სახეს და მათ შორის ტურიზმსაც. ოსტატების სრულყოფილად მომზადების მიზნით, გაიზარდა დამატებითი მოთხოვნები მით მიმართ; 10 სხვადასხვა სირთულის ლაშქრობების ჩატარების დროს ტურიზმის ოთხ სახეობიდან რომელიმე სამ სახეში უნდა ეტარებინათ მოღვაწეობა და ხელმძღვანელობა. ეს მოთხოვნები კი ავალდებულებდა ყველა ორგანიზაციებსა და ხელმძღვანელ პირებს მაღალ დონეზე ჩაეტარებინათ ესა თუ ის ლაშქრობები.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, მომდევნო წლებში, ყოველ ოთხ წელიწადში, თანდათანობით ზუსტდება და რთულდება ერთიანი საკლასიფიკაციო ნორმატივების მოთხოვნები, განსაკუთრებით პირველ თანრიგზე და ოსტატობაზე. დამატებით შემოღებული იქნა გეოგრაფიულ-სამოქმედო რაიონებში მიმოსვლა, ლაშქრობების ჩატარება შვებულებებისა და არდადეგების დროს, გზად სასარგებლო მუშაობის შესრულება და ა. შ. ყოველი დამატებითი მოთხოვნების შეტანა და საკლასიფიკაციო ნორმატივების გართულება გამოწვეული იყო უმთავრესად მაღალი სპორტული მიღწევებისადმი სწრაფვით, მოლაშქრე ჯგუფებისა და ხელმძღვანელ პირთა სრულყოფილად მომზადებისა და ლაშქრობის მაღალ დონეზე ჩატარებისა და უავარიო მოქმედება-მოღვაწეობისთვის. ამასთან ერთად ტურიზმი გაფართოვდა, მას დაემატა ახალი სახეობები: სამთო-ქვეითი, ავტო-მოტო და სპელეოტურიზმი. სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმები და მარშრუტთა სირთულის მაჩვენებელი 5 კატეგორიამდე გაიზარდა.

აღნიშნულმა დამატებებმა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადა ტურიზმი, რომლის რიგებიც ყოველდღიურად იზრდებოდა თანრიგოსნებითა და სპორტის ოსტატებით.

მრავალმხრივ განვითარდა ბავშვთა ტურიზმი, რომელსაც ხელ-

საქართველოს

მძღვანელობდა განათლების სამინისტრო, მისი დაქვემდებარებული ორგანოები და შრომითი რეზერვების სამმართველო. შეიქმნა ბავშვთა ცენტრალური და რესპუბლიკური ტურისტული სადგურები, ხოლო პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებთან გაიხსნა ტურიზმის კაბინეტები. დამტკიცდა მოზარდთა I, II და III სპორტული თანრიგები და „ნორჩი ტურისტის" ნიშნის მიღების ნორმები, რამაც ხელი შეუწყო ტურიზმის მზარდ აღმავლობას მოსწავლეთა შორის.

დიდი მასშტაბით ვითარდება ტურიზმი საბჭოთა არმიასა და ფლოტში. სსრკ თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა ტურიზმის განყოფილება. ასეთივე განყოფილებები შეიქმნა საოლქო შტაბებსა და ფლოტის შტაბებში, რომლებიც ყოველდღიურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევდნენ ტურიზმის განვითარებას სამხედრო ნაწილებში.

ყოველწლიურად ტარდებოდა მასობრივი ლაშქრობები მამათა რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების გზებზე.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, დოსააფის, ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალურ საბჭოს ინიციატივით 1965 წლიდან ყოველწლიურად ეწყობა საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომის დიდების ადგილებზე ახალგაზრდობის საკავშირო ლაშქრობა. აღნიშნული ღონისძიება სისტემატურად ტარდებოდა სხვადასხვა გმირ ქალაქებში (ჩატარდა ბრესტში, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ხოლო 1970 წელს ქ. ულიანოვსკში), რომელიც ვრცელ პროგრამას მოიცავდა. მამათა საბრძოლო და შრომითი დიდების გზების დათვალიერების გარდა ტარდებოდა სხვადასხვა სახის გასამხედროებული ტურისტული მრავალჭიდი, სადაც ერთმანეთს ერკინებოდნენ საბჭოთა კავშირში შემავალი მოძმე რესპუბლიკებისა და გმირი ქალაქების წარგზავნილები.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო თარიღს მრავალი მასობრივი ლაშქრობა მიეძღვნა ქვეითი, სათხილამურო, საწყლო, ველო და ავტო-მოტო ტურიზმის ხაზით.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში თვალწარმტაც ადგილებზე, რაიონის ცენტრებსა და ქალაქებში შენდება და იხსნება ახალ-ახალი კეთილმოწყობილი ტურისტული ბაზები და სასტუმროები, რომლებიც მომსახურებას უწევენ ოპერატულ და თვითმოქმედ ტურისტთა ჯგუფებსა და ცალკეულ მოგზაურებს.

სსრკ ყველა რესპუბლიკაში, საოლქო და სამხარეო დაქვემდებარების ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში გახსნილი იქნა ტურისტული კლუბები, საჭურველ-კაზმულობის გამქირავებელი პუნქტები, საკონტროლო სამაშველო ჯგუფები, „კემპინგები" და პანსიონატები ავტო-მოტომოყვარულთათვის და ა. შ., რომლებიც სისტემატურ ახს-

ნა-განმარტებას, დახმარებასა და კონსულტაციებს უწევენ ყველა მოგზაურსა და დაინტერესებულ პირს.

დღეისთვის საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე ათიათასობით თვითმოქმედი და ოპერატიული ტურისტული მარშრუტები გადის, რომლებიც ყოველწლიურად მატულობს. ტურიზმის საკითხები სისტემატურად ქვეყნდება ტურისტულ გზამკვლევებში და საკავშირო პროფესიონალური კავშირების გამომცემლობა ჟურნალ „ტურისტ"-ში, რომელიც 1966 წლიდან გამოდის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფესიონალური კავშირების დადგენილების შესაბამისად დასახული იქნა ახალი ამოცანები—ტურიზმის კიდევ უფრო მეტად განვითარებისთვის.

1970 წლის ტურისტულ სეზონში მომსახურება გაეწია 48 მილიონ ტურისტს. ამჟამად ტურისტებს ემსახურება 500 ტურისტული ბაზა, ავტოპანსიონატი, კემპინგი და თავშესაფარი, ერთდროულად 125 ათასი ადგილით.

1970 წლისათვის მარტო მოსკოვის ტურისტულმა კლუბმა თავის არსებობის 20 წლის მანძილზე დასვენების დღის ლაშქრობაში მომსახურება გაუწია 6 მილიონ ადამიანს. ამჟამად ჩვენი დედაქალაქის 14 რაიონში შექმნილია სარაიონო კლუბები, ხოლო მოსკოვის ოლქში კიდევ 10 ტურისტული კლუბი, რომლებიც სისტემატურად ატარებენ სხვადასხვა სახის ლაშქრობებსა და ახორციელებენ მრავალდღიან მოგზაურობებს.

სსრკ კავშირში განუწყვეტლივ იზრდება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისთვის განკუთვნილი სახსრები. 1970 წლის ბიუჯეტის ციფრებით დამტკიცებული საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მიერ, გათვალისწინებული იყო 16.331,062 ათასი მანეთი, ე. ი. ათი პროცენტით მეტი, ვიდრე 1969 წელს.

ამ სახსრების ხარჯზე პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა 1970 წელს უფასო და შეღავათიანი საგზურებით სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, ტურისტულ ბაზებში, სტუდენტთა გამაჯანსაღებელ და ალპინისტურ ბანაკებში სამკურნალოდ და დასასვენებლად გაგზავნეს 8.049 ათასი კაცი.

სპორტისა და კერძოდ, ტურიზმის ფართოდ განვითარება პერსპექტიულად აისახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებში, სადაც ნათქვამია „გავაუმჯობესოთ პირობები ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივ სახეობებში მეცადინეობებისათვის, ამასთან გავაჩაღოთ ახალი სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა და მოქმედ ნაგებობათა გამოყენება.

გავახორციელოთ ღონისძიებანი ტურიზმის ფართოდ განვითარე-

ბისათვის. განვამტკიცოთ მისი მატერიალური ბაზა. განვავითაროთ სამდინარო, საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო და საჰაერო ტურისტული მარშრუტები. გავაფართოოთ სასტუმროების, კემპინგებისა და ტურისტთა მომსახურეობის ობიექტების მშენებლობა“ [1].

აღნიშნული დირექტივებიდან ნათლად ჩანს, რომ ტურიზმს ფართო განვითარება მოელის. მართლაც, რომ გადავხედოთ ტურიზმის ომისშემდგომ განვითარების სურათს, თვალნათლივ დავინახავთ მის აღმავალ ზრდას. მაგალითისათვის მოვიტანთ ოპერატიული ანუ გეგმიანი საკავშირო მარშრუტების ზრდის ციფრებს, რომელიც შემუშავებული და დამტკიცებულია საკავშირო ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს მიერ. მაგალითად: 1950 წლისათვის დაგეგმილი იყო 30 ოპერატიული მარშრუტი, აქედან, რსფსრ ცენტრალურ რაიონებში გადიოდა — 7, მის ჩრდილო რაიონებში — 4, ყირიმში — 3, შავი ზღვის სანაპიროზე — 10, ჩრდილო კავკასიაში — 2, ამიერკავკასიაში — 1, კავკასიის მთიანეთში — 4, კარპატებში — 1, ურალში — 1. 1967 წლისათვის მარშრუტების რიცხვი 151-მდე გაიზარდა და შემდეგი ციფრებით გამოისახა: რსფსრ ცენტრალურ რაიონებში გადიოდა — 10, ოპერატიული მარშრუტი, მის ჩრდილო რაიონებში — 16, ურალის, ალტაისა და ციმბირის რაიონებში — 11, შუა აზიის რაიონებში 11, — ბალტიისპირეთში — 10, ყირიმის, კარპატებისა და უკრაინის რაიონებში— 30, მოლდავეთში — 6, ჩრდილო კავკასიაში — 8, ამიერკავკასიაში — 13, კავკასიის მთიანეთში — 22, კავკასიის შავ ზღვის სანაპიროზე — 14 .ზემოთ აღნიშნულის გარდა ამ ხანისთვის დამატებით გადიოდა 29 რადიალური და 290 ადგილობრივი მნიშვნელობის მარშრუტები, შემუშავებული ტურიზმის რესპუბლიკური, საოლქო, სამხარეო და საქალაქო საბჭოების მიერ. ასევე დამტკიცებული იყო 258 სარკინიგზო და 82 საწყლო გეგმიანი ტურისტული მარშრუტი.

1971 წლისათვის საკავშირო მნიშვნელობის გეგმიანმა ტურისტულმა მარშრუტმა 220-ს მიაღწია. ამავე დროს, მკვეთრად გაიზარდა ადგილობრივი და რადიალური მნიშვნელობის საავტომობილო, სარკინიგზო და საზღვაო მარშრუტები.

ამასთან ერთად შემოღებული იქნა საჰაერო მნიშვნელობის ტურისტული მარშრუტები სსრ კავშირის რიგი ქალაქების გავლით.

რაც შეეხება თვითმოქმედი მარშრუტების რიცხვს, იგი რამდენიმე ასეულს აღწევს, რადგან მათი შერჩევა-დამუშავება მარშრუტების საკლასიფიკაციო-სათანრიგო ნორმატივების სირთულეთა მაჩვენებელი ცხრილის შესაბამისად, თვით ტურისტთა ჯგუფის შერჩევის საფუძველზე და მათი გამოცდილების მიხედვით მუშავდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გავლილ მარშრუტებს, რომლებიც უკვე

[1]. სკკპ XXIV ყრილობის მასალები თბილისი 1971, გვ. 346—347.

აღწერილია, დადგენილი და მინიჭებული აქვთ შესაბამისი სირთულეთა კატეგორია.

საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, მხარეებში, ოლქებსა და ქალაქებში (ასევე რაიონულ ცენტრებში), შექმნილია ტურიზმისა და ექსკურსიების შესაბამისი საბჭოები, რომლებიც გეგმავენ, ხელმძღვანელობენ და ავითარებენ მათთან შემავალი ტურისტული კლუბების, ბაზებისა და სამოგზაურო საექსკურსიო ბიუროების მეშვეობით ოპერატიულ და სპორტულ ტურიზმს.

„გაცნობებთ ეკრანი" — ასეთი საინფორმაციო სახელწოდების კუთხე აქვს დათმობილი ჟურნალ „ტურისტში" გადაღებულ დოკუმენტურ კინოფირებს ტურიზმის თითქმის ყველა საკითხებზე. კინო თავის მხრივ ხელს უწყობს ტურიზმის შემდგომ განვითარებას საბჭოთა კავშირში.

გაფართოვდა უცხოეთის ქვეყნებთან ტურისტული ურთიერთობა. 1970 წელს სსრ კავშირში იმოგზაურა 2059 ათასმა უცხო ქვეყნის ტურისტმა. ამათგან ათიათასობით უცხო ქვეყნის ტურისტმა ინახულა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადგილები.

დასახელებულ წელს ჩვენი ქვეყნიდან სხვადასხვა ქვეყანაში იყო 1.813 ათასი კაცი.

გაშენდა და შენდება ჩვენი სამშობლოს მთელ რიგ ქალაქებში 48 ტურისტული სასტუმრო, 39 მოტელი და კემპინგი. დამთავრდა 35 ობიექტის საპროექტო სამუშაოები.

ტურისტები მიიღო სამარყანდის, ერევნის, სოჭისა და ბრატსკის ახალმა სასტუმროებმა, მოტელები გაიხსნა სმოლენსკში, ხარკოვში, პოლტავაში, ორიოლსა და ორჯონიკიძეში.

ინტურისტის ხაზით აშენდა ახალი სასტუმროები, მოსკოვში 1000 ადგილიანი, ლენინგრადში — 1300 ადგილიანი და კიევში — 500 ადგილიანი.

ფართოვდება ტურიზმის მომსახურება შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც მიმდინარეობს მშენებლობა მსხვილი კომპლექსებისა სოხუმთან, სოჭასთან, ყირიმში და ოდესის მახლობლად, ისინი ერთდროულად 10 ათას კაცს მოემსახურებიან.

1971 წელს გაიხსნა თბომავლით მოგზაურობები მდინარე ლენაზე იაკუტიიდან — ტიკსამდე. ასევე დაიგეგმა ახალი მარშრუტები მდ. ლენაზე, ალდანზე და ვილუიზე.

მრავალი საინტერესო ღონისძიებები დაისახა 1971 წლის ტურისტულ კალენდარში. მოგზაურობათა მოყვარულებმა მონაწილეობა მიიღეს მრავალ სხვადასხვა სირთულის ლაშქრობებში, ამავე დროს მონაწილეობა მიიღეს ტურისტულ შეჯიბრებებსა და მოფრენებში.

იანვარში გაიხსნა ახალი საავტომობილო საკავშირო მნიშვნელობის მარშრუტი № 401 ე. წ. „ოქროს რკალი“ მოსკოვი-იაროსლავლი-კოსტრომა-პლესი-ივანოვო-ვლადიმირი-მოსკოვი. იგი 20 დღის ხანგრძლივობისაა, სადაც ტურისტები ეცნობიან ახალ მშენებლობებს, ძველ ხუროთმოძღვრულ შედევრებსა და ხალხურ შემოქმედებას.

თებერვალში ქ. სვერდლოვის ახლოს ურალის ტყეში, ევროპისა და აზიის საზღვარის მიჯნაზე შედგა ჩვენი ქვეყნის მეგობრობის ტრადიციული მოფრენი. იგი რიცხვით მეოცე იყო, სადაც მოძმე რესპუბლიკების ტურისტები მონაწილეობდნენ.

მარტში ჩატარდა საკონტროლო-სამაშველო ჯგუფების ხელმძღვანელთა შეკრება-სემინარი. ამ სემინარის მიზანი იყო რთულ ტურისტულ მარშრუტებზე უავარიო მოქმედების უზრუნველყოფა.

ივლისის თვეში ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მოგზაურობათა მოყვარულები შეიკრიბნენ ბალტიისპირეთის XII ტრადიციულ ტერიტორიულ მოფრენზე. ამავე თვეში, სელიგერის ტბაზე ჩატარდა რუსეთის ფედერაციის თასის გათამაშება ტურიზმში.

აგვისტოს თვეში მეოთხედ გაიხსნა საკავშირო ავტო-მოტო ტურისტთა მოფრენი, სადაც რესპუბლიკათა წარმომადგენლები ერთმანეთს შეეკინენ მანქანების მართვის ოსტატობაში და ტრასის ზუსტად და სწრაფად გავლაში.

სექტემბრის ბოლოს, 16 ქალაქის საბაიდარო ტურისტებმა ჩაატარეს ტრადიციული სამატჩო შეჯიბრება საწყლო ტურიზმის ტექნიკაში.

ოქტომბრის თვეში, ქ. მოსკოვში შედგა მოსამზადებელი სემინარი, ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოს ინსტრუქტორ-მეთოდისტებისა და კადრების მომზადებისა, აგრეთვე კონტროლიორ-რევიზორების ხაზით მომუშავე პირთათვის.

ტურიზმისა და ექსკურსიების საკავშირო ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 16 მარტის (ოქმი № 6) დადგენილება — „თვითმოქმედი ტურიზმის შემდგომი განვითარების ღონისძიებების შესახებ“, ნათელყოფს პარტიისა და მთავრობის ზრუნვას ხალხთა გაჯანმრთელებისა და მასობრივ და სპორტული ტურიზმის განვითარებაზე. დადგენილებაში ნათქვამია, რომ ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა, სამხარეო და საოლქო საბჭოებმა პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებთან ერთად გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს თვითმოქმედი ტურიზმის განვითარებაში.

აღნიშნულმა საბჭოებმა ადგილებზე დაამუშავეს ათიათასობით სხვადასხვა სახის დასვენების დღისა და მრავალდღიანი მარშრუტები.

ტურიზმში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას ხელი შეუწყეს ტურისტულმა კლუბებმა და ტურისტულმა სექციებმა (ტურისტული კლუბების რიცხვი 1970 წელს შეადგენდა 2,5 ათასს, ხოლო სექციების რიცხვი კი 100 ათასს აჭარბებდა).

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულ მიღწევებისა, როგორც დადგენილებამ მიუთითა, სუსტად მიმდინარეობდა საზოგადოებრივი კადრების მომზადება, რაც საგრძნობლად აფერხებდა თვითმოქმედი ტურიზმის მასობრივ განვითარებას.

ამასთან დაკავშირებით დადგენილებაში ნათქვამია: რესპუბლიკურ სამხარეო და საოლქო ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოებმა, მთავარ ამოცანად მიიჩნიონ მასობრივი ტურიზმის შემდგომი ზრდა, რისთვისაც ფართოდ ჩააბან მშრომელთა მასები და მათი ოჯახები დასვენების დღის და მრავალდღიან ლაშქრობებში, მოფრენებში. ტურისტულ შეჯიბრებებში და საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომის დიდების გზებით საკავშირო ლაშქრობებში. მოამზადონ ახალ-ახალი საზოგადოებრივი კადრები და წარმოება-დაწესებულებებში ჩამოაყალიბონ და შექმნან ტურისტული სექციები და კლუბები, რითაც ყოველმხრივ შეუწყონ ხელი თვითმოქმედი ტურიზმის შემდგომ მასობრივ განვითარებას.

დასახელებული დადგენილების საფუძველზე ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო საბჭოებს დაევალათ შეემუშავებინათ კონკრეტული გეგმები 1971 — 1975 წლებისთვის თვითმოქმედი ტურიზმის შემდგომი განვითარების შესახებ. ამასთანავე მკაცრი კონტროლის ქვეშ განახორციელონ თვითმოქმედი ტურიზმის განვითარების გეგმების შესრულება. გამოყონ და გაითვალისწინონ სათანადო სახსრები ტურისტული შეჯიბრებების, მოფრენების, საზოგადოებრივი კადრების მომზადების სასწავლო ღონისძიებების, თვითმოქმედი ტურისტული მოგზაურობების, ექსპედიციების, საუკეთესო ტურისტული ლაშქრობების, ადგილმდებარეობაზე ტურისტული ორიენტირების, ტურიზმის შემდგომი პროპაგანდისა და სხვა ღონისძიებებისთვის.

გააძლიერონ საორგანიზაციო მუშაობა წარმოების, დაწესებულებების, სასწავლო დაწესებულებებისა და განსაკუთრებით, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურის კოლექტივებში ახალი ტურისტული სექციების შესაქმნელად.

სისტემატურად გაუწიონ კონტროლი და პრაქტიკული დახმარება ტურისტულ სექციებს მათ ორგანიზაციულ განმტკიცებაში და მასობრივ-ტურისტული ღონისძიების ჩატარებაში.

დაამყარონ მჭიდრო კავშირი სახალხო განათლების, პროფ-ტექნიკური სწავლების ორგანოებთან, ბავშვთა საექსკურსიო ტურისტულ

სადგურებთან, გაუწიონ მათ ყოველდღიური დახმარება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფტექნიკური განათლების მოსწავლეთა შორის თვითმოქმედი ტურიზმის განვითარებაში.

უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, რომელთაც სამწუხაროდ ჯერ კიდევ ადგილი აქვს ტურისტული ლაშქრობებისა და მოგზაურობების დროს, მკაცრად უნდა იქნეს ფიქსირებული და ზუსტად იყოს დაცული „სსრკ ტერიტორიაზე თვითმოქმედი ტურისტული მოგზაურობების ორგანიზაციის წესები". ამ მიზნით, დადგენილებებში, ტურიზმისა და ექსკურსიების შესაბამის საბჭოებს მიეთითა— აამაღლონ სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისიების როლი და პასუხისმგებლობა ტურისტულ მოგზაურობებში ჯგუფების გაშვებაში. გააძლიერონ ტურისტული სექციები ცალკეული სახეობის მიხედვით და სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისიები. ამ მუშაობაში ჩააბან სსრკ სპორტის ოსტატები და ტურიზმის ოსტატები, გამოცდილი ტურისტები და კონსულტანტები; მრავალდღიან ტურისტულ ლაშქრობაში და მოგზაურობაში მიმავალ ჯგუფების მიმართ წაყენებულ უნდა იქნეს სერიოზული მოთხოვნები, გულდასმით შემოწმდეს ტურისტების აღჭურვილობა და ინვენტარი, აგრეთვე მაშველი საშუალებები, შეიქმნას შეუწყნარებელი საზოგადოებრივი აზრი იმ ტურისტების მიმართ, რომლებიც უგულვებელყოფენ მოგზაურობის ორგანიზაციის დადგენილ წესებს. მკაცრად დაისაჯონ ის პირნი, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან და სათანადოთ არ აფორმებენ ლაშქრობა-მოგზაურობაში მიმავალ ჯგუფებს; გაძლიერდეს მუშაობა საზოგადოებრივი საკონტროლო-სამაშველო რაზმებისა და პუნქტების შესაქმნელად. ამასთანავე გათვალისწინებულ იქნეს მაშველი ფონდის შენახვა და მისი მომარაგება საჭირო აღჭურვილობითა და ინვენტარით. მოწესრიგდეს ადგილობრივი მარშრუტების შესახებ საცნობარო მასალის გამოცემა და მათი გავრცელება ფიზკულტურის კოლექტივების ტურისტულ სექციებში და ტურისტთა კლუბებში.

დადგენილების შემდეგ თავში ნათქვამია: დაევალოს ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოებს, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების საბჭოებთან ერთად გაუმჯობესონ მუშაობა სალაშქრო ინვენტარით და აღჭურვილობით თვითმოქმედი ტურისტების მომარაგებისთვის, ტურისტთა კლუბებთან, ტურბაზებზე და სხვა ტურისტულ დაწესებულებებში გაფართოვდეს გაქირავების ხარისხი და ასორტიმენტი. მიღებულ იქნეს ზომები გეგმიანი ტურიზმის დაწესებულებებში თვითმოქმედი ტურისტების მიღებისა და მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისთვის. ტურისტულ ბაზებზე და ავტოკემპინგებში შეიქმნას კარვის ქალაქები, გათვალისწინებულ იქნეს დამატებითი ადგილები საჰმლის შენახვისა და მისი მომზადებისთვის. ნება დაერთოს

თვითმოქმედ ტურისტებს ისარგებლონ შესანახი კამერებით, შხაპებით, ინვენტარის გაქირავების პუნქტებით.

ამასთანავე დაევალოს ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოებს გააუმჯობესონ ტურისტთა საზოგადოებრივი კადრების მომზადება, მეტი სემინარების ჩატარება ტურისტულ ორგანიზაციებისთვის, მოგზაურობის ხელმძღვანელების, ტურისტული სექციების და კლუბების თავმჯდომარეებისთვის, აგრეთვე ტურიზმის ინსტრუქტორთათვის, ორიენტირების მსაჯთათვის და სხვა კატეგორიის პირთათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. აქტიურად გამოყენებული იქნეს ცენტრალური და ზონალური ტურისტული კურსების შესაძლებლობა საზოგადოებრივი ტურისტული კადრების სწავლების პროცესში.

ამასთანავე დასახელებულმა დადგენილებამ მიუთითა, რომ 1973 წლიდან თვითმოქმედი ტურიზმის პროპაგანდისა და შემდგომი განვითარებისთვის ჩატარდეს ტურისტების საკავშირო შეკრება ოთხ წელიწადში ერთხელ.

ჟურნალ „ტურისტ"-ის რედაქციამ სისტემატურად გამოაქვეყნოს მასალა საუკეთესო ტურისტული კლუბის, ფიზიკური კულტურის კოლექტივების სექციის მუშაობის შესახებ, საინტერესო ლაშქრობებისა და ტურისტთა მოგზაურობების შესახებ.

საკავშირო კომუნისტური პარტიის 24-ე ყრილობის დირექტივებისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 — 1976 წლების გეგმიდან გამომდინარე — 1972 წელს მოქმედებაში იყო 2900-ზე მეტი ადგილობრივი და 252 საკავშირო მნიშვნელობის ტურისტული მარშრუტი. მოქმედებაში იყო საქალაქო და სარაიონო ტურისტული კლუბები და წარმოება-დაწესებულებებში მომუშავე 100 ათასზე მეტი ტურისტული სექცია, რომლებიც სისტემატურად ატარებენ სხვადასხვა ხასიათის ტურისტულ ღონისძიებებს. ამავე წელს მშობლიურ მხარეში ლაშქრობებსა და მოგზაურობებში მონაწილეობა მიიღო 40 მილიონზე მეტმა კაცმა.

1973 წელს დაგეგმილი იყო საკავშირო მასშტაბით, რომ ტურისტულ მეურნეობას მომსახურება გაეწია 17.7 მილიონ გეგმიან და 89,3 მილიონ ექსკურსიების მოყვარულთათვის.

1976 წლისთვის დაგეგმილია, რომ გეგმიანი მარშრუტები მოემსახუროს 36.4 მილიონ კაცს.

ყაბარდო-ბალყარეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, იალბუზის კალთებზე, აზაუს ველიდან „ძველ კრუგოზორამდე" აშენდა და მწყობრში ჩადგა 1750 მეტრის სიგრძის საბაგირო გზა, რომელიც ტურისტებსა და სამთო მოთხილამურეებს ემსახურება. დაგეგმილია ახლო მომავალში მწყობრში ჩადგეს ამ გზის მეორე და მესამე რიგი.

მთავრდება „სამყარო“-სა და „თერთმეტის თავშესაფარი“-ს სადგურების მშენებლობა, ამ ტრასების სიგრძე 6 კმ. მიაღწევს, რომლებიც ტურისტებს 22 წუთში დააკავშირებს ევროპის უმაღლეს მწვერვალ ჭაღარა იალბუზთან.

ზამთრის პერიოდში მოგზაურობის მოყვარულთათვის 1971-72 წლების ზამთრის სეზონისათვის შემუშავებული იყო 100 ახალი მარშრუტი. აქედან მოთხილამურეებს განეკუთვნებოდა 20; დანარჩენი 80 კი ემსახურებოდა ტურიზმის სხვა სახის მოყვარულებს.

ზამთრის განმავლობაში სათხილამურო სპორტის მოყვარულ ტურისტებს მოემსახურებიან სსრ კავშირის ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთის ოლქების, ციმბირის, ალტაის, ურალის მხარის და იმიერკარპატის, კარელიისა და ჩრდილო კავკასიის რაიონების ტურისტული ბაზები. მთელ რიგ ტურბაზებზე გაივლიან საკავშირო მნიშვნელობის მარშრუტები.

იმათთვის კი, ვისაც თხილამურებით და ქვეითად მოგზაურობა აარ სურთ, შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა საზღვაო, საჰაერო, საავტომობილო და ტურისტულ მატარებლებით მოგზაურობებში. საზღვაო კრუიზები მთელი წლის განმავლობაში ხორციელდება, რომელთაც 13 კომფორტაბელური ხომალდი „ივანე ფრანკო“, „როსია“, „აფხაზია“ და სხვანი ემსახურებიან შავი ზღვის ღირსშესანიშნავი ქალაქების გავლით, როგორიცაა: ოდესა, იალტა, სოჭი, სოხუმი, ბათუმი და სხვ.

საჰაერო ტურისტული მოგზაურობისათვის სათანადო 30% შეღავათიანი ღირებულებით შეიძლება 10 დღით იმოგზაუროს კაცმა ჩვენი სამშობლოს ყველა მიმართულებით მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისისა და სხვა ქალაქების გავლით.

ტურისტული მატარებლებით მოგზაურობა ითვალისწინებს ბალტიისპირეთის, იმიერკარპატების, კავკასიისა, შუა აზიის რესპუბლიკებისა და რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქების გავლადათვალიერებას.

საავტომობილო ტურიზმის მოყვარულთათვის ზაფხულისა თუ ზამთრის განმავლობაში მრავალი მარშრუტია დაგეგმილი, რომლებიც ძირითადად 2—3 დღის განმავლობაში ხორციელდება.

ამრიგად, ყველა მოქალაქეს სურვილისამებრ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამა თუ იმ მოგზაურობაში, რისთვისაც უნდა მიმართოს საქალაქო თუ სარაიონო ტურისტთა კლუბს, რომელთა რაოდენობა სსრ კავშირის მასშტაბით დღეისათვის 2765 აღწევს. ტურისტებს ისინი დაეხმარებიან სათანადო მარშრუტების შერჩევაში, რადგან მათი რაოდენობა რამდენიმე ათას აღწევდა და ისინი ყოველწლიურად მატულობენ. მარტო 1970 წელს შემუშავებული და შესწავლილი იქნა ორი ათასი ახალი მარშრუტი.

ფართო პოპულარობა მოიპოვა სპელეოტურიზმმაც, რომელთა ქსელი დღითიდღე მატულობს. აღმოჩენილი და შესწავლილია მთელი რიგი კარსტული მღვიმეები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკასა და მხარეში.

მიწისქვეშა ბუნების ძეგლები უდიდეს სამეცნიერო და უნიკალურ ფასეულობას წარმოადგენენ, რომელთა რაოდენობა მარტო ყირიმის მთიანეთში 800-მდე აღწევს და დღეისთვის ძირითადად შესწავლილია.

რაც დრო გადის, სულ უფრო იზრდება ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის შემდგომი განვითარების პერსპექტივები, ტურიზმი სულ უფრო მასობრივი ხდება და სათანადო ადგილს იკავებს საბჭოთა მშრომელების ყოფაში.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირში გაიზარდა ტურიზმის ინდუსტრია. ქ. მოსკოვში შეიქმნა ერთიანი ტურისტული საექსკურსიო ცენტრი, სადაც გაერთიანებულია 40-ზე მეტი დაწესებულება. ყველა რაიონში მუშაობენ სარაიონო ტურისტული კლუბები, ავტო-მოტო-ტურისტული კლუბი, საჭურველის გამქირავებელი პუნქტები და ა. შ. შენდება და გაიხსნა ახალი ტურისტული ბაზები და სასტუმროები „ზვენიგოროდში“ 265 ადგილზე, მთავრდება 270 ადგილიანი კორპუსი „ტიშკოვოში“. დაიწყო დიდი ტურისტული კომპლექსის მშენებლობა ლენინის პროსპექტზე, სადაც გაიხსნება ტურიზმის ცენტრალური სახლი და სასტუმრო 1300 ადგილზე. დიდი ტურისტული კომპლექსის მშენებლობა მიდის იზმაილოვოს პარკის მიდამოებში, სადაც ერთდროულად 10.000 კაცს მოემსახურებიან. ასევე იწყება ტურისტული ბაზების მშენებლობა „მოჟაისკის წყალსაცავთან“ და სხვა. ქ. მოსკოვის ტურიზმისა და ექსკურსიების საქალაქო საბჭოს შემუშავებული აქვს 250 სამანქანო ტურისტული და 450 საექსკურსიო მარშრუტი, ათასზე მეტი დასვენების დღის მარშრუტები. 1973 წელს მოსკოვის ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭო მოემსახურა 1.6 მილიონ ტურისტს და 8.7 მილიონ ექსკურსანტს. 1974 წელს საბჭოთა კავშირი მოინახულა 3.4 მილიონზე მეტმა უცხოელმა 153 ქვეყნიდან. ხოლო ჩვენი სამშობლოს მოქალაქეებმა 126 ქვეყანა ინახულეს, სადაც 2,200 ათასზე მეტი კაცი მოგზაურობდა. ყოველ წლობით მატულობს ახალი ტურისტული მარშრუტები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ღირსშესანიშნავ ადგილებსა და რაიონებში და მასთან ერთად მატულობს ტურისტული ბაზებისა და მსხვილი კომპლექსების მშენებლობა ტურისტული მოგზაურობის მოყვარულთა მომსახურებისთვის.

1974 წელი ეს იყო ჩვენი ხალხის დიადი შრომითი აღმაფლობის წელი. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა ამ წელს უფრო მეტად განვითარდა ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ქვეყნის ინდუსტრიული სიძლიერის გაზრდასთან ერთად, ტურიზმის განვითარებასაც

მიექცა უურადღება. გაფართოვდა ტურიზმის თვალსაწიერი ჩვენს ქვეყანაში, დაისახა რიგი პრობლემები მისი ფართოდ განვითარებისთვის. დაიგეგმა მთელი რიგი ახალი ობიექტებისა და ტურისტული ცენტრების გაშენება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში.

ჩატარდა მრავალი სხვადასხვა სირთულის ტურისტული მოგზაურობები მამათა რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების გზებით. ჩატარდა აგრეთვე კომკავშირული ექსპედიციები დევიზით „ჩემი სამშობლოა — სსრ კავშირი". ამ ექსპედიციების მიზანი იყო ღრმად შეგვესწავლა ჩვენი სამშობლო. დღეისათვის აღნიშნულ ექსპედიციებში 2 მილიონზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

ჩვენი დიადი სამშობლოს უზარმაზარ ტერიტორიაზე თითქმის აღარ არსებობს „თეთრი ლაქები", რადგან იგი გარდი-გარდმო დასეირილია ტურისტების მიერ.

გაიხსნა კიდევ 40 ახალი საკავშირო მნიშვნელობის ტურისტული მარშრუტი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ღირსშესანიშნავ მხარეში. უფრო მეტად გაიზარდა საოჯახო ტურისტული დასვენება. ამ ხაზით, მშობლებთან ერთად ბავშვების დასვენების მიზნით, ჩვენს ქვეყანაში 90-მდე საკავშირო მნიშვნელობის ტურისტული მარშრუტია გახსნილი.

განვითარდა ბავშვთა ტურიზმიც, მთელ რიგ სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებში ტარდება სხვადასხვა ხასიათის მოგზაურობები. გარდა ამისა, ყველა რესპუბლიკასა და ოლქში განლაგებული ბავშვთა ცენტრალური ტურისტული სადგურები თავის მხრივ ატარებენ მთელ რიგ მასობრივ მოგზაურობებს დევიზით „ჩემი სამშობლოა — სსრ კავშირი".

ყოველწლიურად იზრდება და ვითარდება „ინტურისტის" ხაზით, საბჭოთა კავშირის ზამთრის სახეების (სათხილამურო სპორტის) მოყვარულთა მოგზაურობები დემოკრატიული ქვეყნების მთიანეთში — (ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, პოლონეთი, გერმანია და სხვა). სამაგიეროდ აღნიშნული ქვეყნების სამოგზაურო ბიუროების წარმოგზავნილთათვის ჩვენს ქვეყანაში, სხვადასხვა ტურისტულ ჯგუფებისთვის, დაგეგმილია 47 მარშრუტი. ეს მარშრუტები სხვადასხვა ხასიათისაა და მიზნად ისახავს ჩვენი სამშობლოს ღირსშესანიშნავი რაიონების დათვალიერებას. ამ მარშრუტებში არ შედის შავი ზღვის სანაპირო რაიონებში პლაჟებზე დასვენება.

1974 წელს 12 ათასი ადგილით გაიზარდა ტურისტული მეურნეობა პროფკავშირების ხაზით. ეს გაზრდა გამოიწვია ზაფხულში დასასვენებლად კარვების ფართოდ გამოყენებამ. ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს ბიურომ მიიღო დადგენილება ზაფხულობით ფართოდ იქნეს გამოყენებული მოქმედი ტურისტული ბაზების,

კემპინგებისა და თავშესაფრების ტერიტორიებზე სტაციონალური კარვები — ტურისტების მისაღებად. ამავე დროს, თვითმოქმედ ტურისტებსაც გამოეყოფა კარვების დასადგმელი ადგილი და გაეწევა სათანადო მომსახურება.

ტურისტული ბაზების, კემპინგების, სასტუმროებისა და სხვა ტურისტული ობიექტების მშენებლობაზე ამ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში გახარჯულია 55 მილიონი მანეთი. ვითარდება ტურიზმის მატერიალური ბაზა და ფართოვდება სამოგზაურო მარშრუტები.

სხვა მრავალ ტურისტულ მოგზაურობათა და ღონისძიებათა შორის ჩატარდა სამთო ტურისტების პირველი საკავშირო შეკრება. ამ შეკრება-შეჯიბრებაზე თავი მოიყარა 500-მდე სამთო მოგზაურობათა მოყვარულმა. შეკრებაზე სტუმრად იმყოფებოდნენ მოძმე სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებიც — ბულგარეთიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, უნგრეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან. ასევე მოწვეული იყვნენ სამამულო ომის ვეტერანები, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები. შეკრება-შეჯიბრების პროგრამა მრავალ ღონისძიებას ითვალისწინებდა. დაგეგმილი იყო შეჯიბრი სამთო-ტურისტულ ტექნიკაში. შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა და პირველი ადგილი მოიპოვა ლენინგრადის ტურიზმისა და ექსკურსიების საოლქო საბჭოს ნაკრებმა გუნდმა. მთელ რიგ რესპუბლიკებისა და საოლქო ქალაქების პედაგოგიურ ინსტიტუტებში გახსნილია ტურიზმის ფაკულტეტები, სადაც ამზადებენ კადრებს ტურიზმის შემდგომი განვითარებისთვის, ხოლო პროფკავშირების საკავშირო უმაღლესი სკოლა ყოველწლიურად უშვებს ტურიზმის ყველა სახის ინდუსტრიის განვითარებისთვის ახალ-ახალ კადრებს.

ტურიზმის გეოგრაფიის განვითარების მიზნით, მთელი რიგი კონკურსები ტარდება ახალი მარშრუტების შემუშავებაზე და მათ შესწავლაზე: ტურიზმის ტექნიკაში, ახალი სახის საჭურველ-კაზმულობაზე, მოყვარულთა მიერ გადაღებულ ფილმებზე, ლაშქრობა-მოგზაურობების შთაბეჭდილებებზე, ფოტო-მასალებზე და მხატვრულ სურათებზე.

ტურიზმისა და ექსკურსიების საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებულია და შემოღებულია ახალი სამკერდე ნიშანი „ტურიზმისა და ექსკურსიების განვითარებაში დამსახურებისათვის“, ამ ნიშნებით ჯილდოვდებიან ტურიზმში აქტიურად მომუშავე პირები და საზოგადოებრივი აქტივი.

ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, ყოველწლიურად იხილავს სოციალისტური შეჯიბრებების შედეგებს და აჯამებს, ტურისტული და საექსკურსიო ორგანიზა-

ციებისა და დაწესებულებათა მიერ ჩატარებულ მუშაობას. რის შედეგადაც მთელი რიგი საქალაქო, საოლქო სამხარეო და რესპუბლიკური ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოები, ტურისტული ბაზები, მოგზაურობისა და ექსკურსიების ბიუროები და მათი კოლექტივები, კარგი მუშაობისათვის ჯილდოვდებიან საკავშირო პროფესიონალური კავშირების გარდამავალი წითელი დროშით, I, II და III ხარისხის დიპლომებითა და ფულადი პრემიებით.

1974 წელს გამოიცა ახალი სახელმძღვანელო — ტურისტული ლიტერატურა; ბროშურები, ბუკლეტები, გზამკვლევები და სხვადასხვა მასალები მოგზაურობათა მოწყობა-ჩატარების თაობაზე.

ასევე დაიწერა მრავალი სიმღერა და მუსიკალური ნაწარმოებები ტურისტულ თემებზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამმართველომ გამოსცა ტურისტული რუკები, სქემები და სხვა მასალები უკრაინის, ლატვიისა და მოლდავეთის რესპუბლიკისათვის, ლენინგრადის ოლქის, იმიერკარპატების და შავი ზღვის სანაპირო ზოლისათვის. დამტკიცებულია ტურისტული ბაზებისა და საექსკურსიო ბიუროებისათვის ახალი ტიპური შტატები 2 წლის ვადით. საშტატო ერთეულის რაოდენობა განისაზღვრება გამომდინარე ბაზაზე მისაღები ტურისტების რაოდენობიდან. ხოლო საექსკურსიო ბიუროებში კი მოსახლეობისათვის საექსკურსიო მომსახურების გეგმის მიხედვით.

დღითი-დღე ვითარდება სატრანსპორტო ტურისტული მოგზაურობები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში და ქალაქებში საჰაერო, საავტომობილო, საზღვაო და სარკინიგზო მაგისტრალებზე.

„ინტურისტის" საკავშირო საზოგადოების მონაცემებით 1974 წელს საბჭოთა კავშირში ჩამოსულა 153 სხვადასხვა ქვეყნის 3,4 მილიონი უცხოელი ტურისტი.

„ინტურისტის" ხაზით დაგეგმილია 1976 წელს კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობა ტურისტულ მოგზაურობათა გაზრდის ხარჯზე.

1975 წელს 335 საკავშირო მნიშვნელობის ცენტრალური მარშრუტი მოქმედებდა ოპერატიული ტურიზმის ხაზით, ამათგან 63 სრულიად ახალია, რომელთა მიხედვით ტარდება მოგზაურობები საბჭოთა კავშირის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ბალტიისპირეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, კავკასიასა და შუა აზიაში.

განსაზღვრულია საკავშირო მნიშვნელობის ცენტრალურ მარშრუტებზე იმოგზაუროს 800 ათასზე მეტმა ტურისტმა, ანუ თითქმის 100 ათასი კაცით მეტმა, ვიდრე 1974 წელს.

1976 წელს განსაზღვრულია პროფკავშირების ხაზით ტურისტული საგზურებით დაისვენოს ჩვენი ქვეყნის 8 მილიონ 400 ათასმა კაცმა.

ამჟამად საერთაშორისო ტურიზმში ჩართული არის 100-ზე მეტი ქვეყანა. სოციოლოგების ცნობებით 1976 წელს საერთაშორისო ტურისტულ მიმოსვლაში მონაწილეობას მიიღებს 250 მილიონი ადამიანი.

დიდი ლტოლვაა უცხოელი ტურისტებისა — ჩვენს ქვეყანაში და სოციალისტურ ქვეყნებში. დღეისათვის საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად ჩამოდის 3 მილიონი უცხოელი, ამდენივე საბჭოთა ადამიანი გადის საზღვარგარეთ. დღითი-დღე იზრდება ტურიზმის თვალსაწიერი და მისი ინდუსტრია ჩვენს ქვეყანაში.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლის საიუბილეო თარიღს მრავალი მასობრივი და ჯგუფური ტურისტული ლაშქრობები და სხვადასხვა სირთულის მოგზაურობები მიეძღვნა სსრ კავშირის მასშტაბით — რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და რაიონების მოგზაურობათა მოყვარულების მიერ — ტურიზმის ყველა სახეობაში.

ქ. ვოლგოგრადში ჩატარდა „მამათა რევოლუციური, საბრძოლო და შრომის დიდების გზებით", ლაშქრობებში გამარჯვებულთა მე-7-ე საკავშირო ახალგაზრდობის შეკრება, სადაც 1200 კაცზე მეტმა მიიღო მონაწილეობა.

* * *

ქართველ ხალხს ძალზე საინტერესო და მდიდარი სპორტული წარსული აქვს. ამის დამადასტურებელია მატერიალური კულტურის ძეგლები, ძველი ისტორიული წერილობითი წყაროები, შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი", მომდევნო საუკუნეების ლიტერატურული ნაწარმოებები, არჩილ მეორის „საქართველოს ზნეობანი" და სხვა მრავალი ნაწარმოებები, რომლებიც ადასტურებენ ფიზიკური აღზრდისა და ვარჯიშობათა გარკვეულ სისტემას.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მეფის მთავრობა არ აქცევდა არავითარ ყურადღებას ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას, იგი სასტიკად სდევნიდა ხალხთა მასობრივ სანახაობებსა და თამაშობებს. მართლაც, იმ ხანად, ტურისტულ მოღვაწეობასაც არავითარი ყურადღება არ ექცეოდა საქართველოში. მე-19 საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი სერგი მესხი, სოფრომ მგალობლიშვილი, იპოლიტე ვართაგავა და სხვები — „დროების", „ივერიის" „განათლების" და სხვა პერიოდულ ორგანოში აშუქებდნენ ტურიზმის საკითხებს და გულისტკივილით აღნიშნავდნენ, რომ ტურისტული მოძრაობა ნაკლებადაა დანერგილი მოსწავლეთა ყოფაში, ახალგაზრ-

დობაში, რომ სკოლა ნაკლებ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდობის აღზრდას, სამშობლოს გაცნობის ამ საუკეთესო საშუალებას.

მართლაც, იმ პერიოდში საქართველოს ქალაქებსა და დაბა-სოფლების სკოლებში ენთუზიასტები ძალზე მცირე იყვნენ, რომლებიც მოსწავლე ახალგაზრდობასთან სხვადასხვა სახის სეირნობებს, ექსკურსიებსა და ერთდღიან ლაშქრობა-მოგზაურობებს ატარებდნენ. ვერც მენშევიკების ბატონობამ შეუწყო ხელი სპორტის მასობრივ სახეობების განვითარებას ჩვენში.

იმ ხანად თბილისში არსებული სპორტული ორგანიზაცია „შევარდენი" და მისი ფილიალები ქუთაისში, ბათუმში, ფოთსა და სხვაგან — მცირერიცხოვანი იყო, ძირითადად ტანმოვარჯიშეებისაგან შედგებოდა, სადაც ჯომარდ-თამაშობებს ექცეოდა ყურადღება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ, 1921 წლიდან მიექცა ჯეროვანი ყურადღება სპორტის მასობრივ განვითარებას. 1921 წ. შემოდგომაზე გ. ნიკოლაძის საერთო ხელმძღვანელობით ეწყობა მასობრივი ორდღიანი წრიული ლაშქრობა მარშრუტით: თბილისი-კოჯორი-კიკეთი-წყნეთი-თბილისი, 145 კაცის მონაწილეობით, სადაც ცალკეულ ჯგუფებს ხელმძღვანელობდნენ გ. ეგნატაშვილი, დ. გელაძე, თ. ნიკოლაძე, და სხვები.

იმავე წელს, დასახელებულ პირთა ხელმძღვანელობით, 85 კაცის მონაწილეობით მოეწყო ერთდღიანი ლაშქრობა მარშრუტით: თბილისი-კოჯორი-კოჯრისციხე-კაბენის მონასტერი-თბილისი.

მომდევნო 1922 წელს გ. ნიკოლაძისა და დასახელებულ პირთა ხელმძღვანელობით ეწყობა ორდღიანი მასობრივი გასვლები სხვადასხვა მიმართულებით. ასევე მოეწყო მრავალდღიანი ლაშქრობა მარშრუტით: თბილისი-კოჯორი-ორბეთი-ჩხიკვთა-თეთრი წყარო-ბოლნისი-ჩათახი-წინწყარო-ასურეთი-ტაბახმელა-თბილისი სადაც 21 კაცი იღებდა მონაწილეობას. მათ შორის იყვნენ ა. შანიძე, ვ. თოფურია, მ. პოლიეევტოვი და სხვები. აღნიშნულმა ლაშქრობებმა თავის მხრივ ხელი შეუწყო ახალგაზრდობის მასობრივ ჩაბმას სპორტის სახეებში. იმ ხანად თბილისის და სხვა ქალაქების რიგ სკოლებში გეოგრაფიის, ისტორიის, ბუნებისმეტყველებისა და ფიზკულტურის მასწავლებლები მოსწავლეებთან ატარებდნენ სხვადასხვა ხასიათის ექსკურსიებსა და ქალაქგარეთ გასვლებს, მაგრამ აღნიშნული ღონისძიებები ძალზე მცირე იყო და ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა.

1923 წელს საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდა ფიზკულტურული მოძრაობის პირველი ხელმძღვანელი ორგანო ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო, ხოლო მომდევნო 1924 წელს საქართველოს ყველა სამაზრო ცენტრებში, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და სამხრეთ ოსეთის ავტონო-

მიურ ოლქში შეიქმნა ფიზკულტურის შესაბამისი საბჭოები, რომლებმაც თავის მხრივ გაშალეს მუშაობა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის ჩვენს რესპუბლიკაში.

ცნობილია, რომ საბჭოთა მთამსვლელობას საფუძველი ჩაეყარა 1923 წელს. მისი სულისჩამდგმელი იყო ცნობილი მეცნიერი და სპორტსმენი გ. ნიკოლაძე. მყინვარწვერის დაპყრობას წინ უსწრებდა ყოველმხრივი მომზადება, რისთვისაც ფართოდ გამოიყენებოდა ტურისტული ლაშქრობები. 1921 წლიდან მოყოლებული გ. ნიკოლაძის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით სისტემატური ხასიათი ჰქონდა ტურისტულ გასვლებს ქალაქგარეთ და მართლაც, ყოველ შაბათ-კვირას ტარდებოდა ხალხმრავალი ერთ-ორი და რამდენიმე დღიანი ლაშქრობები სხვადასხვა მიმართულებით. ასეთ შეკრება-გასვლებს „გაფრენს“ უწოდებდნენ. ახალგაზრდა თაობის გონებრივ და ფიზიკურ აღზრდას სათანადო ყურადღება მიექცა, რისთვისაც, ამ მიმართულებით გაიშალა მუშაობა.

1924 წლის ჟურნალ „ბავშვთა გონებრივი განვითარება და ფიზიკური აღზრდა“-ს № 2-ის ფურცლებზე ვკითხულობთ ვინმე „ერგმორის მოწოდებას“ — „ბავშვთა ფიზიკური გაჯანსაღება უმთავრესად სუფთა ჰაერით, მზით და თავისუფალი მოძრაობა-თამაშობებითაა შესაძლებელი, ამისათვის კი საჭიროა ქალაქგარეთ გასეირნება ანუ ექსკურსიების მოწყობა“.

1924 წლიდან სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და პოლიტექნიკური ინსტიტუტი) შემოღებულ იქნა ფიზიკური აღზრდის სავალდებულო სწავლება, რამაც დიდი ბიძგი მისცა ახალგაზრდობაში სპორტის, და მათ შორის, ტურიზმის განვითარებას.

უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში გაიშალა ტურისტული მუშაობა, რის საფუძველზე მრავალი სხვადასხვა ლაშქრობები ჩატარდა ქ. თბილისში და ასევე რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

საქართველოს სინამდვილეში გასაბჭოების შემდეგ მიეცა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ტურიზმის მასობრივ განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში. 1924 წელს დაარსდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, მასთანვე შეიქმნა მთასვლა-მგზავროსნობის განყოფილება, რომელმაც გარკვეული მუშაობა ჩაატარა სამთო-ტურიზმის განვითარებისთვის ჩვენს რესპუბლიკაში.

ამ განყოფილების ინიციატივით, ამავე წელს, პროფესორ გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მოეწყო მასობრივი 30-დღიანი, საწვრთნელი სამთო-ტურისტული ლაშქრობა 19 კაცის მონაწილეობით, ჭიათუ-

რიდან—მდ. ყვირილას ხეობით — ერწოს ტბა-ქეშელთა-ზეკარი-ზაროშაგი-წეა-ქალაქა-მამისონის გადასასვლელი-შოვი-ონი-ამბროლაური-ნაქერალა-ტყიბული-გელათი-ქუთაისი. ეს იყო სამზადისი რთული ღონისძიებების ჩატარებისა და აქტივის შემოკრებისთვის.

საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში ჩამოყალიბდა ფიზკულტურული ორგანიზაცია „სპარტაკი", რომელიც ხელს უწყობდა და ხელმძღვანელობდა ფიზიკური კულტურის მასობრივ განვითარებას. „სპარტაკი"-ს ორგანიზაციამ მთელი რიგი მასობრივი ტურისტული ლაშქრობები და ექსკურსიები ჩაატარა ადგილებზე და ხელი შეუწყო მოზარდ ახალგაზრდობას მშობლიური მხარის შესწავლაში.

საქართველოში ტურიზმისა და მთამსვლელობის შემდგომი განვითარებისა და მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით, მომდევნო წლებში შეიქმნა პროლეტარული ტურიზმის საზოგადოება („ოპტ"), რომელიც თავის მხრივ საკავშირო პროლეტარული ტურიზმის საზოგადოების ფილიალს წარმოადგენდა. ამ საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა სამთო სექცია, რომელსაც ცნობილი მეცნიერი და მთამსვლელი გ. ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა, ხოლო გეოგრაფიულ საზოგადოებასთან დაარსდა ტურიზმის სექცია. ამ დროიდან იწყება ერთობლივი და შეთანხმებული მუშაობა ორივე განყოფილებისა, სადაც გაერთიანებულნი და თავშეყრილნი იყვნენ მთამსვლელობისა და ტურიზმის საქმის მოყვარულნი და ენთუზიასტები. იმ ხანად, ტურიზმისა და მთამსკლელობის შემდგომი განვითარების მიზნით, იგეგმება მთელი რიგი ღონისძიებებისა.

1927 წელს დაარსდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ფიზიკური კულტურის საბჭოს ბეჭდვითი ორგანო „საბჭოთა ფიზკულტურელი", რომელიც თავის ფურცლებზე აქვეყნებდა და ხელს უწყობდა რესპუბლიკაში სპორტის სახეების განვითარებას. ამავე წლის ჟურნალის პირველ ნომერში ვკითხულობთ: „ფიზკულტურის საბჭოს საზოგადო მუშაობაში ხალხურ-აღმზრდელობითი მიზნების მისაღწევად მიგვაჩნია ორი მეტად მნიშვნელოვანი დარგი: ერთია ექსკურსიები, ქალაქგარეთ გასვლა-გასეირნება სხვადასხვა საშუალებით. მეორე — ხალხური გართობა-თამაშობისა და ჯომარდობის დარგების ორგანიზაცია" და სხვა.

მომდევნო წლის „საბჭოთა ფიზკულტურელში" გ. გიორგიძის წერილში „ტურიზმი ფიზკულტურაში" ვკითხულობთ: „ფიზკულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად, მით უმეტეს ჩვენს პირობებში, ტურიზმი უნდა ჩავთვალოთ".

ამავე წერილით ვლინდება, რომ საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი ყოფილა ტურისტული ბიურო და იგი ხელმძღვანელობდა ტურიზმის განვითარებას.

1929 წელს გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მოეწყო 20-დღიანი მასობრივი ლაშქრობა მარშრუტით ქუთაისი-ორბელი-ლაჯანურის ხეობა-ქვემო სვანეთი-მუაში-ლატფარის გადასასვლელი-უშგული-კალა-მესტია-ხაიში-ჯვარი-ზუგდიდი, სადაც 25 კაცი მონაწილეობდა. ამ ლაშქრობით ჩატარდა სათანადო წვრთნა და ამავე დროს დაზვერილ იქნა თეთნულდის კალთები მომავალში მისი დალაშქვრისათვის.

1930 წელს საქართველოში ყოფილ პროლეტარული ტურიზმის საზოგადოების ბაზაზე დაარსდა პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოება („ოპტე"), რომელმაც ხელი შეუწყო ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში. ამავე საზოგადოების ფილიალები და სექციები იხსნება აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, დიდ სამრეწველო ქალაქებში და წარმოება-დაწესებულებებში, ჩატარდა ტურისტული ლაშქრობები ნავებით: ბათუში-სოხუმი, ბათუმი-ფოთი-ბათუმი. ასევე ქვეითი ლაშქრობა ფშავ-ხევსურეთში — თბილისის მაუდის ფაბრიკის მუშების მიერ და სხვა.

1931 წელს შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაციის პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოება, მასვე ჰქონდა თავისი ბეჭდვითი ორგანო, ჟურნალ „ამიერკავკასიის ტურისტი", რომელიც ქ. თბილისში გამოდიოდა. ეს ჟურნალი თავის ფურცლებზე აქვეყნებდა მთელ რიგ მასალებსა და კრიტიკულ წერილებს და აქტიური პროპაგანდისტი იყო ტურიზმის შემდგომი წარმართვა-განვითარებისა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებში.

ამ დროიდან ტურიზმს იყენებენ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების სამსახურში, ხუთწლედის მშენებლობაში და ვადამდე მის შესრულებაში და ა. შ. ამასთან დაკავშირებით „ამიერკავკასიის ტურისტის" ფურცლებზე ვკითხულობთ მის მოწინავესა და წამოყენებულ ლოზუნგს: „ყოველი ტურისტი—დამკვრელი, ყოველი ტურისტი — სოციალისტური მშენებლობისა და ხუთწლიანი გეგმის 4 წელიწადში შესრულებისთვის მებრძოლი" და შემდეგ „საბჭოთა ქვეყნის ტურიზმი უნდა ემსახურებოდეს სოციალიზმის საქმეს, ხუთწლედის საქმეს. ტურიზმი წარმოადგენს მძლავრ ბერკეტს კულტურულ გარდაქმნებისათვის" და ა. შ. და მართლაც ამიერკავკასიის „ოპტე", თავის მხრივ, ხელს უწყობს სახელმწიფოს ყველა სამეურნეო-პოლიტიკურ კომპანიის ცხოვრებაში გატარებას. იგი თავისი ძირეული სექციებით უზრუნველყოფს ამა თუ იმ სამუშაოს და ეხმარება პარტიის გენერალური ხაზის გატარებას.

სამხედრო ნაწილებში ტურისტულ ღონისძიებათა ჩასატარებლად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში და მის დანაყოფებში არსდება ტურისტული საბჭო (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროლეტარული

ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭო) და მისი ბეჭდვითი ორგანო „სამხედრო ტურისტი“.

1930 წლის აპრილის თვეში ქ. თბილისში ტარდება ამიერკავკასიის წითელდროშოვანი არმიის 1-ლი სამხედრო ტურისტული ყრილობა. იგი პოლიტმუშაკებისა და ტურისტული საბჭოს ინიციატივით მოეწყო, სადაც 100 კაცი მონაწილეობდა. ყრილობამ დაისახა ამოცანა ამიერკავკასიის წითელდროშოვან არმიაში სამხედრო ტურიზმის განვითარების თაობაზე. ამავე დროს გადაწყდა მეთაურთა კვალიფიკაციის ამაღლება და მთელი რიგი სამთო-ტურისტულ ღონისძიებათა ჩატარება. მომდევნო 1931 წელს ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოს ხელმძღვანელობით 62 სხვადასხვა ღონისძიება-ლაშქრობა ტარდება და თავის მხრივ ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას სამხედრო ნაწილებში.

1932 წლის დასაწყისში ჩატარდა ამიერკავკასიის პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოების პლენუმი, სადაც განხილული და მიღებული იქნა ტურიზმის შემდგომი განვითარების ამოცანები და ვალდებულებანი.

აღნიშნულმა პლენუმმა თავისი მუშაობის შემდგომი გეგმების შესახებ ვრცელი პატაკი გაუგზავნა პროლეტარული ტურიზმის და ექსკურსიების საზოგადოების I-ლ საკავშირო ყრილობას მოსკოვში.

საქართველოს სინამდვილეში, პირველად, 1930 წელს ფასანაურში გაიხსნა ტურისტული ბაზა, ხოლო გ. ნიკოლაძისა და გ. გიორგიძის ინიციატივით 1931 წელს, დეკემბრის თვეში ბაკურიანში იხსნება საქართველოს პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოების სამთო-სათხილამურო სადგური, სადაც ინსტრუქტორად მუშაობდა იაროშევი. ეს სადგური 1932 წელს გადაკეთდა სამთო-სათხილამურო ბაზად. ამ ბაზაში ინსტრუქტორებად დაინიშნენ შ. მაყაშვილი და იაროშევი, რომლებმაც თავის მხრივ ხელი შეუწყვეს და ბიძგი მისცეს სამთო-სათხილამურო ტურიზმის შემდგომ განვითარებას რესპუბლიკაში.

იმავე წლის ზამთარში, გ. გიორგიძის ხელმძღვანელობით 10 კაცისაგან შემდგარი სათხილამურო რაზმი ლაშქრავს მთიულეთს, ხევსა და სამხრეთ ოსეთს, რაც იმ დროს დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, მეორე ჯგუფი ს. გვალიას ხელმძღვანელობით, ლაშქრავს ცხრა-წყაროს, ხოლო დ. გელაძისა და ს. სესიაშვილის ხელმძღვანელობით (12 კაცის რაოდენობით), ლაშქრავენ მთიულეთსა და ხევს შემდეგი მარშრუტით: დუშეთი-ფასანაური-გუდამაყრის ხეობა-ბურსაჭირის გადასასვლელი-კარკუჩა-სნო-ყაზბეგი. მოეწყო ნავით ლაშქრობა რიონზე დინების საწინააღმდეგოდ (ფოთი-ქუთაისი), 11 კაცის მონაწილეობით.

მომდევნო 1933 წელს კიდევ უფრო ხალხმრავალი ჯგუფებით აღინიშნა სამთო-ტურისტული ლაშქრობები, ხოლო ზამთრის სეზონში ცალკეული ჯგუფებით მოეწყო რამდენიმე სამთო-სათხილამურო გადასვლა. გ. გიორგიძის ხელმძღვანელობით მოეწყო ლაშქრობა მარშრუტით: დუშეთი-ბარისახო-ხახაბო-მათურა-შატილი-შატოი-გროზნო. დ. წერეთელი ლაშქრავს ბაკურიანიდან ჯავახეთის ზეგანს. ჯგუფი, გ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით, გადადის ჯვრის უღელტეხილზე და მყინვარწვერის კალთებისა და მაილის გადასასვლელზე გადავლით ჩადის სოფ. ყაზბეგში. შ. მაყაშვილის ჯგუფი კი დიდი ლიახვის ხეობიდან ჯნუღოს გადასასვლელით გადადის პატარა ლიახვის ხეობაში. ამ ლაშქრობებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს სამთო-ტურისტული მუშაობის მაღალი დონე და ხელი შეუწყვეს ტურიზმისა და სათხილამურო სპორტის განვითარებას საქართველოში. ამავე დროს, ამ ლაშქრობებმა, რომლებიც შეთანხმებული იყო საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიურ სამსახურთან, დიდი წვლილი შეიტანეს თოვლის საბურველის ხასიათის შესწავლაში.

დღითიდღე ვითარდებოდა მოსწავლეთა ტურიზმიც. თბილისის სხვადასხვა საშუალო სკოლის მოსწავლეები ფიზკულტურის მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ატარებდნენ სხვადასხვა მიმართულებით ერთდღიან ტურისტულ ლაშქრობებს.

აღსანიშნავია მოღვაწეობა საქართველოს პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოებისა, სადაც შეკრებილნი იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი ტურისტები და მთამსვლელები, რომლებიც ერთობლივი ძალითა და მისწრაფებით ახორციელებდნენ მთელ რიგ ტურისტულ ლაშქრობებსა და ალპინისტურ ასვლებს საქართველოსა და კავკასიის მთიან რაიონებში. ამით დასაბამი ეძლევა მზარდ აღმავლობას ტურიზმში. ბაქსანის ხეობაში მუშაობას იწყებს „ოპტეს“ მოსამზადებელი კურსები-სემინარი—ტურიზმსა და ალპინიზმში, სადაც ჩვენი რესპუბლიკის 4 წარგზავნილიც იღებს მონაწილეობას. კურსების დამთავრების შემდეგ, მათ, სამთო ლაშქრობაში მიიღეს მონაწილეობა და ჯანთუღანის უღელტეხილით გადმოვიდნენ ზემო სვანეთში.

საქართველოს პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოებაც გეგმავს და ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს ტურიზმში. მუშაობა გაიშალა ძირეულ სექციებსა და უჯრედებში. გამოცოცხლება დაეტყო ბავშვთა შორის მუშაობას, რისთვისაც ქალაქისა და რაიონების მთელ რიგ სკოლებში მრავალი ტურისტული ლაშქრობა-ექსკურსიები ჩატარდა.

1934 წელს თებერვლის თვეში ჩატარდა სათხილამურო ლაშქრობა აჭარის მთიანეთისა და კურორტ ბახმაროს თოვლიანი მხარეების

შესწავლის მიზნით. ლაშქრობას ხელმძღვანელობდა გიორგი ბაქრაძე, სადაც მონაწილეობდა 6 კაცი; მათ შორის 1 ქალი.

რესპუბლიკის გამოჩენილი ტურისტებისა და მთამსვლელების მიერ დამუშავებული და აღწერილი იქნა მთელი რიგი ქვეითი, სამთო, სათხილამურო და საწყლო მარშრუტები. ამრიგად დღითიდღე მატულობს და ხალხმრავალი ხდება ტურისტული მოგზაურობები, რის საფუძველზეც ლაშქრობის მონაწილენი ეუფლებიან დაბრკოლებათა დაძლევის ტექნიკას და იძენენ სათანადო გამოცდილებას.

ჩვენი რესპუბლიკის ტურისტი-მოგზაურებიც ეხმარებიან სახელმწიფოს სახალხო მეურნეობის განვითარებაში და თავიანთი წვლილი შეაქვთ მიწის წიაღის სიმდიდრეთა აღმოჩენებითა და ისტორიულ-არქეოლოგიური დაკვირვებებით.

1934-35 წლებში საქართველოში „ოპტე"-ს ხაზით დამუშავებული იქნა ოპერატიული ტურისტული მარშრუტები. მათი მომსახურებისათვის მთელ რიგ ქალაქებსა და ადგილებზე გაიხსნა ტურისტული ბაზები და ბანაკები (ქ. სოხუმში, გაგრაში, მესტიაში, ბეჩოში, თავრარში), ასევე თავშესაფარები (სამხრეთ დონღუზ-ორუნი, ბეჩო, ტვიბერი, წანერი და სხვა). მათივე დახმარებით მიმდინარეობდა თვითმოქმედი ტურისტული ჯგუფების მომსახურეობაც.

იმ პერიოდში ჩატარდა მთელი რიგი საბაიდარო ლაშქრობები მდ. მტკვარზე მარშრუტით: ქ. გორი-მცხეთა-თბილისი-რუსთავი. თბილისი-ევლახი, მდ. ალაზანზე და მტკვარზე: ჭიაური-ევლახი. მდ. იორზე: სად. იორიდან ელდარამდე და სხვ., რითაც საწყლო ტურიზმის დანერგვასა და მის შემდგომ განვითარებასაც მიექცა ყურადღება.

ბავშვთა შორის მუშაობის ხაზით საქართველოს „ოპტე"-მ განათლების სახალხო კომისარიატისა და კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად, რამდენიმე ლაშქრობა ჩაატარა 102 მოსწავლის მონაწილეობით და დამატებით მოამზადა ბავშვთა ტურიზმის 47 ინსტრუქტორი.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სხვადასხვა ტურისტული ღონისძიებები ტარდება და მზადდება სათანადო კადრები.

ქუთაისის ტურისტულმა სექციამ 1935 წელს სხვადასხვა ლაშქრობებთან ერთად გ. ნინუას ხელმძღვანელობით საბაიდარო ტურისტული ლაშქრობაც ჩაატარა მდინარე ცხენისწყალსა და რიონზე. ხოლო ქ. თბილისის სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის ჯგუფმა 8 კაცის შემადგენლობით (ხელმძღვანელი დიმიტრი მიქაბერიძე), წითელი არმიის რიგებში წვევანდელთა გაწვევასთან დაკავშირებით, საბაიდარო ლაშქრობა ჩაატარა მდ. მტკვარზე, მარშრუტით — ბორჯომი-თბილისი, რომელსაც 6 დღე მოანდომა.

1936 წელს საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით გაუქმდა პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საკავშირო საზოგადოება და ტურიზმის ხელმძღვანელობა დაევალა ფიზიკური კულტურის საკავშირო საბჭოს. ხოლო პროფკავშირების ხაზით ტურიზმზე და ალპინიზმზე ხელმძღვანელობა დაევალა საკავშირო პროფესიონალური კავშირის ცენტრალურ საბჭოს („სპკცს").

პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოში შეიქმნა ტურიზმის საექსკურსიო სამმართველო („ტეუ"). ასეთივე საექსკურსიო სამმართველო („კავკასიის საექსკურსიო სამმართველო") შეიქმნა საქართველოშიც, ხოლო ტურიზმის უშუალო ხელმძღვანელობა დაევალა ფ. კ. რესპუბლიკურ საბჭოს (რომელიც 1936 წელს გადაკეთდა საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტად).

ამრიგად, პროფკავშირების ხაზით ტურიზმის განვითარებას ძირითადად ექსკურსიების ხაზით ხელმძღვანელობს ახლად შექმნილი ტურიზმის საექსკურსიო სამმართველო, ხოლო თვითმოქმედი ტურიზმის მასობრივ განვითარებას რესპუბლიკის მასშტაბით ფიზიკური კულტურის რესპუბლიკური საბჭო.

„ოპტე"-ს გაუქმებამ თავის მხრივ ხელი შეუწყო ახალი ორგანიზაციული ფორმების დასახვას ტურიზმში. გაიშალა თვითმოქმედი ტურისტული მუშაობა, მეტი ენთუზიაზმით ტარდება ხალხმრავალი მოგზაურებები და ლაშქრობები საქართველოს სხვადასხვა მხარეში.

ჩვენი გამოცდილი ტურისტები და მთამსვლელები ახალი მარშრუტებით ატარებენ სხვადასხვა ხასიათისა და სირთულის ლაშქრობებს ქვეითად, თხილამურებით და ბაიდარებით, რითაც ითვისებენ ახალ საპოქმედო რაიონებს.

მომდევნო წლებში თხილამურებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა მთამსვლელთა და ტურისტთა შორის, ისინი ზამთრის განმავლობაში სხვადასხვა ხასიათისა და სირთულის სათხილამურო ლაშქრობებს აწყობენ, ხვეწენ მოძრაობის ტექნიკას, რთული და სახიფათო უბნების დაძლევას და ა. შ., რის საფუძველზეც ეწევიან სრულწლიურ წვრთნასა და მომზადებას და ერთობლივი ცოდნითა და გამოცდილებით ხელმძღვანელობენ მთელ რიგ სათხილამურო ტურისტულ ღონისძიებებს.

იმხანად ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი მთამსვლელები, ტურისტები და მოთხილამურეები მთელ რიგ სათხილამურო ლაშქრობებს ატარებენ სხვადასხვა რაიონებში და ამასთან ერთად თხილამურებითაც ადიან რიგ მწვერვალებზე, მათ შორის მყინვარწვერზე, უილპატაზე, ბუბაზე, თბილისაზე, ალაგიოზზე და სხვა.

ამასთან ერთად, ტარდება სათხილამურო ტურისტული ლაშქრობები საქართველოსა და მის მომიჯნავე მოძმე რესპუბლიკების ტერიტორიებზე გავლით. ასეთი ლაშქრობები მოეწყო მარშრუტით: ბაკურიანი-ლენინაკანი (ხელმძღვანელი ს. გვალია), ბაკურიანი-თბილისი (ხელმძღვანელი ს. გვალია), ასევე ბაკურიანი-თბილისი (ხელმძ. გ. ბასილაძე და გ. გელაშვილი), მთათუშეთის მთიანეთში (ხელმძ. გ. ბაქრაძე) და მესტია-ბაკურიანი (ხელმძ. გ. ხერგიანი), რომელიც ტრადიციული გახდა და მომდევნო წლებში ყოველ ზამთარს ტარდებოდა.

1938 წელს რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის დადგენილებით, საქართველოში პირველად ჩატარდა სათხილამურო საპატრულო რბოლა ბაკურიანი-ახალქალაქი-ბოგდანოვკა-ლენინაკანის მიმართულებით, რომელიც 156 კმ. მოიცავს, იგი 3 ეტაპად იყო დაყოფილი. დებულების თანახმად თითოეული გუნდის შემადგენლობაში 3 მოთხილამურე შედიოდა სათანადო აღჭურვილობით, რომლებიც ერთად იღებდნენ სტარტს და ურთიერთდახმარებით ფინიშზეც ერთდროულად უნდა მისულიყვნენ. შეჯიბრებაში 9 კოლექტივის გუნდი იღებდა მონაწილეობას, სადაც ყველაზე ნაკლები დრო მოანდომა და გამარჯვებული გამოვიდა საქართველოს სახ. ფ. კ. ინსტიტუტის გუნდი ა. ღუდუშაურის, ა. ბალაევიჩისა და კ. ასტახიშვილის შემადგენლობით.

1938 წელს, საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტში შეიქმნა ტურისტული სექცია, რომელსაც დაევალა დაქვემდებარებულ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რაიონების ფიზკულტურულ კომიტეტებში, ასევე ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში კულტივირებულ სპორტის სხვა სახეებთან ერთად ტურისტული სექციების შექმნა და მუშაობის წარმართვა-განვითარება.

იმავე 1938 წელს, სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის № 649 ბრძანების საფუძველზე — „ტურისტული მუშაობის გაშლის შესახებ ძირეულ ფიზკულტურულ ორგანიზაციებში და საბჭოთა მთავრობის 1936 წლის 17 აპრილის დადგენილების ცხოვრებაში გატარების შესახებ". — საქართველოში მთელი რიგი ქმედითი ღონისძიებები ჩატარდა და ამით ტურიზმი კიდევ უფრო მასობრივი გახდა. რიგ ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივებში ყალიბდება ტურისტული სექციები და ხალხმრავალი ჯგუფები მრავალ ექსკურსია-ლაშქრობებს აწყობენ, რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში.

იმ ხანად, საკავშირო მასშტაბით შემუშავებული და დამტკიცებული იქნა ტურიზმის ოთხ სახეობისათვის (სათხილამურო, ქვეითი, სანაოსნო და ველო) მარშრუტები და მოგზაურობათა სიძნელის განმსა-

ზღვრელი მაჩვენებლები, რომლებიც თავის მხრივ 1, 2, 3. და 4-ე სირთულის კატეგორიებად იქნენ დაყოფილი. აღნიშნულ ნორმების შესაბამისად 1939 წლისთვის შემუშავებული იქნა, გზის ხასიათისა და სირთულის მაჩვენებლების მიხედვით, სხვადასხვა ხასიათის ტურისტული მარშრუტები.

1939 წლის 17 მარტს სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულმა საკავშირო ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა დაამტკიცა „სსრკ ტურისტის" ნიშნის ნორმები და მოთხოვნები. ტურისტის ნიშნის შემოღებამ დიდი როლი ითამაშა საქართველოში ტურიზმის საერთო განვითარების საქმეში.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტის ნიშნის მისაღებად დამტკიცებული საპროგრამო ნორმები და მოთხოვნები რთული იყო და ტურისტისაგან მოითხოვდა, როგორც მაღალ თეორიულ, ისე პრაქტიკულ მომზადებას.

I. საერთო მოთხოვნები[1] (ყველასათვის, ვინც ნიშანზე აბარებდა), შემდეგ საკითხებს ითვალისწინებდა:

1. საბჭოთა ტურიზმის ამოცანები. 2. საერთო გეოგრაფიული ცნობები, 3. ტოპოგრაფიის ძირითადი ცნობები, 4. ელემენტარული ცოდნა — გეოლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის და მეტეოროლოგიისა, 5.ბანაკის მოწყობის ორგანიზაცია, 6. ტურიზმის ჰიგიენა და სანიტარია, 7. მოგზაურობის მოწყობის ორგანიზაცია.

II. სპეციალური ნორმები და მოთხოვნები[2]. საწყლო ტურიზმისათვის:

1. ნაოსნობის ელემენტების ცოდნა, 2. ძირითადი დაბრკოლებები მდინარეებზე, მათი დახასიათება და დაძლევის საშუალებები, 3. ნავჭურჭლის აგებულება, 4. საიალქნო საქმის ცოდნა, 5. ნიჩბოსნობა და მისი მოწყობილობა, 6. ნავ-ჭურჭლის მოწყობილობის ცოდნა, 7. საწყლო მოგზაურობის ორგანიზაცია და მისი რეჟიმი. 8. სამაშველო საქმის ცოდნა, 9. ცურვის ტექნიკის ცოდნა.

ქვეითი ტურიზმისათვის: 1. საჭურველ-კაზმულობა, 2. მოძრაობის ტექნიკა, 3. ლაშქრობის ჰიგიენა, 4. სამაშველო სამსახური, 5. მოგზაურობის ორგანიზაცია და მისი რეჟიმი.

ველო ტურიზმისათვის: 1. გზების კლასიფიკაცია, 2. ველოსიპედის მოწყობილობა, 3. ველოსიპედის მართვის ტექნიკა, 4. მოგზაურობის ორგანიზაცია და მისი რეჟიმი.

სათხილამურო ტურიზმისათვის: 1. აღჭურვილობა, 2. მოძრაობის

---

[1] აღნიშნულ მოთხოვნებში ჩამოთვლილი გვაქვს ძირითადი საკითხები, ქვესაკითხების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

[2] გაშუქებულია ძირითადი საკითხები.

ტექნიკა, 3. სამაშველო სამსახური, 4. მოგზაურობის ორგანიზაცია და მისი რეჟიმი.

ქვემოთ განვიხილოთ ტურიზმის ნიშნის დებულება და მისი მიღების წესები.

„სსრკ ტურისტი"-ს ნიშნის მისაღებად საჭირო იყო არანაკლები 17 წლის ასაკი; რომელიმე ძირეული ფიზკულტურის კოლექტივის ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების წევრობა; მონაწილეობა არანაკლებ ერთ მეორე კატეგორიის ან ორ პირველი კატეგორიის სირთულის ლაშქრობაში; პროგრამის მიხედვით გამოცდის ჩაბარება ტურიზმის ერთ რომელიმე სახეში.

ნიშნის მისაღები მოთხოვნების შესრულების შემდგომ, სურვილისამებრ, ესა თუ ის პირი განცხადებას ადგენდა ნორმების მიმღებ კომისიაში, რომლებიც შექმნილი იყო ადგილობრივ საქალაქო ფ. კ. კომიტეტებთან, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებთან და ტურიზმისა და ექსკურსიების სამმართველოებთან.

განცხადებას უნდა დართვოდა საბუთი ჩატარებული ლაშქრობის შესახებ. ასეთ საბუთად ითვლებოდა — ტურიზმისა და ექსკურსიების სამმართველოს მიერ გაცემული სამარშრუტო წიგნაკი, ოფიციალური ცნობა ადგილობრივი ფ. კ. კომიტეტის, ან ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებისა.

საწყლო ტურიზმში ნიშნის მიღებისთვის სხვა საბუთებთან ერთად დამატებით საჭირო იყო ცნობა — ცურვის ნორმების ჩაბარების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ტურისტი ვერ ჩააბარებდა ჩასათვლელ გამოცდას, მას განმეორებითი გამოცდის ნება 1 თვის შემდეგ ეძლეოდა; თუ მეორედაც მიიღებდა არადამაკმაყოფილებელ ნიშანს, მაშინ შემდგომი შემოწმება-ჩაბარების ნება 6 თვის შემდეგ ჰქონდა.

„სსრკ ტურისტი"-ს ნიშნის შემოღებამ და მისი მიღებისთვის მოთხოვნების დამტკიცებამ ფართო გზა გახსნა ტურიზმის პროპაგანდისთვის და მისი შემდგომი განვითარებისთვის საქართველოში.

სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის ტურისტულმა სექციამ დაადგინა და მოუწოდა ყველა დაქვემდებარებულ ორგანიზაციას — მუშაობის ფართო მასშტაბით გაშლისკენ ნიშნოსნების მომზადების საქმეში. ეს მოწოდება გულისხმობდა საბჭოთა კავშირის მასშტაბით 20 — 25 ათასი ტურისტის ნიშნოსნის მომზადებას 1939 წლის განმავლობაში.

ამ მხრივ რესპუბლიკის მასშტაბითაც წარიმართა მუშაობა, მთელ რიგ წარმოება-დაწესებულებებში შეიქმნა ახალი ტურისტული სექციები, დაიგეგმა და ჩატარდა სხვადასხვა გასვლები და ლაშქრობები ღირსშესანიშნავი ადგილების გაცნობა-დათვალიერების მიზნით.

რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში „სსრკ ტურისტი"-ს ნიშანზე მომზადებისთვის მოეწყო სხვადასხვა სირთულის ტურისტული ლაშქრობები ქვეითად, ნავებითა და ბაიდარებით, ველოსიპედებითა და თხილამურებით.

ზაფხულისთვის გაიხსნა მთელი რიგი ახალი ოპერატიული ტურისტული მარშრუტები, გამავალი აფხაზეთის, აჭარის, ზემო და ქვემო სვანეთის ტერიტორიებზე და საქართველოს სამხედრო გზაზე.

1939 წლისათვის ტურიზმისა და ალპინიზმის შემდგომი განვითარებისთვის საკავშირო პროფესიონალური კავშირების მიერ სოცდაზღვევის ხაზით გამოყოფილი იქნა 50 მილიონი მანეთი. დადგინდა რიგ ღირსშესანიშნავ აღგილებსა და ხეობებში ტურისტული ბაზებისა და თავშესაფრების მშენებლობა და ახალი ოპერატიული ტურისტული მარშრუტების გახსნა.

ამ წელს მარტო სოხუმის ტურისტულმა ბაზამ მომსახურება გაუწია 7.000 გეგმიანსა და 3.624 თვითმოქმედ ტურისტს.

1940 წელს აღმავლობით შეხვდნენ რესპუბლიკის ტურისტული ორგანიზაციები და სექციები. დაიგეგმა ახალი მარშრუტები და მოხდა მათი შესწავლა-დამუშავება, ჩატარდა სათხილამურო ლაშქრობები ბაკურიანი-თბილისი; ბაკურიანი-გორი; ბაკურიანი-ასპინძა-ახალციხე; ბაკურიანი-ახალქალაქი-ლენინაკანი; მესტია-ლენტეხი-ონი-ბაკურიანი; სტალინირი-ბაკურიანი და სხვა.

ამ წელს გამომცემლობა „ფიზკულტურა და სპორტმა" გამოსცა (ავტორთა ჯგუფის მიერ დამუშავებული) სახელმძღვანელო მასალა ტურიზმში, ე. წ. „ტურისტის თანამგზავრი" რუსულ ენაზე. სადაც გაშუქებული იყო მთელი რიგი აუცილებელი მასალა ტურიზმში მუშაობის წარმართვისთვის. აღნიშნულ „თანამგზავრში", ტურისტისთვის განკუთვნილ ფრიად საჭირო საკითხებთან ერთად, მოცემული იყო ტურიზმის სახეების მიხედვით რეკომენდებული მარშრუტები, რევოლუციის ბელადების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადგილებში და სამოქალაქო ომის კვალდაკვალ:

ვ. ი. ლენინის სამშობლოში მდ. ვოლგაზე ნავებით — ყაზანი-ულიანოვსკი-კუიბიშევი 20 დღის ხანგრძლივობით, ხოლო ველოსიპედით 15 დღით 500 კმ., მანძილზე, საექსკურსიო ადგილების დათვალიერებით.

ვ. ი. ლენინის გადასახლების ადგილებზე, მდ. ენისეიზე — აბაკანი-მინუსინსკი-შუშენსკოე-კრასნოიარსკი 15 დღით, 445 კმ. მანძილზე.

ი. ბ. სტალინის სამშობლოში, ალაგირი-ბურონი-ზარომაგი-როკის გადასასვლელი-ჯავა-სტალინირი-გორი — 12 დღით, ქვეითად, 110 კმ. სათანადო საექსკურსიო ადგილების დათვალიერებით.

სამოქალაქო ომის გზებზე. ს. ორჯონიკიძის გზით: ქ. ორჯონიკიძე-

გულის გადასასვლელი შატილი-ბარისახო-დუშეთი, ქვეითად 17 დღის ხანგრძლივობით 200 კმ. მანძილზე.

მსგავსი ტურისტული მარშრუტები ჩამოთვლილია საწყლო და ქვეითი ლაშქრობისთვის, დაყოფილი სირთულეთა ოთხ კატეგორიად, სადაც შეტანილია მდინარე მტკვარი 2-ე კატეგორიის მარშრუტით, ბორჯომიდან წითელ ხიდამდე, ხოლო ქვეითად გასავლელ მარშრუტებში მოცემულია I კატეგორიის მარშრუტები: თეგენეკლი-ბეჩოს უღელტეხილი-მესტია; გორი-ბორჯომი-ხერთვისი-ვარძია-ხერთვისი; რიწა-ახუკ-დარის გადასასვლელი-კრასნაია პოლიანა და სოხუმის სამხედრო გზა. II კატეგორიის მარშრუტებში მოცემულია თეგენეკლი-ბეჩოს უღ.-ბეჩო-მესტია-ლატფარის უღ.-ლენტეხი; ჩეგემი-ტვიბერის უღ.-მესტია; ბათლიღი-შაყრი-ყადორის უღ. საბუე-თელავი.

III კატეგორიის მარშრუტებში შეტანილი იყო ბეზინგი-წანერის უღ.-მესტია; უჩკულანი-ხოთუ-თაუს უღ.-დონღუზ-ორუნის უღ.-მესტია-ბეჩო-ბეჩოს უღ. თეგენეკლი; ზემო ჩეგემი-ტვიბერის უღ.—მესტია-უთვირის უღ. — წებელდა; ანგუშტი-მუჟიჩი-პუი-მელხესტი-შატილი-ბარისახო; უჩკულანი-ჩიპერ-აზაუს უღ.-ბასას უღ.-მესტია-უღვირი-ლატფარის უღ.-ლენტეხი.

IV კატეგორიის მარშრუტებში შედიოდა: — ბეზინგი-წანერის უღ.-მესტია-უთვირის უღ.-ხიდას უღ.-წებელდა. ითუმ-კალე-მაისტი-შატილი-აწუნთას უღ.-ომალო-ბორბალოს უღ.-უკანა ფშავის უღ.-პუთნარდული-ტფონოთი.

ტურიზმმა თავისი გამოხატულება ნახა „იმშთ“ და „მშთ“ კომპლექსში. „იმშთ“ ნორმებში (ჭაბუკებისა და ქალიშვილებისათვის) ჩასაბარებლად ითვლებოდა ქვეითად ჩასატარებელი ერთდღიანი ტურისტული ლაშქრობა — „ჩათვლაზე“ — 15 კმ მანძილზე, ხოლო „ფრიადზე“ 20 კმ-ზე. ამასთანავე ყოველ ჩამბარებელს უნდა შეძლებოდა რუკის კითხვა, კომპასის ხმარება და ქვეყნის მხარეების გარკვევა ადგილობრივი ბუნებრივი ნიშნებით, კომპასის გარეშე.

„მშთ“ I საფეხურის ნიშნის IV ჯგუფის (ამორჩევითი ჯგუფი) ნორმებში (ქალები და კაცები), შემდეგი მოთხოვნები იყო შეტანილი: ტურიზმის რომელიმე სახეში ერთი თვითმოქმედი ლაშქრობის ჩატარება, სახელდობრ: ქვეითად 25 — 30 კმ; თხილამურებით 25 — 30 კმ; ნავეურჭლით 20 — 25 კმ; ველოსიპედით 60—70 კმ; ავტომანქანითა და მოტოციკლეტით 150—200 კმ. მანძილზე.

„მშთ“ კომპლექსში შეტანილი აღნიშნული ნორმატივი ტურიზმის ნიშნით დაჯილდოებულ პირებს ჩაუბარებლად ეთვლებოდათ.

„მშთ“ კომპლექსში შეტანილმა მოთხოვნებმა ხელი შეუწყვეს ტურიზმის განვითარებას საქართველოში.

ამავე წელს შემოღებული იქნა ტურისტული მოგზაურობა გემით

შავი ზღვის აუზში, სანაპირო ქალაქების გაცნობა-დათვალიერებით.

გამოცემული იქნა ტურისტული ბუკლეტი „მზიური საქართველო“ ისტორიული ადგილებისა და ძეგლების აღწერითა და მათი დახასიათებით, ტურისტთა ფართო მასების გაცნობისთვის.

მომდევნო 1941 წელს დაიგეგმა მთელი რიგი ღონისძიებები გეგმიანი და თვითმოქმედი ტურისტული მოღვაწეობის ფართოდ განვითარებისთვის საქართველოში.

ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის მიერ დამტკიცებულ ტურისტულ-ალპინისტური სპორტული სექციების შექმნის დებულების შესაბამისად, საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, წარმოება-დაწესებულებათა ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივებში ყალიბდება ახალ-ახალი ტურისტული სექციები და ისინი თავის მხრივ გეგმავენ სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებათა ჩატარებას.

1941 წლისათვის საქართველოში 18 ტურისტული ბაზა და თავშესაფარი იყო აშენებული, რომლებიც ემსახურებოდნენ ოპერატიულ და თვითმოქმედ ტურისტთა ჯგუფებს და ყოველ სეზონში ათიათასობით კაცი გადიოდა მათი მომსახურების ქვეშ და მზადდებოდა მრავალი ასეული ნიშნოსანი ტურისტი.

ამავე წლის ზამთრის სეზონში სხვადასხვა ხასიათის სათხილამურო ლაშქრობებთან ერთად, ჩატარდა ლაშქრობა ს. ორჯონიკიძის მიერ სამოქალაქო ომის პერიოდში გავლილი გზის კვალდაკვალ: სლეპცოვსკაია-პუი-გული-შატილი-დათვის ჯვრის უღელტეხილი-ბარისახო-ყინვალი, 6 კაცის მონაწილეობით (ხელმძ. კ. ჯავრიშვილი) და პირველი ქალთა სათხილამურო ლაშქრობა მწვერვალ ალაგიოზზე, ერევანი-ბიურაკანი-ალაგიოზი (ხელმძ. ალ. ჯაფარიძე).

ამავე წელს თბილისის პიონერთა სასახლესთან გაიხსნა ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტი, მოზარდ ტურისტთა და მთამსვლელთა ერთ-ერთი მოსამზადებელი კერა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მისი დამაარსებელი და ამ საქმის დიდი ორგანიზატორი მზია ერისთავი, მასთან ერთად მომდევნო წლებში აღნიშნულ კაბინეტში მუშაობა დაიწყეს და ახალგაზრდობას ზრდიდნენ გამოჩენილი ქართველი სპორტსმენი ქალები ალექსანდრა ჯაფარიძე და მარინე უთმელიძე და შემდგომში მათ რიგებს მიემატა დ. გოზალიშვილი.

ზაფხულის პერიოდისთვის იგეგმება და ტარდება მრავალი სხვადასხვა სირთულისა და ხასიათის თვითმოქმედი ტურისტული ლაშქრობები და თანდათანობით ვითარდება ოპერატიული ტურიზმის ქსელი.

იგეგმება და შენდება ახალ-ახალი ტურისტული ბაზები და თავშესაფრები საქართველოს თვალწარმტაცი სილამაზის ადგილებში და მუშავდება ოპერატიული ტურიზმის მარშრუტები და მისი განვითარების გეგმა.

ზაფხულის პერიოდისთვის შესასრულებელი გეგმა შეუსრულებელი დარჩა ჩვენს სამშობლოზე გერმანიის ფაშისტი ურდოების ვერაგულად თავდასხმის გამო. 22 ივნისს მთელ ქვეყანას ეცნობა სამამულო ომის დაწყება.

ფაშისტური გერმანიის მუხანათურად თავდასხმის საპასუხოდ მთელი საბჭოთა ხალხი აღსდგა სამშობლოს დასაცავად. წითელი არმიის მებრძოლთა რიგებში ჩადგნენ ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი ტურისტები და მთამსვლელები, რომლებიც ფრონტის სხვადასხვა ხაზზე იბრძოდნენ და ანადგურებდნენ ფაშისტებს.

1942 წელს, როდესაც მტერი კავკასიის მისადგომებისკენ მოისწრაფოდა, შეიქმნა სპეციალური სამთო რაზმები მთებში საბრძოლველად. ამ რაზმებში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ნაწილებიდან მოვლინებული და მობილიზაციით გაწვეული საქართველოს ტურისტები და მთამსვლელები, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს სამშობლოს დაცვის საქმეში. ზურგში დარჩენილი ტურისტები და მთამსვლელები ძალღონეს არ იშურებდნენ წითელი არმიის რეზერვების მოსამზადებლად, მათგან შეიქმნა სპეციალური სამთო-მსროლელთა დანაყოფები მთებში სამოქმედოდ. თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებისგან შეიქმნა გასამხედროებული სამთო ბატალიონი, რომლებმაც თავიანთ მიტინგზე მოწოდებით მიმართეს მთიანი რაიონების ახალგაზრდობას, რათა იქაც შეექმნათ ასეთი ბატალიონები და მოემზადებინათ სათანადო კადრი წითელი არმიის სამთო ნაწილებისთვის. სტუდენტთა მოწოდების საპასუხოდ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერით, ფართოდ გაიშალა მუშაობა და რესპუბლიკის მასშტაბით შეიქმნა სამთო-მსროლელი რაზმები მთაში საბრძოლველად და შემოიღეს სამხედრო საყოველთაო-სავალდებულო სწავლება.

მთაში სამოქმედოთ მოძრაობის ტექნიკის დაუფლებისა და გაწვრთნის მიზნით, სამთო რაიონების ახალგაზრდობასთან ტარდება სხვადასხვა ხასიათის გასამხედროებული ლაშქრობები და ალპინიადები.

საყოველთაო-სამხედრო სწავლების ხაზით, წითელი არმიისთვის სათანადო კადრის მომზადების მიზნით, კოჯორში და მესტიაში გახსნილი იქნა სამთო-სათხილამურო სკოლა, სადაც ქართველი მთამსვლელები, ტურისტები და მოთხილამურეები მოძრაობის ტექნიკის დაუფლების შემდეგ, სხვადასხვა ხასიათის სამთო ლაშქრობებს ატარებენ და ფრონტისთვის ამზადებდნენ სათანადო რეზერვს.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია და თვით ბუნების გარემოც ხელს უწყობს, საქართველოში ქვეითი და სათხილამურო ტურიზმს ძირითადად მთაში ნამყოფი და შედარებით გაწაფული ახალგაზრდობა ეტანებოდა. ასეთი ახალგაზრდობა უმთავრესად ერთდროულად

ტურიზმს, თხილამურებსა და მთამსვლელობას მისდევდა და თავის უნარისა და მისწრაფების მიხედვით სეზონურად ამა თუ იმ ღონისძიებებში მონაწილეობდა, ამან კი ახალგაზრდობის მრავალმხრივი მომზადება განაპირობა და თავის მხრივ ხელი შეუწყო მთაში საბრძოლო მოქმედებას. ამაზე ნათლად ის გარემოებაც მეტყველებს და ადასტურებს, რომ სხვადასხვა ფრონტზე, საომარი მოქმედების დროს, ქართველი სპორტსმენი ახალგაზრდობა მეთაურია და რიგით შემადგენლობაში, სხვადასხვა ჯურის სამხედრო ნაწილში და სპეციალურად შექმნილ სათხილამურო ბატალიონში ან სამთო რაზმების დანაყოფებში იბრძოდა და მუსრავდა ფაშისტებს.

ქართველი ტურისტები და მთამსვლელები, სხვა მოძმე რესპუბლიკის სპორტსმენებთან ერთად, ფრონტზე თუ ზურგში სჭედდნენ ფაშისტ ურდოებზე გამარჯვებას. მართალია ომის დაწყებისთანავე შეწყდა ყოველგვარი ტურისტული მოღვაწეობა, მაგრამ სტალინგრადთან და კავკასიის მისადგომებთან გერმანელი ოკუპანტების განადგურებისა და მათი უკან დახევის შემდეგ თანდათან იწყება სპორტული მუშაობის აღდგენა. ეს განსაკუთრებით შეეტყო სამხედრო დანაყოფებში ჩატარებულ სხვადასხვა ხასიათის გასამხედროებულ ლაშქრობას. ერთ-ერთი მათგანი იყო სათხილამურო ლაშქრობა (ხელმძღვანელი კაპიტანი კ. ჯავრიშვილი) მთელი სამხედრო აღჭურვილობით, სადაც 120 მეთაური და ჯარისკაცი იღებდა მონაწილეობას. ლაშქრობის მარშრუტი ქ. გორიდან, ატენის ხეობით აბუხალოს გადასასვლელზე გადავლით — ბაკურიანის, ახალციხის, ადიგენის, ხულოს, ქედისა და ბათუმის რაიონების თოვლიან ქედებზე და ფერდობებზე გადიოდა. ლაშქრობის მსვლელობაში ჩატარდა მონაწილეთა წვრთნა და იარაღის გამოცდა მაღალმთიან გარემოში სხვადასხვა დანაყოფების ურთიერთ მოქმედებაზე.

1943 წლის გაზაფხულზე ფართოდ გაიშალა მთამსვლური წვრთნა წვევამდელ ახალგაზრდების მომზადების მიზნით, რისთვისაც საქართველოს 40 რაიონში მივლინებული იქნა მთაში მოძრაობის ტექნიკის დაუფლებული ინსტრუქტორთა 10 ბრიგადა. ბრიგადის წევრები ძალღონეს არ იშურებდნენ და მთელი მონდომებით ამზადებდნენ ახალგაზრდა ცვლას საბჭოთა არმიისათვის.

ომის ქარცეცხლი დამთავრებული არ იყო, როცა ტურისტები თავისი მეურნეობის აღდგენას შეუდგნენ.

გამოცოცხლდა ბავშვთა ტურიზმიც, რომელსაც სათავეში თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტი ჩაუდგა. 1943 წელს დ. ობოლაძისა და ვ. მალავიჩკოს ხელმძღვანელობით 28 მოსწავლის 12 დღიანი ლაშქრობა მოეწყო თბილისი-ბაკურიანი-ტაბაწყურის მიმართულებით.

1944 წელს, ამავე კაბინეტის ხელმძღვანელების მ. ერისთავისა და ალ. ჯაფარიძის თაოსნობით ჩატარდა მოსწავლე ახალგაზრდობის ორი, მრავალდღიანი სამთო ლაშქრობა მდ. ირწობის ხეობით, კახეთის კავკასიონის მთიანეთში, თითოეული 50 კაცის რაოდენობით.

ამავე წელს მოეწყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მთამსვლელთა შეკრება, სადაც სხვადასხვა ასვლებთან ერთად ჩატარდა მრავალდღიანი სამთო ტურისტული ლაშქრობა.

დადგა 1945 წელი, ქვეყეხთა ქუხილი შორს დასავლეთით ისმის. საბჭოთა არმია ფაშიზმის ბუნაგის გასანადგურებლად სულ წინ მიიწევს და ჭედავს ომის ქარცეცხლის დამთავრებას.

გამოცოცხლებას იწყებს სპორტული მუშაობა, დაიწყო მისი ნორმალური საქმიანობის აღდგენა, რომელიც განსაკუთრებით ომის დამთავრების შემდეგ გახდა შესაძლებელი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენასთან ერთად იწყება და განუხრელად გრძელდება ტურიზმის შემდგომი განვითარება.

1945 წლის ზაფხულის დასაწყისში საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა ბაკურიანში მოაწყო სამთო ტურიზმისა და მთამსვლელობის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი ორკვირიანი შეკრება. შეკრების მონაწილეებმა (ხელმძღვ. დ. ფურცელაძე და გ. მელია) ტურისტული ლაშქრობა ჩაატარეს და ასვლა მოაწყვეს მწ. ყარაყაიაზე. ამავე წელს მ. ერისთავისა და ალ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით კვლავ ჩატარდა 30 დღიანი ტურისტული ლაშქრობა, რომელიც უმთავრესად მთაგორიან რაიონებში გადიოდა. მარშრუტი თბილისიდან დაწყებული, ქუთაისი-მაიაკოვსკი-საირმეს გავლით, აჭარა-ახალციხის ქედზე ადიოდა, სადაც აღნიშნული ქედის მწვერვალები — ლაბოროტი (2.600 მ), მეფის წყარო (2.887 მ) და დიდმაღალი (2.670 მ), დალაშქრეს და ზეკარის გადასასვლელზე გადავლით, აბასთუმანისა და ვარძიის დათვალიერებით — თბილისში დაბრუნდნენ. ამ ლაშქრობაში 30 მოსწავლე მონაწილეობდა.

მოსწავლე-ახალგაზრდობაში ომის დროსაც ერთ-ორდღიანი ტურისტული ლაშქრობების ჩატარება თითქმის არ შეწყვეტილა და თბილისსა და რესპუბლიკის რიგ ქალაქებსა და რაიონებში კიდევ მეტად განვითარდა. მთელი რიგი სკოლების მასწავლებელთა ხელმძღვანელობით (ფიზიკაზრდის, გეოგრაფიის ბუნებისმეტყველების, ისტორიის მასწავლებლებისა და პიონერ ხელმძღვანელების) და თაოსნობით სხვადასხვა ხასიათისა და სირთულის ლაშქრობებს ატარებენ. მოსწავლეებს აცნობენ და ასწავლიან მშობლიურ მხარის ღირსშესანიშნაობებსა და მის აწმყო-წარსულს, რის შემდეგ მოლაშქრეები მდიდარი შთაბეჭდილებებითა და შეგროვილი სხვადასხვა სახის მასალებითა და ჰერბარიუმით უბრუნდებიან თავიანთ სკოლებს.

ომის დამთავრების შემდგომ, 1946 წლის ზაფხულისათვის გაიხსნა ტურისტული სეზონი. ამ წლიდან იწყება ომის შემდგომი პერიოდი — ტურიზმის მზარდი აღმავლობისა, დაიწყო ტურისტული მეურნეობისა და ძველი ოპერატიული მარშრუტების აღდგენა და ახალი მარშრუტების დამუშავება. ზაფხულის პერიოდში ჩატარდა სხვადასხვა ხასიათის ლაშქრობები ძირითადად ქვეითად, რომლებიც შეზღუდულ ხასიათს ატარებდნენ — საჭირო რაოდენობით, სათანადო საჭურველის უკმარისობის გამო. სათანადო ყურადღება ძირითადად კადრების მომზადებას დაეთმო.

საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტმა და თბილისის განათლების განყოფილებამ მოაწყო ლაშქრობა ხევში, ხევსურეთსა და ფშავში, კახეთში გადმოსვლით. გავლილი იქნა ქვეითად 222 კმ, სადაც 38-ტი კაცი იღებდა მონაწილეობას. ამ ლაშქრობას ხელმძღვანელობდნენ შ. სულიაშვილი, მ. უთმელიძე, ა. მჟავანაძე, ნ. ანჯაფარიძე და ი. სულიაშვილი.

ქუთაისის განათლების განყოფილების ჯგუფმა 25 მოსწავლის შემადგენლობით, ა. მიქელაძის ხელმძღვანელობით გადაიარა აჭარა-ახალციხის ქედი-აბასთუმანი-ვარძია-ბაკურიანი და ბორჯომი.

1947 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის განყოფილებამ ჩაატარა 42 გოგონას ლაშქრობა ლ. ნადირაძის ხელმძღვანელობით მარშუტით თბილისი-ბაკურიანი ცხრაწყარო-ბაკურიანი, ლაშქრობის მონაწილეებმა ქვეითად 110 კმ. გაიარეს.

ამავე წლის ზაფხულში ქუთაისის განათლების განყოფილებამ ა. მიქელაძის ხელმძღვანელობით ჩაატარა 35 მოსწავლის ერთთვიანი, მრავალკილომეტრიანი ლაშქრობა. ლაშქრობის მონაწილეებმა მოიარეს ზემო რაჭა და ვაცისწვერის გადასასვლელით გადავიდნენ ლენტეხის რაიონში.

თბილისის განათლების განყოფილებამ მოაწყო 100 კაცის ლაშქრობა მარშრუტით ტყვარჩელი-ქლუხორის გადასასვლელი-თებერდა-ქლუხორის გადასასვლელი-წებელდა-სოხუმი.

ბორჯომის განათლების განყოფილებამ და ბავშვთა ტექნიკურმა სადგურმა მოაწყო მოსწავლეთა ორი ლაშქრობა ბორჯომიდან — ჰიტარბი-ბაკურიანი-ცხრაწყაროს გადას.-ციხისჯვარი-ჭობისხევი-ბორჯომი. პირველ ლაშქრობაში 26 მოსწავლე მონაწილეობდა, მეორეში კი 22.

ახალქალაქის ალკკ კომიტეტმა და პიონერთა სახლმა მოაწყო 2 ლაშქრობა 45 მოსწავლის მონაწილეობით: ერთი, ახალქალაქი-ბაკურიანი-სამსრის მღვიმეები-ახალქალაქი, და მეორე ბორჯომი-გორი.

ნებაყოფლობითმა სპორტსაზოგადოება „მედიკმა“ მოაწყო ლაშ-

ქრობა მარშრუტით ონი-შოვი-მამისონის გადას. წეა-ზარომაგი-ზიკარას გადას.-სტალინირი.

აბრეშუმის მრეწველობის მუშაკებისა და პურის ცხობის მუშაკების პროფკავშირებმა სხვადასხვა მარშრუტებით 117 კაცი ალაშქრეს.

ქ. ჭუთაისის 25 მოსწავლემ ა. ჩაკვეტაძის ხელმძღვანელობით გადალახა ქლუხორის გადასასვლელი და ქლუხორის რაიონში იმოგზაურა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის ტურიზმის სექციამ შეიმუშავა საკლასიფიკაციო მოთხოვნები, საინსტრუქტორო სახელმძღვანელო მასალა ტურისტული ღონისძიებების ჩატარების შესახებ და ტურისტული ნიშნის მიღების ახალი ნორმები.

აღნიშნული საკლასიფიკაციო ნორმები დამტკიცებული იქნა და ძალაში შევიდა 1948 წლიდან, სადაც ტურიზმის ოთხ სახეობისათვის— ქვეით, ველო, საწყლო და სათხილამურო ლაშქრობების სირთულეთა მაჩვენებლები დაყოფილი იყო 3 კატეგორიად 1, 2 და 3. ყველაზე იოლი იყო 1 კატეგორიის მარშრუტები, რომლებიც 10 დღის განმავლობაში ტურისტულ ჯგუფს ქვეითად ან თხილამურებით უნდა გაევლო 180 კმ. მანძილი (ველოთი 350 კმ., წყლით 300 კმ); და ამ 10-თი დღიდან, 3 ღამის თევა ველად მოეწყო (კარვებში, ფარდულებში და ა. შ.), რაც შეეხება მე-2 და მე-3 კატეგორიის მარშრუტებს ისინი გაცილებით რთულ პირობებს, გასავლელ მანძილსა და ველად ღამის თევათა მეტ რაოდენობას ითვალისწინებდა. მაგალითად მე-2 და მე-3 კატეგორიის ქვეითი და სათხილამურო მარშრუტები შესაბამისად 250 და 300 კმ. მანძილისა და მასში შემავალ გზად შემხვედრი დაბრკოლებების 50 და 100 კმ. დაძლევას მოითხოვდა. ასეთივე სახით მატულობდა საწყლოც, 400 და 500 კმ;, მათ შორის, დაბრკოლებების დაძლევა 25 კმ, ხოლო ველო 500 და 600 კმ, ამ მანძილში შემავალ 50 და 100 კმ. ბუნებრივ დაბრკოლებების დაძლევას. ველად ღამის თევათა რაოდენობა ქვეით, საწყლო და ველო მარშრუტებზე 8 და 15 დღეს აღწევდა, ხოლო სათხილამურო ლაშქრობებზე კი 3 და 8 დღეს.

ამრიგად, ტურიზმიც, სსრ კავშირში კულტივირებულ სხვა სპორტის სახეებთან ერთად ჩართული იქნა საკავშირო ერთიან სპორტულ კლასიფიკაციაში. დამტკიცებული იქნა სათანრიგო მოთხოვნები ტურიზმის ოთხივე სახისათვის და მოგზაურობათა სიძნელის გამსაზღვრელი მაჩვენებლები, რომელიც 3 კატეგორიად იყო დაყოფილი — სათანრიგო მოთხოვნების მიხედვით: სსრ კავშირის სპორტის ოსტატობისათვის საჭირო იყო 10 ლაშქრობის ჩატარება, აქედან I კატეგორიისა 4, მათ შორის 2 მონაწილედ — 1 ზაფხულში და 1 ზამთარში, 2 ხელმძღვანელად — 1 ზაფხულში და 1 ზამთარში, ასევე II კატეგორიისა

4,2 მონაწილედ, 2 ხელმძღვანელად (ზაფხულში და ზამთარში). მე-III კატ. 2 ლაშქრობა მონაწილედ ზაფხულში და ზამთარში, ტურიზმის არანაკლებ 3 სახეში (ქვეითი, სათხილამურო, საწყლო ან ველოსიპედით). პირველი თანრიგისათვის უნდა ჩატარებულიყო 7 ლაშქრობა, აქედან I კატეგორიისა 4,2 მონაწილედ (ზამთარში და ზაფხულში) და 2 ხელმძღვანელად (ზაფხულში და ზამთარში); II კატეგორიისა 2 ლაშქრობა მონაწილედ (ზაფხულში და ზამთარში) და III კატეგორიის 1 ლაშქრობა მონაწილედ ზაფხულის პერიოდში, არანაკლებ ტურიზმის ორ სახეში; მეორე თანრიგისათვის — 4 ლაშქრობა, აქედან I კატეგორიისა — 3,2 მონაწილედ (ზამთარში და ზაფხულში) და 1 ხელმძღვანელად ზაფხულში. II კატეგორიისა — 1 ლაშქრობა მონაწილედ ზაფხულში; მესამე თანრიგისათვის — I კატეგორიის 2 ლაშქრობა მონაწილედ, ზაფხულისა და ზამთრის განმავლობაში.

თანრიგის შენარჩუნებისათვის საჭირო იყო 2 წელიწადში ერთი I, II ან III-ე კატეგორიის სირთულის ლაშქრობის ჩატარება. რაც შეეხება „სსრკ ტურისტის“ ნიშნის მისაღებ ნორმებს იგი შემდეგს ითვალისწინებს: 1. ასაკი არანაკლებ 14 წლისა;

2. ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების ან ფიზიკური კულტურის კოლექტივის წევრობა;

3. I საფეხურის „მშთ“-ს საერთო ნორმების ჩაბარება;

4. გამოსასვლელი დღის ტურისტულ ღონისძიებებში მონაწილეობა;

5. I კატეგორიის სიძნელის მარშრუტით ერთ თვითმოქმედ მოგზაურობაში (ქვეითად, წყლით, ველოსიპედით ან თხილამურებით) მონაწილეობა.

6. „სსრკ ტურისტის“ ნიშნის მისაღებად დადგენილი ნორმებისა და პროგრამით გათვალისწინებული გამოცდის ჩაბარება.

შენიშვნა: 1. 16 წლის ასაკამდე ბიჭებისა და ქალიშვილებისათვის I საფეხურის „მშთ“ ნორმების ნაცვლად საკმარისი იყო „იმშთ“ ნორმების ჩაბარება.

2. ტურისტული მოგზაურობა ითვლებოდა, უკვე თუ ჯგუფში გაერთიანებული იყო არა ნაკლებ 4 მონაწილისა, ლაშქრობა ისახავდა ტურისტულ მიზნებსა და მოგზაურობა ჩატარდებოდა მოძრაობის აქტიური საშუალებებით (ქვეითად, ნავით, ბაიდარით, ველოსიპედით ან თხილამურებით).

3. „სსრკ ტურისტის“ ნიშნის მისაღებად 10 დღიანი ქვეითი, საწყლო, ველო მოგზაურობისა და რვადღიანი თხილამურებით ლაშქრობის ნაცვლად, დასაშვები იყო ერთ სეზონში 2 ან 3 სხვადასხვა მარშრუტით მოგზაურობით, შეჯამებულად შესრულებულიყო ათი ან რვადღიანი ლაშქრობის ნორმები.

4. „სსრკ ტურისტის“ ნიშანზე მისაღებ ნორმებსა და შესრულებულ მოთხოვნებს ამოწმებდა და გამოცდებს იბარებდა შესაბამისი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის მიერ დამტკიცებული გამომცდელი კომისია. გამომცდელი კომისიის ოქმის საფუძველზე ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი გასცემდა „სსრკ ტურისტის“ ნიშანს.

ტურიზმის შემდგომ განვითარებას ხელი შეუწყო ერთიანი საკლასიფიკაციო სპორტული ნორმების შემუშავებამ და დამტიცებამ და მართლაც, ზაფხულის განმავლობაში ტურისტული ჯგუფები მიისწრაფიან სხვადასხვა სირთულის ლაშქრობების ჩასატარებლად, თანრიგების შესასრულებლად და „სსრკ ტურისტის“ ნიშნის მისაღებად.

1948 წელს ზაფხულში მოეწყო ლაშქრობა თრიალეთის ქედზე მ. ერისთავის ხელმძღვანელობით, სადაც 25 მოსწავლე იღებდა მონაწილეობას.

ამავე წლის ზაფხულში, 30-მა მოსწავლე-კომკავშირელმა მ. ერისთავის ხელმძღვანელობით, მოიარა ჭიათურა, რაჭის ქედი და ნაქერალის გადასასვლელით ჩავიდა ტყიბულში და შემდეგ ქუთაისში. ქ. ქუთაისის 50 მოსწავლემ ა. მიქელაძის ხელმძღვანელობით მოიარეს გელათისა და ცუცხვათის კარსტული გამოქვაბულები, გადალახეს ნაქერალის გასასვლელი, დაათვალიერეს კაცხის სვეტი, გაიარეს შქმერი, ონი, ჯავა და სტალინირში ჩავიდნენ. აღნიშნულის გარდა, კიდევ მრავალი ლაშქრობები ჩატარდა სხვადასხვა მხარეში.

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილებამ, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების შესახებ, კიდევ მეტი ხელსაყრელი პირობები შექმნა ტურიზმის მზარდი აღმავლობისა და მისი მასობრივი განვითარებისთვის საქართველოში.

სულ უფრო და უფრო მატულობს ლაშქრობათა რიცხვი და თანრიგებზე და ტურისტის ნიშანზე მომზადებულთა რაოდენობა. მრავალი ლაშქრობა ეწყობა ზაფხულსა და ზამთარში ქვეითად, ბაიდარებით, ველოსიპედითა და თხილამურებით, სხვადასხვა მხარეებსა და მოძმე რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

1949 წლის ზამთარში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურისტთა ჯგუფი 10 კაცის შემადგენლობით, ხელმძღვანელები გ. მელია და კ. ასტახიშვილი, აწყობს მრავალდღიან ლაშქრობას თხილამურებით: ბაკურიანი-ახალქალაქი-ბოგდანოვკა-გიურჯოლის გადას.,-ლენინაკანი-ალაგიოზი-ერევანი. მსგავს ლაშქრობებს ატარებენ ვ. მალავიჩკო, დ. ფურცელაძე, დ. გელაძე, კ. ასტახიშვილი, ლ. ნადირაძე, მ. ერისთავი, ალ. ჯაფარიძე, ს. ბილხენი და სხვები. რესპუბლიკის

მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში მზადდება „სსრკ ტურისტის“ ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა ახალი ცვლა.

1949 წელს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტისა და განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით შეიქმნა პიონერ მუშაკთა რესპუბლიკური 6-თვიანი სკოლა. ეს სკოლა 1958 წელს 1 წლიანად გადაკეთდა. ამ სკოლაში გაერთიანებული იყვნენ და არიან რესპუბლიკის ყველა რაიონის წარმომადგენლები, სადაც კლასგარეშე მუშაობის მეთოდების გარდა, ტურიზმსაც გადიან და სათანადო ლაშქრობებს ატარებენ.

შენდება და ყოველწლიურად მატულობს ტურისტული ბაზების რიცხვი, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში და საქართველოს სხვა ულამაზეს მხარეებში. დამუშავდა და გაიხსნა ახალი ოპერატიული ტურისტული მარშრუტები საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების სამმართველოს ხაზით.

1950 წლის დამდეგს, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის დადგენილებით, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს არჩევნებს მიეძღვნა 505 კმ-ზე მრავალდღიანი სააგიტაციო-სათხილამურო და ველო ლაშქრობა. ლაშქრობის მარშრუტი ბაკურიანიდან იწყებოდა და ციხისჯვრისა და კოდიანის მთის კალთებზე გადავლის შემდეგ, აწყურ-ახალხიცის-აბასთუმან-ზეკარის გადასასვლელით — მაიაკოვსკის, ქუთაისის, ტყიბულის, ამბროლაურის, ონის, ჯავის, სტალინირის, გორის და მცხეთის გავლით თბილისში მთავრდებოდა. ლაშქრობაში 11 კაცი მონაწილეობდა, რომელსაც კ. ასტახიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ ლაშქრობით 10 პირველ თანრიგოსანი ტურისტი მომზადდა.

მეორე სათხილამურო ლაშქრობა დ. გელაძის ხელმძღვანელობით თბილისის პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა მონაწილეობით მოეწყო, რომლის მარშრუტი იყო თბილისი-კოჯორი-ორბეთი-მანგლისი-წალკა-თეთრიწყარო-ასურეთი-ტაბახმელა-თბილისი. ამ ლაშქრობით 14 „სსრკ ტურისტის“ ნიშნოსანი მომზადდა.

ზაფხულში თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის ხელმძღვანელობით, მ. ერისთავის, ალ. ჯაფარიძისა და მ. უთმელიძის თაოსნობით, ჩატარდა მასობრივი ლაშქრობა თრიალეთის ზეგანზე, გორში ჩასვლით. ამ ლაშქრობით 40 კაცი ტურისტის ნიშნოსანი გახდა, ხოლო 14 კაცი ტურიზმის ნორჩი ინსტრუქტორი.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მეორე ჯგუფმა კ. თოთიბაძისა და სხვათა ხელმძღვანელობით იმოგზაურა ფშავ-ხევსურეთში და მისმა 46 მონაწილემ მიიღო „სსრკ ტურისტის“ ნიშანი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, თბილისის წარმოება-დაწესებულე-

ბების ტურისტული ჯგუფები, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „განთიადის“ ხაზით ატარებენ სხვადასხვა ლაშქრობებს „სსრკ ტურისტის“ ნიშნის მისაღებად და თანრიგების შესასრულებლად.

1951 წელს ეწყობა მრავალი, სხვადასხვა ხასიათისა და სირთულის ტურისტული ლაშქრობა-გადასვლები. რესპუბლიკის მთელ რიგ დიდ წარმოება-დაწესებულებებში და უმაღლეს სასწავლებლებში ყალიბდება ტურისტული სექციები, რომლებიც სათანადო მომზადებისა და წვრთნის შემდეგ მონაწილეობენ სხვადასხვა ტურისტულ მასობრივ შეკრებებზე.

ამ წელს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დადგენილებით. ქ. თბილისში გაიხსნა ბავშვთა ცენტრალური ტურისტული სადგური, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა ცნობილი ტურისტი ქალი მ. ერისთავი. იმავე წელს საქართველოს გამოჩენილ ტურისტ-მოგზაურებს ვ. მალავიჩკოს, დ. ფურცელაძეს და კ. ასტახიშვილს მიენიჭა სსრკ სპორტის ოსტატის წოდება. აღნიშნული პირები პირველი მერცხლები იყვნენ, რომლებმაც მიიღეს სპორტის ოსტატის მაღალი წოდება, ტურიზმის ხაზით.

1951 წელს საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტთან შეიქმნა ტურიზმის რესპუბლიკური ფედერაცია, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ო. ეგაძე. მომდევნო წლებში ფედერაციას სათავეში ედგა სსრკ სპორტის ოსტატი დ. ფურცელაძე. ტურიზმის ფედერაციამ იარსება 1962 წლამდე, შემდეგ იგი გაუქმდა, რადგან საქართველოს პროფსაბჭოსთან შეიქმნა ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობს ტურიზმის განვითარებას რესპუბლიკაში.

1952 წელს ჩატარდა საქართველოს სსრ პროფესიონალური კავშირების 1-ლი, რესპუბლიკური, ტურისტთა მასობრივი შეკრება — არმაზის ხეობაში.

ტურისტული ჯგუფები წინასწარ ჩასატარებელ ლაშქრობებით გამოცხადდენ შეკრების ადგილზე, ერთმანეთს შეეჯიბრნენ ტურისტულ მრავალჭიდში (ბუნებრივ დაბრკოლებათა დაძლევა, კარვის დადგმა და კოცონის დანთება წყლის ადუღებით და სხვა), სადაც გამოავლინეს თავიანთი მომზადება.

1952 წელს სსრკ ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის მიერ, დამტკიცებული იქნა ტურიზმის ახალი სათანრიგო მოთხოვნები, რომლებიც შემდეგ ნორმატივებს შეიცავდა: დამატებითი მოთხოვნები შემდეგს ითვალისწინებდა: სპორტის ოსტატისათვის — თორმეტი ჩასათვლელი მოგზაურობის ჩატარება საბჭოთა კავშირის, არანაკლებ სამ სხვადასხვა რაიონში და არანაკლებ ტურიზმის სამ სახეში (ქვეითად, თხილამურებით, ველოსიპედით ან წყლით). ტუ-

თანრიგები	მოგზაურობა მარშრუტებით						
	I კატეგორიის სიძნელის		II კატეგორიის სიძნელის		III კატეგორიის სიძნელის		სულ მარშრუტი
	ზაფ-ხულში	ზამ-თარში	ზაფ-ხულში	ზამ-თარში	ზაფ-ხულში	ზამ-თარში	
სპორტის ოსტატი	2	2	2	2	2	2	12
პირველი თანრიგი	2	2	1	1	1	1	8
მეორე —„—	2	1	1	—	—	—	4
მესამე —„—	1	1	—	—	—	—	2
„სსრკ ტურისტის“ ნიშანი	1	—	—	—	—	—	1

ტურისტული მარშრუტების სიძნელეთა კატეგორიების განმსაზღვრელი მაჩვენებლების ცხრილი

სიძნელეთა კატეგორიების მაჩვენებლები	ქვეითი ტურიზმი			საწყლო ტურიზმი			ველო-ტურიზმი			სათხილამურო ტურიზმი		
	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3
1. მოგზაურობათა ხანგრძლივობა დღეებში . .	10	15	20	10	15	20	10	15	20	8	12	16
მათი რიცხვი დაუსახლ. ადგილებში	—	5	10	—	5	10	—	3	6	—	5	8
2. საერთო მანძილი . .	180	250	300	250	400	500	350	500	600	180	250	300
მათ რიცხვში ბუნებრივი სიძნელეთა დაძლევით	—	50	100	—	25	50	—	50	100	—	50	100
3. საველე პირობებში ღამის თევის რაოდენობა	3	8	15	3	8	15	3	8	15	—	3	8
	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3
4. მოგზაურობის დამთავრების შემდეგ წარსადგენი დოკუმენტები	მარშრუტის პასპორტი	ანგარიში	დაწვრილებითი ა-ში	მარშრუტის პასპორტი	ანგარიში	დაწვრილებითი ანგარიში	მარშრუტის პასპორტი	ანგარიში	დაწვრილებითი ანგარიში	მარშრუტის პასპორტი	ანგარიში	დაწვრილებითი ანგარიში

რიზმის ორ სახეში ჰქონოდა ხელმძღვანელობის სტაჟი, სამი ზაფხულის და ერთი ზამთრის მოგზაურობისა. მათ შორის ერთი უნდა ყოფილიყო III კატეგორიის სიძნელის მარშრუტი, უნდა ჰქონოდა მესამე სპორტული თანრიგი, სპორტის რომელიმე სახეში: ნიჩბოსნობაში, ველო-სპორტში, თხილამურებში, ალპინიზმში, სააფრო, ავტო ან მოტო-სპორტში.

პირველი თანრიგისათვის რვა ჩასათვლელი მოგზაურობა უნდა ჩაეტარებინა: საბჭოთა კავშირის არანაკლებ ორ სხვადასხვა რაიონში და არანაკლებ ტურიზმის ორ სახეში. ჩაებარებინა ნორმები II საფეხურის „მშთ" კომპლექსზე. ჰქონოდა ხელმძღვანელობის სტაჟი — ერთი I კატეგორიის და ერთი II კატეგორიის სიძნელის მარშრუტის მოგზაურობისა.

მეორე თანრიგისათვის უნდა ჰქონოდა ერთი მოგზაურობის ხელმძღვანელობის სტაჟი.

მესამე თანრიგისათვის „მშთ" I საფეხურის კომპლექსზე ნორმების სრულად ჩაბარება.

„სსრკ ტურისტის" ნიშანზე—„მშთ" I საფეხურის ან „იმშთ" ნორმების სრულად ჩაბარება. გამოსასვლელი დღის ტურისტული ღონისძიებაში მონაწილეობა და „სსრკ ტურისტის" ნიშნის მისაღებად დადგენილი პროგრამით გამოცდის ჩაბარება. ამავე დროს დამტკიცებული იქნა მოზარდთა თანრიგი, რომელიც შემდეგს ითვალისწინებდა: მოზარდის მესამე თანრიგის მისაღებად საჭირო იყო ერთი წლის განმავლობაში ოთხჯერ ქვეითად, წყლით, ველოსიპედით ან თხილამურებით მშობლიურ მხარეში მოგზაურობაში მონაწილეობა. მოგზაურობის საერთო ხანგრძლივობა არანაკლები ექვსი დღისა, ველად ორი ღამისთევით. საერთო მანძილი ქვეითი მოგზაურობისთვის 120 კმ; წყლით მოგზაურობისთვის (მდინარის დაღმა) 150 კმ; აღმა 80 კმ; ველო-მოგზაურობისთვის 150 კმ; თხილამურებით მოგზაურობისთვის 120 კმ.

მოზარდთა მესამე თანრიგისათვის დამატებით მოთხოვნა იყო — ორი გავლილი მარშრუტის დამოუკიდებელი აღწერილობის და კროკების წარდგენა.

თანრიგების შესანარჩუნებლად საჭირო იყო: ორ წელიწადში ერთხელ I, II, ან III კატეგორიის სიძნელის მარშრუტის გავლა. სათანრიგო მოთხოვნებთან ერთად დამტკიცებული იქნა ინსტრუქცია ტურისტული მოგზაურობის მოწყობის ნებართვის მიღების წესზე, სამარშრუტო წიგნაკისა და ფურცლის მიღება-გაფორმებაზე, ტურისტული მოგზაურობის მომწყობი დაწესებულებების ვალდებულებებზე, ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელის მოვალეობაზე, მოგზაურობის ორგანიზაციაზე და სხვა საკითხებზე.

ახალი სათანრიგო მოთხოვნების შესაბამისად, მთელი რიგი ტურისტული ღონისძიებები ჩატარდა რესპუბლიკის სხვადასხვა მხარეში.

მომდევნო წლებში, მრავალ ტურისტულ ღონისძიებებთან და ლაშქრობებთან ერთად, ტარდება საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირების, რესპუბლიკური მე-3-ე ტრადიციული ტურისტთა მასობრივი შეკრება. ამ შეკრებაზე, სხიური ლაშქრობებით მოლაშქრე ჯგუფები, გამოცხადდნენ შეჯიბრების ადგილზე — არმაზის ხეობაში. მეორე დღეს ჩატარდა ტურისტული მრავალჭიდი. შედეგების შეჯამებისა და გამარჯვებულთა დაჯილდოებინ შემდეგ, გუნდები დაუბრუნდნენ თავიანთ წარმოება-დაწესებულებებს.

ზემოთ აღნიშნული შეკრება-შეჯიბრებები მომდევნო წლებშიც ტარდება და სულ უფრო მასობრივი ხდება.

1955 წლისათვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე 20-მდე ტურისტული ბაზა იყო გახსნილი, რომლებიც სათანადო მომსახურებას უწევდნენ ოპერატიულ ტურისტულ ჯგუფებს და თვითმოქმედ ტურისტებს. ყოველწლიურად მატულობს ახალი ოპერატიული ტურისტული მარშრუტების დამუშავება, რისთვისაც ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური სამმართველო მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებს. რესპუბლიკის რიგ ქალაქებში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში ყაზბეგსა და შოვში გახსნილი იყო ტურისტული საჭურველის გამქირავებელი პუნქტები. 1955 წელს ჩატარდა ქ. თბილისის 1-ლი ტურისტული, მასობრივი შეკრება, წიწამურის მიდამოებში. ეს თავშეყრა დებულების თანახმად ითვალისწინებდა წინასწარ 2 დღიან (ქვეითად) ლაშქრობის ჩატარებას შეკრების ადგილამდე, სადაც მომდევნო დღეს ტარდებოდა შეჯიბრი ტურისტულ მრავალჭიდში. ამ შეჯიბრებაზე პირველი ადგილი დაიკავა (მომდევნო წლებშიც გამარჯვებული გამოდიოდა) საქართველოს სახ. ფიზკულტურის ინსტიტუტის ტურისტთა გუნდი.

მომდევნო წლებში ეწყობა მრავალი, რთული ტურისტული ლაშქრობები: ი. სულიაშვილის ხელმძღვანელობით ჯგუფი 14 კაცის შემადგენლობით, ბაიდარებით ლაშქრავს მდ. მტკვარს — ბორჯომიდან-ევლახამდე.

საქ. სახ. ფიზკულტურის ინსტიტუტის ჯგუფი კ. ასტახიშვილის ხელმძღვანელობით ლაშქრავს ფშავ-ხევსურეთს და გროზნოს და ორჯონიკიძის მხარეში გადადის.

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჯგუფი 48 კაცის შემადგენლობით (ხელმ. ალ. ჯაფარიძე და დ. გელაძე) 19 დღის განმავლობაში ქვეითად ლაშქრავს ენგურის ხეობას, ზუგდიდიდან მესტიის გავლით უშგულამდე და შემდეგ გადადის ლენტეხ-ცაგერსა და ორბელში.

თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ტურისტული სექცია ი. სულიაშვილის ხელმძღვანელობით აწყობს ველო ლაშქრობას თბილისი-ჯვრის გადასასვლელი-ორჯონიკიძე-არდონი-მამისონის გადასასვლელი-ონი-ქუთაისი-ბათუმი.

იგივე ი. სულიაშვილის ხელმძღვანელობით 14 კაცი ლაშქრავს მდ. ალაზანს, თელავიდან-საბირაბადამდე.

ჯგუფი — გ. თომაევის ხელმძღვანელობით — მოგზაურობს კახეთში, ფშავ-ხევსურეთსა და გროზნოს მხარეში.

ქ. სოხუმის ტურისტული ჯგუფი ა. წიქრიძის ხელმძღვანელობით ლაშქრავს აფხაზეთის კავკასიონს და გადადის დონბაის მხარეში.

საქართველოს სახ. ფიზკულტურის ინსტიტუტის ტურისტული ჯგუფი კ. ასტახიშვილის ხელმძღვანელობით, ბაიდარებით მოგზაურობს მდინარე მტკვარზე, თბილისიდან-ევლახამდე.

ზამთრის განმავლობაში, ი. სულიაშვილის ხელმძღვანელობით, თხილამურებით ლაშქრავენ ბაკურიანიდან—ახალქალაქს, ლენინაკანს, აშტარაკს და ჩადიან ერევანში. ხოლო გ. თომაევის ჯგუფი კი თხილამურებით ლაშქრავს ბაკურიანიდან ტაბაწყურის გავლით, სემიონოვის უღელტეხილს, სევანის ტბის მიდამოებს და ეშვება ერევანში.

მსგავს ლაშქრობებს ატარებენ დ. გელაძე, გ. ახმეტელაშვილი, ე. კავკასიძე, თ. ხომერიკი, ზ. მეგრელიშვილი, ა. იაკუბოვი და სხვ.

ქუთაისში კვლავინდებურად ხელმძღვანელობენ და ატარებენ სხვადასხვა ხასიათის ტურისტულ ლაშქრობებს ა. მიქელაძე, ა. ჩაკვეტაძე, ვ. აფრიდონიძე, მ. სანებლიძე და სხვ. ასეთივე სახით წარმართავენ ტურისტულ მუშაობას სოხუმელი ამხანაგები ა. წიქრიძე, გ. ჩიმაკაძე და სხვ.

საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების სამმართველოს ძველი გამოცდილი მუშაკები ა. ძიძიგური, გ. ქორიძე, მ. თუმანიშვილი, ს. წიქარიშვილი ა. მაკალათია, გ. სოლოღაშვილი, გ. ყალაბეგიშვილი, ვ. ხეთაგიშვილი, გ. ვახრამიშვილი, ი. ლაფაჩიძე, ვ. შიოშვილი, თ. შენგელია და სხვა მრავალი, ადგილობრივ ტურისტულ აქტივთან ერთად, რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში — ქუთაისში, ზემო და ქვემო სვანეთში, თელავში, ბორჯომში, მცხეთაში, ფასანაურში, ყაზბეგში და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიებზე გეგმავენ და ამუშავებენ, ოპერატიულ-ჩასათვლელ ტურისტულ მარშუტებს და საექსკურსიო ობიექტებს.

1957 წელს, 26 იანვარს კვლავ დამტკიცებული იქნა და ძალაში შევიდა ახალი სათანრიგო მოთხოვნები, რომელიც ძველთან შედარებით სათანადოდ შეიცვალა. სახელდობრ: სპორტის ოსტატისათვის იგივე 12 ლაშქრობა დარჩა, მაგრამ დაემატა ხელმძღვანელობა თი-

თოეულ კატეგორიის მარშრუტზე, ამრიგად ზაფხულისა და ზამთრის ლაშქრობები თანაბრად ნაწილდებოდა 6 მონაწილედ და 6 ხელმძღვანელად. მოგზაურობა უნდა ჩაეტარებინა სსრკ არანაკლებ ოთხ გეოგრაფიულ რაიონში (ნაცვლად სამისა) და არანაკლებ ტურიზმის სამ სახეში. ჰქონოდა უმცროსი ინსტრუქტორის წოდება ტურიზმის ერთ-ერთ შერჩეულ სახეში, პირველი თანრიგის დამტკიცების შემდეგ ეხელმძღვანელა მშობლიურ მხარეში დასვენების დღის ლაშქრობებისათვის I კატეგორიის მოთხოვნების შესრულებამდე. ჰქონოდა მესამე სპორტული თანრიგი სპორტის რომელიმე სახეში: ცურვაში, ნიჩბოსნობაში, ცხენოსნობაში, ალპინიზმში, თხილამურებში, ველოში, სააფრო ან სამთოსათხილამურო სპორტში.

პირველ თანრიგისათვის 9 ჩასათვლელი მოგზაურობა უნდა ჩაეტარებინათ — აქედან (5 მონაწილედ და 4 ხელმძღვანელად) საბჭოთა კავშირის არანაკლებ ორ გეოგრაფიულ რაიონში. მეორე თანრიგის დამტკიცების შემდეგ ეხელმძღვანელა მშობლიურ მხარეში დასვენების დღის ლაშქრობებისათვის — I კატეგორიის მოთხოვნების შესრულებამდე.

მეორე თანრიგისათვის 5 ჩასათვლელი მოგზაურობა ჩაეტარებინა (4 მონაწილედ და 1 ხელმძღვანელად) და შეესწავლა ტურიზმის მეორე თანრიგის შესასრულებლად პროგრამით გათვალისწინებული მომზადება.

მესამე თანრიგისათვის — ჰქონოდა „სსრკ ტურისტის" ნიშანი, „მშთ" პირველი საფეხურის ნიშანი და ჩაებარებინა ტურიზმის III-ე თანრიგის მისაღებად პროგრამით გათვალისწინებული გამოცდა. ახლად დამტკიცებულ სათანრიგო მოთხოვნებს და ტურისტული მარშრუტების სიძნელეთა კატეგორიის განმსაზღვრელ მაჩვენებლებს დაემატა ტურიზმის ახალი, მეხუთე სახე — სამთო-ქვეითი. იგი სათანადოთ განისაზღვრა და თავის მხრივ ალპინიზმს მიუახლოვდა სხვადასხვა სირთულის მაღალმთიანი უღელტეხილების დაძლევის რაოდენობით, რომლებიც თოვლის ხაზის მაღლა უნდა მდებარეობდნენ. სახელდობრ: კავკასიაში — 2700 მეტრი, ალტაიში — 3000 მეტრი, ტიან-შანში — 3.300 მეტრი, პამირო-ალაიში — 4000 მეტრზე მაღლა.

ველო ტურიზმს მოეხსნა რთული მარშრუტები ანუ მესამე კატეგორია, შემცირდა ასევე 1 დღით მოგზაურობის დღეთა ხანგრძლივობა მეორე და მესამე კატეგორიის მარშრუტებზე, ხოლო საწყლო ტურიზმს გასავლელი მანძილი კილომეტრებში 250—400—500 ნაცვლად, დაუმტკიცდა 200—300—400 კმ. სამაგიეროდ გაეზარდა ბუნებრივი სიძნელეების დაძლევის მანძილი, ნაცვლად 25 და 50 კმ-ისა, 50 და 100 კმ-რი დაუმტკიცდა. ამავე წელს დამტკიცებული იყო „ნორჩი ტურისტის" ნიშანი, 12—15 წლის ასაკისათვის და „სსრკ ტურისტის"

ნიშანი 16 წლის ასაკის ჭაბუკებისათვის. გარდა ზემოთ აღნიშნულისა დამტკიცებული იქნა მთელი რიგი საინსტრუქციო-სახელმძღვანელო მასალა, ტურისტული ლაშქრობების ორგანიზაციული ფორმებისა და მათი უავარიოდ ჩატარების შესახებ და სხვა.

ახალი საკლასიფიკაციო-სათანრიგო მოთხოვნების საფუძველზე მთელი რიგი ტურისტული სექციები ამუშავებდნენ და ატარებდნენ რიგ ღონისძიებებს და ამზადებდნენ თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა ახალ ცვლას.

საქართველოში 1957 წელი, ტურიზმის ხაზით, სპორტის ოსტატის ნორმების შესრულების მხრივ — კარგი შედეგებით დაგვირგვინდა. ერთდროულად სსრკ სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა 5 სპორტსმენს. ქ. თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ტურისტულ სექციის წევრებს ი. სულიაშვილს, გ. ახმეტელაშვილს, ზ. მეგრელიშვილს, ვ. კავკასიძეს და თ. ხომერიკს.

გარდა ამისა აღნიშნული სექციის რიგ წევრებს დაუმტკიცდათ I, II და III სპორტული თანრიგები.

მზარდი ტემპებით ვითარდება ტურიზმი ქ. თბილისისა და რესპუბლიკის ქალაქების წარმოება-დაწესებულებებში, ტურისტული სექციები მთელ რიგ ღონისძიებებსა და ლაშქრობებს ატარებენ თანრიგოსან სპორტსმენთა და ნიშნოსანთა მომზადების მიზნით. გარდა ამისა დაინერგა დასვენების დღის მასობრივი, ტურისტული გასვლები მშობლიური მხარის გასაცნობად. საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები ატარებენ სხვადასხვა ღონისძიებებს ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების მხრივ. ქ. თბილისის, ქუთაისისა და სხვა ქალაქების პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩი ტურისტები სისტემატურად ატარებენ გასვლებს მშობლიური მხარის შესასწავლად და ტურისტის ნიშნისა და თანრიგების მისაღებად.

ბავშვთა ცენტრალური ტურისტული სადგური, მ. ერისთავის ხელმძღვანელობით, ყოველწლიურად გეგმავს სხვადასხვა რაიონის ნორჩ ტურისტთა საბანაკო შეკრებებს და მასობრივ ღონისძიებასთან ერთად ატარებს სხიურ ლაშქრობებსა და ტურისტულ მრავალჭიდს.

ყოველწლიურად მატულობს ბაკურიანში სათხილამურო შეჯიბრებებზე ჩამოსულ ორგანიზაციათა გუნდების ლაშქრობათა რიცხვი. სათხილამურო შეჯიბრების დამთავრების შემდეგ უმრავლესობა თხილამურებით მიემართება თბილისისაკენ, გორისაკენ, ქარელისაკენ, ახალციხე-ახალქალაქისაკენ და მოძმე სომხეთის რესპუბლიკისაკენ.

მ. თოიძის სახ. № 11 სამხატვრო სახელოსნო-სასწავლებლის ტურისტული სექცია ა. იაკკევიჩისა და ვ. აღნიაშვილის თაოსნობით, 1956 წლიდან ყოველწლიურად და სისტემატურად ატარებს სხვადასხვა სირთულისა და ხასიათის ტურისტულ ლაშქრობებს და ამზადებს

„სსრკ ტურისტის“ ნიშნოსნებს და თანრიგოსნებს. ამ კოლექტივის ტურისტული სექცია ამჟამადაც არ ღალატობს თავის ტრადიციებს და ყოველწლიურად ატარებს სხვადასხვა სირთულის ლაშქრობებს სხვა ორგანიზაციების მხარდამხარ. მათ არც დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ტურისტები ჩამორჩებიან, ისინი 1958 და 1959 წლებში, გ. წიკლაურის ხელმძღვანელობით, „სსრკ ტურისტის“ ნიშნისთვის სხვადასხვა სირთულის ლაშქრობებს ატარებენ — სექციის ზრდისა და გაძლიერების მიზნით. მომდევნო წლებში კი, ზ. მიქაძისა და ე. ჟვანიას ხელმძღვანელობით, უფრო რთულ ლაშქრობებს ატარებენ და ზოგჯერ ქვეითად თუ თხილამურებით რესპუბლიკის საზღვრებსაც სცილდებიან.

ქ. თბილისის მშრომელთა გაჯანმრთელებისა და მასობრივი ტურიზმის განვითარებისათვის, თბილისის ტურისტული ბაზა, თავის ინსტრუქტორთა დახმარებით (გ. ჯინორიძე, ლ. მხითარიანი, ა. აბრამიშვილი, ი. მარტიაშვილი და სხვები), ხელს უწყობს და ატარებს სხვადასხვა მარშრუტებით, ერთდღიან და ორდღიან ტურისტულ გასვლებს ყოველ შაბათ-კვირას.

ქ. თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა ტურისტული სექციები (უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ფიზკულტურისა და უცხო ენათა პედაგოგიური და პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ტურისტული სექციები) სისტემატურად ატარებენ სხვადასხვა ხასიათის ლაშქრობებს და ამზადებენ სპორტსმენ თანრიგოსნებს.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი თავის მხრივ გეგმავს და აფინანსებს III კატეგორიის სირთულის საბაიდარო ლაშქრობას მდ. ანგარაზე (ბაიკალის ტბიდან — ირკუტსკი-ბრატსკი), რომელიც 1958 წელს ჩატარდა ი. სულიაშვილის ხელმძღვანელობით.

1959 წელს დაიგეგმა მდ. თერგზე III კატეგორიის საბაიდარო ლაშქრობა (მონაწილე 14 კაცი, აქედან 10 კაცი იმაღლებდა სპორტულ თანრიგებს, ხოლო 4 კაცი ასრულებდა სსრკ სპორტის ოსტატის ნორმებს), მაგრამ მისი დამთავრება არ განხორციელდა, რადგან იგი სათანადოდ არ იყო მომზადებული და მდინარის თავისებურებაც არ ჰქონდათ შესწავლილი.

მომდევნო წლებში იგეგმება და ტარდება სხვადასხვა სირთულისა და ხასიათის ადგილობრივი და შორეული ტურისტული ლაშქრობები: სათხილამურო — ა. წიქრიძის ხელმძღვანელობით, საბაიდარო — (ყვირილა-რიონი) ი. სულიაშვილის ხელმძღვანელობით და მდინარე ყუბანზე ე. კავკასიძის ხელმძღვანელობით, სადაც I და II თანრიგის სპორტსმენები იღებდნენ მონაწილეობას.

1959 წელს ჩატარდა „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს, პირველი ტურისტული შეკრება-შეჯიბრება, წიწამურის მიდამოებში.

ამ შეკრებაზე თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებლის ტურისტული ჯგუფები მონაწილეობდნენ. იგი ტრადიციული გახდა და მომდევნო წლებშიც ტარდებოდა. აღნიშნულ შეჯიბრებაზე გამარჯვებული გამოვიდა საქართველოს სახ. ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ტურისტთა ჯგუფი. ასეთივე შეკრება-შეჯიბრებებს ატარებდნენ ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „განთიადი“, „სპარტაკი“ და „შრომითი რეზერვები“. იგი ყოველ წელს სხვადასხვა ადგილებზე ტარდებოდა და მონაწილეთა რაოდენობაც საგრძნობლად იზრდებოდა.

ამ წლისათვის გეგმიანი ტურისტული მარშრუტები, რესპუბლიკის ტურბაზებზე საგზურებით ჩამოსულ პირთათვის, „სსრკ ტურისტის“ ნიშანზე მომზადების მიზნით, საგრძნობლად იყო გაზრდილი. ბევრი მათგანი, კავკასიონის მთავარ ქედზე მდებარე, მუდმივთოვლიან უღელტეხილებზე გადმოდის და საქართველოს მთიან რაიონებს — ჩრდილო მხარეზე მდებარე ტურბაზებთან აკავშირებს. მაგ., აფხაზეთში, ერთი მარშრუტი მარუხის უღელტეხილზე გადმოდიოდა, მეორე კი ქლუხორზე და სოხუმში მთავრდებოდა. მესტიის რაიონში — დონღუზ-ორუნის (ნაკრის), ბეჩოს, მესტიისა და ტვიბერის უღელტეხილებზე. იქაური საექსკურსიო ღირსშესანიშნაობათა გაცნობის შემდეგ ტურისტები ზუგდიდისა და სოხუმ-ბათუმის მიმართულებით მიემგზავრებოდნენ.

1961 წელს რესპუბლიკის მასშტაბით ერთი სსრკ სპორტის ოსტატი მომზადდა, სახელდობრ: ა. წიქრიძე ქ. სოხუმიდან, ხოლო 1962 წელს — გ. ყალაბეგიშვილი ქ. ქუთაისიდან.

ამავე წელს სანაოსნო ტურიზმში საკავშირო მარშრუტების დადგენა-დამტკიცებისათვის, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოს ხაზით, ჩატარდა ორი საბაიდარო ლაშქრობა. პირველი მდ. მტკვარზე. — ბორჯომიდან — მინგეჩაურამდე. მეორე კი მდ. ალაზანზე — შაქრიანიდან — მინგეჩაურამდე. ამ ლაშქრობებში 8 კაცი იღებდა მონაწილეობას, რომელსაც ი. სულიაშვილი ხელმძღვანელობდა.

ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „განთიადის“ ხაზით, მთელი რიგი წარმოებების ძირეული სექციები, სხვადასხვა სახის ტურისტულ ლაშქრობებს ატარებენ.

ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „სპარტაკი“ ატარებს თავისი საზოგადოების ძირეულ კოლექტივების ტურისტული სექციების მორიგ შეკრება-შეჯიბრებას. სემინარებზე ამზადებს ტურიზმის საზოგადოებრივ ორგანიზატორთა კადრებს.

1962 წლის მაისის თვეში შეიქმნა თბილისის ტურისტთა კლუბი.

აირჩიეს კლუბის გამგეობა, რომლის თავმჯდომარეთ დაინიშნა ა. მაკალათია.

თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ტურისტული სექციები ტრადიციულად, ყოველ გამოსასვლელ დღეს, ღამის თევით ანხორციელებდნენ სხვადასხვა ლაშქრობებს.

თბილისის სამხატვრო აკადემიის ტურისტული სექციაც არ ღალატობდა თავის ტრადიციებს და ლ. გაჩავასა და ა. აბრამიშვილის ხელმძღვანელობით გეგმავდნენ სტუდენტთა ტურისტულ ლაშქრობებს.

იგეგმება და ტარდება II და III კატეგორიის ქვეითი და სათხილამურო ლაშქრობები გ. თომაევის, ე. კავკასიძისა და სხვათა ხელმძღვანელობით.

1962 წლის 20 ივლისიდან საქართველოში შეიქმნა (ნაცვლად ტურიზმისა და ექსკურსიების სამართველოსი) ტურიზმის რესპუბლიკური საბჭო, რომელიც შემდგომში ტურიზმის განვითარებას ხელმძღვანელობს საქართველოში.

1963 წელს დამტკიცებულ იქნა საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიერ ახალი საკლასიფიკაციო სათანრიგო მოთხოვნები ტურიზმში. იგი ძველ მოთხოვნებთან შედარებით თავისი ფორმითა და შინაარსით ბევრად განსხვავებული და თავისებური იყო, რამაც განაპირობა და ხელი შეუწყო მის შეცვლას მოკლე დროში.

ახალი მოთხოვნების მიხედვით მარშრუტების სირთულეთა მაჩვენებლები 3 კატეგორიის ნაცვლად 5 კატეგორიამდე გაიზარდა: I, II, III, IV და V კატეგორია. აქედან გამომდინარე საერთო გასავლელი მანძილი და მათ შორის ბუნებრივ დაბრკოლებათა დაძლევის კილომეტრაჟი შეიცვალა და მათი ჩათვლა „ქულობრივი სისტემით“ წარიმართა.

დამტკიცებული იქნა ახალი სახე — ავტო-მოტო და მოტორიანი ველოსიპედით მოგზაურობები. ველო ტურიზმის ლაშქრობები I და II კატეგორიის ნაცვლად ხუთ კატეგორიამდე გაიზარდა. ასევე დამტკიცებული იქნა საწყლო ტურიზმში ძრავიანი ნავებით მოგზაურობები, მათი სახეების, მოცულობისა და ძარღვების ტიპების და სიმძლავრის გათვალისწინებით.

თანრიგების მიხედვით შემოღებული იქნა „სსრკ ტურისტის ოსტატი“-ს (ქალებისა და კაცებისათვის) და შესაბამისად ამისა „სსრკ ტურისტის“ I, II და III ხარისხის წოდება.

საერთო მოგზაურობათა რაოდენობა „სსრკ ტურისტის ოსტატი“-ს ნორმების შესრულებისათვის საჭირო იყო: მამაკაცებისათვის — 10, ქალებისათვის 9 ლაშქრობა. „სსრკ ტურისტის“, პირველ ხარისხის მოპოვებისათვის 7 ლაშქრობა, II ხარისხისათვის — 3, ხოლო III-ე ხარისხისათვის ერთი ლაშქრობა. გარდა ამისა, ყველა წოდებათა ხა-

რისხებისთვის და მათ შორის „სსრკ ტურისტის ოსტატის“ ნორმების შესრულებისთვის აუცილებელი იყო I, II, III, IV და V-ე კატეგორიის მოგზაურობებში თანაბარი მონაწილეობა, როგორც ხელმძღვანელად, ასევე მონაწილედ, აგრეთვე დასვენების დღის ლაშქრობების ხელმძღვანელობა. წლის განმავლობაში ჩასათვლელი მოგზაურობათა რაოდენობა (გარდა დასვენების დღის ლაშქრობებისა), დასაშვები იყო მხოლოდ ორი. ისიც აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო „სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოქმედ ტურისტულ მოგზაურობათა ორგანიზაციის წესების შესაბამისად“.

ახალი სათანრიგო მოთხოვნების მიხედვით, რესპუბლიკის ტურისტული ორგანიზაციები, ნებაყოფლობითი სპორტულ საზოგადოებათა და წარმოება-დაწესებულებათა ძირეული ტურისტული სექციები კვლავინდებურად წარმართავენ მუშაობას და ზაფხულისათვის მთელ რიგ ღონისძიებებს სახავენ.

წლის განმავლობაში, ჩვენი ტურისტები, სხვადასხვა მიმართულებით ლაშქრავენ საქართველოს მთელ რიგ რაიონებს და ამით იმაღლებენ თავიანთ გამოცდილებას.

გზა ავტო-მოტო მოყვარულებსაც გაეხსნათ, ისინი ავტო-მოტო კლუბებისა და „დოსააფი“-ს ხაზით მრავალ ღონისძიებას ატარებენ. რიგი მათგანი 2 — 3 მანქანით, ოჯახის წევრებთან ერთად სხვადასხვა სახის მოგზაურობებს ახორციელებს, რითაც ეცნობიან ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს.

ამავე წლის გაზაფხულისათვის, საკავშირო მასშტაბით, ცალკე ბროშურად გამოქვეყნდა ახალი სათანრიგო-საკლასიფიკაციო მოთხოვნები და ამასთან ერთად სსრკ ტერიტორიაზე ტურისტულ მოგზაურობათა ორგანიზაციის წესები და ტურისტული სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისიის დებულება. აღნიშნულმა სახელმძღვანელო მასალამ ნათელი მოჰფინა ღონისძიებების ჩატარების ორგანიზაციას და ხელი შეუწყო სხვადასხვა სახის ტურისტულ მოგზაურობათა ჩატარებას ჩვენს რესპუბლიკაში.

ზაფხულის პერიოდში, სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებთან ერთად, დიმიტროვის ქარხნის ტურისტული სექცია ზ. მიქაძისა და ე. ჟვანიას ხელმძღვანელობით (6 კაცის მონაწილეობით) ატარებს II კატეგორიის ტურისტულ ლაშქრობას მარშრუტით: ჯავა-როკის გადასასვლელი-წეა-ზარომაგი-მამისონის გადასასვლელი-ონი-ქუთაისი, რითაც ამზადებენ II და III თანრიგის სპორტსმენებს და იმაღლებენ მოგზაურობის გამოცდილებას.

მსგავს მოგზაურობებსა და ტურისტულ მასობრივ ღონისძიებებს ატარებენ რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქები და რაიონული ცენტრები.

1963 წლის პროფესიონალური კავშირების საკავშირო XIII ყრილობამ მოუწოდა ყველა პროფესიონალურ კავშირებს, სპორტულ საზოგადოებებსა და ტურისტულ საბჭოებს — უფრო მეტად აამაღლონ და განავითარონ ფიზიკური კულტურა და სპორტი, მათ შორის ტურიზმიც მშრომელთა ფართო მასებში და განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. ამ მოწოდებას მთელი რიგი ორგანიზაციები გამოეხმაურნენ და უფრო ქმედითად წარმართეს მუშაობა ტურიზმის განვითარებისათვის.

მომდევნო 1964 წელს პროფესიონალური კავშირების საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმმა დამტკიცა წარმოება-დაწესებულებებთან შესაქმნელი სპორტული კლუბის დებულება, რომელიც სპორტული მუშაობის ფართო პერსპექტივებს ისახავდა. დიდ წარმოებებთან და დაწესებულებებთან შექმნილი სპორტული კლუბები ფართოდ იყენებენ კულტ-მასობრივი და სპორტული მუშაობის მრავალნაირ ფორმებს და ქალაქგარეთ მასობრივი გასვლებით, ექსკურსიებითა და ლაშქრობებით ანვითარებენ ტურიზმს.

ამ წელს რესპუბლიკის მასშტაბით რამდენიმე ღირსშესანიშნავი ღონისძიება ჩატარდა. ერთ-ერთი მათგანი მრავალდღიანი მოტო-ლაშქრობა თბილისი-მოსკოვი-თბილისი (ვ. ნავროზაშვილის ხელმძღვანელობით), მიეძღვნა I ინტერნაციონალის 100 წლისთავს. ამ ლაშქრობაში 6 კაცი მონაწილეობდა, რომლებმაც ქ. მოსკოვში გაიარეს მოსამზადებელი სემინარი და მიენიჭათ მოტო-ინსტრუქტორის წოდება.

გარდა ამისა, აღნიშნულ წელს, კიდევ მრავალი ღონისძიებები ჩატარდა სპორტულ თანრიგების ამაღლებისა და დაოსტატების მიზნით.

მთელი რიგი წარმოება-დაწესებულებები და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები თავიანთ წარმოებებში თუ ორგანიზაციებში გეგმავენ და ატარებენ მასობრივ, ტურისტულ გასვლებსა და შეკრება-შეჯიბრებებს.

ამავე წელს, საკავშირო მასშტაბით, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტებში და მათ შორის საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, სასწავლო გეგმითა და პროგრამით შემოღებულ იქნა ტურიზმის სწავლება 50 საათიანი პროგრამით, სადაც II კურსის სტუდენტთათვის თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების შემდეგ ტარდება 3-დღიანი ტურისტული ლაშქრობა.

1964 წლიდან, კვლავ გამოცოცხლდა მუშაობა ტურიზმის ხაზით, საბჭოთა არმიაში. ოფიცერთა სახლებთან შეიქმნა ტურიზმის განყოფილებები, რომლებსაც დაევალათ ტურიზმზე ხელმძღვანელობა და მისი განვითარება სამხედრო ნაწილებში.

1965 წელს კვლავ დამტკიცდა ახალი საკლასიფიკაციო-სათანრიგო მოთხოვნები, რომლებმაც თავის მხრივ სათანადო ცვლილებები განი-

ცადეს. მარშრუტების სირთულეთა დაყოფა ხუთ კატეგორიად და ტურიზმის ყველა ექვსივე სახე კვლავინდებურად ძალაში დარჩა. შეცვლილი იქნა დასახელებული „სსრკ ტურიზმის ოსტატი“ და „სსრკ ტურისტის“ I, II და III ხარისხი — სსრკ სპორტის ოსტატის სახელწოდებით, და შესაბამისად, I, II და III თანრიგი. დამტკიცებული იქნა მოზარდთა I, II და III თანრიგი და სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდება — შესაბამისი მოთხოვნებით.

ახალი სათანრიგო ნორმატივების შესაბამისად, სპორტის ოსტატის წოდების მიღებისათვის, მამაკაც სპორტსმენს უნდა ჩაეტარებინა თერთმეტი მოგზაურობა — აქედან 5 მონაწილედ და 6 ხელმძღვანელად, ქალებს კი ათი მოგზაურობა თანაბარი დაყოფით (5 მონაწილედ, 5 ხელმძღვანელად). სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდების მიღებისათვის — კაცებს 9 მოგზაურობა (აქედან 5 მონაწილედ, 4 ხელმძღვანელად), ქალებს კი 8, (4 მონაწილედ, 4 ხელმძღვანელად). I თანრიგზე შემცირდა ერთი მეოთხე კატეგორიის ლაშქრობა, ხოლო II და III თანრიგები იგივე სახით დარჩა. გაიზარდა მოთხოვნები და სავალდებულო რაოდენობა დასვენების დღის ლაშქრობების ჩატარებისა — სსრკ სპორტის ოსტატობისათვის — 25 ლაშქრობა, სპორტის ოსტატობის კანდიდატისათვის 20 ლაშქრობა, I თანრიგისათვის — 15, II თანრიგისათვის — 5 და III თანრიგისათვის კი მონაწილეობა დასვენების დღის 15 ლაშქრობაში. მოზარდთა I თანრიგის შესრულებისათვის სამ I კატეგორიის ლაშქრობაში მონაწილეობის გარდა, აუცილებელი შეიქმნა დასვენების დღის 10 მოგზაურობაში მონაწილეობა, ასევე II თანრიგზე ერთი I კატეგორიის ლაშქრობის გარდა დასვენების დღის 10 მოგზაურობაში მონაწილეობა, ხოლო III თანრიგის შესრულებისათვის საკმარისი შეიქნა დასვენების დღის 10 ლაშქრობაში მონაწილეობა.

შესაბამისად ცვლილებები განიცადა მოგზაურობათა სიძნელის კატეგორიის მაჩვენებლებმა ლაშქრობის დღეთა ხანგრძლივობისა და საერთო გასავლელ მანძილის რაოდენობის მხრივ.

ახალი საკლასიფიკაციო მოთხოვნები შედარებით სრულყოფილი და დახვეწილი სახით წარმოგვიდგა, რამაც ტურიზმის ხაზით მომეცადინე სპორტსმენებს საშუალება მისცა აემაღლებინათ თავიანთი სპორტული დონე I თანრიგის ჩათვლით. რაც შეეხება სპორტის ოსტატისა და ოსტატობის კანდიდატის ნორმების შესრულებისათვის განკუთვნილ მოთხოვნებს, იგი შედარებით გართულდა.

მომდევნო წლებში ტურიზმი კიდევ მეტად მასობრივი გახდა. წარმოება-დაწესებულებათა ძირეული ტურისტული სექციები რიგ ლაშქრობა-მოგზაურობებს ატარებენ. ასევე ხალხმრავალი გახდა დასვენების დღის ლაშქრობები და ექსკურსიები, რასაც ხელი შეუწყო მშრო-

მელი მასებისათვის ორდღიანი დასვენების დღის შემოღებამ. ყველა ისწრაფვის ერთი ან ორი ღამისთევით გასვლას ჩვენი ქვეყნის ბუნების წალკოტში, მოგზაურობისა და ღირსშესანიშნაობათა გაცნობა-შესწავლისათვის. გაიზარდა მოთხოვნები ტურისტულ საჭურველზე და მთელ რიგ საკონსულტაციო საუბრებზე ღირსშესანიშნავ ადგილების შერჩევისათვის. ქ. თბილისისა და რესპუბლიკის ქალაქების ტურისტული კლუბები სულ უფრო და უფრო მეტი აღმავლობით ეხმარებიან სათანადო კონსულტაციებითა და საჭურველით ტურისტულ მოგზაურობებით დაინტერესებულ მშრომელ მასებს.

ტურისტულ კლუბებს არც საექსკურსიო ბიუროები ჩამორჩება, რომლებიც ძლივს ართმევენ თავს წარმოება-დაწესებულებათა ტურისტული სექციების მზარდ მოთხოვნილებებს — ექსკურსიის მძღოლებითა და ავტომანქანებით უზრუნველყოფისათვის.

მეტი აღმავლობით წარიმართა მუშაობა რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, სადაც დასვენების დღის ლაშქრობების გარდა ატარებენ სხვადასხვა სირთულის მრავალდღიან მოგზაურობებს ტურიზმის თითქმის ყველა სახეში.

მრავალფეროვნად გაიშალა მოსწავლეთა შორის ტურისტული მუშაობა, რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში (თბილისი, სოხუმი, ბათუმი, ცხინვალი, ქუთაისი, ფოთი, ზუგდიდი, მცხეთა, გორი, ბორჯომი, თელავი, ჭიათურა და სხვა ქალაქებში) განათლების განყოფილებებთან არსებული ბავშვთა ტურისტული ბაზები, ბავშვთა რესპუბლიკური ცენტრალური ტურისტული სადგურის ხელმძღვანელობით, ზაფხულის განმავლობაში ატარებენ მთელ რიგ ტურისტულ შეკრება-შეჯიბრებებს და მრავალდღიან ლაშქრობა-მოგზაურობებს, რის საფუძველზეც ამზადებენ ტურიზმის ნიშნოსნებსა და მოზარდ თანრიგოსნებს.

რესპუბლიკის საშუალო სკოლებში ფართოდ ტარდება ტურისტული ღონისძიებები და ლაშქრობები ნიშანზე მომზადებისათვის და, რაც მთავარია, „იმშთ“ და „მშთ“ კომპლექსში ნორმებით გათვალისწინებული ერთდღიანი და ორდღიანი (ღამისთევით) ტურისტული ლაშქრობები, რაც ხელს უწყობს ტურიზმის ფართო დანერგვას მოსწავლე ახალგაზრდობაში.

მოსწავლეთა შორის მუშაობას, თავის მხრივ ხელმძღვანელობენ და ახორციელებენ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებთან არსებული ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტები, რომლებიც ფართოდ ატარებენ დასვენების დღის ლაშქრობებს, სარაიონო და საქალაქო შეჯიბრებებს ტურისტულ მრავალჭიდში და ზაფხულის განმავლობაში მრავალდღიან მოგზაურობებს.

ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ხაზით ყოველ

წელს ტარდება „განთიადის“, „სპარტაკის“, „ბურევესტნიკისა“ და „შრომითი რეზერვების“ საქალაქო და რესპუბლიკური ტურისტული შეკრება-მოფრენები და შეჯიბრებები ტურისტულ მრავალჭიდში. გარდა ამისა, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები თავის მხრივ, ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების მიზნით, სისტემატურად ატარებენ სხვადასხვა ხასიათის ტურისტულ გასვლებს, შეკრებებსა და შეჯიბრებებს.

საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი, სპორტულ ღონისძიებათა კალენდარის შესაბამისად, 1953 წლიდან 1960 წლამდე ყოველწლიურად ატარებდა რესპუბლიკურ შეკრება-შეჯიბრებებს ტურისტულ მრავალჭიდში და მრავალდღიან ლაშქრობებს ტურიზმის სახეების მიხედვით.

ქ. თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, თავის მხრივ, საქალაქო სპორტული კალენდარის შესაბამისად, 1955 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად ატარებდა სხვადასხვა შეჯიბრებებს ტურისტულ მრავალჭიდში, და ამზადებდა სათანადო კადრებს ამ მიმართულებით.

საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო, კადრების მომზადებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით, ყოველწლიურად ატარებს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ტურიზმის ინსტრუქტორთა მოსამზადებელ შეკრება-სემინარებს, რომელთა მონაწილენი შემდგომში ტურისტულ ბაზებში მუშაობით ხელმძღვანელობენ გეგმიან ტურისტულ ლაშქრობებს.

ტურისტთა შეკრება-სემინარებს, თავის მხრივ, ყოველწლიურად ატარებენ რესპუბლიკური საოლქო და საქალაქო ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოები თავიანთი საქალაქო ტურისტული კლუბების ბაზაზე, რის საფუძველზეც მზადდება და დღითიდღე მატულობს ტურისტულ ორგანიზატორთა, ინსტრუქტორთა და ექსკურსიების მძღოლთა კადრები. ისინი, თავის მხრივ, ადგილებზე, მუშაობის პროცესში, მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ ტურიზმით დაინტერესებულ პირებს და ამით ხელს უწყობენ ახალი კადრების ჩაბმას ტურიზმში.

1966 წელს ახალი სათანრიგო მოთხოვნების შესაბამისად მომზადდა ტურიზმში ერთი სპორტის ოსტატი (ვლადიმერ ნავროზაშვილი), 5 ოსტატობის კანდიდატი და მრავალი თანრიგოსანი სპორტსმენი.

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის, „დოსაააფისა“ და ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თაოსნობით 1966 წლიდან, ყოველწლიურად ეწყობა ახალგაზრდობის რესპუბლიკური შეკრება, საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრო-

მითი დიდების ადგილებში. ამ შეკრებებზე მამათა საბრძოლო და შრომითი დიდების გზების დათვალიერების გარდა, ტარდება გასამხედროებული შეჯიბრებები ტურისტულ მრავალჭიდში. ამის შემდეგ გამარჯვებული გუნდი გაძლიერებული შემადგენლობით საკავშირო შეკრება-შეჯიბრებებში იღებს მონაწილეობას.

ტურიზმის განვითარებისა და მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას სპორტის ამ შესანიშნავ სახეში, ხელი შეუწყო ორდღიან დასვენების სამუშაო კვირაზე გადასვლამ, რის საფუძველზეც რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში მუშა-მოსამსახურეები მასობრივად გადიან ქალაქგარეთ და ღირსშესანიშნავ ადგილებზე მოგზაურობითა და დასვენებით ატარებენ გამოსასვლელ დღეებს.

1967 წელს საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტისა და ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თაოსნობით 9 მაისს მოეწყო გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი მასობრივი ტურისტული ზეიმი — შეჯიბრება მდ. იორის ხეობაში, ბოჭორმის ახლოს, სადაც ქ. თბილისის 1000-ზე მეტმა მოსწავლემ და მშრომელმა მიიღეს მონაწილეობა. შეჯიბრება ჩატარდა ტურისტულ მრავალჭიდში, კარვების დადგმითა და ცეცხლზე წყლის ადუღებით, ასევე კლდეზე ცოცვაში, მდინარეზე ბაიდარებით დაბრკოლებათა დაძლევაში და მოტო-ტურისტთა შეჯიბრებაში. ხალხმრავალი ზეიმი-შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩატარდა. მისი მონაწილეები მეორე დღეს, ბოჭორმისა და უჯარმის ისტორიული ძეგლების დათვალიერების შემდეგ, დიდი შთაბეჭდილებებით დაუბრუნდნენ მშობლიურ ქალაქს.

1967 წელს ქ. თბილისის ა. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტთან გაიხსნა ტურიზმის მეთოდისტთა მოსამზადებელი სპეციალური ჯგუფი. ამ ჯგუფში მიღებული იქნა სტუდენტთა სათანადო კონტინგენტი. აღნიშნული ჯგუფის გამოშვება 1972 წელს მოხდა და რესპუბლიკამ მიიღო ტურიზმის კვალიფიციური მეთოდისტები. ამ წელს მოეწყო ტურისტული კლუბების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური სემინარი ქ. გეგეჭკორში, სადაც 50 კაცი მონაწილეობდა.

მომდევნო 1968 წელს ჩატარდა ტურისტთა კლუბებისა და სექციების მიერ ადგილებზე შემუშავებული და გავლილი მრავალი ახალი დასვენების დღისა და მრავალდღიანი მარშრუტები, ტურიზმის სახეების მიხედვით.

დამტკიცებული იქნა ოპერატიული ტურიზმის მთელი რიგი მარშრუტები და ახალი მიმართულებებით დაიძრნენ საგზურებიანი ტურისტები.

1967-68 წლის განმავლობაში გაიხსნა და მწყობრში ჩადგა ახალი სტაციონარული ტურისტული ბაზები: ბაკურიანში, თელავში, ახალ

ათონში და მწვანე კონცხზე. ტერიტორიალური ნიშნის მიხედვით ადგილობრივი მოსახლეობისათვის გამაჯანსაღებელი ბაზა-ბანაკები გაიხსნა შავი ზღვის სანაპიროზე ჩაქვსა და ოჩამჩირეში. ასევე ზემო ქართლსა და მთიულეთში, ბორჯომთან ახლოს სოფ. ტბაზე, ჩარგალში და ბაზალეთის ტბაზე.

ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს მიერ შემოღებულ იქნა შავ ზღვაზე გემით ტურისტული მოგზაურობა ჩვენი ქვეყნის საბრძოლო დიდების ქალაქების სევასტოპოლის, ოდესისა და სხვათა გაცნობა-დათვალიერებითა და მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში (ბულგარეთ-რუმინეთში).

1968 წლის ოქტომბრის თვეში, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თაოსნობით მოეწყო შოთა რუსთაველის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი დიდი ტურისტული, მასობრივი ზეიმი-შეჯიბრება ტურიზმის ყველა სახეში. ამ შეკრება-მოფრენში, რომელიც მცხეთაში ჯვრის მიდამოებში ჩატარდა, ქ. თბილისის წარმოება-დაწესებულებათა, საშუალო სკოლებისა და უმაღლეს სასწავლებელთა ტურისტები იღებდნენ მონაწილეობას, რომელთა რიცხვმა ათას კაცს გადააჭარბა. შეჯიბრებაში სახეებისადა მიხედვით გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებითა და დიპლომებით.

აღნიშნულ წელს ტურისტულ მოგზაურობასა და ექსკურსიებში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა კაცმა, ხოლო რესპუბლიკის ტურისტულმა ბაზებმა მომსახურება გაუწიეს 260 ათას კაცს.

1968 წელს ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქში შეიქმნა ტურიზმის საოლქო განყოფილება, რომელიც ხელმძღვანელობს ტურიზმის განვითარებას სამხედრო ნაწილებში. აღნიშნული განყოფილება მჭიდრო კონტაქტშია საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოსთან.

გარნიზონის ოფიცერთა სახლებთან და სამხედრო სასწავლო დაწესებულებებთან ყალიბდება ტურისტული კლუბები, ხოლო სამხედრო ნაწილებში და დაწესებულებებში კი ტურისტული სექციები, რომლებიც სხვადასხვა ხასიათისა და სირთულის ლაშქრობებს ატარებენ.

ჩვენს რესპუბლიკაში ტურისტული მოძრაობის აღმავლობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ზემდგომი ორგანოების დადგენილებას „რესპუბლიკაში ტურიზმისა და ექსკურსიების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ", სადაც დასახულია ტურიზმის განვითარების კონკრეტული გზები, რითაც ტურიზმი მასობრივად განვითარდა.

1969 წელს ძალაში შევიდა 1969-72 წლებზე გათვალისწინებული ახალი საკლასიფიკაციო მოთხოვნები ტურიზმში. ახალმა სათანრიგო

მოთხოვნებმა, ვიდრე დამტკიცდებოდა და ტურიზმის მოყვარულთათვის საქვეყნოდ გაშუქდებოდა, ყოველმხრივი შესწავლა და გაცხრილვა გაიარა. მისი პროექტი სახეების მიხედვით იხილებოდა და მუშავდებოდა სექციებში და შემდეგ კი ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალურ საბჭოს კომისიებში.

ცხოვრების გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ადრე შემუშავებულმა მოთხოვნებმა ძირითადად გაამართლეს თავისი დანიშნულება, რის გამოც ახალმა კლასიფიკაციამ მცირედი ცვლილებები განიცადა. ეს კი ძირითადად გამოიწვია იმან, რომ ამა თუ იმ ლაშქრობის ჩატარების დროს დაცული ყოფილიყო ტურისტთა უშიშროება, და შერჩეული მარშრუტები ზედმიწევნით, ყოველმხრივ იქნენ დამუშავებულნი.

I — II — III კატეგორიის სირთულის ლაშქრობების ჩატარება კალენდარული წლის განმავლობაში განუსაზღვრელი გახდა, ხოლო IV და V კატეგორიის მარშრუტებზე მოგზაურობა კი ძველებურად ორი მოგზაურობით განისაზღვრა. სათანრიგო მოთხოვნილებიდან ამოღებული იქნა მოტორიანი ველოსიპედით მოგზაურობათა მოთხოვნები, რომელმაც არ გაამართლა თავისი დანიშნულება. დამატებით შეტანილი იქნა სამთო-სათხილამურო ლაშქრობები სათანადო მოთხოვნებით. კვლავინდებურად დარჩა დახელოვნების პრინციპი მოგზაურობათა უმაღლეს კატეგორიებზე ტურიზმის სახეების მიხედვით. დასაშვები გახდა ერთი ქვეითი IV კატეგორიის შეცვლა სამთო მოგზაურობით, და ლაშქრობათა ხელმძღვანელობა შესაბამისად I — II — III სირთულის მოგზაურობებისა, მონაწილეობით II — IV და V კატეგორიის ლაშქრობებში.

თავის მხრივ ცვლილებები განიცადა თანრიგების დადასტურებამაც. ახალი საკლასიფიკაციო სათანრიგო მოთხოვნების შესაბამისად კიდევ უფრო განვითარდა ტურიზმი მასობრივად. ამ გარემოებას ხელი შეუწყო უდიდესმა საერთაშორისო სადღესასწაულო განწყობილებამ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლის იუბილესათვის მზადებამ. ამ თარიღს მიუძღვნეს და ჩაატარეს მრავალდღიანი ლაშქრობა-მოგზაურობები რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში.

მზარდი აღმავლობით ვითარდება ტურიზმი საქართველოს ყველა რაიონსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში. აჭარის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკაში გახსნილია 6 ტურისტული კლუბი (ბათუმის, ბათუმის რაიონის, ქედის, ქობულეთის, შუახევისა და ხულოს რაიონებში), რომლებიც ტურიზმის 170 ძირეულ სექციას აერთიანებენ. 1968-69 წლის განმავლობაში ერთ-ორ და მრავალდღიან ლაშქრობებში მონაწილეობა მიიღო 7.000 კაცმა. რესპუბლიკის ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოსთან შექმნილია: ქვეითი, სათხილამურო, საწყლო, ველო და ავტო-მოტო სექციები; სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კო-

მისია; საკონტროლო-სამაშველო სამსახურის რაზმი, საჭურველ-კაზმულობის და ინვენტარის გამქირავებელი პუნქტი. 1969 წელს მომზადდა საზოგადოებრივი ტურისტული კადრები 50 კაცის რაოდენობით. ხოლო, ამავე წელს მრავალდღიან ლაშქრობებში მონაწილეობა მიიღო 600 კაცმა, ჩატარდა რამდენიმე შეჯიბრება ტურისტულ მრავალჭიდში, სადაც მონაწილეობდა 680 კაცი.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო თარიღს აჭარის ასსრ ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მშრომელთა ფართო მასებისთვის მოაწყო მრავალი ტურისტული გასვლა, ლაშქრობები და შეკრება-შეჯიბრებები, სადაც მონაწილეობდა რამდენიმე ათასი კაცი.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში შექმნილია ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობს ტურიზმის განვითარებას. რესპუბლიკაში ჩამოყალიბებულია 7 ტურისტული კლუბი (სოხუმის, გაგრის, ტყვარჩელის, ოჩამჩირის, გალის, გულრიფშისა და გუდაუთის), რომლებთანაც შექმნილია 486 ძირეული ტურისტული სექცია.

1969 წლის მანძილზე მომზადდა „სსრკ ტურისტის" ნიშანზე 5000 კაცი, სხვადასხვა თანრიგზე კი 600 კაცი. მომზადებულია 95 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და ორგანიზატორი — ტურიზმში. დასვენების დღის ტურიზმში მონაწილეობა მიიღო 15.000 კაცმა, ხოლო მრავალდღიან ლაშქრობებში 5.000 კაცმა. ჩატარდა 18 შეკრება-შეჯიბრება, სადაც მონაწილეობდა 2200 კაცი. ტურისტულ კლუბებთან შექმნილია სექციები, ტურიზმის სახეების მიხედვით, ასევე შექმნილია სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისია, საზოგადოებრივი კადრების მოსამზადებელი და გადასამზადებელი კომისია, შეკრება-შეჯიბრებების კომისია, სააგიტაციო-მასობრივი კომისია, მაშველი სამსახურის ჯგუფები, სპელეოტურიზმის სექცია, საჭურველ-კაზმულობის გამქირავებელი პუნქტები და სხვა.

ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლის იუბილესათვის მზადების წლებში 1969 წლის მანძილზე ჩატარდა სხვადასხვა სირთულის 750 ლაშქრობა — რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების გზებით, სადაც მონაწილეობა მიიღო 20.000 კაცმა.

მშრომელთა და მოსწავლეთა ლაშქრობები ჩატარდა საბჭოთა არმიის საბრძოლო ადგილებზე, კავკასიონის მთავარი ქედის, ქლუხორის, სანჭარის, მარუხისა და სხვა უღელტეხილებზე, სადაც მონაწილეობდა 1.500 კაცი.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში შექმნილია ტურიზმისა და

ექსკურსიების საოლქო საბჭო, რომელიც 1970 წლამდე საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდა. ამჟამად დამტკიცებულია საშტატო ერთეული. ოლქში, რაიონებისდამიხედვით ჩამოყალიბებულია 3 ტურისტული კლუბი — ცხინვალის, რომელიც 1964 წელს შეიქმნა, და ჯავისა და ზნაურის კლუბები, რომლებიც 1968 წელს ჩამოყალიბდა. სამხრეთ ოსეთის ოლქში და მის დაქვემდებარებულ რაიონებში ძირითადად საექსკურსიო მუშაობა მიმდინარეობს. აქ, ტურისტული ბაზები ამჟამად შენდება, რის გამოც გეგმიანი მარშრუტების ქსელი თანდათანობით მუშავდება.

ქ. ცხინვალის ტურისტულმა კლუბმა ჩაატარა დასვენების დღისა და მრავალდღიანი 15 ლაშქრობა, სადაც საერთო ჯამში მონაწილეობა მიიღო 1.000 კაცმა. მომზადდა 15 „სსრკ ტურისტის“ ნიშნოსანი და ამდენივე ინსტრუქტორი. კლუბთან არსებობენ ტურისტული სექციები, რომლებიც მასობრივ საექსკურსიო მუშაობას ატარებენ.

ზნაურის ტურისტული კლუბი 1968 წელს ჩამოყალიბდა, მისი დახმარებით რაიონში შექმნილია 25 ძირეული ტურისტული სექცია, სადაც გაერთიანებულია 260 კაცი. სექციების მიერ ჩატარებულია დასვენების დღის 55 ლაშქრობა, 24 ექსკურსია და 3 მასობრივი შეკრება — შეჯიბრება ტურისტულ მრავალჭიდში, აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 2.060 კაცმა. რაიონის ტურისტულ კლუბთან შექმნილია ქვეითად მოსიარულეთა სექცია და შეკრება-შეჯიბრებების კომისია.

ქ. ქუთაისის ტურისტული კლუბი „ოქროს ჩარდახი“ 1962 წელს ჩამოყალიბდა, იგი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქალაქისა და რაიონის მშრომელებისათვის. ქალაქისა და რაიონის მასშტაბით ჩამოყალიბებულია 96 ტურისტული სექცია, რომელშიც გაერთიანებულია 11.342 კაცი. კლუბთან შექმნილია და მუშაობს 11 სხვადასხვა სახის კომისია და სექცია ტურიზმის სახეების მიხედვით.

1968—69 წლის განმავლობაში კლუბის თაოსნობით ჩამოყალიბდა 36 ახალი ძირეული ტურისტული სექცია.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონკურსში მონაწილეობის შედეგების მიხედვით, ქუთაისის მასშტაბით მომზადდა „სსრკ ტურისტის“ ნიშნოსანი 876 კაცი, თანრიგოსანი სპორტსმენი — 971 კაცი, ტურიზმის ორგანიზატორი — 89 კაცი, საზოგადოებრივი ინსტრუქტორები და დასვენების დღის ლაშქრობათა ხელმძღვანელები 18 კაცი.

ჩატარებულია მრავალი ტურისტულ-მასობრივი ღონისძიებები და ლაშქრობები: ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილ, ღირსშესანიშნავ ადგილებზე მოეწყო 27 გასვლა, სადაც მონაწილეობდა 1.317 კაცი. დასვე-

ნების დღის ლაშქრობები ჩატარდა 663-ჯერ 15.333 კაცის მონაწილეობით. მრავალდღიანი ლაშქრობები — 221-ჯერ მოეწყო, სადაც მონაწილეობდა 5.320 კაცი. ასევე ჩატარდა 6 ტურისტული შეჯიბრი — 3.900 კაცის მონაწილეობით და სხვა მასობრივი ღონისძიებები 670 კაცის რაოდენობით.

შესწავლილი და დამუშავებულ იქნა დასვენების დღისა და მრავალდღიანი ლაშქრობების მრავალი ახალი მარშრუტი.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა მრავალდღიანი ლაშქრობები ტურიზმის სახეების მიხედვით, წრიული ავტოლაშქრობა ქუთაისი-ორჯონიკიძე-როსტოვი-ვოლგოგრადი-ულიანოვსკი-უაზანი-ლენინგრადი-მოსკოვი-კიევი-ოდესა-სევასტოპოლი-სოჭი-ქუთაისი (ხელმძღვანელი პ. შვანგირაძე), ლაშქრობები ვ. მეგრელიშვილისა და სხვათა ხელმძღვანელობით დევიზით „მამათა გზებით", 392-ე ქართული დივიზიის საბრძოლო გზებით (ხელმძ. უალაბეგიშვილი), მარუხსა და ქლუხორის უღელტეხილებზე (ხელმძღვ. მ. ჩიმაკაძე) და სხვა მრავალი ლაშქრობა-მოგზაურობები.

ქ. თბილისის ტურისტული კლუბი, თავის მხრივ, ნაყოფიერ მუშაობას ეწევა, და თუ რაიმე მასობრივი ღონისძიება ტარდება ქალაქის მასშტაბით, ტურიზმის ხაზით, აქ, რასაკვირველია, დიდი წვლილი ტურისტულ კლუბსაც მიუძღვის და მისი დახმარების გარეშე თითქმის არავითარი ღონისძიება არ ტარდება. კლუბს დიდი კონტაქტი აქვს ძირეულ ტურისტულ სექციებთან და ამავე დროს მის გარშემო ტურისტთა ფართო აქტივი მოქმედებს. 1969 წლის განმავლობაში ქალაქის მასშტაბით შეიქმნა 185 ახალი ძირეული ტურისტული სექცია. თბილისში არსებულ ტურისტულ სექციებთან კლუბმა ჩაატარა 46 შეკრება-მოფრენი და შეჯიბრება ტურისტულ მრავალჭიდში, სადაც მონაწილეობა მიიღო 23.600 კაცმა. წლის განმავლობაში მოამზადდა „სსრკ ტურისტის" ნიშნოსანი 1.880 კაცი, თანრიგოსანი—470 კაცი, ტურიზმის ინსტრუქტორი — 80 კაცი, დასვენების დღის ლაშქრობათა ორგანიზატორი და საზოგადო ინსტრუქტორი — 320 კაცი, ტურიზმის ორგანიზატორები — 170 კაცი.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლის იუბილეს მიეძღვნა 370 სხვადასხვა მარშრუტებით გასვლები, სადაც მონაწილეობა მიიღო 5.820 კაცმა. გავლილი იქნა დასვენების დღის 4.500 მარშრუტი, 95.000 კაცის საერთო მონაწილეობით, ხოლო მრავალდღიანი 85 მარშრუტი — 3.260 კაცის მონაწილეობით. ტურისტულმა კლუბმა მამათა საბრძოლო, რევოლუციური და შრომითი დიდების გზების კიდევ ოთხი მარშრუტი შეიმუშავა, რომელიც ფართოდ გამოიყენეს კომკავშირულმა და ტურისტულმა სექციებმა.

კლუბმა, გაზეთ „ლელოს" რედაქციასთან ერთად, ჩაატარა საუკე-

თესო ტურისტული კედლის გაზეთის გამოსავლინებელი კონკურსი, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

კლუბთან ჩამოყალიბებულია და მუშაობს 12 სხვადასხვა სექცია, სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისია, საზოგადოებრივი კადრების მოსამზადებელი კომისია, ტურიზმის ყველა სახეობის სექციები, საagიტაციო-მასობრივი კომისია, შეკრება-შეჯიბრებების კომისია, საპურველ-კაზმულობის გამქირავებელი პუნქტი და სხვა სექციები.

კლუბის აქტივი ფართოდ აშუქებს მასალებს ტურიზმის მასობრივ განვითარებაზე და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში.

კლუბის შემდგომ მუშაობაში გათვალისწინებულია კიდევ მრავალი საინტერესო და სასარგებლო ღონისძიების ჩატარება — ძირეული ტურისტული სექციების შექმნისათვის. ამავე დროს მყარდება კავშირი პროფკავშირულ, კომკავშირულ და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებთან და ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტთან, სხვადასხვა ღონისძიებებისა და ლაშქრობების მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარებისთვის.

დღეისათვის ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, ასევე ავტონომიურ ოლქსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში შექმნილია საქალაქო და სარაიონო ტურისტული კლუბები, რომლებიც დიდ მუშაობას ეწევიან ტურიზმში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმისათვის. აქტივის დახმარებით ატარებენ დასვენების დღის გასვლებსა და მრავალდღიან ლაშქრობებს. ამზადებენ „სსრკ ტურისტის“ ნიშნოსნებს, თანრიგოსნებს, დასვენების დღის ლაშქრობათა ორგანიზატორებსა და ტურიზმის ინსტრუქტორებს.

აღნიშნულმა კლუბებმა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიუძღვნეს მრავალი მასობრივი გასვლა სხვადასხვა ღირსშესანიშნავ ადგილებზე და მრავალდღიანი ლაშქრობები ტურიზმის სახეების მიხედვით (ქვეითი, ველო, საწყლო, სათხილამურო და ავტომოტო).

ყაველაშვილის ხელმძღვანელობით ერთერთმა ტურისტულმა ჯგუფმა 7 კაცის რაოდენობით, მათივე შექმნილი კატამარანით იმოგზაურეს მდ. ვოლგაზე მარშრუტით: იაროსლავლი-კინეშმა-ყაზანი-ულიანოვსკი.

თოიძის სახ. № 11 სამხატვრო-პროფტექნიკური სასწავლებლის ტურისტებმა სპორტის ოსტატობის კანდიდატის კ. გირგიტოვის ხელმძღვანელობით მოაწყეს ველო-ლაშქრობა — თბილისი-ულიანოვსკი. მათ 34 დღეში 2.610 კმ. გაიარეს, სადაც 12 კაცი მონაწილეობდა.

იმავე სასწავლებლის ექვსმა მოსწავლემ კ. გირგიტოვის ხელმძღვანელობით ბაიდარებით დალაშქრა მდ. არაგვი და მტკვარი დაბა

ფასანაურიდან ქ. მინგეჩაურამდე, მისივე სახელწოდების წყალსაცავის გავლით, სადაც 23 დღეში გავლილი იქნა 491 კმ.

ასევე ჩატარდა მრავალდღიანი წრიული მოტო-ლაშქრობა 7.000 კმ. მარშრუტით: თბილისი-სოხუმი-ქერჩი-უმანი-კიევი-როვნო-ლვოვი და უკან: კიევი-როსტოვი-ორჯონიკიძე-თბილისი, რომლის ხელმძღვანელები იყვნენ ვ. ნავროზაშვილი და ე. ტიმჩენკო. ლაშქრობის მონაწილეებმა მოტოტურისტულ მრავალჭიდში მიიღეს მონაწილეობა და მოიპოვეს 4 ოქროსა და 6 ვერცხლის მედალი.

ვ. ნავროზაშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო აგრეთვე მოტოლაშქრობა მარშრუტით: თბილისი-ორჯონიკიძე-პიატიგორსკი-ვოლგოგრადი-კუიბიშევი - ტოლიატი-ვოლგოგრადი-ელისტა-ორჯონიკიძე-თბილისი (მანძილი 5.000 კმ).

1970 წლის ზამთარში, მუკბანიანის ხელმძღვანელობით, ჩატარდა ლენტეხის ტურისტული ჯგუფის სათხილამურო-ქვეითი ლაშქრობა მარშრუტით: ლენტეხი-მესტია-ბეჩოს უღელტეხილი-ნალჩიკი, ხოლო ახალქალაქის მოთხილამურე ტურისტებმა ოვანოგლიანის ხელმძღვანელობით გაიარეს წრიული მარშრუტი ახალქალაქი-ერევნის მიმართულებით. თბილისის სამხატვრო აკადემიის ჯგუფმა ა. აბრამიშვილის ხელმძღვანელობით ბაიდარებით დალაშქრა მდ. ალაზანი, ხოლო თოიძის სახ. № 11 სამხატვრო პროფტექნიკური სასწავლებლის 18 ტურისტმა, კ. გირგიტოვის ხელმძღვანელობით, ველოსიპედებით ილაშქრა ქ. თბილისიდან ვოროშილოვგრადამდე. მათ 2.702 კმ 36 დღეში დაფარეს.

ღირსშესანიშნავ თარიღს კიდევ მრავალი სხვადასხვა ხასიათის ლაშქრობები მიეძღვნა საქართველოს მრავალ მხარეში. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში და რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში.

1969 წლის მაისში საკავშირო პროფსაბჭომ, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა და „დოსაააფის" ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებში სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის საკავშირო დათვალიერებისა, ფიზიკურ და სამხედრო-ტექნიკურ მომზადებაში კომკავშირელთა და ახალგაზრდობის გამოცდის ჩატარების შესახებ. 1969 წლის ივლისში ანალოგიური დადგენილება მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის შესაბამისმა ორგანიზაციებმა. დათვალიერება ჩატარდა სამ ეტაპად და თითოეულ მათგანს თავისი პროგრამა ჰქონდა. პირველი ეტაპი (1969 წ. ივნისი — 1970 წ. აპრილი) ითვალისწინებდა ფართო განმარტებითი

მუშაობის ჩატარებას საკავშირო დათვალიერების მიზნისა და ამოცანის შესახებ, ალკკ ყოველი წევრი, ყველა ჭაბუკისა და ქალიშვილის ჩაბმას სპორტულ სექციებში, სამხედრო-ტექნიკურ და სამოქალაქო თავდაცვით წრეებში, „დოსაფის“ ორგანიზაციებში საზოგადოებრივი მწვრთნელების, მსაჯების, ტურიზმის ინსტრუქტორების, სპორტული და სამხედრო-ტექნიკური წრეების ხელმძღვანელთა, გასამხედროებულ ლაშქრობათა ორგანიზატორების მომზადებას.

მეორე ეტაპი ითვალისწინებდა (1970 წ. მაისი-ივნისი) ჭაბუკებისა და ქალიშვილების გამოცდებს ფიზიკურ და სამხედრო-ტექნიკურ მომზადებაში. სხვადასხვა ნორმატივებით ჩაბარებასთან ერთად გათვალისწინებული იყო ტურისტულ ლაშქრობაში მონაწილეობა და ტურისტული ჩვევებისა და ადგილმდებარეობაზე ორიენტირების ხერხების ცოდნა. გარდა ამისა, სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებათა ცოდნასთან ერთად, ითვალისწინებდა პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის დაუფლებას.

დასკვნითი მესამე ეტაპი (1970 წ. ივლისი-აგვისტო) ითვალისწინებდა რაიონულ და საქალაქო სპორტული შეჯიბრებების, შეკრებების, სპარტაკიადებისა და დღესასწაულების ჩატარებას ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით — რაიონის, ქალაქის, ოლქისა და რესპუბლიკის ისტორიის გათვალისწინებით, ამავე დროს ითვალისწინებდა ნორმატივების ჩაბარებას ჭაბუკებისა და ქალიშვილებისათვის 14-დან 28 წლის ასაკამდე.

აძრიგად, რესპუბლიკის ახალგაზრდობას ყოველმხრივ საშუალება მიეცა ფართოდ ჩაბმულიყო სპორტის რომელიმე სახეში და კერძოდ, ტურიზმშიც.

დღითი-დღე იზრდება და მრავლდება ტურიზმში მომეცადინეთა რაოდენობა, რომლებიც სისტემატურად იმაღლებენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას, იბრძვიან დაოსტატებისათვის.

1970 წელს ქ. სოხუმში გაიხსნა ტურიზმისა და ექსკურსიების საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან არსებული ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია. აღნიშნული ლაბორატორიის ბაზაზე, იმავე წლის მაისის თვეში, შედგა სრულიად საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია სსრ კავშირში ტურიზმისა და ექსკურსიების შემდგომი განვითარების აქტუალურ პრობლემებზე. ლაბორატორია დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ტურიზმის პრობლემების გადაწყვეტისა და მისი განვითარების საკითხებზე.

ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლებთან შექმნილია ტურიზმის განყოფილება, ხოლო სამხედრო ნაწილებში კი ტურისტული სექციები. ჩატარებულია მრავალი I, II, III, IV და V კატეგორიის ტურისტული ლაშქრობები. სამხედრო ოლ-

ქის ტურისტთა ჯგუფების მიერ დაძლეულია კავკასიის ქედის მთელი რიგი მაღალმთიანი უღელტეხილები, სადაც სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ ურდოებს ებრძოდნენ სამშობლოს დამცველები.

1970 წელს სამხედრო ოლქის ტურისტებმა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავსა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შექმნის 50 წელს მიუძღვნეს მეოთხე კატეგორიის სამთო-ტურისტული ლაშქრობა პოდპოლკოვნიკ გ. შუმიაჩერის ხელმძღვანელობით, სადაც 32 კაცი იღებდა მონაწილეობას.

1970 წელს განვლილი მუშაობის შედეგების შეჯამების მიხედვით, ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქის ტურიზმის განყოფილება, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მიერ დაჯილდოებულ იქნა გარდამავალი წითელი დროშით. სამხედრო ოლქში მრავალი თანრიგოსანი ტურისტია და მათ შორის სსრკ სპორტის ოსტატობის კანდიდატებიც.

ტურისტთა მომზადებისა და მომსახურების გეგმა ყოველწლიურად იზრდება, რის მიხედვითაც შენდება და მწყობრში დგება ახალ-ახალი ობიექტები და გეგმიანი მარშრუტები.

გეგმიანი დასვენების მოყვარულთათვის, წელიწადის ყოველ დროს, აქვთ საინტერესო მარშრუტები ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს. 1971—72 წლებში ჩატარდა ორკვირიანი საზღვაო კრუიზები შავ ზღვაზე, თბომავალ „სომხეთით", რუმინეთსა და ბულგარეთში და ბალტიის ზღვაზე, თბომავალ „ესტონეთით" — პოლონეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. თითოეულ გემზე 300-300 ტურისტი ისვენებდა. ახალი შთაბეჭდილებანი, კომფორტი და ზღვის ჰაერი მშრომელთა კულტურული დასვენების ყოველგვარ საშუალებას ქმნის. ამიტომაც ყოველთვის მრავალი მსურველი ჰყავს ზღვაზე ტურისტულ მოგზაურობას. ყოველწლიურად, წელიწადში რამდენჯერმე, კომფორტული საზღვაო ლაინერი რუმინეთისა და ბულგარეთისაკენ იღებს გეზს. კრუიზის მარშრუტია: სოხუმი-იალტა-ოდესა-კონსტანცა-ვარნა-სოხუმი, ვარნიდან ტურისტებისათვის იმართება ორდღიანი ექსკურსია მატარებლით სოფიაში, სადაც ისინი ათვალიერებენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ესტუმრებიან გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმს. ამის გარდა, ბულგარეთში ჩასულნი ეცნობიან მსოფლიოში სახელგანთქმულ კურორტებს: ოქროს ქვიშრობს, მზიურ ნაპირს, ნესებრს, ალბენას, აგრეთვე ბალჩიკის ორიგინალურ არქიტექტურულ ანსამბლს.

ქალაქ კონსტანცის გარდა ტურისტები ათვალიერებენ რუმინეთის კურორტებს: ეფორიას, მამაიასა და მანგალიას.

ასეთივე საინტერესო საზღვაო მარშრუტები გადის შავი ზღვის საანაპირო ქალაქებში სოხუმიდან და ბათუმიდან ყირიმისა და ოდესის.

მიმართულებით, სადაც ტურისტები გზად გაივლიან სოჭს, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ქერჩს, ბერდიანსკის, ფეოდოსიას, სულაკს, იალტას, სევასტოპოლს და სხვა ქალაქებს. შავი ზღვის აუზში მოძრაობენ კომფორტაბელური თბომავლები „გრუზია“, „კოლხიდა“, „მოლდავია“, „უკრაინა“, „ტაჯიკისტანი“, „უზბეკისტანი“, „ივან ფრანკო“ და სხვა.

საინტერესო და მრავალფეროვანი მარშრუტები გადის ჩვენი ქვეყნის მდინარეებზე: ვოლგაზე, დნეპრზე, დონზე, ობზე, ენისეიზე, ლენაზე და სხვა მდინარეებზე. ერთ-ერთი თვალწარმტაცი მოგზაურობა ეწყობა კომფორტაბელურ სამდინარო თბომავლებით მდ. ვოლგაზე, სადაც ტურისტები გაეცნობიან რუსეთის უძველეს ქალაქებსა და მათ ღირსშესანიშნაობებს. მარშრუტი იწყება დონის-როსტოვიდან ილევკას, ვოლგოგრადის, გორკის, ულიანოვსკის, კუიბიშევის, სარატოვის, ჩებოქსარის, ყაზანის გავლით და ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის დათვალიერების შემდეგ ბრუნდება დონის-როსტოვში.

ასეთივე მრავალფეროვანი და საინტერესო მარშრუტები იწყება საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან მატარებლით, ავტობუსებით და საჰაერო ლაინერებით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და რესპუბლიკებში.

1971 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომკავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა მამათა საბრძოლო, რევოლუციური და შრომითი დიდების გზებით კომბინირებული მოგზაურობა ხოფიანი და აფრიანი ნავით ე. წ. „კანჯო“-თი. მასში მონაწილეობას ღებულობდა 8 კაცი ა. ყაველაშვილის ხელმძღვანელობით. მოგზაურობის მარშრუტი იყო: მდ. მტკვარზე — ბაქომდე, კასპიის ზღვით — ასტრახანამდე, მდ. ვოლგით — ქ. ვოლგოგრადამდე, არხით — ციმლიანსკის წყალსაცავზე, მდ. დონით — ქ. როსტოვში, აზოვის ზღვით — ქერჩში და შავი ზღვით — ნოვოროსიისკში, სოხუმსა და ბათუმში.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად, აღნიშნულია: „განვახორციელოთ ღონისძიებანი ტურიზმის ფართოდ განვითარებისათვის, განვამტკიცოთ მისი მატერიალური ბაზა. განვავითაროთ სამდინარო, საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო და საჰაერო ტურისტული მარშრუტები, გავაფართოოთ სასტუმროების, კემპინგებისა და ტურისტთა მომსახურების სხვა ობიექტების მშენებლობა“, ხუთწლიანი გეგმა დიდ ამოცანას სახავს ჩვენს რესპუბლიკაში, რათა კიდევ მეტად განვითარდეს და ფართო ქსელი შეიქმნას სხვადასხვა სახის ოპერატიული და თვითმოქმედი ტურისტული მარშრუტების, მისი ბაზის გაფართოებისა და მოსახლეობის ფართო ფენების მოზიდვისათვის.

XXIV ყრილობის დირექტივებიდან გამომდინარე 1971—1972 წლებში ბევრი საინტერესო თვითმოქმედი ტურისტული ლაშქრობები ჩატარდა საქართველოში. სანაოსნო ტურიზმის მოყვარულებმა ა. აბრამაშვილის ხელმძღვანელობით იმოგზაურეს მდ. ალაზანზე და მდ. მტკვარზე, რითაც სათანადო სანაოსნო გამოცდილებასთან ერთად აიმაღლეს თავიანთი სპორტული მიღწევები.

მთელი რიგი II, III და IV კატეგორიის მარშრუტები გაიარეს კავკასიის მთიანეთში სამთო ტურისტებმა გ. შუმიაჩერის, ნ. ელბაქიანისა და ნ. ვიახირევის ხელმძღვანელობით, რითაც სპორტულ მიღწევებთან ერთად აიმაღლეს მთაში მოძრაობის ტექნიკა და მიმოსვლის გამოცდილება.

ქ. თბილისის თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო სასწავლებლის ველო-ტურისტებმა მონაწილეობა მიიღეს შრომითი რეზერვების ხაზით საკავშირო ვარსკვლავისებურ ესტაფეტაში, მარშრუტით როსტოვი-მოსკოვი, სადაც ველო-ტურისტებმა 15 კაცის რაოდენობით 1.100 კმ მანძილი დაფარეს.

არც ავტო-მოტო ტურიზმის მოყვარულები ჩამორჩნენ თავიანთ საქმიანობას, გავლილი იქნა სხვადასხვა სირთულის მარშრუტები, რის საფუძველზეც მომზადდა 1 სპორტის ოსტატი (რაზმაძე), 11 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და თანრიგოსანი სპორტსმენები.

მსგავსი ლაშქრობა-მოგზაურობები ჩაატარეს სხვადასხვა სირთულის მარშრუტებზე რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, რითაც ტურიზმის მოყვარულმა სპორტსმენებმა აიმაღლეს თავიანთი სპორტული თანრიგები და მოგზაურობიდან მიიღეს სათანადო გამოცდილება.

1972 წლის ბოლოსათვის დამტკიცებული იქნა და ძალაში შევიდა, „სსრ კავშირის ტერიტორიაზე თვითმოქმედი ტურისტული ლაშქრობებისა და მოგზაურობის ორგანიზაციის წესები“ და „ტურისტული საკონტროლო-სამაშველო სამსახურის დებულება“, რომლებიც ყველა მოგზაურობის მომწყობ და ჩამტარებელი ორგანიზაციების, ტურისტული ჯგუფების ხელმძღვანელებისა და თვით ტურისტებისათვის საჭალდებულო შესასრულებელ დებულებად არის დამტკიცებული.

1973 წელს ძალაში შევიდა ახალი სათანრიგო-საკლასიფიკაციო მოთხოვნები ტურიზმში, განსაზღვრული 1973-76 წლებზე. ახალმა სათანრიგო-საკლასიფიკაციო მოთხოვნებმა რიგი ცვლილებები განიცადეს და იგი შედარებით უფრო დაიხვეწა.

ახალი სათანრიგო მოთხოვნების შესაბამისად 1973 წელს, რესპუბლიკის მასშტაბით, მთელი რიგი სხვადასხვა ხასიათისა და სირთულის მარშრუტები იქნა გავლილი ტურიზმის ყველა სახეობაში. მაგ., ჩატარდა სხვადასხვა სირთულის მარშრუტებზე 11 ქვეითად მოგზაურობები, სადაც საერთო ჯამში 190 კაცი მონაწილეობდა. სამთო მოგზა-

ურობები 18, სადაც მონაწილეობდა 103 კაცი. სანაოსნო ტურიზმში ჩატარდა 3 მოგზაურობა, მონაწილეობდა 60 კაცი. მოტო-მოგზაურობა ჩატარდა 1, მონაწილეობდა 6 კაცი. ავტო-მოგზაურობები მოეწყო 60-ჯერ, სადაც მონაწილეობდა 180 კაცი. ამრიგად, 1973 წელს „სსრკ ტურისტის" ნიშანზე მომზადდა 15.113 კაცი, II, III და მოზარდ თანრიგებზე 1.423 კაცი, ტურიზმში პირველი თანრიგი შეასრულა 17 კაცმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი გახდა 15 კაცი, ხოლო 1 კაცმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმები (ნ. ელბაქიანი). ასევე სემინარები გაიარა და მომზადდა 385 კაცი—საზოგადო ინსტრუქტორი ტურიზმის სახეების მიხედვით. თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურომ საქართველოს მშრომელებისთვის მოაწყო მთელი რიგი გეგმიანი ტურისტული მოგზაურობები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში საჰაერო, სამდინარო, საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტით, ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი". ასევე ჩატარდა ბალტიის ზღვაზე გემ „ბალტიკით" მოგზაურობა პოლონეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ტურისტული სექციებისა და კლუბების თაოსნობით ჩატარდა გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურისტული შეკრება-შეჯიბრებები ტურისტულ მრავალჭიდში და მთელი რიგი ლაშქრობები „მზად ვართ შრომისა და თავდაცვისათვის" ნიშანზე ტურისტული ნორმების ჩაბარებისათვის.

სოხუმში გაიხსნა ბავშვთა ტურისტული სადგური, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შორის ტურიზმის განვითარებას.

1974 წელს IX ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს ჩვენს რესპუბლიკაში დიადი შრომითი აღმავლობის ზრდასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა ტურიზმის ინდუსტრიის სიძლიერეც. ამ წელს რესპუბლიკაში მომსახურება გაეწია 7 მილიონამდე კაცს. იმატა საექსკურსიო დაწესებულებათა რიცხვმა, ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, რითაც უფრო მეტად გაიზარდა ექსკურსანტთა რიცხვი.

საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ დაქვემდებარებულ ორგანიზაციებთან ერთად წლიური გეგმის შესაბამისად მიღებული ვალდებულებები დროულად და გადაჭარბებით შეასრულა.

განვითარდა ბავშვთა ტურიზმი, მთელ რიგ სკოლებისა და ბავშვთა ტურისტული სადგურების ხაზით ჩატარდა სხვადასხვა სახის მოგზაურობები დევიზით „ჩემი სამშობლოა სსრ კავშირი".

ამავე დევიზით „ჩემი სამშობლოა სსრ კავშირი" მრავალ ექსკურსიებსა და მოგზაურობებს ატარებს საქართველოს ალკკ ცენტრალურ

კომიტეტთან არსებული ახალგაზრდობის საერთაშორისო სამოგზაურო ბიურო „სპუტნიკი“.

ქ. თბილისისა და რესპუბლიკის დიდი ქალაქების რესპუბლიკური და საოლქო დაქვემდებარების საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროები სისტემატურად ატარებენ სხვადასხვა სახის მოგზაურობებს ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი“. ასეთივე მოგზაურობები ხორციელდება ჩვენი ქვეყნის მდინარეებზე და შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში გემებით, ხოლო რიგი კრუიზები კი მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში. რესპუბლიკის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროებმა მსგავსი ექსკურსიები ჩაატარეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და ოლქებში ავტომანქანებითა და საჰაერო ლაინერებით.

1974 წლის კალენდარული გეგმის შესაბამისად მრავალი სხვადასხვა სახის ღონისძიება ჩატარდა რესპუბლიკაში დევიზით „საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომის დიდების გზებით“ და „ჩემი სამშობლოა სსრ კავშირი“. ჩვენი რესპუბლიკის სამთო მოგზაურებმა და ავტო-მოტო ტურისტებმა მონაწილეობა მიიღეს საკავშირო შეკრება-შეჯიბრებაში და სხვადასხვა სახის კონკურსებსა და ვიქტორინებში. მწყობრში ჩადგა და გაიხსნა ახალი ათონის უნიკალური კარსტული მღვიმე, რომელიც მნახველთა დიდ აღტაცებას იწვევს. მღვიმეების დათვალიერების დროს ტურისტებს გამოცდილი ექსკურსიამძღოლები და კომფორტაბელური მატარებელი ემსახურება.

გაფართოვდა ტურიზმის თვალსაწიერი ჩვენს რესპუბლიკაში, დაისახა ახალი ღონისძიებები მისი უფრო მეტად განვითარებისთვის.

IX ხუთწლედის დამამთავრებელ წელს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მიმდინარეობს ტურისტული ბაზების, სასტუმროების, კემპინგებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა და მათი დასრულება მწყობრში ჩასადგომად.

სსრ კავშირის პროფესიონალური კავშირების პრეზიდიუმის დადგენილებით 1975 წელს საქართველოს რესპუბლიკაში ტურიზმის შემდგომი განვითარებისთვის გამოყოფილი იყო 25 მილიონი მანეთი.

ქ. თბილისის ტურისტული კლუბი ყოველწლიურად ამზადებს საზოგადო ინსტრუქტორთა კადრებს. წელსაც მომზადდა ახალი შევსება დედაქალაქის პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთაგან. საზოგადო ინსტრუქტორთა ახალ შევსებას თითქმის ყოველთვის რესპუბლიკის ყველა ტურისტული კლუბი ამზადებს.

თბილისის ტურისტულ კლუბს ქალაქის მოსახლეობისათვის დამუშავებული და შედგენილი აქვს დასვენების დღის გეგმა-გრაფიკი, იგი ქ. თბილისის შემოგარენის დალაშქვრას ითვალისწინებს სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა რიცხვი 30-მდეა. მსგავსი მარშრუტე-

ბი შემუშავებული აქვს რესპუბლიკის ყველა ტურისტულ კლუბს, რის მიხედვითაც ატარებენ თავიანთ ღონისძიებებს.

საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავს მიეძღვნა მრავალი მასობრივი ღონისძიება ტურიზმის ხაზით — რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

1975 წლის 10 და 11 მაისს ჩატარდა ქ. თბილისის ორგანიზაციებისა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ტურისტების ერთობლივი შეკრება-შეჯიბრება, მიძღვნილი საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავისადმი.

ეს მასობრივი შეკრება-შეჯიბრება, რომელიც მდ. იორის ნაპირზე სოფ. ოთარაანთკართან ჩატარდა, მიზნად ისახავდა:

1. ტურიზმის პოპულარიზაციას და მის შემდგომ განვითარებას;
2. საუკეთესო ტურისტული სექციების გამოვლენას;
3. „მშთ“ ტურისტული ნორმატივების მასობრივ ჩაბარების ორგანიზაციას.

აღნიშნულ შეკრებაზე თავი მოიყარა და მონაწილეობა მიიღო 18 ორგანიზაციამ, რომელთა გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ტურისტულ მრავალჭიდში, ბანაკის კარგ მოწყობაში, საველე გაზეთის გაფორმებაში და „მშთ“ ნორმატივებში შემავალ ტურისტულ ლაშქრობაში.

მსგავსი ღონისძიებები ყოველწლიურად ტარდება რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

1975 წლის განმავლობაში ჩატარდა მრავალი ტურისტული ლაშქრობა-მოგზაურობები, ქვეითად, სამთო, სათხილამურო და ავტო-მოტო ტურიზმში, სადაც მოგზაურობის მოყვარულებმა აიმაღლეს თავიანთი გამოცდილება და შეასრულეს სათანრიგო მოთხოვნები.

დასმულია საკითხი საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაიხსნას ტურიზმის ფაკულტეტი, სადაც მომზადდება ექსკურსიის მძღოლთა კადრები.

გათვალისწინებულია ქ. თბილისის მწვრთნელთა სკოლასთან გაიხსნას ტურიზმის ინსტრუქტორთა 2-წლიანი მოსამზადებელი კურსები, რომლის დამთავრების შემდეგ გადაიჭრება ტურბაზებში ინსტრუქტორთა კადრების ნაკლებობის საკითხი.

საქართველოს ყველა პედაგოგიურ ინსტიტუტში არსებულ ფიზიკურზრდის ფაკულტეტებზე ტარდება ტურიზმის საგნის სწავლება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 19 ნოემბრის დადგენილების შესაბამი-

სად, „საქართველოს რესპუბლიკაში კურორტებისა და მასობრივი ტურიზმის კერების შემდგომი განვითარების შესახებ“, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 1976—1980 წლებში ტურიზმის განვითარების პერსპექტიული გეგმა, სადაც გათვალისწინებულია ახალი ტურისტული კერებისა და ობიექტების მშენებლობა 5.600 ადგილზე. ამავე წლებისათვის გათვალისწინებულია მშრომელთა დასვენების ახალი კერების შექმნა და ძველი ობიექტების გაფართოება.

საქართველოს ტერიტორიაზე დღეისათვის მოქმედ ყველა ტურისტულ ბაზას, სასტუმროსა და კემპინგს ერთდროულად შეუძლია მიიღოს და მომსახურება გაუწიოს 10.000-ზე მეტ ტურისტს, ხოლო 1980 წლისათვის ეს რიცხვი 15.000 კაცს გადააჭარბებს.

ყოველწლიურად მატულობს ოპერატიული მარშრუტების რიცხვი და ტურისტული ბაზების, სასტუმროების, კემპინგების, მოტელების და სხვა ტურისტული ობიექტების რაოდენობა.

პერსპექტიული გეგმის მიხედვით დამტკიცებულია 1980 წლამდე აშენდეს მთელი რიგი ახალი ტურისტული ობიექტები: სოხუმში ტურისტული ბაზა და 500 და 400-ადგილიანი სასტუმრო, გაგრაში 1.000-ადგილიანი ტ. სასტუმრო, გუდაუთაში 550-ადგილიანი ტ. სასტუმრო, ოჩამჩირეში 400-ადგილიანი ტ. სასტუმრო, ბათუმში 700-ადგილიანი ტ. სასტუმრო, ბობოყვათში 700-ადგილიანი ტ. სასტუმრო, ცხინვალში 300-ადგილიანი ტ. ბაზა, ბაკურიანში 300-ადგილიანი ტ. სასტუმრო, ლენტეხში 200-ადგილიანი ტ. ბაზა და ა. შ. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა განსაზღვრულია მთელი რიგი ტურისტული ბაზები, სასტუმროები და კემპინგები 1975—1978 წლისათვის ჩადგეს მწყობრში, როგორიცაა: ქუთაისის, სოხუმის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ფასანაურის, ვარძიის, მესტიის, ყაზბეგის, გორის, ჯავის, ზუგდიდის, უშგულის, შატილისა და სხვა. ამ პერიოდისათვის დამთავრდება და მწყობრში ჩადგება საბაგირო გზები ყაზბეგი-სამება, ახალი ათონი-ივერიის მთა და ფასანაური-ხანდო.

ტურიზმისა და ექსკურსიების საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით 1974 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო დაჯილდოვდა გარდამავალი წითელი დროშით, პირველი ხარისხის დიპლომით და ფულადი პრემიიით.

ასეთივე მაღალი ჯილდო მიიღო სოხუმის საკავშირო ალკა XV ყრილობის სახელობის ტურისტულმა ბაზამ. ხოლო სოციალისტურ შე-

ჯიბრებაში საუკეთესო შედეგებისთვის სხვადასხვა ხარისხის დიპლომებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ თბილისის, სოხუმის, გაგრის და მცხეთის სამოგზაურო და საექსკურსიო ბიუროები, ბათუმისა და მცხეთის ტურისტული ბაზები, სოხუმისა და ბათუმის ტურისტული ავტოგარაჟების კოლექტივები.

დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე იწყება, გადის და მთავრდება 60 სხვადასხვა ხასიათის საკავშირო მნიშვნელობის მუდმივმოქმედი ცენტრალური და რადიალური ოპერატიული მარშრუტები. ამასთანავე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტურიზმის ყველა სახისთვის უთვალავი თვითმოქმედი მარშრუტები გადის. რესპუბლიკაში გახსნილია 88 საქალაქო, რაიონული და საუწყებო ტურისტული კლუბი, 16 სამოგზაურო-საექსკურსიო ბიურო, 18 ტურისტული საჭურველის გამქირავებელი პუნქტი.

ყოველ ტურისტულ ბაზაში შექმნილია სამაშველო ჯგუფი, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოსთან არსებობს სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისია და საკონტროლო-სამაშველო სამსახური.

ჩვენს რესპუბლიკაში ტურიზმში სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიღებული აქვს 15 კაცს. სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდება 22 კაცს, ხოლო I, II, III და ჭაბუკთა თანრიგები რამდენიმე ასეულ კაცს. უფროს ინსტრუქტორთა რაოდენობა 100 კაცს აჭარბებს, ხოლო ინსტრუქტორთა, ტურიზმის ორგანიზატორთა და საზოგადოებრივი ინსტრუქტორთა კადრები რამდენიმე ასეულს აღწევს.

მიმზიდველ მარშრუტებს გვთავაზობს თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო, რომელიც ყოველწლიურად ატარებს ოპერატიულ მოგზაურობას ტურისტული მატარებელ „საქართველო"-თი საბჭოთა კავშირის მთელ რიგ გმირ ქალაქებში, ასევე ტარდება სამდინარო და საზღვაო მარშრუტები და კრუიზები, სადაც ტურისტებს მომსახურეობას უწევენ თბომავლები, დიზელექტრომავლები, საზღვაო და საოკეანო ლაინერები.

მსგავსი მოგზაურობები იგეგმება საჰაერო ლაინერებითა და კომფორტაბელური ავტობუსებითაც, რაც საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ და შევისწავლოთ ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსშესანიშნაობანი, მისი აწმყო და წარსული.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად ჩვენს რესპუბლიკაში ტურიზმის შემდგომი განვითარებისთვის დასახული გეგმები სინამდვილეში სრულდება.

საქართველო ტურიზმის მოყვარულთათვის ერთ-ერთ მომხიბვლელ

და ფრიად საინტერესო მხარეს წარმოადგენს, იგი ნამდვილად ითვლება „ბუნების წალკოტად“, რომლის ტერიტორიაზე ადამიანს სურვილისამებრ შეუძლია მოინახულოს წლის ყოველი პერიოდი, ლაღად დაისვენოს, იმოგზაუროს და დაკბეს მისი სიდიადითა და მშვენიერებით.

ტურიზმი და მისი სახეები

ტურიზმი ნიშნავს მოგზაურობას ამა თუ იმ მხარის, ქვეყნის გაცნობისა და შესწავლის მიზნით.

ტურიზმი წარმოადგენს მშრომელი მასების კომუნისტურად აღზრდის ერთ-ერთ უდიდეს მასობრივ საშუალებას, მათი გაჯანმრთელების, ფიზიკურად გამოწრთობისა და ამავე დროს იდეურ-პოლიტიკური და გონებრივი თვალსაწიერის გაფართოების საშუალებას.

საბჭოთა ტურიზმი არის ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელსაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ტურიზმი სპორტის ისეთი სახეობაა, რომელიც აცნობს და ასწავლის ჩვენი დიადი კომუნიზმის მშენებლებს სამყაროს სილამაზესა და მის გარშემო შექმნილ ბუნებრივ თუ ხელოვნურ გარემოს, წარსულსა და აწმყოს.

ტურიზმი გვაცნობს და გვაყვარებს ბუნების მრავალფეროვნებას და კაცობრიობის შემოქმედების ნაყოფს — მისი წარსულის ღირსშესანიშნავ ისტორიასა და დღევანდელ წარმატებებს. მშობლიურ მხარეში თუ ქვეყანაში მოგზაურობის დროს ტურისტები (მოგზაურები) ეცნობიან, ისტორიულ წარსულსა და თანამედროვე ყოფას, მის სიმდიდრეს, სილამაზესა და ბუნების სიმშვენიერეს.

სხვადასხვა მხარეში მოგზაურობა კი აწრთობს და აკაჟებს ტურისტის ორგანიზმს, აჩვევს მას ბუნებასთან შეგუებას და ასწავლის იმ მრავალნაირ წინაღობების გადალახვას, რომელიც გზად ხვდება ლაშქრობების დროს.

ტურიზმით დაინტერესებულებს გამოუმუშავდებათ ის ძვირფასი და აუცილებელი ჩვევები, რომელიც სასიცოცხლო წყაროა ყოველი ადამიანისათვის, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის: ორგანიზებულობას, კოლექტიურობას, მეგობრობას, ამტანობას, გამბედაობას, მოხერხებულობას, სიმამაცეს, სიმკვირცხლეს, დისციპლინას და სხვა ღირსშესანიშნავ თვისებებსა და სალაშქრო ცხოვრების ჩვევებს. ეს ჩვევები მრავალფეროვანია და საწინდარია ლაშქრობა-გასვლების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. ამასთანავე ტურიზმი არის მშრომელი მასების აქტიური დასვენების საუკეთესო საშუალება, რომელიც ანვითარებს და აფართოებს ცოდნის ჰორიზონტს. ტურისტულ მოგზაურობაში ადამიანი ეგუება ბუნებას, ეჩვევა მრავალგვარი დაბრკოლებების გადალახვას, მისი ორგანიზმი იწრთობა და იკაჟება. ამავე დროს ტუ-

რისტის უმთავრესი მიზანი „მეტი ვიარო, მეტი ვნახო (საკუთარი თვალით), გავიგო, შევიცნო და ჩავწვდე ბუნების საიდუმლოებას“, უფრო სრულფასოვნად ხორციელდება.

ტურიზმი, მოგზაურობის საშუალებების მიხედვით, ექვსი სახისაა: ქვეითი, სამთო, სათხილამურო, სანაოსნო, ველო და ავტო-მოტო ტურიზმი.

ხანგრძლივობის მიხედვით — დასვენების დღის, ანუ ერთ-ორდღიანი და მრავალდღიანი მოგზაურობები;

ტერიტორიული ნიშნის მიხედვით — ადგილობრივი და შორეული მოგზაურობა. ადგილობრივი მოგზაურობა — საკუთრივ მშობლიური ქალაქის, რაიონის, მხარის ტერიტორიაზე, ხოლო შორეული — მხარის, რესპუბლიკისა და მის მიღმა ჩატარებული ლაშქრობები.

ორგანიზაციული ხასიათის მიხედვით — თვითმოქმედი და გეგმიანი (ანუ ოპერატიული მოგზაურობა).

თვითმოქმედი ტურიზმი არის ძირითადი საფუძველი საბჭოთა მასობრივი ტურიზმისა, რომელიც ყველაზე მეტად ხელმისაწვდომი, გავრცელებული და განვითარებულია ჩვენს ქვეყანაში.

1. თ ვ ი თ მ ო ქ მ ე დ ი მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა ეწოდება ისეთ მოგზაურობას, როდესაც ესა თუ ის მსურველი, ცალკეული ჯგუფი (პირები) აწყობს მოგზაურობას (უმაღლესი თუ საშუალო სასწავლებლის, წარმოება-დაწესებულების ცალკეული პირები ან ჯგუფი გეგმავს მოგზაურობას), სურვილისამებრ ირჩევს სათანადო სამოგზაურო რაიონს, ადგენს გეგმასა და მარშრუტს, და ამ სამოქმედო მარშრუტისა და რაიონის მიხედვით შესაბამისად ემზადება. ამუშავებს და ხვეწავს მარშრუტს (ლიტერატურული წყაროებითა და აღწერებით, გამოცდილ ტურისტებთან და მოგზაურებთან საუბრებით, ტურისტულ კლუბებში ან მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში მიღებულ კონსულტაციებით და ა. შ.) რუკითა და სხვადასხვა აღწერებით, ითვალისწინებს ყოველ წვრილმანს და მატერიალური უზრუნველყოფის მხრივ, ტურიზმის სახეების მიხედვით ამზადებს სათანადო საჭურველსა და კაზმულობას და სათადარიგო მოწყობილობას. ითვალისწინებს და ამზადებს სატრანსპორტო საშუალებებს, ღამისთევისა და კვების ორგანიზაციას და სხვა საკითხებს.

თვითმოქმედი ლაშქრობების დროს, მოგზაურები საველე პირობებში ტურიზმის აქტიური საშუალებებით მოძრაობენ, რომელიც საჭირველი და ხელმისაწვდომია ყველა მონაწილისათვის. ლაშქრობის მონაწილენი თვითმომსახურებით უზრუნველყოფენ თავიანთ თავს, ამავე დროს ურთიერთდახმარებისა და ტურიზმის ტექნიკის ცოდნით, ყოველგვარი დარღვევების გარეშე მაღალ სპორტულ დონეზე ატარებენ მოგზაურობებს.

თვითმოქმედი ტურისტული ლაშქრობა-მოგზაურობები, უპირველეს ყოვლისა, დასვენების დღისა ანუ ერთ-ორდღიანი და მრავალდღიანი ეწყობა, რომელიც მოგზაურობის აქტიური საშუალებების მიხედვით შეიძლება ჩატარდეს ქვეითად, თხილამურებით, ნავით (ტივით, ბაიდარით), ველოსიპედით, მოტორიანი ველოსიპედით, ავტომანქანით, მოტოციკლეტითა და ა. შ.

თვითმოქმედ მოგზაურობებს, შესაძლებლობის მიხედვით ესა თუ ის ჯგუფები ან პირები ატარებენ თავიანთ ხარჯზე ან სხვადასხვა ნებაყოფლობითი სპორტული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხარჯზე.

აღნიშნული მუშაობის ფორმა ძირითადი საშუალებაა ფიზკულტურის ძირეული ტურისტული სექციის მუშაობისა, სადაც მომეცადინე ტურისტები მზადდებიან „სსრკ ტურისტის" ნიშანზე და სპორტულ თანრიგებზე.

ამავე დროს ტურისტული ლაშქრობები წარმოადგენენ განუყოფელ ნაწილს საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსისა „მზად ვართ შრომისა და სსრკ დაცვისათვის".

ტურისტული ლაშქრობები და მოგზაურობები სირთულეთა ზრდის შესაბამისად განიყოფებიან ერთ და ორდღიან (დასვენების დღის) ლაშქრობად და I, II, III, IV და V კატეგორიის სირთულის მოგზაურობად. მათი ჩატარება სრულდება გამოცდილების თანდათანობითი დაგროვების საფუძველზე და მარტივი მოგზაურობიდან გადასვლით რთულ მოგზაურობაზე.

თვითმოქმედი ტურისტული ლაშქრობათა სირთულის კატეგორიები განსაზღვრულია ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის მოქმედი სათანრიგო მოთხოვნების შესაბამისად და კლასიფიცირებული ტურისტული მარშრუტების დამტკიცებული სიების მიხედვით.

ტურისტული მოგზაურობის სიძნელის კატეგორია განისაზღვრება მარშრუტის მანძილით, მისი სირთულით, ბუნებრივ დაბრკოლებათა ხასიათით, სეზონური პირობებით და ტურიზმის თითოეული სახეობისათვის დამახასიათებელი ფაქტორებით.

თვითმოქმედი ტურისტული ლაშქრობების და მოგზაურობების მოწყობისა და ჩატარების ორგანიზაცია შეუძლიათ ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოებს, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებს, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს, ტურისტულ და სპორტულ კლუბებს, წარმოება-დაწესებულებებს, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, ტურისტულ-სპორტული გამაჯანსაღებელი ბანაკების, საწყლო-მოტორიანი კლუბების, ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგურების საერთო საგანმანათლებლო სკოლების, პიონერთა სასახლეებისა და სახლების ფიზკულტურულ კოლექტივებს.

ტურისტული ლაშქრობების და მოგზაურობების მოწყობის დროს ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობა სხვადასხვაა:

ერთ-ორდღიანი ანუ დასვენების დღის ტურისტული ლაშქრობების ჩატარებისათვის ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობა განუსაზღვრელია. რაც შეეხება მრავალდღიან მოგზაურობებში მონაწილეთა რაოდენობას — ქვეითი, სამთო, სათხილამურო, სანაოსნო, ველო და მოტორიანი ველოსიპედით ტურისტულ სახეებში მოგზაურობების დროს I, II და III კატეგორიის სირთულის მარშრუტებზე უნდა შეადგენდეს არა ნაკლები 4 კაცისა, ხოლო IV და V კატეგორიის მარშრუტებზე არა ნაკლები 6 კაცის რაოდენობით.

მოტოციკლებითა და ავტომანქანით მოგზაურობის დროს ჯგუფების მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალებათა ოდენობით: I, II და III კატეგორიის სირთულის მარშრუტებზე — სულ მცირე 3 მოტოციკლეტისა ან 2 ავტომანქანისა, ხოლო IV და V კატეგორიის მარშრუტებზე არა ნაკლები 4 მოტოციკლეტისა ან 3 ავტომანქანისა. ამა თუ იმ სირთულის მარშრუტებზე ლაშქრობა-მოგზაურობისათვის, ჯგუფების მონაწილეთა შემადგენლობის განსაზღვრის დროს, ძირითადი ყურადღება ექცევა მათ ტურისტულ მომზადებას.

ყველა სახის ტურისტულ მოგზაურობათა სირთულის მარშრუტებზე მოლაშქრე ჯგუფების მონაწილეებმა სავალდებულოა იცოდნენ ცურვა, წყალში მახრჩვალთა გადარჩენის ხერხები და პირველი საექიმო დახმარების წესები.

სათხილამურო მოგზაურობის ჯგუფის მონაწილეებს II-დან V კატეგორიის სირთულის მარშრუტების ჩათვლით უნდა ჰქონდეთ ზამთრის პერიოდში, საველე პირობებში ღამისთევის მოწყობის ორგანიზაციის გამოცდილება.

სამთო ლაშქრობებში განსაზღვრული უღელტეხილების დაძლევისათვის მოლაშქრე ჯგუფების მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა სირთულის უღელტეხილებზე გადასვლის გამოცდილება და სპეციალური ალპინისტური მომზადება.

მოგზაურობებში მონაწილეთა ასაკობრივი განსაზღვრის მიხედვით დაიშვებიან I კატეგორიის მარშრუტებზე 14 წლის ასაკის მონაწილეები, II კატეგორიის მარშრუტებზე 15 წლის ასაკის, III კატეგორიის სირთულის მოგზაურობებში 16 წლის ასაკის, IV კატეგორიის მარშრუტებზე 18 წლის ასაკისა, ხოლო V კატეგორიის სირთულის მოგზაურობებში არა ნაკლები 20 წლის ასაკის ტურისტები.

2. გ ე გ მ ი ა ნ ი (ანუ ოპერატიული მოგზაურობა) — საგზურების საშუალებით ხორციელდება. გეგმიანი მოგზაურობათა მარშრუტები წინასწარ შესწავლილ, დამუშავებულ და დამტკიცებულ მარშრუ-

ტებზე ტარდება. ამ შემთხვევაში ტურისტები უზრუნველყოფილნი არიან კვებით, ბინით (ღამისთევის საშუალებებით), ტრანსპორტით, ექსკურსიამძღოლებისა და მომსახურე პერსონალის მომსახურებით და ა. შ. გეგმიანი მოგზაურობა, ძირითადად, ტურისტული ბაზების მომსახურებით ხორციელდება, რომელთა რიცხვი რამდენიმე ასეულია და ისინი განლაგებული არიან ჩვენი სამშობლოს ღირსშესანიშნავ და ლამაზ ადგილებში.

გეგმიანი მოგზაურობები სპეციალურად შეძენილი საგზურების მიხედვით სრულდება, რომელთაც საკავშირო პროფესიონალურ კავშირებთან არსებული ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭო, თავის დაქვემდებარებულ საბჭოებისა და ძირეულ პროფკავშირული ორგანიზაციების მეშვეობით ავრცელებს.

გეგმიანი მოგზაურობა ტურისტული ბაზების გარდა, სპეციალური ტურისტული მატარებლების, თვითმფრინავების, გემებისა და ავტომანქანების საშუალებით ხორციელდება. საზღვარგარეთ ტურისტული მოგზაურობებიც გეგმიან ტურიზმს მიეკუთვნება.

გეგმიანი მოგზაურობა შეუძლიათ ჩაატარონ — საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების, წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების კოლექტივებისა და სხვა ორგანიზაციების პროფკავშირულმა კომიტეტებმა — თავიანთი მუშა-მოსამსახურეებისათვის, საქალაქო, სარაიონო, საოლქო და რესპუბლიკური საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროების მეშვეობით.

გარდა ზემოთ დასახელებული თვითმოქმედი და გეგმიანი ტურისტული ღონისძიებებისა არსებობენ მუშაობის სხვა ფორმებიც:

3. ე ქ ს კ უ რ ს ი ა — წარმოადგენს თვალხედვით გაცნობას ან შესწავლას ამა თუ იმ ღირსშესანიშნავი ობიექტისა, რომელიც ძირითადად პედაგოგის, ექსკურსიამძღოლის ან ადგილობრივი ექსკურსიის ჩამტარებლის ახსნა-განმარტებით ტარდება. ექსკურსიების დახმარებით ხორციელდება მოსახლეობის მასობრივი მიზიდვა სხვადასხვა ლაშქრობების ჩატარებისათვის და საერთოდ ტურიზმში შემდგომ მოღვაწეობისათვის.

4. ტ უ რ ი ს ტ უ ლ ი გ ა ს ე ი რ ნ ე ბ ა ჯ გ უ ფ უ რ ი ა ნ მ ა ს ო ბ რ ი ვ ი ძირითადად ტარდება დასვენების დღეებში, ქვეითად ან ტრანსპორტით, მშობლიური ქალაქის სიახლოვეს იგი ითვალისწინებს მშრომელთა ფართო მასების დასვენებას სუფთა ჰაერზე, ღირსშესანიშნავ ან თვალწარმტაც ადგილმდებარეობაზე, მისი გაცნობის მიზნით. ასეთი გასეირნებების დროს ტარდება სხვადასხვა კოლექტიური თამაშობანი, სპორტული შეხვედრები და შეჯიბრებები და მომავალი ტურისტული მოგზაურობისათვის ხალხის მოზიდვა და წვრთნა.

5. ტურისტული ექსპედიციები ეწყობა გარკვეულ პირთა ორგანიზებული, ჯგუფური მოგზაურობისას განსაზღვრული, რომელიმე კონკრეტული ამოცანის შესრულებისათვის. ცალკეული მარშრუტების შესამოწმებლად ან მათ შესასწავლად და დასადგენად. ექსპედიციები ასევე ეწყობა მხარეთმცოდნეობის ან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დავალებით.

6. სტაციონალური ტურისტული ბანაკები ეწყობა ბუნებით ლამაზ და ღირსშესანიშნავ ადგილებში მასობრივი ტურიზმის განვითარების მიზნით. ასეთ ბანაკს ერთდროულად შეუძლია მოემსახუროს, როგორც გეგმიან, ასევე თვითმოქმედ ჯგუფებს.

მუდმივი ტურისტული ბანაკები შეუძლია მოაწყოს ცალკეულმა დაწესებულებებმა თავიანთ მუშა-მოსამსახურეთათვის. მიზანშეწონილია ასეთი მუდმივი ბანაკებისათვის ისეთი რაიონი შეირჩეს, სადაც რადიალური გასვლები მოეწყობა ღირსშესანიშნაობათა დათვალიერების მიზნით და „სსრკ ტურისტის" და „მშთ" ნიშანზე მომზადებისათვის, გამოყენებული იქნება ტურიზმის სხვადასხვა სახეში კადრების მომზადების კერად და ა. შ.

ძოძრავი ტურისტული ბანაკები. ასეთი ბანაკები ეწყობა წინასწარ განსაზღვრულ ადგილებში და შედარებით ხანგრძლივი შეჩერებებით (3-დან 10 დღემდე), საიდანაც ცალკეული ჯგუფები ატარებენ ხანმოკლე გასვლებს, ექსკურსიებს, გასეირნებებს „მშთ" ნიშანზე ნორმების ჩაბარებას და ა. შ. ადგილმდებარეობაზე ღირსშესანიშნაობათა დათვალიერების ან შესწავლის მიზნით და სხვა.

აღნიშნული მოძრავი ბანაკები შეიძლება მოეწყოს რამდენიმე ადგილას, განსაზღვრულ მონაწილეთა რაოდენობისათვის და ტურიზმის სხვადასხვა სახეობათა გამოყენების თვალსაზრისით (ქვეითი, სათხილამურო, ველო, საწყლო, ავტო-მოტო, სპელეო და სხვ.) საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა კადრების მომზადების მიზნით და ა. შ.

8. ტურისტული ესტაფეტა წარმოადგენს სააგიტაციო ხასიათის ტურისტულ ღონისძიებას, რომლის ძირითადი მიზანია დაინტერესოს და მოიზიდოს მშრომელი მასები, ამავე დროს იმ ღონისძიების პროპაგანდისათვის, რასაც ეძღვნება ესტაფეტა (ღირსშესანიშნავი თარიღი, გასაბჭოება, საარჩევნო კომპანია, იუბილე და სხვა).

ესტაფეტის მარშრუტი შეიძლება მრავალდღიანი და მრავალკილომეტრიანი იყოს. ამავე დროს შეიძლება მონაწილეობდნენ რამდენიმე ათეული ან ცალკეული ჯგუფები, ეს დამოკიდებულია იმ ღონისძიების ხასიათზე, რომელსაც ეძღვნება იგი.

ტურისტული ესტაფეტის მარშრუტი რამდენიმე უბნად იყოფა, რომელიც დამოკიდებულია ესტაფეტის მიზანზე, მის ამოცანებზე, მონაწილეთა რაოდენობაზე და ჯგუფებზე. ყოველი ჯგუფის ბოლო მო-

ნაწილე გადასცემს ესტაფეტას მომავალ ჯგუფს (პატაკს, ვიმპელს და სხვა). ესტაფეტა შეიძლება იყოს ქვეითი, სათხილამურო, სანაოსნო, ველო, ავტო-მოტო და კომბინირებული. ესტაფეტის ჩატარების დროს საჭიროა ზედმიწევნით კარგი ორგანიზაცია ჯგუფების-მონაწილეების ფიზიკური მომზადება და ურთიერთკავშირი ესტაფეტის გადაცემისათვის და სხვა.

9. ვარსკვლავისებური შეკრება-მოფრენი ტარდება ერთდროულად რამდენიმე ჯგუფის-გუნდის მიერ, რომლებიც დანიშნულ დღეს გროვდებიან, თავს იყრიან რომელიმე წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე.

აღნიშნული შეკრება-მოფრენი რაიმე ღირსშესანიშნავ თარიღს ეძღვნება ან ტარდება სხვადასხვა რაიონების, ოლქების ურთიერთგამოცდილების გაზიარების მიზნით ან სარაიონო, საოლქო, რესპუბლიკური, საკავშირო შეჯიბრებების ჩატარების მიზნით.

ვარსკვლავისებურ შეკრება-მოფრენზე შეუძლიათ ამა თუ იმ გუნდებს ტურიზმის იმ სახეობით მოვიდნენ, რომელსაც თვით ფლობენ ან აირჩევენ (ქვეითად, ველოსიპედით, ნავებით, თხილამურებით, ავტომანქანით, მოტოციკლეტით, მოპედით და სხვა).

10. ლაშქრობები მშობლიურ მხარეში. მშობლიურ მხარეში ლაშქრობები ძირითადად ტარდება მისი შესწავლის მიზნით. მშობლიურ მხარეში ჩატარებულ ლაშქრობებს კომპლექსურსაც უწოდებენ, სადაც ხალხმრავალი ჯგუფები იღებენ მონაწილეობას და განსაზღვრულ პერიოდში და სეზონის მიხედვით ტარდება. შესაძლოა ლაშქრობები აქაც სხვადასხვა სახეობის მიხედვით მოეწყოს.

მშობლიური მხარის ლაშქრობები ტარდება რაიონული, საქალაქო, საოლქო, რესპუბლიკური და საკავშირო მასშტაბით.

ამავე დროს არსებობს სპორტული შერკინების ტურიზმიც. იგი შეიცავს მთელ რიგ სპორტული შეჯიბრების ელემენტებს, რომელსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ:

1. განსაზღვრული ტვირთის სწრაფი გადატანა (გადაზიდვა) ტურიზმის სახეების მიხედვით სხვადასხვა პირობებში (ქვეითად, თხილამურებით, ველოსიპედით, ნავით-ბაიდარით, ავტო-მოტოთი და ა. შ.).

2. მოძრაობა უცნობ ადგილმდებარეობაზე რუკითა და კომპასით— ე. წ. ორიენტირება ადგილმდებარეობაზე (სახეებისდამიხედვით ზამთარში და ზაფხულში).

3. სწრაფსვლა (სვლა სისწრაფეზე და გამძლეობაზე), სხვადასხვა ხასიათის რელიეფზე დღისით და ღამით, ბუნებრივი წინაღობების დაძლევით.

4. ტურისტული მრავალჭიდი — რბენა დაბრკოლებებით (ამანათრბენი), კარვის დადგმით და ცეცხლის დანთება წყლის ადუღებით.

5. გასამხედროებული ტურისტული მრავალჟიდი — აერწინაღით რბოლა, შაშხანიდან სროლა, ცურვა, ბაიდარებით მდინარის გადალახვა, ყუმბარის მიზანში ტყორცნა, რუკითა და კომპასით ორიენტირება ადგილმდებარეობაზე და ა. შ.

6. მოტოციკლეტებით, მოტორიანი ველოსიპედით და ავტომანქანებით სპეციალურად მოწყობილ ტექნიკური წინაღობების სისწრაფეზე დაძლევა და სხვა.

7. მღვიმეების დაძლევა (სპელეოლოგია) და სხვა.

ამრიგად ტურიზმის თითოეული სახე თავისი დანიშნულების მიხედვით შემდეგნაირად ისაზღვრება:

ქ ვ ე ი თ ი ტ უ რ ი ს ტ უ ლ ი მოგზაურობა ფეხით სიარულს ნიშნავს. ტურისტი მონაწილეობს გამოსასვლელი დღის ლაშქრობებში, ასრულებს „სსრ კავშირის ტურისტის“ ნიშნის მოსაპოვებლად დაწესებულ ნორმატივებს, შემდეგ კი, სხვადასხვა სიძნელის ლაშქრობებში მონაწილეობის შედეგად მოძრაობის ტექნიკისა და ტაქტიკის დაუფლების მიხედვით და თანდათან, დახელოვნების კვალობაზე, ასრულებს სპორტულ თანრიგსა და ოსტატობის ნორმატივებსაც. იგი ითვისებს ბუნებრივ დაბრკოლებათა დაძლევის ხერხებს, ღამის თევის წესებს, უმარცხოდ მოძრაობისა და პირველი დახმარების ჩვევებს, სწავლობს საჭურველ-კაზმულობისა და საგზლის შერჩევა-მომზადებას, მოხმარებას, ეუფლება ორიენტირებისა და გზის გაგნების ხერხებს, ინტერესდება მხარეთმცოდნეობით და თვითონ ეწაფება მხარეთმცოდნეობითს მუშაობას, ეჩვევა საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობას მოგზაურობის ვითარებაში და ა. შ.

ს ა თ ხ ი ლ ა მ უ რ ო ტ უ რ ი ზ მ ი, როგორც სახელწოდებიდანვე ჩანს, გულისხმობს მოგზაურობას თხილამურებით ზამთარში, გვიან შემოდგომასა თუ ადრე გაზაფხულზე. მეთხილამურე ტურისტმა ყველა იმ ჩვევის და ხერხის გარდა, რაც ქვეითად ლაშქრობას ესაჭიროება, სათანადო სათხილამურო ინვენტარის შერჩევა-მომზადება და სათხილამურო სპორტის ტექნიკის საფუძვლებიც უნდა აითვისოს.

ს ა მ თ ო მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა ქვეითად მოძრაობას გულისხმობს. წინა სახეობისაგან სამთო ტურიზმი იმით განსხვავდება, რომ ლაშქრობა ეწყობა მაღალმთიან (მთაგორიან) ადგილებში, სადაც ტურისტს უხდება სიარული ძლიერ დასერილ რელიეფზე, დაქანებული მდელოების, ქვაყრილების, თოვლ-ყინულიანი და კლდოვანი ფერდობების დაძლევა, მარადთოვლიანი უღელტეხილების გადალახვა და ა. შ.

ამრიგად, სამთო ტურისტს ქვეითი მოგზაურობისათვის საჭირო ჩვევებისა და გამოცდილების გარდა რამდენადმე მთასვლური მომზადება და საჭურველ-კაზმულობაც ესაჭიროება, რადგან ამ სახეობის

ნორმატივებით სავალდებულოა რამდენიმე მაღალმთიანი უღელტეხილის გადალახვა. სამთო ტურიზმი მთამსვლელობის უმცროსი. ძმაა.

ს ა ნ ა ო ს ნ ო ტ უ რ ი ზ მ ი გულისხმობს მოგზაურობას სხვადასხვა ნავ-ჟურჟლით, კერძოდ, ბაიდარებით, ტივებით და სხვა საშუალებით მდინარეებზე, ტბებზე და ხელოვნურ წყალსაცავებზე, აგრეთვე ზღვაზე. ნაოსანი ტურისტი ეუფლება ნავ-ჟურჟლით და ტივით მოგზაურობას — იალქნის, ნიჩბის ან ხოფის, ჭოკისა და ორთაყვირის ხმარებას, ნავის მართვას, მიბრუნება-მობრუნებას, ნაპირზე მიყენებასა და გაჩერებას, ჭორომებისა და ჩახერგილი ადგილების გავლას, ჭაპანწევას, ნავსათრევების გადალახვასა და სხვა მისთანებს როგორც დინების დაყოლებით, ისე მის აღმა. იგი სწავლობს აგრეთვე ნავ-ჟურჟლისა თუ ტივის გაკეთება-გამართვას, აწყობას, გადატანასა და შეკეთებას, ბარგისა და საგზლის ჩალაგებას, მონაწილეთა დაწყობა-განლაგებას, ღამის სათევის მოწყობას, ორიენტირებისა და გზის გაგნების ხერხებს; ებმება მხარეთმცოდნეობითს მუშაობაში და ეჩვევა საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობას გზაში; ითვისებს ტურისტულ ტერმინოლოგიას, იწაფება მარშრუტების შერჩევა-დამუშავებაში, ეუფლება რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მოძრაობის ხერხებსა და ა. შ.

ვ ე ლ ო-ტ უ რ ი ს ტ უ ლ ი მოგზაურობა ისეთ ადგილებში იმართება, რომლებიც თავისი ბუნებრივი პირობებით გამოსადეგია ველოსიპედით სიარულისთვის და საინტერესოა ტურისტული თვალსაზრისით. ველო-ტურისტი თანდათანობით ეუფლება და იუმჯობესებს მოძრაობის ტექნიკასა და ტაქტიკას სხვადასხვა პირობებში: შარაგზით, ყამირგზით თუ ბილიკით, უგზო-უკვლოდ, ტყე-ველებსა და მთაგორიან ადგილებში, მდინარის გასვლისას ფონით და ა. შ. ამასთანავე იგი ეცნობა სხვადასხვა სახის ველოსიპედებს, სწავლობს მათ დაშლა-აწყობას, ნაწილების შეცვლა-შეკეთებას, გაუვალ ადგილებში მათ გადატანას ბარგთან ერთად, კვებისა და ღამის თევის ორგანიზაციას, გზის გაგნებისა და ორიენტირების ხერხებს, ერკვევა მხარეთმცოდნეობაში, საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობასა და ველოლაშქრობებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში.

ა ვ ტ ო-მ ო ტ ო ტ უ რ ი ზ მ ი — მოგზაურობა ავტომობილითა, მოტოციკლეტითა და მოტორიანი ველოსიპედით მოითხოვს განსაკუთრებულ პირობებს, მისი სამოგზაურო რაიონი და მარშრუტი ამ სამოძრაო საშუალებებს უნდა შეესაბამებოდეს. ავტო-მოტო-ტურისტული მოგზაურობისთვის გასათვალისწინებელია მისი ხანგრძლივობა, წლის დროს, მიდამოსა და გზების მდგომარეობა, მძღოლების კვალიფიკაცია და ჩვევები, მანქანების მდგომარეობა და ჯგუფის ტექნიკური შესაძ-

ლებლობანი, ასაკი და ფიზიკური მომზადება, ნივთიერი შეძლებულობა და სხვა.

ავტო-მოტო-ტურისტები წინასწარ ემზადებიან ხანმოკლე, ერთ-ორ-დღიან საწვრთნელ-სავარჯიშო გარბენებით სხვადასხვა ხასიათისა და სირთულის რელიეფზე. ისინი ეუფლებიან უმარცხოდ მოძრაობას, გაუვალი და უგზო ადგილების დაძლევას, ავტომობილების და მოტოციკლეტების მოვლასა და წესრიგში მოყვანას, იძენენ საჭირო საჭურველ-კაზმულობას, დამხმარე ინვენტარს და სათადარიგო ნაწილებს. ამავე დროს, სწავლობენ სურსათ-სანოვაგის შერჩევასა და მომზადებას, გზის გაგნებისა და ორიენტირების წესებს, ღამის თევის მოწყობას, პირველი დახმარების ხერხებს, მხარეთმცოდნეობითსა და საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობას, იძენენ სათანადო გამოცდილებასა და საჭირო ჩვევებს ავტომოტო-ტურიზმში მონაწილეობისთვის.

ტურიზმს სპელეოლოგია ანუ სპელეოტურიზმიც მიეკუთვნება. იგი რამდენადმე სპეციფიურია და ჩამოთვლილ სახეებისაგან განსხვავდება.

ს პ ე ლ ე ო- ტ უ რ ი ზ მ ი მღვიმეების დაძლევას ითვალისწინებს, რომელსაც შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საკლასიფიკაციო ნორმატივები. სპელეოლოგიაში ნიშნისა და თანრიგების მისაღებად საჭიროა შესრულებული იქნეს მღვიმეების დაძლევის ნორმატივები და თეორიული და ტექნიკური მომზადების მოთხოვნები, რისთვისაც ყოველი სპელეო-ტურისტი ეუფლება სხვადასხვა მღვიმეების დაძლევის ტექნიკურ და ტაქტიკურ ხერხებს, გზის სირთულესა და მის ხასიათს (ჰორიზონტალური, ვერტიკალური ხასიათისა და წყლით დახშული მღვიმეები), ქანების შემადგენლობას, მონაწილეთა შორის ურთიერთკავშირს, უმარცხოდ მოძრაობისა და პირველი დახმარების ჩვევებს, სწავლობს საჭურველ-კაზმულობისა და საგზლის შერჩევა-მომზადებას, ეუფლება უფსკრულებში ღამის თევის ხერხებს, ორიენტირებასა და გზის გაგნების წესებს, ინტერესდება მხარეთმცოდნეობით და ეჩვევა საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობას და ა. შ. ამის კვალობაზე, სხვადასხვა ხასიათისა და სირთულის მღვიმეების დაძლევის შემდეგ, ასრულებს სათანრიგო მოთხოვნებს.

ადამიანის სურვილებსა და ინტერესებზეა დამოკიდებული, თუ ტურიზმის რომელ სახეობას გაჰყვება, მაგრამ რომელიც არ უნდა აირჩიოს, სისტემატური მოგზაურობა შესძენს მას საჭირო ცოდნასა და ჩვევებს, გაუცხოველებს და დაუკმაყოფილებს ცნობისმოყვარეობას, ხელს შეუწყობს მისი ცოდნის ჰორიზონტის გაფართოებასა და ფიზიკურ გამოწრთობას.

ამრიგად, ტურიზმის ყველა სახეობა საბოლოოდ ერთსა და იმავე საერთო მიზანს ემსახურება. რაკი ტურიზმი სპორტია, მის მიზნის

მიღწევაში ერთ-ერთი დიდი ადგილი სპორტულ წარმატებას ეკუთვნის. სულ უფრო მეტ ლაშქრობაში მონაწილეობით, ყველა საჭირო ტექნიკური ჩვევისა და გამოცდილების დაგროვებით — ყოველ დაინტერესებულ პირს შეუძლია დახელოვნდეს ტურიზმის ერთ რომელიმე სახეობაში და დაწესებულ მოთხოვნათა შესრულების კვალობაზე მოიპოვოს შესაბამისი სპორტული თანრიგი, ხოლო ბოლოს სპორტის ოსტატის წოდებაც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ტურიზმის აღწერილ სახეობათა შორის ლაშქრობათა გაანგარიშება-მოწყობის, საჭურველით უზრუნველყოფისა და ტექნიკურად შესრულების მიხედვით, შედარებით უფრო იოლი და მასობრივია ქვეითი ტურიზმი.

2. სანაოსნო ტურიზმსა და ველო-ტურიზმთან, მეტადრე კი ავტო-მოტო-ტურიზმთან დაკავშირებით აღნიშნული ბევრი საკითხი საერთოა ტურიზმის ყველა სახეობისათვის, რადგან კერძოდ, ავტო-მოტო მოგზაურობა და სპელეო-ტურიზმის სპეციფიკურ სახეს წარმოადგენენ. ამიტომ, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ამგვარ საკითხებზე ყურადღება აქ გაგვემახვილებინა.

3. 1973—1976 წლებისათვის განკუთვნილ საკავშირო სპორტულ საკლასიფიკაციო სათანრიგო მოთხოვნებიდან, ტურიზმისა და ექსკურსიების საკავშირო ცენტრალური საბჭოს გადაწყვეტილებით, ამოღებულია სპელეო-ტურიზმი.

ტურისტულ ღონისძიებათა ორგანიზაცია

ტურისტულ ღონისძიებას, როგორი სახისაც უნდა იყოს იგი, ზედმიწევნით კარგი მომზადება ესაჭიროება. გათვალისწინებული უნდა იქნეს ლაშქრობის ხასიათი, მისი სირთულე და სახეობა, მარშრუტის მანძილი, გზისა და რელიეფის ხასიათი, წლის პერიოდი, კლიმატური პირობები, ჯგუფის რაოდენობა და მათი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება, უზრუნველყოფა საჭურველ-კაზმულობით, კვების პროდუქტებით და სატრანსპორტო საშუალებით და ა. შ.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ამა თუ იმ ლაშქრობის ხელმძღვანელობა, თავისი კოლექტივის წევრთა ტურისტული შესაძლებლობისა და მომზადების მიხედვით, წინასწარ ირჩევს სამოქმედო რაიონსა და ტურიზმის სახეობას, რის მიხედვითაც აზუსტებს და ხვეწს, გასავლელ გზას, მის სირთულეს და ხასიათს. ამის შემდეგ აკომპლექტებს ჯგუფს, რომელსაც ფიზიკურად და ტექნიკურად ამზადებს და მონაწილეთა შორის მოვალეობათა განაწილების მიხედვით ამოწმებს მათ შესრულებას. ასეთი მომზადებული ჯგუფი, სათანადო საჭურველ-კაზმულობით, კვების პროდუქტებით, დამხმარე ინვენტარით, გზაში

საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობის გეგმით, საექიმო შემოწმების გავლის, სამოგზაურო საბუთების გაფორმებისა და სამარშრუტო კომისიის დასტურის შემდეგ, დანიშნულ დღესა და საათზე, მიემგზავრება მარშრუტზე.

აღნიშნულ ორგანიზაციულ ღონისძიებათა მიხედვით ხორციელდება ესა თუ ის მრავალდღიანი, სხვადასხვა სირთულის ტურისტული ლაშქრობა.

ჯგუფის ხელმძღვანელი პასუხს აგებს ჯგუფის წევრების ყოველმხრივი მომზადებისა და უმარცხო მოგზაურობისთვის. აქედან გამომდინარე ჯგუფის დანარჩენ წევრებთან შედარებით იგი მეტად გამოცდილი, კარგი ორგანიზატორი და დისციპლინიანი უნდა იყოს. ამავე დროს გამოცდილი და ნამყოფი უნდა იყოს მომავალი ლაშქრობის მარშრუტზე, ანდა იმავე სირთულის მოგზაურობაში და ფლობდეს საჭირო ტურისტულ ჩვევებს.

I კატეგორიის სიძნელის მოგზაურობის ხელმძღვანელს მოეთხოვება დასვენების დღის ლაშქრობების ხელმძღვანელობის გამოცდილება, ხოლო II, III, IV და V კატეგორიის სიძნელის მოგზაურობის ხელმძღვანელი ნამყოფი უნდა იყოს ერთი კატეგორიით უფრო იოლი იმავე სახის ტურისტული მოგზაურობის ხელმძღვანელად.

I კატეგორიის სიძნელის მოგზაურობის მონაწილეს მოეთხოვება დასვენების დღის ლაშქრობებში მონაწილეობის გამოცდილება, ხოლო II, III, IV და V კატეგორიის სიძნელის მოგზაურობის დროს კი, ჯგუფის მონაწილეთა ორი მესამედი მაინც, ნამყოფი უნდა იყოს ერთი კატეგორიით უფრო იოლ იმავე სახის ტურისტულ მოგზაურობაში, ხოლო დანარჩენები — ორი კატეგორიით ნაკლები სიძნელის ლაშქრობაში.

დამტკიცებული დებულების თანახმად კალენდარული წლის პერიოდში I, II და III კატეგორიის სირთულის ლაშქრობების ჩატარება და მათში მონაწილეობა განუსაზღვრელია, ხოლო IV და V კატეგორიის მარშრუტებზე მოგზაურობა კი დასაშვებია წელიწადში მოეწყოს მხოლოდ ორჯერ, მონაწილეთა მიერ კუთვნილი შვებულებებისა და არდადეგების პერიოდში.

ამავე დებულების თანახმად, ტურისტული ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობა განსაზღვრულია და I, II, III კატეგორიის სირთულის მარშრუტებზე ჯგუფის შემადგენლობა არ უნდა შეადგენდეს 4 კაცზე ნაკლებს, ხოლო IV და V კატეგორიის სიძნელის მარშრუტებზე კი 6 კაცზე ნაკლებს.

ლაშქრობაში მიმავალმა ჯგუფმა სათანადო მომზადებასთან ერთად უნდა შეადგინოს მარშრუტის დაწვრილებითი სქემა, გაითვალისწი-

ნოს უშიშროების უზრუნველყოფის პირობები, ხოლო უშუალოდ მოგზაურობის დროს მოახდინოს რთული უბნების გავლა ურთიერთდახმარებითა და სათანადო დაცვებით. ამავე დროს აწარმოოს რთული ადგილების სათანადო აღწერა და მთლიანი მარშრუტის ტექნიკური დახასიათება. ამასთანავე ფოტოფირზე გადაღებული იყოს გზის ხასიათი, ძნელი ადგილების ჩვენებით და ჯგუფის მიერ მათი გადალახვის ასახვით.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ჯგუფის შემადგენლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ მოგზაურობის ჩატარების დროს. ამიტომ ჯგუფის ყველა წევრი თავიანთ ფიზიკურ მომზადებასთან ერთად უნდა ფლობდეს ტურისტულ ჩვევებს, იყოს დისციპლინიანი და ერთსულოვანი, რაც უავარიო მოქმედების საწინდარია.

ჯგუფის წევრების მიერ ყოველგვარი დისციპლინის მცირედი დარღვევა, უდიერი მოქცევა და არასწორი მოქმედება იწვევს მარცხს, რაც ყოვლად დაუშვებელია. ამიტომ ჯგუფის წევრები და მათი ხელმძღვანელი ურთიერთგაგებით და მაღალი დისციპლინით, ერთიანი სულისკვეთებით უნდა მოქმედებდნენ, რისთვისაც მარშრუტზე გასვლამდე ყოველგვარი მცირედი ტექნიკური და მატერიალური უზრუნველყოფა უნდა იყოს გათვალისწინებული, რათა უშუალოდ მარშრუტზე მოძრაობის დროს, ამა თუ იმ დაბრკოლების დაძლევისას მოუმზადებლობამ არ იჩინოს თავი და ჯგუფი არ ჩააგდოს რთულ მდგომარეობაში.

ამასთან ერთად გათვალისწინებული და ღრმად გაანალიზებული უნდა იქნეს მარშრუტის ხასიათი და განსაკუთრებით რთული უბნები, მათი დაძლევის საშუალებები და ა. შ. რისთვისაც მოძრაობის გრაფიკის (დღიური გასავლელი მანძილი) შედგენის დროს გათვალისწინებულ იქნეს რთული უბნების დაძლევა სათანადო დროის განსაზღვრით. არ უნდა მოხდეს დადგენილი მარშრუტის გავლის დროს თვითნებური შეცვლა, ახალი მიმართულებით წასვლა ან დიდ მანძილზე შემოვლა და ა. შ. დაუდევრობისა და აღჭურვილობის ტექნიკური დაზიანების შედეგად მოსალოდნელია იძულებითი შესვენება, რაც მოძრაობის გრაფიკით არ იყო გათვალისწინებული. თუ ასეთი იძულებითი შესვენება ერთი დღით მეტს გაგრძელდება, მაშინ ლაშქრობა ჩაშლისა და საფრთხის წინაშე დადგება.

მოგზაურობის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს დადგენილ საკონტროლო ვადებში გზის გავლა, რის შესახებაც სათანადო დეპეშა უნდა გაეგზავნოს სამარშრუტო კომისიას და იმ ორგანიზაციას, საიდანაც მოეწყო ლაშქრობა.

ასეთივე ხერხით ნათელი უნდა გახდეს მოგზაურობის საბოლოო დამთავრება და გამომგზავრება შორეული მხარეებიდან.

სურ. 1 — ფერდობის დაძლევა.

ქვეითი მოგზაურობა

ქვეითი (ფეხით) ტურისტული მოგზაურობა ყველაზე მოხერხებულია და მომზადების მხრივაც შედარებით იოლი და ხელმისაწვდომია ყველა ასაკის ადამიანისათვის (ოჯახებისათვისაც), ვინც კი მოისურვებს იმოგზაუროს თავისი მხარისა, თუ რესპუბლიკის ტეირტორიაზე, ან მის ფარგლებს გარეთ.

ტურისტულ ლაშქრობებზე მარტო მანძილის გავლა კი არ არის მთავარი, არამედ მასთან ერთად ცხოვრებისეული გამოცდილების შეძენა, მოგზაურობის დროს გზად შემხვედრ დაბრკოლებათა დაძლევის ხერხებისა და ჩვევების გამომუშავება, რომელიც საწინდარია ორგანიზმის გაკაჟებისა, მისი ჯანმრთელობისა, ბუნების შესწავლისა, გარემოს შეცნობისა და წინაპართა მიერ შექმნილი ღირსშესანიშნაობათა გაცნობისა, მოლაშქრეთა შორის მეგობრული დამოკიდებულებისა და კოლექტიური სულისკვეთების შექმნისა, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანს, ცხოვრებაში გაჭირვების დროს, ადვილად გადაიტანოს ყოველგვარი გასაჭირი.

ამიტომაა, რომ ყოველწლიურად გაზაფხულზე თუ ზაფხულში, შემოდგომასა და ზამთარში ათასობით ტურისტი მიემგზავრება სალაშქროდ. ზოგი ერთ ან ორდღიან გასვლას აწყობს, ზოგი კი უფრო შორს, მრავალდღიან ლაშქრობას ატარებს სხვადასხვა სირთულისა და ხასიათის მარშრუტით. ყოველი მათგანი გულდასმით ემზადება და

სურ. 2 — მდინარის გადალახვა საცალფეხო ხიდის დახმარებით.

აწყობს ლაშქრობისათვის განკუთვნილ აუცილებელ საჭურველ-კაზმულობასა და საგზალს.

ტურისტთა ჯგუფის სრულყოფილ მომზადებასა და მის გამოცდილებაზეა დამოკიდებული ამა თუ იმ მარშრუტის შერჩევა. თავდაპირველად ტურისტები ერთი ან ორდღიანი გასვლებით ეჩვევიან დაბრკოლებათა დაძლევას, იძენენ ტურისტულ ჩვევებს, შემდგომში კი თანდათანობით ართულებენ და აგრძელებენ გასავლელ მანძილს ადგილმდებარეობის ხასიათისა და პირადი გამოცდილების მიხედვით.

ტურიზმში არსებული სათანრიგო მოთხოვნებიდან გამომდინარე მარშრუტები სხვადასხვა სირთულისა და ხასიათისაა. მათი შერჩევა უმთავრესად ტურისტთა მომზადებაზე და მათ კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული. ხშირად ერთ-ორ უბრალო გასვლებში ნამყოფი ტურისტები იოლ მარშრუტებს უგულებელყოფენ და ერთბაშად რთულისაკენ მიისწრაფიან, რაც დაუშვებელია. ყოველ ტურისტს თავისი გამოცდილების მიხედვით უნდა შეეძლოს მარშრუტების შერჩევა (ასევე კონსულტაციები უნდა მიიღონ გამოცდილი ტურისტებისაგან). რათა გამოუცდელობის მიზეზით ზიანი არ მიაყენოს თავის თავსა და ჯგუფს.

მარშრუტების შერჩევის დროს რუკაზე გაზომილი მანძილი სინამდვილეში (ადგილმდებარეობაზე) გაცილებით მეტი იქნება, რადგან აქ შეგხვდება დამრეცი ბუნებრივი დაბრკოლებები: ტყიანი, ბუჩქნარი,



სურ. 3 — მთის მდინარის გადალახვა თოკის დახმარებით.

ჭაობიანი ადგილები, ღრმულები, ხევები, ღელეები, ფლატეები, მდინარეები და სხვა ხასიათის წინაღობები. აქვეა გასათვალისწინებელი წლის დრო, რომელ პერიოდში ტარდება მოგზაურობა, კლიმატური პირობები. რადგან უამინდობის შემთხვევაში მოძრაობა ბევრად რთულდება და სახიფათოც ხდება.

ლაშქრობა-მოგზაურობის დროს გასათვალისწინებელია სამოქმედო რაიონის პირობები და იმ დაბრკოლებათა ხასიათი, რომელიც გზად შეხვდება ამა თუ იმ ჯგუფს. ეს დაბრკოლებები თავისი მრავალფეროვნებით სხვადასხვა ხასიათისაა და ვაკე, ტრამალ, ტყიან, ჭაობიან თუ მთაგორიან ადგილებში გზად მიმავალ ტურისტს ყველგან ხვდება, წლის ყოველ დროსა და ყოველ მხარეში.

მოგზაურობის ხასიათისა და სირთულიდან გამომდინარე I, II და III კატეგორიის მარშრუტებზე ჯგუფში დასაშვებია არანაკლებ 4 კაცისა, ხოლო IV და V კატეგორიის მარშრუტებზე კი არანაკლებ 6 კაცისა. ჯგუფის შემადგენლობა მათი ტურისტული გამოცდილების, ტექნიკური სრულყოფისა და ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით შეიძლება გაიზარდოს და იოლ მარშრუტებზე 8—16 კაცამდე აღწევდეს, ხოლო რთულ მარშრუტებზე 6—12 კაცამდე, რომლებსაც შეეძლებათ დაეხმარონ ერთმანეთს.

ამ შემთხვევაში მოძრაობის ტემპი დამოკიდებულია მარშრუტის ხასიათზე და მის სირთულეზე, საშუალოდ იგი საათში 4 კმ-ს აღწევს, ხოლო გადასვლის დღიური ნორმა, რომელიც მრავალ ფაქტორებთანაა დაკავშირებული, უნდა გამომდინარეობდეს წინასწარ დადგენილი მოძრაობის გრაფიკიდან, რომელიც საშუალოდ დღეში 20—25 კმ ფარგლებს მოიცავს. გასავლელი მანძილი კი სათანადო მოთხოვნების მიხედვით მარშრუტის სირთულის საფუძველზე ასე იყოფა: I კატეგორიის მარშრუტებზე 6 დღეში — 150 კმ. II კატეგორიის 8 დღეში — 180 კმ. III კატეგორიის 10 დღეში — 210 კმ. IV კატეგორიის 13 დღეში — 230 კმ. V კატეგორიის 16 დღეში — 250 კმ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ამა თუ იმ ტურისტულ მარშრუტზე მიმავალი ჯგუფი, ტექნიკურ და ფიზიკურ მომზადებასთან ერთად, მატერიალურადაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი (საჭირო თანხით, საჭურველ-კაზმულობით, სათანადო პროდუქტებითა და მოწყობილობით), უნდა იცოდეს გზის გარკვევა, დაბრკოლებათა დაძლევის ხერხები, სახიფათო ადგილების წინასწარი განსაზღვრა და მათი გადალახვა ან შემოვლა, პირველი სამედიცინო დახმარების გაწევა და დაშავებულის ტრანსპორტირების ხერხები. საბანაკო ადგილის შერჩევა და მისი მოწყობა, კვების ორგანიზაცია და მისი უზრუნველყოფა, გზად სასარგებლო სამუშაოს შესრულება, მარშრუტის სათანადო აღწერა, რთული უბნების ფოტო-გადაღება, სქემების შედგენა და სხვა.

ამრიგად, დასახული ამოცანის შესრულებისათვის საჭიროა სრულყოფილი მომზადება და მასთან ერთად სათანადო საჭურველის, კაზმულობისა და ინვენტარის შერჩევა, რადგან რთული მარშრუტები უმთავრესად დაუსახლებელ ადგილებზე გადის და გზაში პროდუქტებისა და სხვა რაიმე ნივთის შეძენა ფაქტიურად გამორიცხულია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეითი ტურისტული მოგზაურობისთვის გზის სირთულის ხასიათისა და ხანგრძლივობის განსაზღვრის მიხედვით უნდა შეირჩეს საჭირო საჭურველი, ჩაცმულობა და ინვენტარი.

ამავე დროს გასათვალისწინებელია ის მდგომარეობა, რომ, როგორც საჭურველი, ჩაცმულობა და ასევე საჭირო ინვენტარი უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს მჩატე, მტკიცე და გამოსაყენებლად მოხერხებული, ამიტომ ბევრი გამოცდილი ტურისტი თავისი გამჭრიახობითა და შეძენილი გამოცდილებიდან გამომდინარე, თვით ამზადებს, ამსუბუქებს, ან სახეს უცვლის ამა თუ იმ სირთულის მარშრუტებისათვის წასაღებ საჭურველს, ჩაცმულობასა და მოწყობილობას.

საჭურველი თავის მხრივ განკუთვნილია, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მოხმარებისთვის, იგი შემდეგი ატრიბუტებისგან შედგება: კარავი — 2, 3 და 4 კაცისთვის განკუთვნილი. იგი სხვა-

დასხვა სახისა და მოყვანილობისაა, გვხვდება, როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტული წარმოებისა, თავისი დგარებითა და სამაგრებით ან მის გარეშე.

ქვაბები — სხვადასხვა ზომის, ბრტყელი ან მრგვალი, თითოეული 3—5—7 ლიტრზე, ჯგუფის რაოდენობიდან გამომდინარე, ასევე ვედრო და ჩაიდანი.

კერიის მოსაწყობი სამგზავრო მოწყობილობა, გაზჭურა ან ნავთქურა თავისი ბალონებითა და საწვავით, ან პრიმუსი „შველი". ნაჯახი, დანები, ჩამჩა, სანთელი, ჭურჭლის საწმენდი ტილოები, პარკები პროდუქტებისთვის.

დაბბმარე თოკი 30—40 მეტრი სიგრძისა, ჭოგრიტი, ალტიმეტრი, კომპასი, ფოტოაპარატი, რუკა, მარშრუტის სქემა, საწერი მოწყობილობა, რვეული, ქაღალდი, საველე აფთიაქი, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაკეთებელი მასალა, ძაფი, ნემსი და სხვა ნივთები.

ინდივიდუალური საჭურველი: ზურგჩანთა (დიდი ზომის, ალპინისტური), საძილე ტომარა ან შალის საბანი, გასაბერი ლეიბი ან პარალონის ნაჭერი, საიერიშო კოსტუმი, ლაბადა, წაღა და კედები, შალის შარვალი, კოვბოურა, სვიტრი, შალისა და ბამბის წინდები, საცვალი, მაისური და ტრუსები, ქუდი, დოლბანდი (სახეზე ჩამოსაფარებლად, კოღოების საწინააღმდეგოდ), ცხვირსახოცები, პირადი ჰიგიენის ნივთები და ჯამ-ჭურჭელი, ჯაყვა, ასანთი, საათი, საპარსი მოწყობილობა, საწერი და დასაკემსი ნივთები და სხვა.

შენიშვნა: ჩამოთვლილი ჯგუფური და პირადი საჭურველისა და ჩაცმულობის სია არაა სრული. მარშრუტისა და სამოქმედო რაიონის ხასიათიდან გამომდინარე, მას შეიძლება დაემატოს ან შეიცვალოს ზოგი ნივთი, რადგან ხშირ ჭაობიან ადგილებში მოგზაურობის დროს სასურველია რეზინის ჩექმის ხმარება, მდინარეებთან და ტბებთან სიახლოვეს—საცურაო და თევზის საჭერი მოწყობილობა, ხოლო მთებში, მარადთოვლიან ადგილებზე გადასვლის დროს კი სამთო საჭურველის სახეების გამოყენება და ა. შ.

სამთო მოგზაურობა

ქვეითი ტურისტული მოგზაურობის მსგავსად სამთო მოგზაურობაც ფეხით მოძრაობას ნიშნავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სამთო ლაშქრობები ძირითადად მაღალმთიან გარემოში ტარდება, სადაც გზად მიმავალ ტურისტებს სამთო რელიეფის დაძლევასთან ერთად მუდმივი თოვლის, ყინულის, მყინვარების, ქვაყრილი ფერდობების, მთის მდინარეების, ზვავსაშიში ფერდობებისა და სხვადასხვა სირთულისა და ხასიათის მარადთოვლიანი უღელტეხილების გადალახვა უხდებათ. ეს უღელტეხილები თავისი სირთულის მიხედვით I-ა და III-ბ

სურ. 4 — წინაღობის დაძლევა თოკის დახმარებით

სირთულის კატეგორიას მოიცავენ; I კატეგორიის მარშრუტზე დასაძლევია ორი უღელტეხილი, II კატეგორიის მარშრუტზე — სამი, III კატეგორიის მარშრუტზე — ოთხი, IV კატეგორიის მარშრუტზე — ხუთი და V კატეგორიის მარშრუტზე კი — ექვსი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამთო მოგზაურობის სათანრიგო მოთხოვნების შესაბამისად I კატეგორიის მოგზაურობის დროს 6 დღეში დასაძლევია 130 კმ., II კატეგორიის მარშრუტზე 8 დღეში გასავლელია იგივე 130 კმ., მაგრამ შედარებით გართულებული უღელტეხილებით, III კატეგორიის მოგზაურობის დროს 10 დღეში 150 კმ. IV კატეგორიის მარშრუტზე

სურ. 5 — თოვლიანი ველის დაძლევა.

13 დღეში 180 კმ. და V კატეგორიის მარშრუტზე 16 დღეში 180 კმ., რთული უღელტეხილების გადალახვით. ამრიგად, სამთო ლაშქრობების დროს ტურისტებს მაღალმთიან გარემოში უხდებათ რამდენიმე დღეს მიმოსვლა რთული ადგილების დაძლევით. ამისათვის კი სამთო ტურისტი, გარდა ქვეითი ტურიზმში ჩამოთვლილი საკითხებისა, კარგად უნდა ერკვეოდეს და ფლობდეს ალპინიზმის ტექნიკასაც. რათა წლის ყოველ დროს შეეძლოს ამა თუ იმ მარშრუტების გავლა. ამავე დროს, უნდა იცოდეს რთული უბნების დაძლევა და მარად თოვლ-ყინულიანი ადგილების უხიფათოდ გადალახვა, ღამის თევის ორგანიზაცია კარვებში და თოვლის მღვიმეებში, თვითდაცვა და ურთიერთდაცვა, პირველი სამედიცინო დახმარების წესები, სამაშველო სამსახურის ორგანიზაცია და სიგნალიზაცია, დაშავებულის ტრანსპორტირების საშუალებები, გზის შერჩევისა და გაგნების ხერხები, მთისათვის განკუთვნილი საჭურველ-კაზმულობის შერჩევა-მომზადება, კვების მოწყობის ორგანიზაცია და მთაგორიან რელიეფთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

მარშრუტის შერჩევა ხდება იმისდამიხედვით, თუ რა კვალიფიკაციის მქონე ტურისტებთან გვაქვს საქმე.

ჯგუფის ყოველმა წევრმა უნდა იცოდეს მოგზაურობის მიზანი და ამოცანა, გასავლელი გზა, მისი სირთულე და ხასიათი.

სამოგზაურო ჯგუფი შეიძლება იყოს შერეული (მამაკაცები და ქალები), ან მარტო მამაკაცებისაგან შედგებოდეს. როგორიც არ უნ-



სურ. 6 — თოვლიანი ციცაბო ფერდობის დაძლევა ურთიერთდაცვით.

და იყოს მარშრუტი, მას ესაჭიროება ზედმიწევნით კარგი მომზადება, რადგან მარშრუტები, მართალია, სირთულის მიხედვით კატეგორიებადაა დაყოფილი, მაგრამ დასაძლევად რთული ადგილები: თოვლიანი და ყინულიანი ფერდობები, ღია და დახურული ნაპრალები, სხვადასხვა ხასიათის მდინარეები, ქვაყრილი ფერდობები, რელიეფის დამრეცი ადგილები, კლიმატური პირობების თავისებურება და სხვა, მოსალოდნელია მოგზაურს ყველგან შეხვდეს იოლ თუ რთულ უღელტეხილებზე ასვლისას. ვიდრე უღელტეხილზე მივა ჯგუფი ხეობაში დამრეცი ბილიკით, ზოგჯერ ბილიკის გარეშეც უნდა იაროს რამდენიმე საათი, ან შეიძლება მთელი დღე და მეტიც, რომლის დროსაც ხშირად მოუხდება სხვადასხვა დაბრკოლებების დაძლევა და, მათ შორის, მთის მდინარეებზე გადასვლა. ამისათვის ჯგუფის ხელმძღვანელმა და წევრებმაც უნდა იცოდნენ: გადასასვლელი ადგილის შერჩევა და მდინარის გადალახვის ხერხები და საშუალებები, რათა ადგილმდებარეობის გათვალისწინებით განახორციელონ გადასვლა და ჯგუფი გადავიდეს ყოველგვარი ხიფათის გარეშე, წყლის ზედაპირზე იქნება ის თუ უშუალოდ წყალში გასვლით. გასათვალისწინებელია ის მდგომარეობაც, რომ საერთოდ, მთის მდინარეები დილის საათებში ნაკლები უხვწყლიანები არიან, ამიტომ მათი დაძლევა დილის საათებში შედარებით იოლია, ვიდრე შუადღის შემდეგ. თოვლიანი ფერდობების დაძლევაც დილის საათებში უმჯობესია, რადგან მოძრაობა ადვილია, ფეხი ნაკლებად ეფლება თოვლში და ზვავიც შედარებით ნაკლებადაა მოსალოდნელი. ასევე მოძრაობა კლდოვანი ადგილების ძირში, სადაც ხშირი ქვისცვენაა, უმჯობესია დილის საათებში, ზოგჯერ თითოთითოდაც, რომ ქვამ არ დააზიანოს ჯგუფის რომელიმე წევრი და ა. შ.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯგუფის ყველა წევრმა უნდა იცოდეს: მთაში მოძრაობის წესები, დაცვის ხერხები და გულდასმით იცავდეს მას.

სამთო მოგზაურობისათვის განკუთვნილი საჭურველის შერჩევა და



სურ. 7 — თოვლით დახურულ ნაპრალზე გადასვლა.

მისი გამოყენება ბევრადაა დამოკიდებული მარშრუტის ხასიათზე და მის სირთულეზე. იმ შემთხვევაში, თუ მარშრუტი გადის სუბალპურ ზონაში, მაშინ გამოსაყენებელი საჭურვლის რაოდენობა და მისი სახეები ბევრად არ განსხვავდება ქვეითად მოგზაურობისთვის განკუთვნილი საჭურვლის სახეებისგან. მაგრამ, თუ მარშრუტები მაღალმთიან უღელტეხილებზე, მყინვარებზე, მუდმივთოვლითა და ყინულით დაფარულ ფერდობებზე გადის, მაშინ, საჭიროა სათანადო ალპური საჭურვლით აღჭურვილობა და მისი გამოყენების ხერხების ცოდნა. ასეთ საჭურველს პირველ რიგში მიეკუთვნება სამთო ფეხსაცმელები, რომელიც სპეციალურად მთამსვლელებისთვისაა განკუთვნილი და ძირი მოჭედილი აქვს ღოჯებით. ამ ფეხსაცმლით მოძრაობა შედარებით იოლია, რადგან ე. წ. ნიადაგთან მეტი შეჭიდულობა აქვს და ფეხი ნაკლებად ცურავს. ამავე დროს ფეხზე ჩაცმულ შალის წინდაში ასეთ ფეხსაცმელში ფეხი ნაკლებად იყინება და ნაკლებად ზიანდება. ფეხსაცმელი სპეციალურად დამუშავებულია ორმაგი ტყავის ლანჩით, პირითა და მყარი რანტით იკერება, მისი ნომერი 35-დან 46-მდეა, წონა კი საშუალოდ 1,8-დან 2,5 კგ-ს შეადგენს. შეიძლება ფიბრიანი, მყარი რეზინის ლანჩა დაღარული ფეხსაცმლის გამოყენებაც. მაგრამ უმჯობესია ასეთი ფეხსაცმელები იოლ მარშრუტებზე ვიხმაროთ.

წ ე რ ა ყ ი ნ ი მთამსვლელის მარჯვენა ხელად ითვლება. ამიტომ, მთაში მოძრაობის დროს, იგი სამთო ტურისტისათვის მოძრაობის გასაადვილებელი და დაცვის საუკეთესო საშუალებაა. წერაყინის საშუალებით თოვლზე, ფირნზე და ყინულზე საფეხურების ჭრა, თვითდაცვა და დაცვა სრულდება და ამავე დროს იგი მოძრაობის დროს, თითქმის ყველგან, დაცვისა და დამატებით საყრდენს წარმოადგენს.

წ ე რ ა ყ ი ნ ი სიმაღლის მიხედვით უნდა შეირჩეს, იგი 65, 75, 85 და 95 სმ. სიგრძისაა, წონით კი 1,5-დან 2 კგ-მდე. წერაყინი სათანადოდ უნდა შემოწმდეს: ლითონის ნაწილები დაზიანებული არ იყოს, ხოლო ტარს სიმტკიცისათვის ჰქონდეს გრძივი ხაზების შრეები. წერაყინის შემცვლელად ჯოხ-შუბი ანუ მუჯირა გამოიყენება.

წ რ ი ა პ ი გამოიყენება ყინულოვან ფერდობებზე მოძრაობის გასაადვილებლად, ის ათკბილიანი მზადდება და წინა ორი კბილი შედარებით მოკლე და ოდნავ წინაა წახრილი ციცაბო ფერდობებზე მეტი ჩაჭიდულობისათვის. წრიაპი მზადდება ფოლადის ბლანტი შენადნობისაგან. იგი სახსროვანი შეერთების საშუალებით, ფეხსაცმლის ზომის მიხედვით, იშლება ან მცირდება და პატრუქის ზონარით მაგრდება, რომლის კვანძები აუცილებლად ფეხის (ფეხსაცმელის) გარე მხარეს უნდა შეიკრას.

აღწერილ მთამსვლური წრიაპების ნაცვლად დასაშვებია, შედარებით იოლ მარშრუტებზე, მოსახლეობის მიერ ადგილობრივად დამზადებული სამ და ოთხკბილიანი წრიაპების გამოყენება, რომელთა მოყვანილობა ოვალური, მრგვალი და ჯვარედინისებრი გვხვდება და წონითაც ბევრად ნაკლებია მთამსვლურ წრიაპებზე.

სამთო ტურისტისათვის აუცილებელ საჭურველს წარმოადგენს თ ო კ ი, რომლის დახმარებით სრულდება რთულ უბნებზე მოძრაობა და ურთიერთდაცვა. თოკები უმთავრესად კაპრონის მასალისაგანაა დამზადებული, ძირითადი თოკი 10—12 მმ. სისქისაა, დამხმარე კი 6 მმ. სისქისა. დაგრეხილი ან დაწნული სახის, სიგრძით 30 ან 40 მეტრის. თოკი ხმარების წინ უნდა შემოწმდეს, რათა დაზიანებული არ იყოს, ამავე დროს მისი ბოლოები მომწვარი უნდა იქნეს, რათა არ დაიშალოს, რადგან ბოლოებზე კვანძების შეკვრა დაუშვებელია.

პ ა ლ ო — კლდისა და ყინულისა — გამოიყენება რთულ კლდოვან და ყინულოვან უბნებზე დაცვებისა და მოძრაობის უზრუნველსაყოფად. კლდის პალოები გვხვდება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ნაპრალებისთვის, დამზადებული რბილი ფურცლოვანი ფოლადისა და ტიტანისაგან, მათი სისქე 2—6 მმ., სიგანე 10—15 მმ., სიგრძე 46—120 მმ., წონით 0,1—0,15 გრ. აღწევს.

ყინულის პალო მზადდება ბლანტი წნელოვანი ფოლადისგან (დიამეტრით 16—18 მმ, სიგრძით 25 სანტ.). მისი წონა მერყეობს 250—300 გრამამდე. პალოს მთელ სიგრძეზე აქვს ნაწიბურები და ნაჭდევები, ხოლო ზედა ექვსწახნაგოვან თავთან — მოძრავი რგოლი, კარაბინის ანუ შემაერთებელი რგოლის გასაყრელად. პალოებს ჩაქუჩით არჭობენ და იღებენ. ყინულის პალოს წერაყინითაც იღებენ, რომელსაც ნიჩაბზე ექვსწახნაგოვანი ნაჭდევი აქვს.

ალპური ჩაქუჩი გამოიყენება პალოების ჩასარჭობად და ამოსაღებად, ასევე დაცვის მოწყობის დროს, კლდის ბასრი წიბოების მოსამტვრევად. ჩაქუჩის თავი იჭედება ბლანტი ფოლადისგან, ტარი კი თელის, წიფლის გამოხარშული მერქნისაგან, რომელსაც ბოლოში, სპეციალურ ხვრელში, ტყავის თასმის ან რეფშნურის ზონარი უკეთდება, რომელიც კისერზე ან მაჯაზე ჩამოიკიდება, რათა მუშაობის დროს ჩაქუჩი ხელიდან არ გაგვივარდეს. ჩაქუჩის სიგრძე 30 სმ-ია, წონა 650 გრ., ზონარის სიგრძე 50—70 სმ.

კარაბინი, ანუ შემაერთებელი რგოლი, პალოსა და თოკის დამაკავშირებელი საშუალებაა. იგი, ძირითადად, სამკუთხედის მოყვანილობისაა, მისი სისქე 10 მმ-ია, მზადდება მაღალხარისხოვანი წნელოვანი ფოლადისგან. მას ერთ გვერდზე ჩასაკეტი ზამბარიანი ხრახნი და მოსაჭერი ქურო უკეთდება, რომელიც მეტ სიმტკიცეს მატებს.

საზვავე ზონდი — ზვავში მოხვედრილთა სამაშველოდ გამოიყენება. იგი ერთმანეთში ჩასახრახნი დურალუმინის 16—20 მმ. სიმსხოსი და 80—100 სმ. სიგრძის 3—5 მილისგან და ბუნიკისგან შედგება.

საზვავე ნიჩაბი გამოიყენება სამაშველო სამსახურის, თოვლის გამოქვაბულის გათხრისა და ქარსაცავი კედლების აშენების დროს. ასევე, მისი დახმარებით თოვლზე იტკეპნება კარვის დასადგმელი ადგილი. იგი მზადდება 9—12 მმ. უჟანგავი ფურცლოვანი ფოლადისა ან 2—2,5 მმ. დურალუმინის ფირფიტისგან, რომელსაც ფსკერზე სიმტკიცის მიმცემი ღარები უკეთდება. ტარზე, რომელიც წერაყინს ხიშტზე ეცმება (მაგრდება), დამაგრებული აქვს მოსაჭერი ქურო. ნიჩაბის წონა 200 გრ. აღწევს.

ალპინისტური სამკერდე ქამარი — გულმკერდზე შემოსაჭერად მოხერხებული და საიმედოა. იგი ფართოდ გამოიყენება სამთო ტურიზმში, შედგება მჭიდროდ ნაქსოვი ქამრის მსგავსი 35 მმ. სისქისა და 2,5 მეტრი სიგრძის ბამბის ქსოვილის ან კაპრონის ზონარისგან, რომელსაც კბილებიანი ბაფთა და 1 მეტ. სიგრძის მრგვალი სამხარული აქვს გაკეთებული. იმ შემთხვევაში, თუ სამკერდე ქამარი არა აქვს ჯგუფს, მაშინ თოკის ბოლოებით იკვრება მთამსვლელობაში და სამთო ტურიზმში ხმარებული სპეციალური კვანძები.

სათვალე თოვლიან და ყინულოვან ფერდობებზე მოძრაობის დროს ულტრაიისფერი სხივებისგან თვალების დამცველ საშუალებას წარმოადგენს. სათვალეს შუშა აუცილებლად კვამლისფერი ან მუქი მწვანე უნდა იყოს: ლურჯი, ვარდისფერი და სხვა მთაში არ გამოდგება.

ზემოთ დასახელებულის გარდა, საჭურვლის კიდევ მრავალი სახეობა არსებობს. ქვემოთ მოგვყავს 8 კაცზე განსაზღვრული,

ჯგუფური საჭურვლისა და პირადი საჭურველ-კაზმულობის სრული სია:

1. კარავი „პამირულა“, ან ტურისტული — 2 ცალი
2. ძირითადი თოკი კაპრონისა, 30 ან 40 მეტ. — 3 „
3. დამხმარე თოკი კაპრონისა, 40 მეტ. — 1 „
4. პრიმუსი „შმელი“, თავისი მოწყობილობით — 2 „
5. ქვაბები ან ვედრო 6—8 ლიტრის ტევადობისა — 2 „
6. კომპასი — 2 „
7. ჭოგრიტი — 1 „
8. ალტიმეტრი — 1 „
9 ფოტო ან კინოაპარატი — 2 „
10. რუკები, კროკები, სქემები — საჭიროების მიხედვით
11. საველე აფთიაქი საჭირო მედიკამენტებით — 1 ჩანთა
12. სარემონტო ხელსაწყოები — 1 კომპლექტი
13. პროდუქტების შესაფუთნი ტარა — საჭიროების მიხედვით
14. ბენზინის ჭურჭელი, საჭიროების მიხედვით,
15. შუქფარანი სათადარიგო ელემენტებით — 3—4 ცალი
16. სანთელი (კარტოფილისა) — 4—5 ცალი
17. სამზარეულო დანები —2—3 ცალი
18. სხვადასხვა წვრილმანი ნივთები (ნემსი, ძაფი, ღილები, მახათი, სადგისი, მაკრატელი, ჯაგრისი და სხვა) — 1 კომპლექტი.

პირადი საჭურველ-კაზმულობა:

1. ზურგჩანთა დიდი (ალპინისტური) — 1 ცალი
2. საძილე ტომარა — 1 „
3. საიერიშო კოსტუმი — 1 კომპლექტი.
4. საწვიმარი ლაბადა — 1 ცალი
5. სამთო ფეხსაცმელი, ან ტურისტული ფეხსაცმელი, დაღარული ლანჩით — 1 წყვილი.
6. წერაყინი — 1 ცალი
7. სამკერდე ქამარი ან რეფშნური — 1 „

9. შალის შარვალი — 1 „
10. საწვრთნო კოსტუმი — 1 კომპლექტი
11. თბილი საცვლები — 1 „
12. კოვბოურა — 1 ცალი
13. შალის სვიტერი — 1 „
14. მაისური და ტრუსები — 2 კომპლექტი
15. შალის წინდა — 2—3 წყ
16. ბამბის წინდა — 2 წყ
17. სპორტული ჩუსტები — 1 წყ
18. ქუდი თბილი ან ჩაფხუტი — 1 ცალი
19. ხელთათმანები — 1 წყ
20. სათვალე — 1—2 ცალი
21. ფინჯანი, ჯამი, კოვზი — 1 კომპლექტი
22. პირადი ჰიგიენის ნივთები — 1 „
23. საწერი მოწყობილობა — 2 კომპლექტი
24. მუშამბის პარკები ფულის, ასანთის, რუკის შესაფუთნავად — 3—4 ცალი
25. დოლბანდის ნიღაბი 1 ცალი,
26. ცხვირსახოცები — 3—4 ცალი
27. სახეზე წასასმელი დამწვრობის საწინააღმდეგო კრემი — 1 კოლოფი.

სათხილამურო მოგზაურობა

სათხილამურო ტურიზმი ნიშნავს თხილამურებით მოგზაურობას არა მარტო ვაკე ადგილებზე, არამედ მთაგორიან ადგილებზეც. ამასთან დაკავშირებით თხილამურებით მოგზაურობა მთიან რელიეფზე, განსაკუთრებით მუდმივი თოვლით დაფარულ ციცაბო ფერდობებზე მოთხილამურე ტურისტისაგან მოითხოვს სამთო-სათხილამურო ტექნიკის კარგ ცოდნას და მთის ბუნების საფუძვლიან შესწავლას. სხვადასხვა დასერილ ადგილმდებარეობაზე, თოვლიან ლაბრინთში მოგზაურობა ტურისტის კარგ ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებას მოითხოვს, რამდენადაც მას ციცაბო ფერდობების დაძლევა უხდება და მარშრუტები დატკეპნილი და დამუშავებული კი არ არის, არამედ უმთავრესად მაღალი თოვლის საბურველით, ნაპრალებით დასერილ, თოვლით დაფარულ მყინვარებზე, მაღალმთიან უღელტეხილებზე, ტრამალებზე და ზედაპირულად მოყინულ ჭაობიან და ტბებით დაფარულ ადგილებზე გადის.

ამრიგად, მოთხილამურე-ტურისტებს ზამთრისა და ადრე გაზაფ-

ხულის პერიოდებში, ამა თუ იმ სირთულის მარშრუტებზე უხდებათ სხვადასხვა ხასიათისა და სირთულის დაბრკოლებების დაძლევა. ამისათვის კი საჭიროა ჯგუფის ყველა მონაწილემ იცოდეს რელიეფის რთული და სახიფათო უბნებისა და მარადთოვლიანი ადგილების გადალახვა. მან უნდა იცოდეს აგრეთვე გზის შერჩევისა და გაგნების ხერხები, დაცვებისა და ურთიერთდაცვების წესები, სამაშველო სამსახურის ორგანიზაცია, დაშავებულის ან ავადმყოფის პირველი სამედიცინო დახმარება და ტრანსპორტირების საშუალებები, ღამის თევის ადგილების შერჩევისა და მისი მოწყობის და კვების ორგანიზაცია, ამასთანავე გზად სასარგებლო მუშაობის შესრულება, მარშრუტის სათანადო აღწერა, ფოტოგადაღება, სქემების შედგენა, მოგზაურობასთან დაკავშირებით საჭირო ინვენტარისა და საჭურველ-კაზმულობის შერჩევა-მომზადება და მთელი რიგი სხვა საორგანიზაციო საკითხები.

სათხილამურო ტურიზმში სათანრიგო მოთხოვნები სხვადასხვა სირთულეთა მაჩვენებლებით ხასიათდება: I კატეგორიის მარშრუტზე 6 დღეში გავლილი უნდა იქნეს 150 კმ., II კატეგორიისაზე — 8 დღეში 180 კმ., III კატეგორიისაზე 10 დღეში — 210 კმ., IV კატეგორიის მარშრუტზე 13 დღეში — 260 კმ., ხოლო V კატეგორიის მარშრუტზე 16 დღეში — 310 კმ. აღნიშნული მოთხოვნების შესრულება მოთხილამურე ტურისტებს უმთავრესად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა გეოგრაფიულ რაიონებში მიმოსვლის დროს, დასახლებული პუნქტებიდან მრავალი ათეული კილომეტრის დაშორებით უხდებათ. ამასთან ერთად, ზამთრის სუსხიან ამინდში ტურისტი მოძრაობს უგზო ადგილებში, ღრმა და გაუკვალავ თოვლში, მრავალ დაბრკოლებასთან და სირთულესთან ერთად მან უნდა აიტანოს მძაფრი ყინვებიც. აღსანიშნავია ისიც, რომ მოთხილამურე-ტურისტი მოგზაურობის დროს, დასვენებისა და ღამის გასათევად თოვლს ტკეპნის: კარვის, ქოხების ან ქარსაცავების გასაკეთებლად და თოვლსვე ადნობს წყურვილის მოსაკლავად და საჭმლის დასამზადებლად.

ამრიგად, ვიდრე ჯგუფი გაემგზავრებოდეს სათხილამურო ლაშქრობაში, საჭიროა, შესწავლილი იქნეს სამოქმედო რაიონის პირობები, თოვლის საბურველის ხასიათი, ზვავსაშიში ფერდობების, უღელტეხილების, მდინარეების, მოქმედი მძაფრი ქარების, ყინვებისა და სხვათა შესახებ. რომლის ირგვლივ მასალების გაცნობა შეიძლება ამ რაიონებში ადრე გავლილი ჯგუფების მიერ წარდგენილი ანგარიშებიდან, რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებიდან და გამოცდილი და ამ ადგილებში ნამყოფ ტურისტების საუბრებიდან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სათხილამურო ლაშქრობები, რომლებიც თავის მხრივ იოლ და რთულ მარშრუტებად იყოფიან,

სურ. 8 — თოვლიანი ველის დაძლევა თხილამურებით.

მოგზაურებისგან მოითხოვს სამოქმედო რაიონისა და გზის კარგ ცოდნას და ამისდამიხედვით სათანადო მომზადებასა და ინვენტარის შერჩევას. სათხილამურო ინვენტარის შერჩევას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ვაკე და ტრამალ რაიონებში გამავალ მარშრუტებზე უმთავრესად გამოიყენება ჩვეულებრივი ტურისტული სასრიალო ანუ სარბოლო თხილამურები, მაგარი ან ნახევრადრბილი სამაგრებით, სამთო ლაშქრობებში (მთაგორიანი რელიეფი) კი უმეტესად განიერი სარბოლო ე. წ. ტურისტული ან სამთო თხილამურები, რომელთაც ისეთი სამაგრები უკეთდებათ, სადაც მოთხილამურის ფეხის ქუსლი შეუზღუდავად მოძრაობს და ამით უადვილებს რელიეფის სხვადასხვა დამრეცი თუ ვაკე ადგილების დაძლევას.

ტურისტული თხილამურები გამძლე და მაგარია. ამავე დროს სამთო თხილამურებზე ბევრად მჩატეა. თხილამურები ტურისტის სიმაღლისა და მისი წონის მიხედვით უნდა შეირჩეს, რათა იგი ნაკლებად იფლობოდეს თოვლში, კარგად სრიალებდეს და იოლი მოსახმარი იყოს. არსებობს თხილამურების შერჩევის უბრალო ხერხები: პირველი — ადამიანის სიმაღლეზე, გამართულ ხელისგულამდე წვდებოდეს თხილამურების წვერები; მეორე — ადამიანის სიმაღლეს მიემატოს მისი წონის ნახევარი და რაც გამოვა იმის სიმაღლის თხილამურები შეარჩიოს. ასევე ჯოხებიც იღლიამდე უნდა წვდებოდეს, ხოლო



სურ. 9 — თხილამურების ნახევრად მყარი და მყარი საბაგეების სახეები.

საცხი სათანადოდ უნდა შეირჩეს თოვლისა და ამინდის ცვალებადობის მიხედვით. გასათვალისწინებელია თოვლის ხასიათიც, თოვლ ფხვიერიც და დამჯდარიც (ძველი, სიმძიმისაგან და ყინვისაგან დაწეული) გვხვდება. რის დროსაც ფხვიერ (ფიფქ) თოვლში ვიწრო თხილამურებით მოძრაობა რთულდება, რადგან იგი ღრმად ეფლობა. ხოლო დამჯდარ თოვლში, რომლის ზედაპირი დილის საათებში და ყინვის დროს ხშირად მოყინულია, ამ შემთხვევებში, სარბენი და უკანტესამთო თხილამურებით დამრეც ადგილებში მოძრაობა ძნელდება დ მოგზაურისგან მოითხოვს სრულყოფილ მომზადებასა და დაბრკოლებათა ხასიათის გათვალისწინებით — მათ დაძლევას. აქვე გასათვალისწინებელია: მოთხილამურე მოგზაურის ინვენტარისა და ჩაცმულობის შერჩევა და თხილამურებზე სათანადო საცხის წასმა.

მოთხილამურეთა მოძრაობის სიჩქარე ცვალებადია, რადგან იგ დამოკიდებულია ადგილმდებარეობის რელიეფზე, თოვლის ხასიათზ მოგზაურთა ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებაზე და თვით მგზავრთ რაოდენობაზე.

გაუკვალავ თოვლში დიდი ჯგუფის (10—15 კაცის) მოძრაობი ტემპი შეიძლება საშუალოზე მეტი იყოს, ეს ადგილმდებარეობის ხასიათზე და მიმმართველის ხშირ ცვლაზეა დამოკიდებული, რადგა მას უხდება კვალის გაყვანა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია თოვ ლის ხასიათი და სათანადო საცხის გამოყენება თხილამურების სრია

ლის მატებისთვის. აღმართ ადგილებში, ტყეში, ბუჩქნარში და ციცაბო დაღმართ ფერდობებზე მოძრაობის სიჩქარე იკლებს, ხოლო გაშლილ, მცირე დაქანების ფერდობზე და ვაკე ადგილებში სიჩქარე მატულობს. აქედან გამომდინარე, მოძრაობის სიჩქარე ადგილმდებარეობის ხასიათთან დაკავშირებით, საათში საშუალოდ 4—8 კმ. ფარგლებში მერყეობს, ხოლო დღიური სამოძრაო ნორმა 8 საათის განმავლობაში საშუალოდ 20—40 კმ. მოიცავს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოძრაობის საერთო გრაფიკი ისე უნდა შედგეს, რომ გაითვალისწინებულ იქნეს ყველა პირობა და მასთან ერთად ამინდის ცვალებადობა (ქარბუქი, ქარიშხალი, დიდი ყინვა, თოვლის ლღობა). დიდი დასვენება ანუ დღესამყოფელი ყოველი 4—5 დღის შემდეგ უნდა მოეწყოს.

მოთხილამურის ჩაცმულობა თბილი, მჩატე, მტკიცე და ხმარებისთვის მოხერხებული უნდა იყოს და ხასიათდებოდეს სითბოს შენარჩუნებით. ამისთვის უმჯობესია ჩაცმულობა შალისგან იყოს დამზადებული, რადგან იგი უფრო მჩატეა და სველ მდგომარეობაშიც კი სითბოს შენარჩუნების მეტი უნარი აქვს. თოვლის, წვიმისა და ქარის საწინააღმდეგო თხელბრეზენტისგან დამზადებულ სხვადასხვა თარგის საიერიშო კასტუმებს იცვამენ. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი ერთი ნომრით მეტი უნდა შეირჩეს, რადგან ერთი-ორი წყვილი წინდაჩაცმული ფეხის თითები თავისუფლად მოძრაობდეს და არ მოიყინოს. სათხილამურო ფეხსაცმელი ნაკლებად რომ დასველდეს, ამისთვის საჭიროა: ხმარებამდე, იგი, თევზის ქონით, უმარილო ღორის ქონით ან სპეციალური ე. წ. ჭაობის საცხით გაიპოხოს. ამასთანავე, ღრმა თოვლში ხანგრძლივი მოძრაობის პირობებში, რომ ნაკლებად დასველდეს და ფეხი თბილად იყოს, ფეხსაცმელზე ზემოდან იცვამენ სპეციალურად შეკერილ ნაჭრის წინდას ე. წ. „ბახილს“, ან პაიჭებს იყენებენ. ნაბდის ჩექმასაც ხმარობენ, მაგრამ მათ შემცვლელად ფეხსაცმელებიც არის საჭირო. დაბანაკების დროს დასველებულ ფეხსაცმლის შესაცვლელად უნტებს ან ბეწვიან წინდებსაც იყენებენ. მყარი სამაგრის ხმარების დროს, ხშირად სათხილამურო ფეხსაცმლის რანტს, სიმაგრისთვის თხელი ლითონის სალტესაც უკეთებენ, რათა დასველებული ფეხსაცმელი სამაგრიდან არ ამოვარდეს.

სახისთვის იყენებენ თავზე ჩამოსაცმელ შალის ნაქსოვ ჩაფხუტს, რომელსაც თვალებისა და პირისთვის დატოვებული აქვს მცირე ხვრელები, ან იხურავენ ყურებიან თბილ ქუდს. სუსხიან ამინდში, ძლიერი ქარისა და ყინვის დროს, სახისთვის სპეციალურად დამზადებულ ნიღაბს იკეთებენ. აღნიშნულის გარდა, მიაქვთ შალის ან ბამბის ნაქსოვი საცვლები, მაისურები, 3—4 წყვილი მატყლის წინდები, პაიჭები, ხელთათმანები და ტყავის თათმანები, მუქი სათვალეები და სხვა.



სურ. 10 — ოთხფერდა ორმაგი ფენის კარავი, ქარსაწინააღმდეგო ზღუდით.





სურ. 10 ა — თოვლის ქოხები.

სურ. 10 ბ — თოვლის მღვიმე.

სუსხიან რაიონებში, ხანგრძლივ მოგზაურობებში, შესაძლებლობისდაგვარად ბუმბულის ქურთუკებსა და შარვლებს იყენებენ, რომლებიც ძალზე მჩატე და თბილია. ღამის სათევად ჩვეულებრივ ბამბის ან ბუმბულის საძილე ტომარას ხმარობენ, თავისი ზეწრით, ანდა სპეციალურად ოთხკაცზე განსაზღვრულ საძილე ტომარას კერავენ, რომელიც კარვის მთელ სიგრძე-სიგანეზე იშლება და შიგ ჩაწოლილებს თბილად სძინავთ. აღნიშნულ საძილეს, გამოცდილი ტურისტები რთულ და ხანგრძლივ ლაშქრობებში იყენებენ, რითაც ბარგის სიმძიმესა და რაოდენობას საგრძნობლად ამცირებენ.

რადგან სათხილამურო ლაშქრობებში სულ თოვლზე და ყინვაში უხდებათ მოძრაობა და დიდი ენერგიის ხარჯვა, რისთვისაც ორგანიზმს ესაჭიროება კარგი დასვენება, ამიტომ სხვადასხვა სახისა და ზომის კარვებს იყენებენ. ზოგში შეძლებისდაგვარად ცეცხლის ან გაზის ღუმელებს დგამენ. პრიმუს „შმელსაც“ იყენებენ, რომელსაც მარშრუტის მიხედვით წინასწარ საზღვრავენ და ამზადებენ. კარვის ძირ-

ზე, ქვემოდან სითბოსა და სირბილისათვის, წიწვის ტოტებს ან ფოთლებს უფენენ, ანდა გასაბერ ლეიბებს და პარალონებს იყენებენ. კარვებს სუსხიან ქარისაგან დასაცავად, თოვლის ან ყინულის ზღუდეებს უშენებენ, რომლებსაც უმთავრესად ზვავსაწინააღმდეგო ნიჩბებითა და ნაჯახით აგებენ. თხილამურებითაც აკეთებენ ქარსაცავ ღობეებს.

შესაძლებლობისდაგვარად, ზოგიერთ მოხერხებულ ადგილებზე, კარვების მაგივრად თოვლის მღვიმეებსაც თხრიან, რომელშიც კარვებთან შედარებით უკეთესი სითბოა.

ზემოთ აღწერილის გარდა, ჯგუფურ საჭურვლიდან მიაქვთ კერიის მოსაწყობი მოწყობილობა, სხვადასხვა ზომისა და მოცულობის ბრტყელი ან მრგვალი ქვაბები, თითოეული 3—5—7 ლიტრზე, ვედრო და ჩაიდანი თავის ჩასადები პარკებით, ჭურჭლის საწმენდი ტილოები და პროდუქტების ჩასაწყობი პარკები.

5 კაცზე საჭიროა ერთი ნაჯახი, ხერხი, დანები, ჩამჩა, სანთელი, დამხმარე და საზვავე თოკი, ზონდი, საცხის გასაპოხი, საცობის ფირფიტა, საათი, ბინოკლი, ალტიმეტრი, კომპასი, ფოტოაპარატი, რუკა, მარშრუტის სქემა, საწერი მოწყობილობა, სამხარემცოდნეო მასალები, საველე აფთიაქი, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაკეთებელი მასალა, ძაფი, ნემსი, სათადარიგო თხილამური და თხილამურის წვერზე წამოსაცმელი ალუმინის ფირფიტა (თხილამურის მოტეხილი წვერის შემცვლელი). გასათვალისწინებელია ის მდგომარეობაც, რომ მონაწილეთა ტვირთი თანაბრად უნდა იყოს განაწილებული მოგზაურთა ძალის, გამძლეობისა და ფიზიკური და ტექნიკური მომზადებიდან გამომდინარე. გზაში კი აუცილებელია პროდუქტების ხარჯვიდან გამომდინარე ტვირთის ყოველდღიური გადანაწილება.

ზოგჯერ მოგზაურები სათხილამურო ლაშქრობისას ბარგის საზიდავად ციგებს ან ნარტებს იყენებენ, რომელთაც რიგრიგობით ორორი კაცი ეზიდება.

ამრიგად, ამა თუ იმ სირთულის სათხილამურო მოგზაურობის უსაფრთხოდ და წარმატებით ჩატარებისთვის, საერთო ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებასთან ერთად, ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ინვენტარისა და კაზმულობის შერჩევასა და მის სრულყოფილ გამოყენებასაც ენიჭება.

სანაოსნო მოგზაურობა

სანაოსნო ტურიზმი გულისხმობს მოგზაურობას სხვადასხვა ნავჭურჭლით, ძირითადად: ბაიდარებით, ნავებითა და ტივებით — მდინარეებზე, ტბებზე, ხელოვნურ წყალსაცავებსა და ზღვაზე.

სანაოსნო ტურიზმში მოგზაურთა სამიმოსვლო საშუალებას უმთავრესად სხვადასხვა სახის ბაიდარები, ნავები, ტივები, ნავტიკები და კატამარანები წარმოადგენენ, რომლებიც თავის მხრივ მდინარეების და წყალსაცავების ხასიათისა და მათი თავისებურების მიხედვით შეირჩევა და მზადდება. ამავე დროს ნავ-ჟურჟლის შერჩევა დამოკიდებულია თვით ტურისტთა ჯგუფის გამოცდილებასა და მათ მომზადებაზე.

გამოიყენება მრავალგვარი სახისა და ტიპის დასაშლელი თუ დაუშლელი ბაიდარები, ხისა თუ რეზინის გასაბერი ნავები, ტივები, ნავტიკები და კატამარანები სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული, როგორც სამამულო, ასევე უცხოური წარმოებისა და თვით გამოცდილი ტურისტების მიერ გაკეთებული. მათი კონსტრუქციები მრავალნაირია, ამასთანავე ისინი სისტემატურ სახეცვლილებასა და გაუმჯობესებას განიცდიან. ლაშქრობის სირთულისა და ხასიათიდან გამომდინარეობს გამოცდილი მოგზაურების მიერ მათი შერჩევა-გამოყენება.

როგორი სახისა და წყალწვისა არ უნდა იყოს ნავ-ჟურჟელი, მას უნდა ახასიათებდეს წყალზე კარგი მდგრადობა, ექვემდებარებოდეს იოლ მართვასა და სწრაფმავლობას, იყოს დატვირთვის კარგი ამტანი, მტკიცე, გამძლე, ძლიერი, ქარისა თუ ტალღის მიუხედავად ინარჩუნებდეს სწრაფმავლობის თვისებებს და ამასთანავე ჰქონდეს კარგი სათავსოები, მონაწილეთა და ბარგის მოხერხებული განლაგებისათვის.

სანაოსნო ტურიზმი მოგზაური ტურისტისაგან მოითხოვს მდინარეებისა და წყალსაცავების რეჟიმის თავისებურების ცოდნასა და მათ წინასწარ განსაზღვრას სანაოსნოდ გამოყენებისათვის, მეორეც — ამა თუ იმ ნავ-ჟურჟლის მოხერხებულ მართვას მდინარეებისა თუ წყალსაცავების გარემო პირობებისა და დინების ხასიათის გათვალისწინებით, და მესამეც — საბჭოთა კავშირის საწყლო-სამიმოსვლო გზებზე სანაოსნო წესების ცოდნას.

სანაოსნო ტურიზმის თავისებურებების მიხედვით მდინარეები ძირითადად 3 ჯგუფად იყოფიან: ვაკე ადგილებზე განივ კალაპოტში გამდინარე, რომელზეც ნაოსნობა შედარებით იოლია;

ჭაობიან ადგილებში და ტუნდრებში გამდინარე მდინარეები, რომლებიც ნაკლებად გამოიყენება ტურისტული ნაოსნობისთვის.

მთის მდინარეები — რომლებიც შედარებით ვიწრო და დამრეც კალაპოტებში მიედინებიან, ზემო წელში სწრაფი დინებით და უხვწყლიანობით ხასიათდებიან, ხოლო ქვემო ნაწილში მდორედ მიედინებიან და განივად იშლებიან. მათზე ნაოსნობა სათავეებში ძალზე გართულებულია, ხოლო შუაწელში და ქვემოთ, შედარებით იოლია; ასეთი მდინარეები გაზაფხულობით დიდდებიან სანაოსნო მოგზაურობე-

ბი, თავისი ხასიათისა და სირთულის მიხედვით, რთულ და იოლ ლაშქრობებად იყოფიან.

არსებული სათანრიგო მოთხოვნების შესაბამისად საწყლო ტურიზმში ტივით, ბაიდარებით და ნიჩბიანი ნავით მოგზაურობებისთვის განსაზღვრულია შემდეგი: I კატეგორიის მარშრუტებზე 6 დღის განმავლობაში დაძლეული უნდა იქნას — 150 კმ., II კატეგორიის მარშრუტებზე 8 დღის განმავლობაში — 200 კმ., III კატეგორიის მარშრუტებზე — 250 კმ., IV კატეგორიის სირთულის მარშრუტებზე — 275 კმ., ხოლო V კატეგორიის მარშრუტებზე — 300 კმ. ლაშქრობის ხასიათიდან, მისი სირთულიდან და მონაწილეთა მომზადებიდან გამომდინარე, რთულ მარშრუტებზე (IV—V კატ. ჯგუფში უნდა შედიოდეს არანაკლებ 6 — 8 კაცისა, ხოლო შედარებით იოლ მარშრუტებზე 10—12 კაცისა), ამრიგად ყველაზე მოძრავი და მოქნილი ჯგუფი რთულ მარშრუტებზე 6—8 კაცისაგან უნდა შედგებოდეს, მათი ტვირთის საერთო რაოდენობა ბაიდარებისა და კამერებით აწყობილი ტიეებისათვის საშუალოდ 300—400 კილოგრამამდე იქნება (ხის მორებისაგან შეკრული ტივებით გაცილებით მეტის წაღება შეიძლება). საერთოდ, მთელი ჯგუფის სამოგზაურო წონა დამოკიდებულია სამოქმედო რაიონზე და სამოგზაურო საშუალებებზე, მოგზაურობის ხასიათზე და მის სირთულეზე, ჯგუფის რაოდენობაზე, დღეთა ხანგრძლივობაზე და აღჭურვილობის სიმძიმე-სიმსუბუქეზე. რთული ლაშქრობების წარმატებით ჩატარების ერთ-ერთ მთავარ საწინდარს წარმოადგენს მოგზაურობის საშუალებათა ესა თუ ის ხელსაყრელი კონსტრუქციები და მათი სიმტკიცე და სიმსუბუქე.

სანაოსნო ტურიზმში სხვადასხვა სახის სამამულო და უცხოური ტიპის ასაწყობ კარკასიან და დაუშლელ ბაიდარებს იყენებენ, რომლებიც განკუთვნილია 1, 2 და 3 კაცის სამოგზაუროდ. მათი შერჩევა და გამოყენება დამოკიდებულია მდინარის ხასიათზე, მოგზაურობის სირთულეზე და ლაშქრობის მონაწილეთა გამოცდილებაზე.

დღეისათვის სამამულო ბაიდარებიდან ყველაზე გავრცელებულია 2 და 3-ადგილიანი „სალუტი"-ს მარკის ბაიდარები. 2-ადგილიანი ბაიდარა სიგრძით 4,7 მეტრია, სიგანით 0,9 მეტრი, სიმაღლით 0,4 მეტრი, წონით 40 კგ., ხოლო მისი ტვირთზიდვა 250 კგ-ს შეადგენს.

3-ადგილიანი ბაიდარა სიგრძით 5,2 მეტრია, სიგანით 0,9 მეტრი, სიმაღლით 0,4 მეტრი, წონა 40 კგ. აღწევს, ხოლო ტვირთზიდვა 350 კგ. შეადგენს. აღწერილ ბაიდარებს კარგი მდგრადობა, სწრაფი სვლა და მანევრირება ახასიათებთ. ამავე დროს, კორპუსში მოხერხებულად თავსდება ბარგი და მონაწილენი.

გამოცდილი ტურისტები ბაიდარების თავში, ბოლოში და გვერდებზე ფრენბურთის გაბერილ კამერებსა და სხვა მსგავს კამერებს

სურ. 11 — ბაიდარებით მოგზაურობა.

ამაგრებენ ბაიდარის წყალწყვის, მდგრადობისა და მოხერხებული მანევრირების მომატების მიზნით. ასევე, ფსკერზე და იმ ადგილებში, სადაც ძირი მეტად ცვდება, დამატებით აწებებენ თხელი რეზინის ნაწიბურებს, ხოლო ბაიდარაში ჩამჯდარი ტურისტები წყლის შხეფებისაგან ნაკლებად რომ სველდებოდნენ, ზემოდან წინსაფრის მსგავსად იფარავენ ბაიდარის გვერდებზე დამაგრებულ მუშამბის ნაჭერს, ან მისგან იკერავენ გრძელ სახელოებიან წამოსასხამს წინ შესაკვრელი ღილებით.

ბაიდარებში ბარგს, პირველ რიგში, ისე აწყობენ, რომ მათი სიმძიმის ცენტრი არ დაირღვეს, ხელი არ შეუშალოს ნიჩბოსანს და ბაიდარის შემთხვევითი გადაბრუნების დროს ბარგი წყალმა არ წაიღოს და არ ჩაძიროს. სახელდახელო ბარგი, კარვები, საძილე ტომრები, ქურთუკები და სხვა პირადი ნივთები, ასევე საკვების დასამზადებლად გაწკუთვნილი ქვაბები, ჯამ-ჭურჭელი, სამედიცინო აფთიაქი და სხვა მოწყობილობა და ინვენტარი, რომელთა გამოყენებაც სისტემატურად არის საჭირო. იწყობა წყალგაუმტარი ცელოფანის ან მუშამბისგან შეკერილ პარკებში (ტომრებში) და ლაგდებიან ბაიდარის დეკის ქვეშ, ე. წ. „კოპტიკებში“ — თოკებით დამაგრებული, ხოლო ძირითადი ბარგი კი თავსდება კარკასის სიღრმეში. ბაიდარის თავსა და ბოლოში თოკის ხვეულებს უკეთებენ, რათა შენელდეს დარტყმის ძალა ქვებზე ან რაიმე წინაღობაზე დაჯახების დროს, იგივე თოკების ბოლოების დახმარებით საჭირო შემთხვევებში ნაპირიდან მისი თრევა შედარებით გაიოლებულია.

საბაიდარო მოგზაურობისთვის საჭიროა ნავ-ჭურჭლის სათანადო შერჩევა და მისი კარგი მომზადება მდინარის ხასიათის, მონაწილეთა მომზადებისა და მათი რაოდენობის გათვალისწინებით, რაც ამავე დროს, უნდა უზრუნველყოფდეს უხიფათო მიმოსვლას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოსალოდნელია სხვადასხვა ხასიათის ბუნებრივი პირობების ცვალებადობით გამოწვეული გაუთვალისწინებელი დაბრკოლებები, რომლებსაც შეუძლია გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენოს ესა თუ ის ჯგუფი და ზიანი მიაყენოს მას.

ბაიდარებისაგან განსხვავებით, ტივები დაცურების საშუალებას წარმოადგენენ. ტივებით მოგზაურობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ერთ-ერთი უძველესი, დაცურებისა და სატრანსპორტო საშუალებაა, სპორტული თვალსაზრისით ახალია, სულ რაღაც ორი ათეული წელია, რაც დაარსდა.

სპორტული დაცურება ხის ტივებით, მთლიანი ან გასაბერი რეზინის ტივებითა და მათი კომბინირებული მასალით დამზადებული ტივებით ე. წ. კატამარანებით სრულდება. მათი გამოყენება დამოკიდებულია მოგზაურობის სირთულეზე, მდინარის ხასიათზე, ტურისტთა გამოცდილებაზე და მათ მისწრაფებაზე. ტივი ნაკლებად მოძრავი და მოქნილია და მისი სიჩქარე ძირითადად მდინარის დინების სისწრაფეზეა დამოკიდებული. მიუხედავად ტივის ნაკლები სისწრაფისა და მოქნილობისა, იგი ფართოდ გამოიყენება სანაოსნო ტურიზმში, რადგან ხასიათდება კარგი მდგრადობით, გამძლეობითა და სიმყარით, რაც საშუალებას იძლევა გადალახულ იქნეს მთისა და ტაიგის მდინარეებისთვის დამახასიათებელი რთული ბუნებრივი დაბრკოლებები — ჭორომები, ჩქერები და ჩახერგილი ადგილები.

სანაოსნო ტურიზმში ყველაზე მეტად გავრცელებულია ხმელი ნაძვის, სოჭის, კედარისა და რბილწიწვიანი ხეებისაგან დამზადებული ტივები. მათი დამუშავება და ტივად შეკვრა შედარებით ადვილია, იგი გამძლე, სიმძიმის ამტანი და მოხერხებულია სამოგზაუროდ, სწრაფი დინების მდინარეებზეც კი.

ტივი, უმთავრესად, ჩქარ მდინარეებზე გამოიყენება, მას თავსა და ბოლოში ორთაყვირები უკეთდება, რომლებიც განკუთვნილია ცურვის დროს, საჭის მაგიერ, მიმართულების მისაცემად და რაიმე დაბრკოლებაზე დაჯახების ასაცდენად. ამავე დროს, ორთაყვირების საშუალებით შესაძლებელია ტივის ნაპირზე მიცურება და მისგან მოცილება. ორთაყვირების დასახმარებლად გრძელ ჭოკებსაც ხმარობენ. ამზადებენ სხვადასხვა ზომის ტივებს: მცირე მოცულობის, ანუ 3—4 ხისაგან შეკრულ ტივებზე, ორთაყვირების ნაცვლად ნიჩბებსა და ჭოკებს იყენებენ. ასეთ ტივებზე გრძელ მანძილებზე და ჩქარ მდინარეებზე მოგზაურობა სახიფათოა, ამავე დროს მასზე 4 კაცზე მეტის მო-



სურ. 12 — თოკით სატივე ძელების დამაგრების ხერხი.



სურ. 13 — ავტომანქანის კამერებისაგან შეკრული ტივი.

თავსება რთულდება. დიდ და განიერ ტივებზე რთული მოგზაურობების ჩატარება მოსახერხებელია, ამავე დროს, ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა 8—10 კაცს აღწევს. საერთო წონა ხშირად 4—5 ტონას შეადგენს და შეკრულია 8—10 ხისაგან. იმისათვის, რომ ტივს ჰქონდეს სისწრაფისა და ტვირთზიდვის კარგი უნარი, იყოს გამძლე და ემორჩილებოდეს მოგზაურის ნებასურვილს, მისი შეკვრის დროს საჭიროა გათვალისწინებული იქნეს: ხე-ტყის მასალა, მოგზაურობის



სურ. 14 — ტივზე ორაყვირების დასამაგრებელი საყრდენების სახეები.

სირთულე, მდინარის ხასიათი და, რაც მთავარია, მისი მოცულობა უნდა ეფარდებოდეს 1:3. ამასთანავე ტივის სიგრძე და სიგანე ხელს უშლის ჩქარ მდინარეებზე მის მოხერხებულ მართვას და მდგრადობას. ტივის სიმტკიცე ბევრადაა დამოკიდებული მის შეკვრა-გამაგრებაზე, რომელიც კაპრონის ან ქერელის თოკებით, ლითონის ტროსებით და დაგრეხილი ტოტების ღვლეჭებით იკვრება და თითოეულ ხეში გამოჭრილ ხვრელებში და ნაჭდევებში გამაგრებული ძელების საშუალებით მაგრდება.

ტივების მართვას და ორთაყვირების გამოყენებას თავისებური გამოცდილება სჭირდება: მოგზაურმა დროულად უნდა განსაზღვროს და აამოქმედოს ორთაყვირი, დაბრკოლებას მოარიდოს ტივი, რადგან ორთაყვირი ისე მოქნილად არ მოქმედებს, როგორც ნიჩაბი და ტივს იმდენად სასურველ მიმართულებას ვერ აძლევს.

მდინარის ნელი დინების შემთხვევებში ტივის სისწრაფის მომატება, ნაპირზე მიყვანა ან ნაპირიდან მისი მოცილება ჭოკების დახმარებით სრულდება. წყალმარჩხზე გახერგილ ტივს საყევრებით ათრევენ. ქვებში გახერგილი ან დამჯდარი ტივი, რომ არ დაიშალოს, რაც შეიძლება მაგრად უნდა იქნეს შეკრული და ამავე დროს ასეთ ადგილებში მისი მართვა მეტად ზუსტი უნდა იყოს.

ნაპირზე გაჩერებული ტივი მაგრდება თოკებით ხეებზე, დიდ ლოდებზე, ხის პალოებზე, გამოიყენება ღუზებიც.

ტივების სახესხვაობას ნავტიკები წარმოადგენენ: ისინი საბარგო მანქანების, ტრაქტორების საბურავების, ფეხბურთის ან ფრენბურთის გაბერილი კამერებისაგან შეკრული ტივებია, მათ „კატამარანებსაც“



სურ. 15—ფრენბურთისა და კალათბურთის კამერებისაგან დამზადებული კატამარანი.

უწოდებენ, მათი ფართო გამოყენება დაკავშირებულია იმ უპირატესობასთან რაც მათ ახასიათებთ (სიმსუბუქე, ადვილად შესაკრავი, სამართავად მოხერხებული, სწრაფი და, რაც მთავარია, არ ესაჭიროებათ დიდძალი ძვირადღირებული ხე-ტყის მასალა). ისინი გამოყენების გავრცელების მიხედვით თითქმის აღემატებიან ნამდვილ ტივებს, მათი გამოყენება შეიძლება ყველა სირთულის მარშრუტებზე და მდინარეებზე. გასაბერი ტივები ანუ ნავტიკები კარგი გამძლეობითაც ხასიათდებიან, ამავე დროს მათი მართვა ბევრად ადვილია, ვიდრე ნამდვილი ტივისა.

გასაბერი ტივის შეკვრისთვის, ხის ლატანებისგან კეთდება 2—3 რიგად შეკრული უჯრედებიანი განივი ჩარჩო, რომელშიც კაპრონის თოკით მაგრდება პარალელური წყობით გაბერილი, მანქანის ან ფეხბურთის, ფრენბურთის წყვილად შეკრული და ბადეში მოთავსებული კამერები ისე, რომ რომელიმე მათგანის მწყობრიდან გამოსვლის შემ-

თხვევაში (გაცვეთა, გახეთქვა და სხვა) მისი შეცვლა ტივის დაშლის გარეშე ადვილად ხდებოდეს. აღნიშნულ კამერებიან შეკრულ ჩარჩოს ზემოდან აფენენ და ამაგრებენ ხის წვრილი ლატნების ან ტოტების მჭიდროდ შეერთებულ ძელნაგებს. ასეთი ტივის მართვა ხორციელდება ორთაყვირებისა და დამატებითი გრძელი ლატნების საშუალებით. აღნიშნული ტივის შუა ადგილზე კეთდება მოგზაურთა ბარგის, პროდუქტებისა და საჭურველის დასაწყობი ადგილი, სათანადო შესაკრავებით, რათა წყლის ტალღამ ტივის გადაბრუნების შემთხვევაში მოწყობილობა არ გაიტაცოს.

სანაოსნო მოგზაურობა, როგორი სახისაც არ უნდა იყოს იგი, საჭიროებს სათანადო უზრუნველყოფას საიმედო, სამაშველო საშუალებებით, რომელიც საწინდარია მოგზაურობის უხიფათოდ ჩატარებისა. ამისათვის იყენებენ სამაშველველო რგოლებს, მკერდზე დასამაგრებელ საცობის შეკრულასაგან დამზადებულ ქამარს (ტივტივა), გასაბერ ჟილეტს და სხვა საშუალებებს, რომელთაც თითოეული სამოგზაურო ჯგუფი თავისი გამოცდილებისა და გამჭრიახობის მიხედვით ირჩევს ან იკეთებს.

სანაოსნო მოგზაურობასთან დაკავშირებით აღწერილი მოძრაობის საშუალებები და მათი შერჩევა-მომზადების საკითხები უმთავრესად დამოკიდებულია ამა თუ იმ ტურისტთა ჯგუფის გამოცდილებაზე, რაც ზუსტდება და იხვეწება მოგზაურობის სამზადისში, ხოლო უშუალოდ მოგზაურობის დროს და მისი დამთავრების შემდეგ კი ვლინდება ამა თუ იმ მოძრაობის საშუალებების დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, რომლებიც მომდევნო მოგზაურობისათვის გამოსწორებული უნდა იქნეს. ამავე დროს, ტურისტთა ჯგუფი ვალდებულია მიიღოს სათანადო კონსულტაცია და თავის მხრივ პირადი გამოცდილება გაუზიაროს სანაოსნო მოგზაურობის მოყვარულთ და ამით ხელი შეუწყოს უავარიო ლაშქრობებს.

სანაოსნო მოგზაურობასთან დაკავშირებით არსებობს ერთგვარი ლიტერატურა, რომლის გაცნობა-დამუშავება მიზანშეწონილი და აუცილებელია.

მოგზაურობის სირთულიდან და მისი ხასიათიდან გამომდინარე ირჩევა შემდეგი საჭურველი და მოწყობილობა:

1. მოგზაურობის საშუალებები: ბაიდარები, ნავები ნავტიკები, კამერიანი ან ხის ტივები, კატამარანები და მათი მოწყობილობა; 2. უშიშარი მოძრაობის უზრუნველყოფის საშუალებები, სამაშველო მოწყობილობა (ინდივიდუალური და ჯგუფური); 3. წყალგაუმტარი შესაფუთი ინვენტარი — სურსათისა და საერთო და პირადი ნივთებისთვის; 4. სარემონტო ხელსაწყოები, იარაღი და მასალა; 5. ღამის გასათევი საშუალებები (კარვები, ბრეზენტის ფარდული. საძილე ტომ-



სურ. 16 — ბაიდარებისაგან შეკრული კატამარანი.

რები და სხვა); 6. კერიის მოწყობილობა და კერძის დასამზადებლად პრიმუსები; 7. პირადი და ჯგუფური ჭურჭელი და მოწყობილობა; 8. სამედიცინო ჩანთა წამლებითა და შესახვევი მასალით; 9. რუკები, სქემები, კომპასი, საათი, ფანქრები, რვეული, საწერი მოწყობილობა და სხვა; 10. ფოტო და კინოაპარატურა და მონაწილეთა პირადი ნივთები.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ, რამდენადაც თითოეულ სამოქმედო რაიონს თავისი სპეციფიკური პირობები ახასიათებს, კაზმულობა ანუ ჩაცმულობა სხვადასხვანაირი უნდა იყოს, მაგ., ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებში შესაძლებელია ლაშქრობა მსუბუქ ჩაცმულობაში (შორტები, კოებოურა, მაისურა, განიერ ფარფლებიანი ქუდი და სხვა), გრილ ამინდში შესაძლებელია საწვრთნო, საიერიშო კოსტუმის, კურტაკისა და წინდების ჩაცმა და ა. შ. ჩრდილო რაიონებში მოგზაურობის დროს კი გასათვალისწინებელია იქაური კლიმატური პირობები და, ამის მიხედვით სათანადო თბილი ჩაცმულობის წაღება (საცვლები, საწვრთნო და საიერიშო კოსტუმი, კურტაკი, ქუდი, წინდები, საწვიმარი ლაბადა, მსუბუქი კასკა და სხვა). რაც შეეხება ფეხსაცმელებს, იგი სანაოსნო ტურიზმში სხვადასხვანაირი გვხვდება და სამოქმედო რაიონის გათვალისწინებით ირჩევენ რეზინის მაღალყელიან ჩექმებს, წაღებს, ტურისტულ ფეხსაცმელებს, კედებს, „ტაპოჩკებს“ და სპეციალურად შეკერილ კომბინიზონს. გამოცდილი ტურისტები რეზინის მაღალყელიანი ჩექმების წაღების წინააღმდეგი

არიან, რადგან ბაიდარას, ან ტივის გადაბრუნების, ან მდინარეში გადავარდნის დროს ჩექმები წყლით ივსება და მოგზაურს უძნელდება ამოსვლა. ჩექმების ნაცვლად ხშირად საკუთარი თარგის თვითნაკერი შარვალი მიაქვთ, რომელსაც წინდებისა და საცვლების ზემოდან იცვამენ და მით მოძრაობენ წყალსა და ჭაობიან ადგილებში. ასევე სპეციალურად იკერავენ თხელი მუშამბისაგან გრძელ ჩაფხუტიან ხალათს, რომელსაც წვიმის, ქარისა და კოღოების საწინააღმდეგოდ იყენებენ.

აგრეთვე ხმარობენ სპეციალურად შეკერილ დოლბანდის ჩაფხუტს კოღოების საწინააღმდეგოდ. ამასთანავე აუცილებლად მიაქვთ სამაშველო ჟილეტები და სხვა.

კვების პროდუქტების შერჩევისას გასათვალისწინებელია მოგზაურობის მთლიანი რაციონი, კალორიულობა და დამზადების საშუალებები, რადგან მდინარეებზე მოგზაურობის დროს, ყოველთვის შეუძლებელია თევზაობა, ნადირობა და პროდუქტების შევსება სხვა საშუალებებით.

ველო მოგზაურობა

ველო-ტურიზმი ნიშნავს ველოსიპედით იმოგზაურო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში, არჩეული მარშრუტების მიხედვით, რისთვისაც ველო-ტურისტი თანდათანობით ეუფლება და ხვეწავს მოძრაობის ტექნიკასა და ტაქტიკას სხვადასხვა სირთულის მარშრუტებზე, სადაც გადალახავს რა ამა თუ იმ წინაღობებს შარაგზებზე, ყამირგზებზე, უგზო-უკვლოდ, ტყე-ველებში, მთაგორიან ადგილებში, ბილიკებზე, ღელეებზე, ხრამებზე და მდინარეებზე თანდათანობით იძენს გამოცდილებას. ამასთანავე, იგი ეცნობა სხვადასხვა სახის ველოსიპედებს, სწავლობს მათ დაშლა-აწყობას, ნაწილების შეცვლა-შეკეთებას, გაუვალ და რთულ ადგილებში მათ ბარგთან ერთად გადატანას, ღამისთევის ორგანიზაციას, გზის გაგნებისა და ორიენტირების ხერხებს და ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესებს. ერკვევა მხარეთმცოდნეობასა და საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობაში და ველო-ლაშქრობებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში.

ველო-ტურიზმს დიდი გასაქანი და შესაძლებლობა ახასიათებს და იგი ჩვენს ქვეყანაში მასობრივად განვითარებული და დიდად გავრცელებულია. ველოსიპედები მასობრივად გამოიყენება დასვენების დღის მოგზაურობებში, არა მარტო მშობლიური ქალაქისა და რაიონის დათვალიერება-გაცნობისა და სუფთა ჰაერზე დასვენების მიზნით, არამედ უფრო შორ მანძილზე ლაშქრობებში, როდესაც ველოსიპედები

გადააქვთ მანქანა-მატარებლებით და სხვა სატრანსპორტო საშუალებებით ქალაქ გარეთ, სხვადასხვა რაიონებში და იქიდან მოგზაურობენ თავიანთი მხარის თუ ოლქის შორეულ ადგილებში.

ველო-ტურისტი მოგზაურობის დროს ბევრად შეზღუდული არ არის, როგორც ავტო-მოტო ან საწყლო ტურიზმის მოყვარული, მას თითქმის ყოველ მხარეში გზაზე თუ უგზოდ შეუძლია გადასეროს ესა თუ ის რთული ადგილი და დღეში გაიაროს 40—80 კმ. მანძილი. ამასთანავე დიდი შესაძლებლობა და გასაქანი აქვს მეტი რაოდენობით დაათვალიეროს და გაეცნოს ჩვენი ქვეყნის ბუნების სიმშვენიერესა და მის ღირსშესანიშნაობებს, ექსკურსიისა თუ სამეცნიერო დაკვირვების სახით — მეტი საშუალება ეძლევა კარგი დასვენებისა. ველო-მოგზაურებს საშუალება აქვთ ველოსიპედები დაშლილი ან დაუშლელი სახით ტრანსპორტის საშუალებებით გადაიტანონ სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში და იქიდან დაიწყონ განსაზღვრული მარშრუტით მოგზაურობა. მაგრამ ველო-ტურისტები, ამასთანავე, უმთავრესად „მიბოჭილი“ არიან გზებთან და აქედან გამომდინარე გეგმავენ თავიანთ მოგზაურობებს, თუმცა გამორიცხული არ არის უგზო ადგილებში, ტრამალ და ვიწრო ბილიკებზე მოგზაურობები.

ველო-ტურიზმში, საერთო მოძრაობის დღიური ნორმა, სათანადო შესვენებებით, საშუალოდ 8 საათს არ აღემატება. დამოკიდებულია მოგზაურობის სირთულის სამოქმედო რაიონის, გზის ხასიათიდან და ჯგუფის რაოდენობიდან, რომელიც I, II და III კატეგორიის სირთულის მარშრუტებზე 4 კაცზე ნაკლები, ხოლო IV და V კატეგორიის მარშრუტებზე 6 კაცზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამავე დროს, საერთო და სპეციალურ მომზადებიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე ესა თუ ის ჯგუფი საათში 10-25 კმ. მანძილს ფარავს. მანძილი მეტად მერყეობს სასოფლო და ვიწრო მთაგორიან გზებზე. ყამირ გზებზე და წვიმასა და ქარშიც.

გზების ხასიათიდან გამომდინარე, ველო-ტურიზმში სათანრიგო მოთხოვნები შემდეგ ნორმებს მოიცავს: I კატეროგიის მარშრუტზე 6 დღეში დაძლეული უნდა იქნეს — 250 კმ. მანძილი, II კატეგორიის მარშრუტზე 8 დღეში — 350 კმ, III კატეგორიის მარშრუტზე 10 დღეში — 450 კმ. IV კატეგორიის მარშრუტზე 13 დღეში — 750 კმ. ხოლო V კატეგორიის მარშრუტზე 16 დღეში — 1100 კმ. ამ სამოგზაურო დღეთა რაოდენობაში შედის დასვენების დღეებიც. რომელიც აუცილებელია მოეწყოს 4—5 დღის მოგზაურობის შემდეგ, რომელიც დამოკიდებულია გასავლელი მარშრუტის სირთულეზე.

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ ყოველგვარ სიძნელეებს, გზად შემხვედრ დაბრკოლებებს, გზების ხასიათსა და ამა თუ იმ მოგზაურობასთან დაკავშირებულ სხვა ფაქტორებს, ველო-ტურისტებს დღე-

ში საშუალოდ, მეტ-ნაკლებად შეუძლიათ გაიარონ 40—80 კმ. მანძილი, ხოლო მთაგორიან გზებზე და ცვალებად კლიმატურ პირობებში შედარებით ნაკლები. მთელი ლაშქრობის ყოველდღიური მოძრაობის გრაფიკის შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს მოგზაურობის პირობები და გასავლელი მანძილის დღიური ნორმა. ამასთანავე, საჭიროა მოგზაურობის პირველ ორ დღეში გასავლელი მანძილის რაოდენობა ნაკლები იყოს, რათა ჯგუფის შემადგენლობა თანდათან შეეიდეს ფორმაში. აგრეთვე დასაშვებია შედარებით იოლ მარშრუტებზე ჯგუფის შემადგენლობა თავისი სქესის, ასაკის, გამოცდილებისა და ფიზიკური მომზადების მხრივ იყოს შერეული და შეადგენდეს 6-დან 20 კაცამდე. ხოლო ხანგრძლივ და რთულ გასავლელ მარშრუტებზე უმჯობესია მოლაშქრეთა შემადგენლობა ერთნაირი სქესისა და ტექნიკური და ფიზიკური მომზადებისა იყოს და 8—12 კაცამდე აღწევდეს. ამასთანავე, კარგი იქნება და ყოველმხრივ მოსახერხებელი, თუ ველოსიპედებიც ერთნაირი მარკის (სახის) იქნებიან, ამით გაადვილდება შესაცვლელი და სარემონტო ნაწილების: საბურავების, კამერების, და სხვა ხელსაწყოების ნაკლები რაოდენობით წაღება, ვიდრე ჯგუფში — შერეული, სხვადასხვა სახის ველოსიპედების დროს.

ჩვენი ქვეყნის წარმოებაში სხვადასხვა სახისა და მოყვანილობის ველოსიპედებს უშვებენ და ისინი მეტ-ნაკლებად ამა თუ იმ ხასიათისა და სირთულის მარშრუტებზე გამოიყენებიან. ასეთებია: მინსკის, რიგის, ხარკოვის, პერმის, ურალისა და სხვა ქარხნების მიერ გამოშვებული ველოსიპედები. ისინი სხვადასხვა მოყვანილობისა, მოცულობისა, სიმტკიცისა და გამძლეობისა გეხედება, რომლებსაც გამოცდილი და მრავალ მოგზაურობაში ნამყოფი ტურისტები თავიანთი შეხედულებისა და გამჭრიახობის მიხედვით, სამოქმედო რაიონისა და გასავლელი გზების ხასიათიდან გამომდინარე, ირჩევენ და ბევრ შემთხვევაში ნაწილებს უცვლიან. სხვადასხვა მარკის ველოსიპედების ნაწილების ერთმანეთში შეცვლით უფრო ამაგრებენ მათ, რითაც უფრო მოსახერხებელი ხდება რთული მოგზაურობისათვის. ზემოთ დასახელებული ქარხნების მიერ გამოშვებული ველოსიპედების სახეები, როგორც სამგზავრო, ასევე სარბოლო — მრავალფეროვანია, მათგან ტურიზმში მასობრივად სამოგზაუროდ ყველაზე მეტად გამოსადეგი და გამოსაყენებელია სამგზავრო და ნახევრად სამგზავრო ველოსიპედები. მათ საჭე, საჯდომი და საბურავების მოცულობა გამძლე და მოხერხებულია მართვისათვის და დიდ მანძილზე მოგზაურობისთვის. ამავე დროს, ველოსიპედები წონითაც 14 — 20 კგ-დე აღწევენ. ამრიგად, სამგზავრო ველოსიპედებიდან ხმარებაშია სამმუხრუჭიანი „ნილისური“ მექანიზმით აღჭურვილი შემდეგი საქარხნო მექანიზმები:



სურ. 17 — ბარგის დამაგრება ველოსიპედზე.





სურ. 18 — ველოსიპედის უკანა ბორბალი და საბარგე ჩანთა.

1_3, 10_3, 20_3, ვ-16, ვ-114, ვ-116, რიგა—16, ვ-110, ვ-120, ვ-124 და „ურალი". ერთსაფეხურიანი სხლტუნა-კბილანათი გამოიყენება შემდეგი სახის ველოსიპედები ვ-112 მ, 15_3, ვ-127, „მირი", ვ-128 და „დრუჟბა", ასევე მრავალსაფეხურიანი სხლეტუნათი — 13--113, 13-113 მ, 23-13 და „კამა". ხოლო სამგზავრო ველოსიპედები ვ-123 და „ურალი" კიდევ უფრო მოხერხებულია სამოგზაურად, რომელთა საბურავების სისქე 28×2 აღწევს და აქვს მყარი მიმმართავი ჩანგალი და წინა და უკანა საბარგული. მსგავს მოხერხებულ სამგზავრო ველოსიპედებს უშვებენ სხვა ქარხნები სტანდარტული მარკის მიხედვით, მხოლოდ სხვადასხვა სახელწოდებებით, მაგ. „პროგრესი", „ყირგიზეთი", „ურალი", და სხვა, რომლის სიმაღლე 1175 მმ, ჩარჩოს სიმაღლე 580 მმ-ია საბურავების ზომაა 28×1,$^3/_4$, ჯაჭვის ორკაპები და საყრდენები გამაგრებულია ჭანჭიკებით, აქვს მყარი საჯდომი, ფეხისა და ხელის მუხრუჭები, მთლიანი კორპუსის საბარგული, იარაღების ჩასაწყობი ჩანთა, ჩარჩოც და თვით საყრდენებიც სათანადოდ გამაგრებულია.

მსგავს, მსუბუქ სამგზავრო ველოსიპედებს უშვებს ხარკოვის ქარხანა სხვადასხვა სახელწოდებებით, როგორიცაა „ტურისტი", „სპუტნიკი", „სპორტი", „ჩაიკა" და სხვა.



სურ. 19 — ორსაჯდომიანი ველოსიპედის ჩარჩო.

ასევე სამგზავრო ველოსიპედებს მიეკუთვნება ქალებისათვის განკუთვნილი 21_3, 24_3 და „რიგა 26“ მარკის ველოსიპედები, რომელთა ჩარჩო სამკუთხედის მოყვანილობისაა და არა აქვს ზედა შემაერთებელი ღერო, ხოლო გადამცემი ჯაჭვი კი დაფარულია ლითონის ბადით, რათა კაბის კალთა არ ჩაითრიოს.

ჩვენი ქარხნები ორსაჯდომიან ველოსიპედებს ე. წ. „ტანდემებს“ სამოგზაუროდ ჯერჯერობით თითქმის არ უშვებენ. გამოცდილი ტურისტები კი მათ კარგად იყენებენ, რისთვისაც მას, ხშირად, თვითონ აკეთებენ. იგი ორი ველოსიპედის ჩარჩოსაგან არის შედუღებული და ჭანჭიკებით დამაგრებული, აქვს ორი საჯდომი, სატერფულები გადამცემი ჯაჭვებით და საჭე. იგი წონით ორ ველოსიპედზე უფრო მჩატეა და ორი ტურისტისათვის სატარებლად ადვილია და მოხერხებული.

ველო-ტურისტები მარშრუტის ხასიათისა და სირთულიდან (მკვეთრი აღმართები, გზის მოუპირკეთებელი უბნები, სასოფლი გზები და ა. შ.) გამომდინარე არჩევენ მრავალსაფეხურიან ველოსიპედს (3, 4, 5 საფეხურიანი უკანა სხლეტუნა), რაც საშუალებას აძლევს შეინარჩუნონ ფეხთა ბრუნვის ტემპი და ნაკლები ენერგიისა და კუნთური ძალის ხარჯზე ადვილად დაძლიონ შეღმართი ადგილები, დამრეცი გზები, ძლიერი ქარის წინააღმდეგობა და ა. შ.

როგორი სახისაც არ უნდა იყოს ველოსიპედი, მას სათანადო მოვლა და პატრონობა ესაჭიროება, ხოლო სამოგზაუროდ წასვლის წინ კი კარგად უნდა დაიზეთოს, შემოწმდეს და მომზადდეს ამა თუ იმ მარშრუტისათვის. გასათვალისწინებელია ველო-ტურისტის სიმაღლე, რის მიხედვითაც ირჩევა ველოსიპედი, უმთავრესად კი მისი ჩარჩო, რომელიც სტანდარტული ზომების მიხედვით მზადდება, იგი 160 — 170 სმ. სიმაღლის პირისათვის № 1 ზომისა ანუ 54 სმ. უნდა შეირჩეს, 171 — 180 სმ. სიმაღლის დროს № 2 ზომისა, ე. ი. 56 სმ., ხოლო 181 —

190 სმ. სიმაღლის დროს კი № 3 ზომისა, ე. ი. 58 სმ. ასევე ველოსიპედის საჯდომი, რომელიც სხვადასხვა სახის გვხვდება, მოხერხებული და ელასტური უნდა იყოს, რათა ტურისტი ნაკლებად დაიღალოს. საჭე იმ სიმაღლეზე უნდა დამაგრდეს, რომ საჯდომზე მჯდარი ტურისტი მოხერხებულად გრძნობდეს თავს. რკინაზე ხელის მოსაკიდებლად რეზინის სპეციალური სალტეები უნდა გაკეთდეს. ბორბლები და სატერფულები თავისუფლად და შეუზღუდავად უნდა ბრუნავდნენ, ხოლო საბურავი ნორმალურად იყოს გაბერილი, ჯაჭვი კი სათანადოდ დაჭიმული. მთაგორიან ადგილებში მოგზაურობის დროს ყველა ველოსიპედს უნდა ჰქონდეს ხელის მუხრუჭებიც.

ველო-ლაშქრობის დასაწყისში და მის შემდეგაც, მითუმეტეს მთაგორიან გზებზე მოგზაურობის დასრულებისას, საჭიროა ველოსიპედის ყველა მბრუნავი ნაწილებისა და კვანძების (ბორბლის მილისუერები, მანები, საჭის საყრდენები, ბარბაცა-მექანიზმი, ჯაჭვი და ა. შ.) რეგულირება, რათა გახანგრძლივდეს ველოსიპედის სამოგზაუროდ გამოყენების თვისებები.

ბარგი საბარგულებში მჭიდროდ უნდა იქნეს ჩაწყობილი, და მყარად შეკრული, პროდუქტები და ღამის გასათევი მოწყობილობა — ზურგჩანთაში ჩალაგებული და მჭიდროდ დაკრული ველოსიპედის წინა და უკანა ლითონის საბარგულებზე. ღამით, იძულებითი მოგზაურობისათვის, საჭიროა ელექტრო-შუქფარანის დამაგრება საჭის საყრდენზე, უკან კი წითელი შუქნიშნის მიმაგრება.

ველომოგზაურთათვის განკუთვნილი საჭურველი, უპირველეს ყოვლისა, ირჩევა მარშრუტის სირთულიდან და სამოქმედო რაიონიდან გამომდინარე. რადგან, არართული მარშრუტები უმთავრესად გზებით დასერილ ადგილებში და დასახლებულ პუნქტებთან ახლოს გადიან, ხოლო რთული მარშრუტები უმთავრესად უგზო, ტყიან, ჭაობიან, მთაგორიან, ტრამალ ადგილებში გვხვდებიან. ამავე დროს, დასახლებული ადგილებიც ძალზე შორს მდებარეობენ. ამ დროს მოგზაურობის უზრუნველყოფა და მისი წარმატებით ჩატარება მთლიანად ჯგუფის მოხერხებულობაზე და თავდაპირველ მომზადებაზეა დამოკიდებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოგზაუროდ მიმავალ ჯგუფის მომზადებას უდიდესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება და იგი უნდა იყოს ყოველმხრივ უზრუნველყოფილი სამოგზაურო საბუთებით, საჭირო თანხით, სათანადო საჭურვლით, პროდუქტებით და სამოგზაურო ველოსიპედებით. ამრიგად, სამგზავრო ბარგი მარშრუტის სირთულიდან და მისი ხანგრძლივობიდან გამომდინარე თითოეულ მონაწილეზე შეიძლება განისაზღვროს 10-დან — 25 კგ-მდე და მეტიც.

ველო-მოგზაურებს ღამის გასათევ საშუალებად მიაქვთ კარვები

და საძილე ტომრები, ან შალის საბნები. ქვეშ დასაგებად გასაბერი ლეიბები, კერძების დასამზადებლად სხვადასხვა ზომის ბრტყელი ქვაბები და ჯამ-ჭურჭელი — მონაწილეთა რაოდენობიდან გამომდინარე — კერიის მოსაწყობად დასაშლელი სამფეხები, პრიმუსი „შმელი" ან „ტურისტი".

ველო-სარემონტო მოწყობილობა, ინვენტარი და საველე აფთიაქი, ასევე ველო-ტურისტის ჩაცმულობის სახეები მკვეთრად ცვალებადობს სამოქმედო რაიონისა და მოგზაურობის სირთულე-ხანგრძლივობის მიხედვით. საერთოდ, იგი უნდა იყოს მტკიცე, მსუბუქი და მოსახმარად მოხერხებული. სახელდობრ: ველო-ფეხსაცმელი ან რეზინის ლანჩიანი წაღა, 1—2 წყვილი შალისა და ბამბის წინდები, ველოტრუსები (კაცებისთვის შორტები, ქალებისთვის ე. წ. ბრიჯები). საწვრთნო კოსტუმი, კოვბოურა, სახელოებიანი მაისურა, სვიტერი, საწვიმარი ლაბადა, მზის საწინააღმდეგო კარტუზიანი ქუდი, ველო-ხელთათმანები, პირადი ჰიგიენის ნივთები, დასაკეშსი და საწერი მოწყობილობა, რუკა, კომპასი, სქემა, ფოტოაპარატი და სხვა ნივთები.

ავტო-მოტო მოგზაურობა

ავტო-მოტო ტურიზმი ავტომობილით, მოტოციკლეტით ან მოტორიანი ველოსიპედით მოგზაურობას ნიშნავს. იგი ერთ-ერთი მოხერხებული და ხელმისაწვდომია მოგზაურობისთვის, რადგან მოტორიანი მანქანებით მიმოსვლა ტურიზმის სხვა სახეებთან შედარებით ბევრად სწრაფია და შესაძლებელია დიდი მანძილის დაფარვა მოკლე დროის განმავლობაში. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოლაშქრეს, უშუალოდ ზურგზე მოკიდებული ჩანთით არ უხდება ფიზიკური ენერგიის დახარჯვა.

ავტომანქანები, როგორც მოგზაურობის საშუალება, ყველაზე ფართო შესაძლებლობას იძლევიან მრავალმხრივი ტურისტული მოგზაურობის ჩატარებისთვის. ავტო-მოტო ტურისტს დიდი გასაქანი აქვს სხვადასხვა ხასიათისა და სირთულის მარშრუტების დაძლევისთვის, მაგრამ მან ამავე დროს უნდა იცოდეს მანქანის ზედმიწევნით კარგი მართვა, მისი ტექნიკური მოწყობილობა და ბუნებრივ დაბრკოლებათა დაძლევის ხერხები.

მართალია, ავტო-მოტოტურიზმის მოყვარულთა მარშრუტი დღიური მანძილის მიხედვით არც თუ ისე იოლია, მაგრამ მოგზაურობა ყოველთვის სასურველი შედეგით დამთავრდება, თუ იგი კარგად იქნება ორგანიზებული, მანქანა კი სრულ წესრიგში. ხშირია შემთხვევები, როცა დამწყები ტურისტები მოგზაურობისთვის ზერელედ ემ-

ზადებიან და გზაში, ამა თუ იმ ღირსშესანიშნავი ძეგლებისა თუ ისტორიული ადგილების, მამათა საბრძოლო და შრომითი დიდების გზების დათვალიერების ნაცვლად, მანქანებს „უკირკიტებენ“ და დარბიან დაზიანებული ნაწილების საშოვნელად. ამით, რასაკვირველია, ხელი ეშლება დღიური გრაფიკისა და გამიზნული გეგმის განხორციელებას, რაც საერთოდ გავლენას ახდენს მოგზაურობაზე. ტურისტს უნდა ახსოვდეს, რომ საკმარისი როდია მარტო ავტო-მოტო-მანქანების მართვა, საჭიროა აგრეთვე მანქანის წესიერი მოვლა, წინასწარი პროფილაქტიკა და კარგი მომზადება. უპირველეს ყოვლისა მონაწილეებმა უნდა შეისწავლონ მანქანების შეკეთება და მათი პროფილაქტიკა. ჩაატარონ სპეციალური პრაქტიკული გასვლები მანქანების შესამოწმებლად. ლაშქრობამდე ერთი-ორი თვით ადრე ჩაატარონ ერთ-ორდღიანი ლაშქრობები სხვადასხვა მიმართულებით, მყარსაფარიან სასოფლო გზებზე, აღმართ-დაღმართზე, ფონზე გასვლა, და ა. შ. სიჩქარისა და მანძილის მატებით. შესწავლილ უნდა იქნეს მანქანების მდგომარეობა. მათი გამწევუნარიანობა, ძრავის მუშაობა სხვადასხვა სირთულის უბნებზე და ა. შ. ამავე დროს, თვით მძღოლების ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებასა და მათი ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებასაც უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. შესწავლილ უნდა იქნეს გზის გაგნებისა და ორიენტირების წესები, ღამისთევის ორგანიზაცია და მათი მოწყობა. პირველი სამედიცინო დახმარების ხერხები და მისი ტრამვების პროფილაქტიკა, მხარეთმცოდნეობისა და საზოგადოებრივი სასარგებლო მუშაობის ფორმები და სხვა. ამრიგად, ავტო-მოტო მოგზაურებს სპეციალურად შემუშავებული თეორიული და პრაქტიკული საპროგრამო კურსის გავლის შემდეგ გაუადვილდებათ სხვადასხვა სირთულის მოგზაურობაში მონაწილეობა.

ავტო-მოტო მანქანებისთვის — საშუალო დღიური საძოგზაურო ნორმად გზატკეცილებზე გათვალისწინებულია 500 კმ-მდე. მოტოციკლეტისათვის 250—300 კმ. მოტორიანი ველოსიპედისათვის 100—150 კმ. ეს ნორმები საგრძნობლად მცირდება მთაგორიან ადგილებზე, ყამირ და სასოფლო გზებზე, უღელტეხილებზე, მოუპირკეთებელ, ქვიან, ფლატეებიან, საზვავე და ფონით გასავლელ გზებზე მოგზაურობის დროს. ავტომანქანით მოგზაურობის დროს სხვადასხვა ხასიათისა და სირთულის მარშრუტების გავლა დამოკიდებულია მანქანების საზეებზე და მათ სიმძლავრეზე. ამისათვის უმჯობესია შერჩეულ იქნეს ერთნაირი ტიპის ავტომანქანები, რაც ჯგუფს საშუალებას მისცემს ნაკლები რაოდენობით წაიღოს სათადარიგო ნაწილები და ხელსაწყოები (ამით შემცირდება საერთო ტვირთი), ერთნაირი სიჩქარით იაროს და დასძლიოს გზად შემხვედრი დაბრკოლებანი. ავტომოგზაურობის დროს, უმჯობესია ჯგუფში იყოს არანაკლებ სამი-ოთხი მანქანისა.

თიოთეულ მანქანაზე უნდა იყოს ტექნიკურად საკმაოდ მომზადებული ორ-ორი მძღოლი. ამავე დროს, საგანაცხადო წიგნაკში აუცილებლად უნდა აღინიშნოს მეორე მძღოლის გვარიც.

საკლასიფიკაციო-სათანრიგო მოთხოვნების შესაბამისად, ავტომოგზაურობისთვის მარშრუტების შერჩევა ბევრადაა დამოკიდებული მონაწილეთა კვალიფიკაციაზე და ტექნიკურ-ფიზიკურ მომზადებაზე, მათ წლოვანებაზე, რაოდენობაზე, მოგზაურობის ხანგრძლივობაზე, წლის დროზე, სამოგზაურო რაიონისა და გზების ხასიათზე, მანქანების მდგომარეობაზე, ჯგუფის მატერიალურ უზრუნველყოფაზე და ა. შ. ზაფხულში, დღის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, მეტი მანძილის გავლა შეიძლება რადიალური გასვლებით, საექსკურსიო ობიექტების დათვალიერებით, მხარეთმცოდნეობისა და საზოგადოებრივსასარგებლო მუშაობის ჩატარებით და ა. შ. გვიან შემოდგომითა და ზამთარში, დღის ხანგრძლივობის სიმცირის გამო, ბევრად იზღუდება დღის რეჟიმი და მოძრაობის გრაფიკი. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ავტომანქანისათვის დღიური გასავლელი მანძილი ავტო-მაგისტრალებზე 500 კმ. შეადგენს, ჩვეულებრივ ასფალტიან და წვრილღორღიან გზებზე 300 კმ. აღწევს, ხოლო ყამირ გზებზე, მთაგორიან, ან სასოფლო გზებზე, ძნელად გასავლელ ადგილებზე სამოგზაურო ნორმები ბევრად მცირდება, როგორც ავტომანქანებისთვის, ასევე მოტოციკლეტისა და მოტორიანი ველოსიპედისთვის. საკლასიფიკაციო-სათანრიგო მოთხოვნების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ: მეოთხე და მეხუთე კატეგორიის მოგზაურობებში ისეთი რთული მარშრუტები გვხვდება, რომელთა საერთო გასავლელი მანძილი ავტომოგზაურობისთვის 13 — 16 დღეში შეადგენს 5000 და 6500 კმ. აქედან დღიური გასასვლელი მანძილი საშუალოდ მოიცავს 350 — 600 კმ-ს. მოტოციკლეტისთვის საშუალო დღიური გასავლელი მანძილი შეადგენს 230 — 250 კმ-მდე. ხოლო მოტორიანი ველოსიპედისთვის კი 150 — 180 კმ-ია. აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, სათანრიგო მოთხოვნებით დადგენილ მანძილებს განსაზღვრულ დღეებში ვერ გადიან, რისთვისაც ამატებენ რამდენიმე დღეს.

პრაქტიკულად, სახელმწიფო მარკის ახალ მანქანებს რემონტის გარეშე შეუძლიათ გაირბინონ 100,000 კმ. მცირე მოცულობის მ-105 მარკის მოტოციკლეტებს 15—20 ათასი კმ. (ხოლო უფრო მეტი მოცულობის მარკისას გაცილებით მეტი), რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ახლებია ან კაპიტალური რემონტი აქვთ გაკეთებული. რასაკვირველია, უნდა გავითვალისწინოთ ის პირობებიც. რომ მათ სათანადოდ მოუვლიან, არ გადააჭარბებენ სიჩქარეს და არ გადატვირთავენ. ამავე დროს, გაითვალისწინებენ გზის ხასიათს. საჭიროა



სურ. 20 — მოტოციკლეტი და ბარგსაზიდი მოწყობილობა.

აგრეთვე, შემდეგი პირობების გათვალისწინებაც: უმჯობესია მოგზაურობის დაწყების პირველ ორ დღეს ტურისტებმა შედარებით ნელა იმოძრაონ, ე. ი. თანდათანობით შევიდნენ ფორმაში, იმოგზაურონ ერთნაირი მარკის მანქანებით, გათვალისწინებულ იქნეს მარშრუტის სირთულე და იმის მიხედვით დაკომპლექტდეს ჯგუფი. აღნიშნული გარემოება ბევრად გააიოლებს ყველა სიძნელის მარშრუტების შეუფერხებელ გავლას.

მცირე მოცულობის მარკის მოტოციკლეტები — მ-103, მ-105, მმ-1 (ამჟამად აღარ გამოდის), კ-55, 125, 175, მ-„მინსკი“ და სხვა, ნაკლები მოცულობისა და სიმძლავრის არიან, რის გამოც რთულდება მათზე ორი კაცის მოთავსება. რაც შეეხება ჩზ-125, 175 და იავა-250-ს, ასევე მოტოროლერებს — ვ-150 და ტ-200-ს უფრო მოხერხებული და ერთ კაცზე მეტი ზიდვის უნარი აქვთ რთულ, ვიწრო და მოუხერხებელ გზებზე, ვიდრე, მძიმე ტიპის ნავიან მოტოციკლეტებს. (მაგ., კ-659, კ-750, „ურალი“ და სხვა), მაგრამ მეორე მხრივ ნაკლები გამძლეობა, გამწევუნარიანობა და საწვავისზიდვის მცირედობა ახასიათებთ. ამავე დროს, ორ-ორი მძღოლ-ტურისტის მოგზაურობაც ძნელდება. მძიმე მანქანებზე კი ეს საკითხი შედარებით იოლია, თუმცა ორი ადამიანის თავისუფლად მოგზაურობა სათანადო საჭირო მოწყობილობით უფრო მოსახერხებელია ნავიანი მოტოციკლეტებით. ხოლო იმ მანქანებს, რომელთაც საკუთარი ნავები არ გააჩნიათ, სურვილი-

სამებრ უმაგრებენ სხვა ნავებს. ნავიანი მოტოციკლეტები სატარებ-ლად მოსახერხებელია, უშიშარია და ამავე დროს ტვირთისა და საწ-ვავის მეტი რაოდენობის ზიდვის უნარი აქვს. გზის დამრეც და ოღრო-ჩოღრო და სხვა სირთულის ადგილების დაძლევის დროს ნავიან მო-ტოციკლეტებს თავისი სიგანის გამო წონასწორობის შენარჩუნების მეტი უნარი აქვთ. ამავე დროს მეორე მძღოლიც, რომელიც ნავში ზის, თავის მხრივ ეხმარება ძირითად მძღოლს წონასწორობის დამყარე-ბასა და რთული ადგილების დაძლევაში.

მოპედი ანუ მოტორიანი ველოსიპედი წარმოადგენს მსუბუქ, ორ-ბორბლიან სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც მოძრაობს მასზე დადგმული მცირელიტრაჟიანი ძრავით, ორსაფეხურიანი გადამცემი სიჩქარით და დამატებითი სატერფულების მოქმედების დახმარებით. მოპედი ერთადგილიანი და მოტოციკლეტთან შედარებით მო-ცულობით მასზე მცირე და მსუბუქია. მისი საჯდომი რბილი და მო-ხერხებულია მოგზაურობისთვის. საბარგულზე მაგრდება 15 კგ. ბარგი. ჩვენი წარმოება ძირითადად „რიგა“ და „ვერხოვინას“ მარკის მო-ტორიან ველოსიპედებს უშვებს, რომლებიც ყოველწლიურად მო-დიფიცირებას განიცდიან. მათი ძირითადი მონაცემები თითქმის ერთი და იგივეა, 50 კბ. სმ-ს შეადგენენ, იწონიან 48—52 კგ-ს, მაქსიმა-ლური სიჩქარე საათში 50 — 60 კმ-ია. მაგალითად, „რიგა“-4 მარკის მოპედის სიგრძე 185 სმ-ია, სიგანე 69-სმ, სიმაღლე 97-სმ. იწონის (სითხის გარეშე) 52 კგ-ს, მისი მაქსიმალური სიჩქარეა 50 კმ. საათში. ბენზინის სათავსოს მოცულობა 5,5 ლიტრს შეადგენს, 100 კმ. მან-ძილზე, 30 კმ. სიჩქარის დროს, ხარჯავს 2,2 ლიტრ საწვავს. მასზე დად-გმულია 7—52 მარკის ორცხენისძალიანი ძრავა. ის მოქმედებაში მოჰ-ყავს სახელმწიფო ა-72 და ა-76 მარკის ბენზინს, რომელშიც შერეულია აკპ-10, ან აკ-15 მარკის ზეთი პროპორციით: 25:1 ე. ი. 25 ლიტრ ბენ-ზინზე ერთი ლიტრი ზეთი. ახალი მარკის მოტორიანი ველოსიპედებიც „რიგა-12 და ვერხოვინა-5 მსგავსი მონაცემებით ხასიათდებიან.

ახალ შეძენილ მოპედს ესაჭიროება სათანადო გამოსახმარისება, რათა მისი ნაწილები დამუშავდეს. ამ დროს, ბენზინში ზეთის შეზა-ვება 16:1 პროპორციით უნდა მოხდეს, სასურველია ცალკე ჭურ-ჭელში აირიოს; ხოლო ძრავას გამოსახმარისების შემდეგ ბენზინის ზეთთან შეზავების პროპორცია 25:1-ს უნდა შეადგენდეს. მოტო-რიანი ველოსიპედით მოგზაურობის დაწყების წინ საჭიროა მისი ნა-წილების სათანადო შემოწმება და წესრიგში მოყვანა. ყოველ მოგ-ზაურს უნდა ახსოვდეს, რომ მანქანის კარგი მოვლა — ლაშქრობის წარმატებით ჩატარების საწინდარია.

მოტოციკლეტებზე და მოტორიანი ველოსიპედით მგზავრობისას რთულ მარშრუტებზე საჭიროა მონაწილეთა ბარგი და საჭურველი



სურ. 21 — ავტოტურისტთა საძინებელი კარავი და ავტომანქანის სადგომი.

ისე განაწილდეს და დამაგრდეს საბარგულზე, რომ მან ხელი არ შეუშალოს მძღოლსა და მგზავრს, ამასთანავე, საჭირო შემთხვევაში სწრაფად უნდა იქნეს ამოღებული. ამავე დროს, უკანა ბორბლის ჩარჩოზე ამაგრებენ ბარგის ჩასალაგებელ ალუმინის მსუბუქი კონსტრუქციის ლითონის ყუთს. მოტოროლერის საჯდომზე მგზავრის მოხერხებული ჯდომისთვის ამაგრებენ საზურგეს და ფეხებისთვის საყრდენ საფეხურს.

ყველა სახის მოტომოგზაურობისთვის საჭიროა შემდეგი პირადი საჭურველი და ჩაცმულობა: სპეციალური სამუშაო კომბინეზონი და გამოსაცვლელი კოსტუმი, ქურთუკი, ქუდი, ჩაფხუტი, სათვალე, საცვლები, საძილე ტომარა, ან საბანი, ზურგჩანთა, ჩექმები, ან წაღები, ხელთათმნები, ლაბადა, პირადი ჰიგიენის ნივთები, კვებისთვის განკუთვნილი ჯამ-ჭურჭელი, თერმოსი, საპარსი მოწყობილობა, ფოტო,

სურ. 22. — მოტო-ტურისტის კომბინეზონები.

ან კინო აპარატი თავისი მოწყობილობით, კომპასი, საათი, რუკა, მოგზაურობის სქემა, საწერი მოწყობილობა, რვეული, ასანთი ან სანთებელა და სხვა. ამავე დროს თითოეული მოპედი ან მოტოციკლეტი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინდივიდუალური სათადარიგო მოწყობილობით, კამერებით, იარაღით და რეზინის დასაწებებელი ტექნიკური ჩანთით.

ჯგუფური საჭურველი მოიცავს კარვებს, ტენტს, ნაჯახებს, კასრებს, ნათურებს, ჩამჩებს, ნიჩაბს, ბინოკლს, სამზარეულო ქვაბებს, ბენზინის ან ნავთის ქურებს, სამფეხას, ცელოფანის პარკებს პროდუქტებისათვის. ასანთს, საკვებ პროდუქტებს, პორტატულ მიმღებს, საველე აფთიაქს და სხვა საჭირო მოტონაწილებსა და იარაღებს. ზოგ შემთხვევაში მოტოციკლეტებს დამატებით აბამენ მსუბუქი კონსტრუქციის ორბორბლიან საბარგულებს, რომელშიც სარემონტო ხელსაწყოები, ინვენტარი, საკვები პროდუქტები, კერძის დასამზადებელი ჭურჭელი და ღამის გასათევი მოწყობილობა ეწყობა.

ბარგის რაციონალურად განლაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს რთულ მარშრუტებზე მოგზაურობის დროს, ამისთვის იყენებენ სხვადასხვა სახის საბარგულებს. მაგალითად, მანქანის შიგნით, ჭერზე ამაგრებენ სპეციალურად გამზადებულ ლითონის კარკასიან ბადეს, სადაც იწყობა მონაწილეთა გამოსაცვლელი ტანსაცმელი, ქუდი, სვიტრი, საწვიმარი ლაბადა, ჟურნალ-გაზეთები, საწერი მოწყობილობა და სხვა მსუბუქი საგნები. ხოლო სახურავის ზედა დასამაგრებელ საბარგულზე შეიძლება მოთავსდეს მუშამბის ტომრებში შეფუთვნილი ინდივიდუალური და ჯგუფური საჭურველი და ღამის გასათევი მოწყო-

სურ. 23—სხვადასხვა სახის ქურთუკი ავტო-მოტოტურისტებისათვის.

ბილობა. დანარჩენი ბარგი — სარემონტო მასალა, ხელსაწყოები, კერძის დასამზადებელი ჭურჭელი და სხვა ნივთები განლაგდება მანქანის საბარგულში. ზოგიერთ შემთხვევაში მანქანებს უბამენ სპეციალურ ორბორბლიან საბარგულებსა და ე. წ. სახლებს, სადაც აწყობენ საკვებ პროდუქტებსა და კერძის დასამზადებელ ნავთისა და გაზის ქურებს, ჯამ-ჭურჭელს, სხვადასხვა ინვენტარსა და ღამის გასათევ მოწყობილობას.

ამჟამად ავტოტურისტებისათვის გამოშვებულია კომფორტაბელური ორბორბლიანი საზიდარი, სადაც ღამისათევად თავისუფლად თავსდება 5 კაცი. მას თავისუფლად ზიდავს ყველა სახის მსუბუქი ავტომანქანა. პერმის ქარხანამაც გამოუშვა ახალი მოდელის ერთღერძიანი ავტომისაბმელი „სკიფი", იგი ყველა მარკის მანქანებზე მაგრდება.

ტურისტული საჭურველი

ტურისტული საჭურველი, კაზმულობა (ჩაცმულობა) და ინვენტარი ტურიზმის თითოეული სახისთვის, ძირითადად, თითქმის ერთნაირია, გარდა სპეციალური საჭურველისა და მოძრაობის საშუალებებისა. მაგრამ) იგი ცალკეული სახეების თავისებურების მიხედვით ირჩევა და თავის მხრივ 2 ნაწილად იყოფა — პირადი მოხმარების საჭურველი, განპირობებული თითოეული პირისთვის (ჯგუფის წევრის-

თვის) და ჯგუფური, როდესაც მას მთელი ჯგუფი იყენებს (სახელ-დობრ 2, 4, 6 და მეტი კაცი).

ტურისტული საჭურველი, კაზმულობა და ინვენტარი ტურიზმის თითოეული სახისა და მოგზაურობის ხასიათის სპეციფიკურობის გათვალისწინების მიხედვით უნდა შეირჩეს და ამავე დროს იგი უნდა იყოს მტკიცე, გამძლე, მსუბუქი და გამოსაყენებლად მოხერხებული.

ტურისტული საჭურველი, კაზმულობა და ინვენტარი საგულდა-გულოდ ირჩევა მოგზაურობის ხასიათისა და სამოქმედო რაიონის, წლის დროისა და კლიმატური პირობების, მარშრუტის ხასიათის, მისი ხანგრძლივობისა და ტექნიკური სირთულის გათვალისწინებით.

თანამედროვე ტურიზმის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. მის მასობრიობასთან ერთად, მოგზაურობის სპორტული და ტექნი-კური დონის მოთხოვნების ზრდა, რის საფუძველზეც გაკვალულია ახალი მარშრუტები და ათვისებულია ურთულესი მხარეები და რაი-ონები, რომლებიც აქამდე ტურისტებისთვის მიუღწევლად ითვლე-ბოდნენ.

არსებობს რიგი რაიონები, სადაც ისეთი სირთულის მარშრუტები გადის, რომლებიც გამოცდილი ტურისტებისგან მოითხოვს არა მარტო ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებასა და მონაწილეთა მაღალ ნების-ყოფას და მორალურ თვისებების გამოვლენას, არამედ, ამასთანავე, საჭურველ-კაზმულობის მაღალ ხარისხსა და მის პრაქტიკულ და მო-ხერხებულ გამოყენებას იმ რთულ ვითარებაში, რა პირობებშიც უხ-დებათ მოგზაურებს მოძრაობა.

საჭურველ-კაზმულობისა და ინვენტარის პორტატულობის შერ-ჩევის აუცილებელი პირობაა მისი მოხერხებულობა გამოსაყენებლად, რომ შესვენებისა და ღამის თევის დროს ტურისტს შეუქმნას მოხერხე-ბული და სრულყოფილი დასვენება.

გამოცდილ ტურისტებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მოგ-ზაურობის ხასიათიდან და მის სირთულიდან გამომდინარე, საჭურ-ველის შერჩევისთვის. ზოგი მათგანი საჭურველის სახეებს და მოწყო-ბილობას სიახლეს მატებს პრაქტიკული, ცხოვრებისეული გამოცდი-ლებიდან და ლაშქრობებში მრავალი წლის მოღვაწეობის პირობები-დან გამომდინარე. ბევრს კი თავისი გამჭრიახობით ახალი რაციონა-ლური სიახლე შეაქვს და თვითნაკეთი საჭურველის სახეების გამოყე-ნებით საშუალებას იძლევა ამა თუ იმ სირთულის მარშრუტების მა-ღალ სპორტულ დონეზე გადალახვისათვის.

ამრიგად, ტურიზმის სახეებისთვის განკუთვნილი საჭურველი, კაზ-მულობა და ინვენტარი, ლაშქრობა-მოგზაურობისთვის დასახული ამო-ცანის გათვალისწინებით ირჩევა. მაგალითად, დასვენების დღის, ანუ

სურ. 24 — ტურისტული ბანაკის ხედი.

ერთ-ორდღიან ლაშქრობა-მოგზაურობისთვის განკუთვნილი საჭურველი და კაზმულობა, ასევე ინვენტარი, ტურიზმის თითოეული სახის თავისებურების გათვალისწინების მიხედვით ირჩევა და მის მიმართ დასაშვებია შედარებით ნაკლები მოთხოვნები, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ იყოს მჩატე, მტკიცე და გამოსაყენებლად მოხერხებული და ა. შ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორი ხასიათისა და სირთულის ლაშქრობა-მოგზაურობაც უნდა ჩატარდეს, ამისთვის საჭიროა სათანადო საჭურველ-კაზმულობა და ინვენტარი შეირჩეს ყოველმხრივ მოხერხებული, რომელიც გაამართლებს თავის დანიშნულებას.

ყველა სახის ტურისტულ საჭურველს, როგორი მოყვანილობისა თუ ფორმისაც უნდა იყოს იგი, მთავარია ახასიათებდეს სიმსუბუქე, სიმტკიცე და გამოყენებისთვის მოხერხებლობა. ეს მოთხოვნები განსაკუთრებით მეტი სიმწვავით ქვეითად, სამთო და სათხილამურო ტურიზმის საჭურველს მოეთხოვება, რადგან ყველასათვის ცნობილია, რომ ფეხით ან თხილამურებით მოგზაურობის დროს, ყოველ ტურისტს ზურგზე მოკიდებული აქვს ჩანთა, სადაც საჭურველთან და კაზმულობასთან ერთად ჩაწყობილია ლაშქრობისთვის საჭირო ინვენტარი და სათანადო პროდუქტები. ამ ტვირთით უხდება ტურისტს ამა თუ იმ სირთულის გადალახვა და დასახული ამოცანის შესრულება, ვიდრე ტურიზმის სხვა სახით მოგზაურობის დროს.



სურ. 25 — კარვები და მათი გაშლის ხერხი.

აქედან გამომდინარე ტურისტული საჭურველი, კაზმულობა და ინვენტარი მოგზაურობის ხასიათისა და მისი სირთულის გათვალისწინებით ირჩევა, სადაც მხედველობაში მიიღება მისი სახეობა, წონა, რაოდენობა, სამოქმედო რაიონის ხასიათი, წლის დრო, კლიმატური პირობები, ლაშქრობის ხანგრძლივობა და გზის სირთულე.

ამ განაყოფში განხილულია და დახასიათებულია უმთავრესად ისეთი საჭურველი, რომელიც ტურიზმის ყველა სახისა და მოგზაურობის ხასიათისა თუ ხანგრძლივობისთვის არის საჭირო, რადგან საჭურველ-კაზმულობისა და ინვენტარის სრული ჩამოთვლა და მისი გამოყენება განხილულია ტურიზმის თითოეული სახის დახასიათებაში. ამრიგად, მოგზაურობისთვის საჭიროა შემდეგი საჭურველი: კ ა რ ა ვ ი — იგი აუცილებელია ყოველგვარ ლაშქრობაში — ღამის სათევად.

კარავი უნდა იყოს მსუბუქი, გამძლე, მტკიცე, ტევადი, სითბოს შემნარჩუნებელი, წყალგაუმტარი და ღამისსათევად მოხერხებული. კარავი სხვადასხვა სახის, ფორმისა და მოყვანილობის გვხვდება, როგორც ადგილობრივად დამზადებული, სამამულო წარმოებისა, ასევე უცხოური, რომლებიც თავისი ფორმით, სიმსუბუქითა და მოცულობით ერთმანეთისგან განსხვავდებიან. კარვები გვხვდება კარკასიანი და უკარკასო (ე. ი. ლითონის ჩონჩხით), ბანიანი, ტენტიანი, მრგვალი და ორფთა სამკუთხედის მსგავსი სახურავით, ძირიანი და უძირო, განკუთვნილი 1, ,2, 3, 4, 6 და მეტი კაცისთვის.



სურ. 26 — ორფერდიანი კარკასიანი კარავი.

ასევე გვხვდება საბანაკო ტიპის კარვები ორმაგი ძირით, გვერდებითა და სახურავით, ისინი სითბოს ნაკლებ გამტარნი არიან. ასეთ კარვებს, ძირითადად, სტაციონალურ ბანაკებში და ზამთრის სუსხიან პირობებში იყენებენ, რომლებშიც ხშირად ჩვეულებრივ ან გაზის ღუმელებსაც დგამენ. ავტო-მოტო ტურიზმის მოყვარულები კი უმთავრესად ტენტიან კარვებს ან „ავტოკარავს" იყენებენ. როგორი სახისაც არ უნდა იყოს კარავი, იგი ადვილად და სწრაფად უნდა იშლებოდეს.

კარვების დასამზადებელ მასალად გამოიყენება პერკალი, თხელი ბრეზენტი, მიტკალი და ლაბადა-კარვის ქსოვილი.

კარვების დასადგმელად და დასაჭიმად გამოიყენება ხის ან დურალუმინის დასაშლელი და დაუშლელი დგარები და 20—30 სანტიმეტრის სიგრძის პალოები დამზადებული იმავე მასალისაგან ან გლინულა მავთულისაგან და ხისგან. კარვები ქვების დახმარებითაც შეიძლება გაიშალოს.

კარვების უქონლობის შემთხვევებში. მათ ნაცვლად შესაძლებელია თხელი ბრეზენტის ან მუშამბის გამოყენება, რომელიც დგარების საშუალებით სამკუთხედად გაიშლება და პალოებით დამაგრდება. ქვემოდან, ძირზე კი, სითბოსა და სირბილისთვის ხის წვრილი წიწვი, ფოთლები ეფინება. შიგნით პარალონის, პენობლასტის ნაჭრები ან რეზინის გადასაბერი ლეიბები დაიფინება.

ს ა ძ ი ლ ე ტ ო მ ა რ ა სხვადასხვა სახის გვხვდება, მაგრამ ყველა



სურ. 27 — პოლონური კარკასიანი კარავი.

სახეობა იმისათვის არის განკუთვნილი, რომ ტურისტმა, მთელი დღის შრომის შემდეგ თბილად და რბილად დაიძინოს.

საძილე ტომრები უმთავრესად გვხვდება ბამბის, ვატინის, ლავსანის, პარალონის, ბუმბულის და სხვა მასალისგან დამზადებული. ასევე გვხვდება თვითნაკეთი ერთმაგი, ორმაგი და ოთხმაგი საძილე ტომრები, შეკერილი ბუმბულის, შალის ან ბამბის საბნისგან. ესენი ფართოდ გამოიყენება ტურისტულ მოგზაურობაში, მაგრამ მათი სახეების სათანადო შერჩევა უმთავრესად დამოკიდებულია ლაშქრობის სირთულის ხასიათზე. წარმოებაში დამზადებული საძილე ტომრები უმთავრესად ფორმით ადამიანის მოყვანილობის გვხვდება. მხრებში განიერი, ფეხებისაკენ ვიწრო, რომელიც სიგრძით სამი ზომისაა. ყველაზე პატარა — პირველი ზომისა, ხოლო დიდი — მესამესი. ისინი უმრავლეს შემთხვევებში ხის ღილებით ან ე. წ. „ელვით" იკვრება. პარალონის საძილე ტომრებიც „ელვით" იკვრება, გაშლილ მდგომარეობაში ჩვეულებრივი საბნის მსგავსია.

საძილე ტომარაში იგივე თარგის ანუ მოყვანილობის ზეწარი იფინება, ხოლო ძირზე, ქვემოდან, თბილად და რბილად დაწოლის უზრუნველსაყოფად, პარალონის, პენოპლასტის ნაჭერს ან რეზინის გასაბერ ლეიბს იყენებენ.

სურ. 28 — ა). არაწესიერად მორგებული ზურგჩანთა.
ბ) წესიერად მორგებული ზურგჩანთა.

საძილე ტომრის უქონლობის შემთხვევებში იყენებენ შალის საბანს.

ზ ურ გ ჩ ა ნ თ ა სხვადასხვა სახის გვხვდება რბილი და კარკასიანი. ჩვენი წარმოება უმთავრესად რბილ ზურგჩანთებს ამზადებს. ყველაზე მეტად გავრცელებულია და მასობრივ ხმარებაშია საშუალო ზომის ე. წ. ტურისტული ზურგჩანთა, მაგრამ იგი ნაკლებად ტევადია და ისეთ თარგზეა შეკერილი, რომ მოძრაობის დროს ზურგზე „გორავს“ და სატარებლად ძნელია. დიდი ზურგჩანთა (მთამსვლური) ტევადია, განიერი სამხარულები აქვს. კარგად ჩაწყობილი ზურგზე კარგად ძევს და სატარებლად ხერხიანია.

დაზგიანი ზურგჩანთა, რომლის წარმოება უკვე ათვისებულია, სატარებლად მოხერხებულია, მისი ალუმინის კონსტრუქციის დაზგა ორი ნაწილისაგან შედგება და მასში ჩაწყობილი ბარგი მთელ ზურგზეა განაწილებული, რაც მის ზიდვას აადვილებს.

სამოგზაუროდ განკუთვნილი მთელი ბარგი, საჭურველ-კაზმულობა, საგზალი და ლაშქრობისათვის საჭირო სხვა ნივთებიც ზურგჩანთაში ლაგდება. ზურგჩანთაში ბარგის ჩალაგების წესი ასეთია: საძილე ტომარა სამად იკეცება და იდება ზურგის მხარეს, რათა ჩანთა ზურგს რბილად დააწვეს. მძიმე და მაგარი საგნები ჩანთის ფსკერზე და გარეთა მხარეს უნდა ჩაიწყოს, მსუბუქი — ზემოდან, რბილი კი ისევ ზურგისაკენ, დანარჩენი წვრილმანი ჯიბეებში ლაგდება. შესაფერისად დახვეულ კარავს თავის ბუდიანად, ზურგჩანთას ქვემოდან



სურ. 29 — კერიაზე ქვაბების ჩამოკიდების ერთ-ერთი ხერხი.

თასმით ამოაკრავენ ან საძილე ტომრის შემდეგ ზურგჩანთის ფსკერზე დებენ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აქ განხილულია ის ძირთადი და მთავარი საჭურვლის ზოგიერთი სახე, რომელიც აუცილებელია მოლაშქრეს ჰქონდეს ამა თუ იმ მოგზაურობის დროს, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ღამის გასათევი და ბარგის გადასაზიდი საშუალებით.

მოკლედ განვიხილოთ ერთდღიან და ორდღიან ღამისთევის დროს ქვეითად ლაშქრობისთვის განკუთვნილი საჭურველ-კაზმულობა და ინვენტარი, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია ტურიზმის ყველა სახისთვის, მცირედი განსხვავებით და დამატებით, გარდა მოძრაობის საშუალებებისა.

პირადი საჭურველი და კაზმულობა:

1. ზურგჩანთა განიერი სამხარულებით. 2. საძილე ტომარა ჩასაფენი ზეწრით, ან შალის საბანი. 3. ფეხსაცმელი — წაღა, რეზინის ლანჩიანი, ჩასაფენი ქეჩით. 4. რეზინის ძირიანი სპორტული ჩუსტები („კედები" ან „ტაპოჩკები"). 5. შარვალი ან საწვრთნო კოსტუმი, 6. კოვბოურა ან ხალათი. 7. სვიტრი შალის. 8. მაისურა და ტრუსები. 9. წინდები მატყლის, ერთი-ორი წყვილი. 10. ქუდი, ტილოსი ან



სურ. 30 — საველე კერიის სახეები.

ქეჩის. 11. საიერიშო კოსტუმი, ან საწვიმარი ლაბადა. 12. პირადი ჰიგიენის ნივთები: საპონი, კბილის ჯაგრისი, კბილის ფხვნილი, პირსახოცი, ცხვირსახოცი. 13. ჭურჭელი—ემალის ან ალუმინის — ჯამი, ფინჯანი, სუფრის კოვზი, დასაკეცი დანა, მათარა, ჯიბის ნათურა, ასანთი, ნაჭრის ან მუშამბის პარკები (ბურღულის, შაქრის, პურის ან სხვა პროდუქტებისათვის). 14. საწერი მოწყობილობა, უბის წიგნაკი, ფანქრები. 15. დასაკემსი წვრილმანი ნივთები.

ჯგუფური საჭურველი და ინვენტარი: 1. კარავი 3-4 კაცზე. 2. ნავთქურა, გაზქურა, ან პრიმუსი „შმელი" და კერიის მოწყობილობა. 3. ქვაბები ან ვედრო 5-6 კაცზე. 4. ჩამჩა. 5. სუფრის დანა. 6. ნაჯახი. 7. ელექტრონათურა. 8. სანთელი. 9. კომპასი. 10. მარშრუტის რუკა, ან სქემა. 11. ფოტოაპარატი, კინოაპარატი. 12. საველე აფთიაქი. 13. საწერი მოწყობილობა. 14. ნაბიჯის საზომი (მანძილის გასაზომად) შეძლებისდაგვარად. 15. ნაჭრის ან მუშამბის პარკები პროდუქტებისთვის. 16. საკვები პროდუქტები — განკუთვნილი ჯგუფზე.

მოგზაურობის დღიური ნორმები და „სსრ კავშირის ტურისტის“ ნიშნის ნორმატივების მოთხოვნები

ტურისტულ მოგზაურობის საერთო-საშუალო დღიური ნორმა, სახეების მიხედვით, შემდეგს შეადგენს:

ქვეითი და სათხილამურო ლაშქრობების დროს — 20—25 კმ, სამთო ქვეითი და სამთო სათხილამურო ლაშქრობებისას — 15—20 კმ. საწყლო (ნავ-ჭურჭლით, ან ტივით) — 25 კმ-მდე, ველოსიპედით — 40—45 კმ. მოტორიანი ველოსიპედით — 100 კმ-მდე, მოტოციკლეტით — 200 კმ-მდე, ავტომანქანით — 300 კმ-მდე.

„სსრკ ტურისტის“ ნიშნის ნორმატივების მოთხოვნების შესრულებისთვის, საჭიროა: 1. 14 წლის ასაკი. 2. ერთ სეზონში (კალენდარული წლის განმავლობაში) დასვენების დღის 5 ლაშქრობაში ან ერთ I კატეგორიის სირთულის მრავალდღიან მოგზაურობაში მონაწილეობა ისე, რომ ერთ ან რამდენიმე მიმართულებით (სხვადასხვა გასვლები) გავლილი იქნეს: ქვეითად და თხილამურებით — 75 კმ., ნავ-ჭურჭლით ან ტივით — 100 კმ., ველოსიპედით — 150 კმ., მოტორიან ველოსიპედით — 250 კმ., მოტოციკლეტით — 350 კმ., ავტომანქანით— 500 კმ. 3. ლაშქრობების დროს სამი ღამისთევა საველე პირობებში. ამავე დროს „სსრკ ტურისტის“ ნიშნის ნორმების შესრულებისთვის, ზემოთ აღნიშნულთან ერთად, აუცილებელია ტურისტი დაეუფლოს დასვენების დღის ლაშქრობისთვის საჭურველ-კაზმულობის შემზადებას, შეითვისოს ადგილმდებარეობის გარკვევა რუკითა და კომპასით სარგებლობის წესები, ჰორიზონტის მხარეთა გარკვევა გარეშე საგნების მიხედვით. ისწავლოს ღამის სათევი ადგილის შერჩევა და მისი მოწყობა, კარვის გაშლა, ცეცხლის დანთება, საჭმლის მომზადება, საჭმელი სოკოსა და ხილის ცნობა. ამასთანავე აუცილებელია ყოველი გასვლითი მარშრუტი შეიცავდეს საექსკურსიო ობიექტს, ხოლო ტურისტი ლაშქრობის მსვლელობაში გაეცნოს ტურიზმის ამოცანებს და მის ორგანიზაციას სსრ კავშირში. შ ე ნ ი შ ვ ნ ა: I. ავტომანქანისთვის, მოტოციკლეტისთვის და მოტორიან ველოსიპედისთვის აღნიშნული ნორმები ბევრად ნაკლებია — მყარ-საფარიან, ოღრო-ჩოღრო, ყამირ და მთაგორიან კლაკნილ გზებზე მოგზაურობის დროს.

ნორჩი ტურისტის ნიშნის ნორმატივების მოთხოვნების შესრულებისათვის, საჭიროა:

1. 12—14 წლის ასაკი.

2. ერთ სეზონში (კალენდარული წლის განმავლობაში) მონაწილეობა ოთხ ლაშქრობაში, აქედან 2 ერთდღიანი და 2 ორდღიანი. მათ შორის ერთ ლაშქრობაში ღამისთევა საველე პირობებში.

ტურიზმის სათანრიგო მოთხოვნები
(1978—1979 წლები)

მოწონებულია ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ

თანრიგი	სქესი	ლაშქრობათა და მოგზაურობათა რაოდენობა												
		მოგზაურობათა სიძნელის მაჩვენებლები												
		I		II		III		IV		V		სულ მოგზაურობა		
		მონაწილეობა	ხელმძღვანელობა	მონაწილეობა	ხელმძღვანელობა	მონაწილეობა	ხელმძღვანელობა	მონაწილეობა	ხელმძღვანელობა	მონაწილეობა	ხელმძღვანელობა	მონაწილეობა	ხელმძღვანელობა	საერთო ჯამი
სპორტის ოსტატი	კაცი	1	1	1	1	1	1	1	1	1	2	5	6	11
	ქალი	1	1	1	1	1	1	1	2	1	—	5	5	10
სპორტის ოსტატობის კანდიდატი	კაცი	1	1	1	1	1	1	1	1	1	—	5	4	9
	ქალი	1	1	1	1	1	1	1	1	—	—	4	4	8
I თანრიგი	კაცი და ქალი	1	1	1	1	1	1	1	—	—	—	4	3	7
II თანრიგი	"	1	1	1	1	1	1	—	—	—	—	3	2	5
III თანრიგი	"	1	1	—	—	—	—	—	—	—	—	1	1	2
I ჭაბუკთა თანრიგი	"	1	—	1	—	—	—	—	—	—	—	2	—	2
II ჭაბუკთა თანრიგი	"	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	1	—	1
III ჭაბუკთა თანრიგი	"		იხ. შენ.	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—

შენიშვნა: ჭაბუკთა III თანრიგი მიენიჭებათ იმ პირთ, ვინც მონაწილეობას მიიღებს უქმე დღის 10 ლაშქრობაში და საერთო ჯამში გაივლის არა ნაკლებ 150 კმ. მანძილს 5 ღამისთევით, საველე პირობებში.

საერთო მაჩვენებელი	სიძნელის მაჩვენებლები				
	I კატ.	II კატ.	III კატ.	IV კატ.	V კატ.
მოგზაურობის ხანგრძლივობა დღეებად (არანაკლები)	6	8	10	13	16
მარშრუტის მანძილი კილომეტრებში, ქვეითად მოგზაურობა	150	180	210	230	250
სათხილამურო მოგზაურობა	150	180	210	260	310
სამთო მოგზაურობა	130	130	150	180	180
საწყლო (ტივითა და ნიჩბიანი ნავით) მოგზაურობა	150	200	250	275	300
ველო-მოგზაურობა	250	350	450	750	1100
ავტო —„—	1500	3000	4000	5000	6500
მოტო —„—	1000	2000	2500	3200	4000
მოპედით (მოტორიანი ველოსიპედით) მოგზაურობა	500	1000	1500	2000	3500

3. ადგილმდებარეობის შესწავლა-გარკვევა კომპასით, მზით, საათით, ადგილობრივი ბუნებრივი ნიშნებით, ტოპოგრაფიული რუკით სარგებლობა და აზიმუტით მოძრაობა; ისწავლოს საგზაო ნიშნების გამოყენება; იცოდეს ალმებით ნიშნების გადაცემა და ბუნებრივი დაბრკოლებების დაძლევა.

4. იცოდეს სეზონისა და ხანგრძლივობის მიხედვით ამა თუ იმ სახის მოგზაურობისთვის საჭურვლის მომზადება და ჩაცმა.

5. ლაშქრობებში შესვენებისა და ღამისთევის ადგილების შერჩევა და მათი მოწყობა. კოცონის დანთება და ცხელი საჭმელის დამზადება.

6. იცოდეს მოგზაურობის წესები და პირველი სამედიცინო დახმარების გაწევა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

1. ტურისტული მოგზაურობის სირთულის კატეგორია განისაზღვრება ზემოთ მოყვანილი მოთხოვნილებათა საფუძველზე, ბუნებრივ დაბრკოლებათა რაოდენობისა და სიძნელის მაჩვენებლების გათვალისწინებით, გამომდინარე ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებულ, კლასიფიცირებულ მარშრუტების ჩამოთვლიდან.

მარშრუტი ითვლება შესაბამისად კლასიფიცირებული თუ სახეზე გვაქვს იმავე რაოდენობის ბუნებრივი დაბრკოლებანი და მათი თანაბარი სირთულე.

2. იმ შემთხვევაში, თუ მოგზაურობა შეთავსებულია ტურიზმის ორ სახეობასთან და თითოეული სახეობისთვის, ცალკეულად განკუთვნილი მარშრუტის განუწყვეტელი უბნები ეფარდება არა ნაკლებ II კატეგორიის სირთულეს, მაშინ მოგზაურობის საერთო სირთულე შეიძლება შეფასდეს ერთი კატეგორიით უფრო რთულად, ვიდრე მოძრაობის ძირითადი სამუალებით გავლილი მარშრუტის უბანი.

3. რადიალური გასვლების ჩასათვლელი მანძილი არ შეიძლება ერთიმეოთხედით აღემატოს მოგზაურობის საერთო მანძილს, რომელიც ნაჩვენებია ცხრილში.

4. მოგზაურობის მარშრუტებზე, რომელთა რიცხვშიც მეტია ბუნებრივ დაბრკოლებათა რაოდენობა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია საკლასიფიკაციო მარშრუტებში, ამ შემთხვევაში სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისიას შეუძლია შეამციროს მისი მანძილი.

სათანრიგო მოთხოვნების შესრულების პირობები

1. ტურისტული მოგზაურობები თანრიგების მინიჭებისთვის, იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუ ისინი აკმაყოფილებენ „საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე თვითმოქმედი ტურისტული მოგზაურობის წესების“ მოთხოვნებს.

2. მოგზაურობები ჩაითვლება სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისიის შესაბამისი უფლებამოსილობის ცნობების საფუძველზე, რომელიც გაიცემა: სიტყვიერი ანგარიშის მიხედვით I კატეგორიის სირთულის მოგზაურობისათვის;

II და III კატეგორიის სირთულის მოგზაურობისთვის, წერილობითი ანგარიშის მიხედვით, რომლის მოცულობასა და ხასიათს საზღვრავს სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისია;

IV და V კატეგორიის სირთულის მოგზაურობისთვის, დაწვრილებითი წერილობითი ანგარიშის საფუძველზე;

ტურისტულ დაწესებულებათა მიერ გეგმიანი მარშრუტების გავლის შესახებ გაცემულ ცნობების საფუძველზე (რომელი მარშრუტებიც უნდა ემთხვეოდეს ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებულ საკლასიფიკაციო მარშრუტების ჩამოთვლით სიას).

3. მოგზაურობა ჩაითვლება იმის განუსაზღვრელად თუ ტურიზმის რომელ სახეში ჩატარდა იგი.

4. IV და V კატეგორიის სირთულის მოგზაურობები ჩაითვლება არაუმეტეს ორისა, ჩატარებული ერთ კალენდარულ წელიწადში.

5. თანრიგების მინიჭებისათვის დასაშვებია I, II და III კატეგორიის სირთულის მოგზაურობის ხელმძღვანელობის შეცვლა შესაბამისად II, IV და V კატეგორიის მარშრუტებზე მონაწილეობით.

6. წინამდებარე სათანრიგო მოთხოვნის გაფორმების შემდეგ, ჩა-

ტარებული მოგზაურობა ჩაითვლება იმ მარშრუტების კლასიფიკაციის შესაბამისად, რომელიც მოქმედია მორიგი თანრიგის მინიჭების დროს.

7. ყველა, ერთი და იმავე მარშრუტით განმეორებული მოგზაურობა, აგრეთვე განმეორებული მარშრუტების უბნები, იმ შემთხვევაში ჩაითვლება — თუ ისინი ჩატარებულია სხვადასხვა სეზონში, (ზამთარში და ზაფხულში), ან თუ პირველად მოგზაურობდა მონაწილედ, მეორედ კი ხელმძღვანელად. ამათ გარდა, ავტო-მოგზაურობისთვის, ადრე გავლილი მარშრუტის უბნები ჩაითვლებიან მათი დაბრკოლებათა სირთულის ჩაუთვლელად და არაუმეტესად მოგზაურობის საერთო მანძილის ერთი მეოთხედისა, იმ შემთხვევაში, თუ მათი გავლა აუცილებელია.

8. ავტომანქანებითა და მოტოციკლეტებით მოგზაურობა ჩაეთვლებათ მხოლოდ მძღოლებს, ასევე შემცვლელ მძღოლებსაც, თუ ისინი განცხადებული იყვნენ ლაშქრობის დაწყებამდე, რომელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3 კაცს, მთელი ტურისტული ჯგუფიდან.

9. სპორტის ოსტატის წოდებისა და სპორტის ოსტატობის კანდიდატის თანრიგის მინიჭებისთვის საჭიროა ტურიზმის ინსტრუქტორის სახელწოდება.

10. სპორტის ოსტატის წოდების მინიჭებისთვის საჭიროა ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალურ საბჭოში წარდგენილი იქნეს: ორი V კატეგორიის სირთულის მარშრუტის მოგზაურობის ხელმძღვანელობის ანგარიში (ქალებისათვის IV კატეგორიის სირთულის მარშრუტის); სპორტის ოსტატობის კანდიდატის თანრიგის მინიჭებისთვის საჭიროა წარდგენილი იქნეს IV კატეგორიის სირთულის მარშრუტზე მოგზაურობის ხელმძღვანელობის ანგარიში.

თანრიგის დადასტურება

სახელწოდებისა და თანრიგების დადასტურებისთვის საჭიროა ორი წლის განმავლობაში შესრულდეს ერთი უმაღლესი კატეგორიის მოგზაურობა, განსაზღვრული, დასადასტურებელი თანრიგისთვის.

მხარეთმცოდნეობისა და საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა ტურისტულ ლაშქრობა-მოგზაურობის დროს

როგორი ხანგრძლივობისაც არ უნდა იყოს მოგზაურობა და მისი მონაწილეთა შემადგენლობა — ტურისტებმა აუცილებლად უნდა შეასრულონ საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა. ამასთანავე, საერთოდ მიღებულია, რომ მოგზაურობის დაწყების წინ, ჯგუფის წევრებს შორის მოხდეს საქმიანობა-მოვალეობის განაწილება.

მოგზაურობისთვის, ყოველი მარშრუტის წინასწარ შერჩევა-დამუშავებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს მხარეთმცოდნეობისა და საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობის საკითხები, რომელიც საერთო სამოგზაურო ამოცანიდან და მიზნებიდან გამომდინარეობს. ჯგუფის თითოეულ წევრზე ნაწილდება სხვადასხვა საქმიანობა და მოვალეობათა შესრულება, რომელსაც ჯგუფის ხელმძღვანელი მონაწილეებს ავალებს მათი გამოცდილებისა და უნარის მიხედვით (ზოგი გზას აღწერს, ზოგი დაკვირვებას აწარმოებს, სხვანი ფოტოფირზე იღებენ, ჩანახატებს აკეთებენ, ისტორიულ ადგილებს სწავლობენ, ჰერბარიუმს აგროვებენ, ინვენტარისა და პროდუქტების მომარაგებასა და სხვა სამეურნეო საქმიანობას ეწევიან, მხარეთმცოდნეობის მუზეუმებისა თუ სხვა სამეცნიერო დაწესებულებების დავალებებს ასრულებენ და ა. შ.), რომელიც აუცილებელია მოგზაურობის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის.

ამ მიმართულებით მუშაობის წარმართვა და მისი მოცულობა უმთავრესად დამოკიდებულია მონაწილეთა შემადგენლობაზე, მათ პროფესიაზე, უნარზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე და მიდრეკილებაზე.

მხარეთმცოდნეობისა და საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობის ფორმები და საშუალებები მრავალფეროვანია, ასე მაგალითად: წარსულისა და აწმყოს შესწავლა, არქეოლოგიური და გეოგრაფ-გეოლოგიური დაკვირვებები. ისტორიული და კულტურის ძეგლების და ბუნების დაცვა. დიადი კომუნისტური მშენებლობის ადგილების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დათვალიერება და მათი საქმიანობის გაცნობა. გამოჩენილ ადამიანებთან საუბრები. საჩვენებელი სპორტული გამოსვლების, შეხვედრების, კონცერტებისა და საუბრების ჩატარება და სხვა.

მოგზაურობის დროს, ყოველი მონაწილე თავისი თვალით იხილავს ბუნებისა თუ ადამიანის ხელით შექმნილ ღირსშესანიშნავ და თვალწარმტაც სილამაზეს და იგი, შესაძლოა, დიდხანს ღარჩეს მის მეხსიერებაში. მაგრამ ჩვენი სამშობლოს თითოეული მხარე, ყოველი კუთხე იმდენი ღირსშესანიშნაობებით არის სავსე, რომ მათი ზეპირად დამახსოვრება გაუჭირდება ადამიანს. ამიტომ ყოველი მოგზაურობის მოყვარული პირი უნდა იცნობდეს მხარეთმცოდნეობისა და საზოგადოებრივ სასარგებლო მუშაობის ელემენტარულ საკითხებს. იცოდეს მასზე დაკვირვება, შეიცნოს იგი და აღწეროს თავისი შთაბეჭდილებები.

ყოველი მოგზაურისთვის ყველაზე იოლი, სასარგებლო და სრულფასოვანია გავლილი გზისა და სამოქმედო რაიონის აღწერა. ეს ამოცანა, უმთავრესად, სრულდება სამოგზაურო რაიონის შერჩევის,

მისი შესწავლისა და უშუალოდ მოგზაურობის მსვლელობაში, გზის აღწერითა და მისი დახასიათებით, დღიურების წარმოებით, ფოტოსურათების გადაღებით, ჩანახატებით, მოსახლეობასთან შეხვედრებით, მათთან საუბრების ჩანაწერებით და ა. შ.

ყოველდღიურ ჩანაწერებსა და დაკვირვებებში, რომელიც განიხილება მთლიანი ჯგუფის მონაწილეობით, ასახული უნდა იყოს: წლის დრო, კლიმატური პირობები, თარიღი, გავლილი მანძილი და მისი ხასიათი, გზად შემხვედრი დაბრკოლებები და მათი დაძლევის საშუალებები, მოსახლეობასთან თუ ცალკეულ პირებთან საუბრებში გაგონილი თუ მოსმენილი თქმულებები, ანდაზები, სიმღერები და სხვა.

ამავე დროს უმჯობესია ჩანაწერები და შენიშვნები ჩაწერილ იქნეს შავი ფანქრით, რომ მელნით დაწერილი — უამინდობის ან სხვა შემთხვევის გამო არ წაიშალოს და ჯგუფი არ დარჩეს მოგზაურობის შთაბეჭდილებათა აღწერის გარეშე.

ამრიგად, ყოველი მოგზაურის მოქალაქეობრივი ვალია გზად ყოფნის დროს აწარმოოს სამხარეთმცოდნეო და საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა და ამასთანავე გაუფრთხილდეს ბუნებას, ტყეს, ფაუნას, ფლორას, ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს, სამოგზაურო რაიონის აწმყოსა და წარსულს და თავისი კეთილი ზრახვებითა და მოქცევით დაიცვას იგი.

ტოპოგრაფიული ელემენტები და ადგილმდებარეობაზე ორიენტირება

დედამიწის ზედაპირზე არსებულ უსწორ-მასწორო ადგილს ადგილმდებარეობის რელიეფი ეწოდება.

ხოლო მის ზედაპირზე მყოფ საგნებს, რომელიც ბუნებისა თუ ადამიანის ხელით არის შექმნილი — ეწოდება ადგილობრივი საგნები.

როგორც ადგილმდებარეობის რელიეფი, ასევე ადგილობრივი საგნები წარმოადგენენ ტოპოგრაფიულ ელემენტებს (ნიშნებს). ყველა ის უსწორ-მასწორო მრავალფეროვანი ადგილები, რომელიც გამოსახულია და ქმნის დედამიწის ზედაპირს, ეწოდება რელიეფის ძირითადი ტიპობრივი ფორმები.

მთა, მთაგრეხილი, ქედი, მწვერვალი, უნაგირა, ხეობა, ვიწროები და სხვა წარმოადგენენ რელიეფის ტიპობრივ ფორმებს, ხოლო მთაგრეხილის, მწვერვალის, ხეობის ძირი და ა. შ. რელიეფის დამახასიათებელ წერტილებს. მდინარეთა კალაპოტი, ღარები და ა. შ. რელიეფის დამახასიათებელ ხაზებად ითვლებიან. აღნიშნული ფორმები, წერტილები და ხაზები წარმოადგენენ რელიეფის დამახასიათებელ ჩონჩხს და იგი საერთო ხასიათის უსწორ-მასწორო ადგილმდებარე-

ობის ურთიერთ განლაგების აღსახველია. ადგილზე მდებარე საგნები შექმნილი ბუნების ან ადამიანის ხელით, ითვლებიან ადგილობრივ საგნებად, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

დასახლებული პუნქტები — ქალაქები, დაბები, სოფლები, და ცალკეული საცხოვრებელი შენობები და ა. შ.

საგზაო კვანძი — რკინიგზები, ავტოსტრადები, გზატკეცილები, შარაგზები, სასოფლო გზები და ბილიკები.

ელექტრო და სატელეფონო კავშირი — სატელეგრაფო ხაზები, რადიო და სატელეფონო სადგურები, ელექტრო ხაზები და ა. შ.

მდინარეები, ტბები და მათზე განლაგებული ნაგებობები — წყალსაცავები, არხები, დამბები, ნავსაყუდრები, ბორნები, ხიდები, ელექტრო სადგურები და სხვა.

ნიადაგი და მცენარეული საფარი — ტყე, ველი, ბუჩქნარი. ბაღი, ბაღჩა, ჭაობი, ქვიშრობი და ა. შ.

ადგილმდებარეობა, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა: მთიანი, მთაგორიანი, ტყიანი, ჭაობიანი, ქვიშიანი, უდაბნო, ტრამალი, ველობი და სხვა.

მთაგორიანი ადგილმდებარეობა, თავის მხრივ, წარმოადგენს ნაკლებად დასერილ, დასერილ და მძაფრად დასერილ ადგილმდებარეობას.

ტყიანი ადგილმდებარეობა: ხშირი ტყით მოსილი (წიწვიანი, ფოთლოვანი, შერეული) დაბურული, გაუვალი, ძეძვიანი, ბუჩქნარით მოსილი და სხვა.

ჭაობიანი: გასავლელი, ძნელად გასავლელი, გაუვალი, ტყიან-ჭაობიანი და ტორფიანი ადგილმდებარეობა.

უდაბნო: ქვიშიანი, სილიანი, ქვიანი, თიხიანი, გაუვალი და გასავლელი ადგილმდებარეობა.

ველი: ღია, გაშლილი ვაკე ადგილი, უმთავრესად ბალახით მოსილი.

გარემოში გაგნება-ორიენტირება

გარემოში ორიენტირება ნიშნავს გარემოში გარკვევას — შეიცნო შენი ადგილსამყოფელი და განსაზღვრო ქვეყნის ჰორიზონტის მხარეები, ადგილობრივი ბუნებრივი ნიშნებით, რუკითა და კომპასით.

გარემოში გარკვევა და ტოპოგრაფიის ცოდნა, რუკით სარგებლობა და გზის გაგნება სავალდებულო პირობაა ყველა ტურისტისთვის, რომელიც ხელს უწყობს ამა თუ იმ სირთულის ლაშქრობის წარმატებით ჩატარებას.

ხოლო გზის გარკვევის უცოდინარობას, ანუ ორიენტირებაში ბეცობას შეუძლია უმწეო მდგომარეობაში ჩააყენოს მოლაშქრე ჯგუფი და ლაშქრობა მთლიანად ჩაშალოს.

ამისთვის კი საჭიროა გარემოში ორიენტირების ელემენტარული საკითხების ცოდნა.

გავარჩიოთ ზოგი მათგანი: რუკა ეწოდება ადგილმდებარეობის გამოსახულებას, გადმოტანილს ქაღალდზე შემცირებულ ფორმაში. რუკა შედგება ოთხი ძირითადი ელემენტისაგან: მასშტაბი, ადგილმდებარეობის რელიეფის ფორმების გამოსახულება, პირობითი ნიშნები და გრადუსთა ბადე.

მასშტაბი ეწოდება ადგილზე გაზომილ მანძილის შემცირების ხარისხს, ქაღალდზე გადმოტანილს, ანდა რუკაზე აღებულ მონაკვეთის შეფარდებას, მის შესაბამის, ადგილის მონაკვეთთან.

მასშტაბი არსებობს ორი სახის: რიცხობრივი და ხაზობრივი. რიცხობრივი მასშტაბი გამოსახულია წილადის სახით, რომლის მნიშვნელი აღნიშნავს ადგილმდებარეობის მანძილი თუ რამდენჯერაა შემცირებული რუკაზე. რაც ნაკლებია გამოსახული რიცხვის რაოდენობა მნიშვნელში, მით მსხვილია რუკის მასშტაბი და პირიქით. წილადი რუკაზე გვხვდება შემდეგი შეფარდებით — 1:10,000, 1:25,000, 1:50,000, 1:100,000, 1:200,000, 1:500,000, 1:1000,000 და სხვა.

ხაზობრივი მასშტაბი ორი სახისაა: მარტივი და განივი. მარტივი მასშტაბი გამოსახულია სწორი ხაზით, რომელიც დაყოფილია თანაბარ ნაწილებად ციფრებით აღნიშნული. ციფრით აღნიშნული თვითეული ნაწილი შეესაბამება ადგილმდებარეობის მანძილს, აღებულს სწორხაზობრივად და დატანილს რუკაზე. მასშტაბის ერთი ნაწილი წარმოადგენს მის ფუძეს.

ხაზობრივი მასშტაბით სარგებლობა უფრო ადვილია, ვიდრე რიცხობრივით, რადგან გაანგარიშების გარეშე, შეიძლება თვალნათლივ განისაზღვროს მანძილი რუკაზე, და პირიქით, ადგილზე გაზომილი მანძილი გადავიტანოთ რუკაზე.





სურ. 31 — ჩვეულებრივი კომპასი ანდრიანოვისა.

ჰორიზონტის მხარეები — რუკაზე აღნიშნული ჰორიზონტის მხარეები — ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი — საშუალებას იძლევა მოვახდინოთ ორიენტირება ადგილმდებარეობის მიხედვით. რუკაზე, როგორც წესი, ჩრდილოეთი შეესაბამება ზედა ჩარჩოს მიმართულებას, ხოლო სამხრეთი — ქვედა ჩარჩოს.

ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა. ჩვეულებრივად ორიენტირების დროს ჰორიზონტის მხარეები ისაზღვრება კომპასით, ცის მნათობების და ზოგიერთი ადგილობრივი ბუნებრივი საგნებით.

ადგილმდებარეობაზე გარკვევის დროს ანუ ადგილსამყოფელის განსაზღვრისათვის, უპირველესად ყოვლისა, საჭიროა განისაზღვროს ქვეყნის მხარეები, უმთავრესად კი ჩრდილოეთი, რის შემდეგ რუკის ზედა მხარე მიიმართოს მისკენ. ამის შემდეგ გაირკვეს ადგილმდებარეობა, მოინახოს დამახასიათებელი საგნები, შეედაროს იგი რუკას და აღინიშნოს ადგილსამყოფელი.

ქვეყნის მხარეების განსაზღვრა, როგორც ძირითადისა, ასევე საშუალედისოსი კომპასის საშუალებით იოლია. კომპასები გვხვდება სითხით და ჰაერით გავსებული ე. ი. მათს ჩარჩოში სითხეა ჩასხმული. ასეთებია: „სუნტო“, „სილვა“, „რეკტა“, „სპორტი“ და სხვა; ხოლო ჰაერით სავსე — ანდრიანოვის სისტემისაა, რომელიც ყველაზე მეტადაა გავრცელებული. კომპასით ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრის დროს, საჭიროა, იგი, ჰორიზონტალურ მდგომარეობაში დაიდოს, აიშვას ისრის დამჭერი და მაგნიტურ ისარს მიეცეს დაწყნარების საშუალება. კომპასის ჩარჩო მანამდე უნდა ვაბრუნოთ, ვიდრე



სურ. 32 — სითხიანი კომპასი.

ისარის მაგნიტური ბოლო (თეთრად ან მწვანეთ შეღებილი) არ გაჩერდება ასო N-ის პირდაპირ, ეს იქნება ჩრდილოეთის მიმართულების მაჩვენებელი. კომპასის ციფერბლატზე მხარეების მაჩვენებელი ასოები ლათინური წარმოშობისაა, რომლებიც მიუთითებენ: N — ჩრდილოეთს (რუსული С), E — აღმოსავლეთს (В), S — სამხრეთს (Ю), W — დასავლეთს (З). კომპასის კორპუსის შიდა ძირი ანუ ლიმბა დაყოფილია გრადუსებად, საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით 0°-დან 360°-მდე, საშუალოდ ყოველ 15°-ის მატებით, რომელიც, თავის მხრივ, დანაწევრებულია ყოველ ხუთ ნაწილად, ე. ი. თითო ხაზი 3°-ს აღნიშნავს (მაგ., 0, 15, 30, 45, 60, 75, 90) და ა. შ.

მოძრაობის დროს საჭიროა რუკით, კომპასით და ადგილობრივი ბუნებრივი ნიშნებით ხშირად შემოწმდეს გზის მიმართულება და ადგილსამყოფელი, რისთვისაც გამოიყენება გზაჯვარედინები, გზები, ბილიკები, მდინარეები, მთები, მდელოები, ტყეები, ხრამები, დასახლებული პუნქტები და რელიეფის სხვა დამახასიათებელი ნიშნები.

ადგილმდებარეობაზე მოძრაობის გასაადვილებლად კომპასით საზღვრავენ აზიმუტს. აზიმუტი ეწოდება მერიდიანის ჩრდილო ბოლოსა და განსაზღვრულ საგანს შორის შექმნილ კუთხეს; სხვანაირად რომ ვთქვათ, კუთხეს, რომელიც იქმნება მერიდიანის ბოლოსა და მოძრაობის მიმართულებას შორის. იგი გამოითვლება საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით და შეიძლება იყოს 0-დან 360°-მდე.

ცის მნათობების საშუალებითაც შეიძლება ჰორიზონტის მხარეების

განსაზღვრა. იმ შემთხვევაში თუ კომპასი დაზიანდა, დაიკარგა და ა. შ. მაშინ დღისით, მზისა და საათის საშუალებით შეიძლება განისაზღვროს ჩრდილოეთის მიმართულება, ღამე კი პოლარული ვარსკვლავის საშუალებით.

ყველასათვის ცნობილია, რომ მზე დილის 7⁰⁰ საათზე აღმოსავლეთითაა, შუადღისას სამხრეთითაა გადახრილი, ხოლო საღამოს დასავლეთით. მზითა და საათით მიმართულება განისაზღვრება იმ შემთხვევაში, როდესაც მოწმენდილი, მზიანი დღეა. საათს იღებენ ჰორიზონტალურ სიბრტყეში, რომლის საათის მაჩვენებელი ისარი უნდა იყოს მიმართული მზისკენ. ხოლო საათის ციფერბლატის ცენტრიდან პირობთად გავლებული ხაზი 1-ის (ერთის) მიმართულებით იქნება. მათ შორის შექმნილი კუთხის ბისექტრისის მიმართულება სამხრეთისკენ იქნება მიმართული. როდესაც სამხრეთი ცნობილია, ამ შემთხვევაში ჩრდილოეთის განსაზღვრა ადვილია. ამრიგად, მზითა და საათით მხარეების გარკვევის დროს, შუადღემდე, ციფერბლატის ის კუთხე უნდა გაიყოს შუაზე, რომელიც საათის ისარმა უნდა გაიაროს 1⁰⁰-საათამდე, ხოლო შუადღის შემდეგ ის კუთხე, რომელიც მან უნდა გადაკვეთოს 1⁰⁰-ის შემდეგ. ღამით, მოწმენდილ ცაზე, ქვეყნის მხარეების განსაზღვრა შეიძლება პოლარული ვარსკვლავით, რომელიც ყოველთვის ჩრდილოეთის მხარეზე იმყოფება. მისი მოძებნა, ადვილად შეიძლება დიდი დათვის თანავარსკვლავედის დახმარებით, რომელიც, თავის მხრივ, შვიდი ვარსკვლავით ქმნის „ჩამჩის“ მოყვანილობას. შვიდივე ვარსკვლავი ადამიანის თვალისათვის თანაბარ მანძილზე არის ერთმანეთისგან დაშორებული, ბოლო ოთხი კი ქმნის „ჩამჩის“ მოყვანილობას. სწორედ ამ ბოლო ორი ვარსკვლავის სწორ ხაზზე გაყოლებით და მათ შორის, მსგავსი, ხუთი ტოლი მანძილის გადათვლის (მიმატებით) შემდეგ იმყოფება პოლარული ვარსკვლავი ე. წ. მცირე დათვის თანავარსკვლავედში. იმ შემთხვევაში, თუ პოლარული ვარსკვლავი ღრუბლების გამო არ მოჩანს, მთვარის დახმარებითაც შეიძლება ქვეყნის მხარეების განსაზღვრა. ასე მაგალითად: მთვარის პირველი მეოთხედი (მისი დისკოს მარჯვენა ნახევარი) საღამოს 19⁰⁰ საათზე სამხრეთით მოჩანს, ღამის 1⁰⁰ საათზე კი დასავლეთით. მთვარის ბოლო მეოთხედი (მისი დისკოს მარცხენა ნახევარი) ღამის 1⁰⁰ საათზე აღმოსავლეთ მხარეზეა, ხოლო დილის 7⁰⁰ საათზე — სამხრეთით.

სავსე მთვარე საღამოს 19⁰⁰ საათზე აღმოსავლეთ მხარეზეა, ღამის 1⁰⁰ საათზე — სამხრეთით, ხოლო დილის 7⁰⁰ საათზე — დასავლეთით.

მთელი რიგი ხალხური და მეცნიერული დაკვირვებები არსებობს ადგილობრივი ბუნებრივი ნიშნებით ჰორიზონტის მხარეების გარკვევისთვის.

ცნობილია, რომ ხეს ტოტები სამხრეთ მხარეზე შედარებით მეტი აქვს, ვიდრე ჩრდილოეთით. თვით ხის ქერქი სამხრეთით უფრო გლუვია, ვიდრე ჩრდილოეთით, იგი მუქი ფერისაა და დაღარული, განსაკუთრებით ეს ჩანს არყის ხეზე;

ხავსი და მღიერი ხეს, ქვებს, კლდეებს, ნანგრევებს — ჩრდილოეთ მხარეზე აქვთ.

წიწვიან ხეებზე (ფიჭვი, ნაძვი) ფისის გამოყოფა სამხრეთ მხარეზე ბევრად მეტია და აშკარაა, ვიდრე ჩრდილოეთით.

გადაჭრილ ხის მერქანზე წლიური ზრდის რგოლები სამხრეთით განიერი და ერთმანეთისგან დაცილებულია, ვიდრე ჩრდილო მხარეზე.

გაზაფხულზე ბალახი სამხრეთ ფერდობზე შედარებით უფრო მაღალია, ვიდრე ჩრდილოეთის მხარეზე. ზაფხულში კი მეტად მწვანეა ჩრდილო ფერდობზე. გვიან გაზაფხულზე და ზაფხულში თოვლი მთაში ჩრდილო ფერდობზე დიდხანს ძლებს, ვიდრე სამხრეთ ფერდობზე, ამავე დროს, იგი სისქითაც (საბურველითაც) შედარებით მეტია.

ხილი დამწიფების პერიოდში, სამხრეთ მხარეზე შედარებით ფეროვანია, ვიდრე ჩრდილო მხარეზე.

ჭიანჭველების ბუდე სამხრეთ მხარეზე ნაკლებად დამრეცია, ვიდრე ჩრდილოეთით და იგი ხეების, ბუჩქებისა და ქვების სამხრეთით არის გაშენებული.

ტყის მასივებში გზა-ბილიკები, როგორც წესი, სწორხაზობრივად იჭრება და მიმართულია აღმოსავლეთიდან-დასავლეთის და ჩრდილოეთიდან-სამხრეთის მიმართულებით.

მართლმადიდებლური ეკლესიის სამლოცველოები და საკურთხევლები მიმართულია აღმოსავლეთით, სამრეკლოები კი დასავლეთის მხარეს არის მიშენებული.

კათოლიკური ეკლესიების საკურთხევლები მიმართულია დასავლეთით. ქრისტიანულ სასაფლაოზე საფლავები სახით აღმოსავლეთისკენაა მიმართული, ასევე ჯვარიც და ქვაზე წარწერებიც სიბრტყით აღმოსავლეთ მხარეზეა მიმართული. ეკლესიის გუმბათის ჯვარზე, ირიბად აწეული ბოლო ჩრდილოეთისკენაა მიმართული, ქვემოთ დაწეული ბოლო კი სამხრეთისკენ.

წარმოება-დაწესებულების ტურისტული კლუბი

დაწესებულებაში შექმნილი ტურისტთა კლუბი არის ტურიზმის განვითარების საორგანიზაციო და სასწავლო-მეთოდური ცენტრი. კლუბი ყალიბდება წარმოება-დაწესებულებებში, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებ-

ში, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს უწყობენ და ხელმძღვანელობენ ტურიზმის მასობრივ განვითარებას.

ტურისტთა კლუბი მუშაობს საქალაქო (სარაიონო) კლუბებისა და რესპუბლიკურ ან საოლქო ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოების საერთო ხელმძღვანელობით, ხოლო უშუალოდ ადგილებზე სპორტული კლუბების, კომკავშირისა და პროფკავშირების ადგილობრივი კომიტეტების ხელის შეწყობითა და ხელმძღვანელობით.

ტურისტთა კლუბის მუშაობა ხორციელდება ნებაყოფლობით საწყისებზე, ტურისტთა ფართო შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითმოქმედებაზე დაყრდნობით.

კლუბის მიზანი და ამოცანები

1. ტურისტთა კლუბი მშრომელთა მასების კომუნისტურად აღზრდისა და მათი აქტიურად დასვენებისთვის, სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით ახორციელებს ტურისტულ-ექსკურსიულ მუშაობას.

2. ტურისტთა კლუბი დახმარებას უწევს პროფკავშირულ ორგანიზაციებს, ნებაყოფლობით სპორტული საზოგადოებების საბჭოებსა და ფიზკულტურულ კოლექტივებს — ტურისტულ საქმიანობაში.

კლუბის მუშაობის შინაარსი

1. ტურისტთა კლუბის მთელი მუშაობა მიმართულია მშრომელთა მასების საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდისკენ. სოციალისტურ მშენებლობათა მიღწევების, ისტორიული და რევოლუციური წარსულის, ჩვენი სამშობლოს ბუნებრივ სიმდიდრეთა და შამათა საბრძოლო და შრომითი დიდების გაცნობის, აქტიური დასვენებისა და ფიზიკური გაჯანმრთელების მიზნით; ატარებს ლექციებს, მოხსენებებსა და საუბრებს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, გეოგრაფიულ, ბუნებისმეტყველების, მხარეთმცოდნეობისა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

2. სააგიტაციო მუშაობის ფორმების საშუალებებით მოიზიდავს მშრომელთა ფართო მასებს.

3. ხელმძღვანელობას უწევს დასვენების დღის ტურიზმს, რისთვისაც აქტივის დახმარებით ატარებს ამა თუ იმ ხასიათის გასვლებს, ექსკურსიებს, შეკრებებს, მოფრენებსა და შეჯიბრებებს, „მშთ“ ნორმების ჩაბარებასა და სხვა ღონისძიებებს.

4. აქტივის დახმარებით ატარებს სემინარულ მუშაობას ტურიზმის ყველა სახეში და ამზადებს საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა კადრს.

5. ხელმძღვანელობს სხვადასხვა კომისიებსა და ძირეულ ტურის-

ტულ სექციებს (თუ ასეთი სექციები არსებობენ ფაკულტეტებზე, ცეხებში და ა. შ.).

6. ტურიზმის მოყვარულებს ეხმარება ახალ-ახალი მარშრუტების შერჩევაში და ლაშქრობების ჩატარებაში, „სსრკ ტურისტის" და „სპელეოტურიზმის" ნიშანზე და თანრიგებზე მომზადებისთვის.

საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, წარმოება-დაწესებულებებში თუ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩამოყალიბებული ტურისტული კლუბი თუ სექცია, რომელიც შექმნილია ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების კოლექტივის საბჭოსთან (სპორტულ კლუბთან) მრავალგვარ მუშაობას ატარებს ტურიზმში და ხელმძღვანელობს მის განვითარებას.

კლუბისა და სექციის მიერ შემუშავებული გეგმა მიზნად უნდა ისახავდეს ტურიზმის მასობრივი და სპორტული განვითარების მიზნებს.

თავდაპირველად კლუბი (სექცია), ვიდრე კვალიფიციური წევრებით მომაგრდებოდეს, სამუშაო გეგმაში, ძირითადად, ისეთი საკითხებით უნდა დაინტერესდეს, რის შესრულებასაც შეძლებენ. ამავე დროს, მისი ბიურო მჭიდრო კონტაქტში უნდა იყოს ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოსთან (სპორტულ კლუბთან), პროფორგანიზაციასთან და კომკავშირის კომიტეტთან და ერთობლივი ძალით უნდა მოქმედებდნენ ამა თუ იმ ღონისძიებების ჩატარებისთვის.

კლუბის სექციის ბიუროს წევრები, თავიანთ სასწავლებელში თუ წარმოება-დაწესებულებებში, სხვადასხვა სახის ფართო სააგიტაციო მუშაობას ატარებენ, რათა მიიზიდონ და მოსწავლეთა და მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასები ტურიზმში ჩააბან.

სააგიტაციო მუშაობა გამოიხატება ტურიზმთან დაკავშირებულ სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის საუბრებით, ლექციების ჩატარებით, კითხვა-პასუხის საღამოებით, ამა თუ იმ საკითხებთან დაკავშირებული ფილმების ჩვენებით, რადიოს, კედლის გაზეთის და ფოტო გაზეთის გამოშვებით, ექსკურსია-ლაშქრობებში შეგროვილი მასალების გამოფენით და სხვა.

აღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად უნდა მოეწყოს ქალაქგარეთ გასვლა, ექსკურსია, ერთდღიანი თუ ორდღიანი და მრავალდღიანი ლაშქრობები და ა. შ., რისთვისაც ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ზემოთაღნიშნული სააგიტაციო ღონისძიებები, უნდა იქნეს გაშუქებული განცხადების სახით, რადიოსა და კედლის გაზეთის დახმარებით და ა. შ. განცხადებაში და რადიოში ყოველი წვრილმანიც კი უნდა იქნეს გაშუქებული, შეკრების ადგილისა და დროის ჩვენების გარდა, მარშრუტის გეგმაც უნდა იყოს მოცემული.

ღონისძიებები, მასების მოზიდვის მიზნით, უმჯობესია ტურიზმის იოლი ფორმებით საინტერესო და ღირსშესანიშნავ ადგილებზე

ჩატარდეს. რამდენიმე ექსკურსიის ჩატარების შემდეგ ერთდღიან, (ღამისთევით) და მრავალდღიანი მოგზაურობების მოწყობაც შეიძლება. გარდა ამისა, მოეწყოს სასწავლებლის მოსწავლეთა თუ წარმოება-დაწესებულების (კოლმეურნეობა-საბჭოთა მეურნეობა) მუშა-მოსამსახურეთა შეკრება-მოფრენი სხვადასხვა მასობრივი ღონისძიებებით და შეჯიბრება ტურისტულ მრავალჭიდში (დაბრკოლების დაძლევა, კარვის დადგმა, კოცონის ანთება წყლის ადუღებით და ა. შ.), სადაც ტურიზმით დაინტერესებული ახალგაზრდობა დიდი სურვილით მიიღებს მონაწილეობას.

ამისთვის კი ყოველი ჩასატარებელი ღონისძიება ზედმიწევნით კარგად უნდა მომზადდეს და ორგანიზებულად ჩატარდეს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მუშაობის შემდგომ წარმართვას.

ძირეული ტურისტული კლუბის (სექციის) მუშაობის წარმართვა დიდათაა დამოკიდებული ბიუროს წევრების გამოცდილებაზე და მათ მომზადებაზე. ამავე დროს გამოყენებული უნდა იქნეს სხვა კლუბების, სექციების მუშაობის გამოცდილება და საქალაქო (სარაიონო) ტურისტულ კლუბში მიღებული კონსულტაციები.

საქალაქო და სარაიონო საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროების დახმარებით ტურისტული ექსკურსიების ჩატარება და ტურისტულ მატარებლებით, ავტომანქანებით, გემებით, თვითმფრინავებით მოგზაურობის მოწყობა სხვადასხვა ღირსშესანიშნავ ადგილებზე, ქალაქებში, რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების გზებზე და ა. შ. ყველაზე იოლი ფორმაა.

ფიზიკური კულტურის კოლექტივის ტურისტული სექცია

ტურიზმში ყოველგვარ მუშაობას ახორციელებს ფიზიკური კულტურის კოლექტივის ტურისტული სექცია.

ტურისტული სექციის ჩამოყალიბებისთვის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკმარისია შეიკრიბოს 3—5 კაცი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ტურიზმით, ყოფილან მოგზაურობებში და სურვილი აქვთ თავის ორგანიზაციაში განავითარონ იგი.

ფიზკულტურის კოლექტივის ხელმძღვანელობასთან ტურისტული სექციის შექმნის საკითხის შეთანხმების შემდეგ აღნიშნული ინიციატივის მქონე ჯგუფი საბჭოს სხდომაზე მტკიცდება, როგორც ტურისტული სექციის საორგანიზაციო ბიურო.

საორგანიზაციო ბიურო, უპირველეს ყოვლისა, თავის საქმიანო-

ბას ტურიზმის აგიტაციით იწყებს და, ამასთან ერთად, ატარებს საათანადო ორგანიზაციულ მუშაობას — სექციის ჩამოსაყალიბებლად.

ბიუროს ამოცანას შეადგენს: ჩაატაროს სხვადასხვა საგიტაციო ღონისძიებანი, შემოიკრიბოს თავის გარშემო ფართო აქტივი, ორგანიზაციულად და მაღალ დონეზე, საინტერესო ადგილებში მოაწყოს დასვენების დღის ტურისტული გასვლები, ექსკურსიები, შეკრებები და საღამოები. გარდა ამისა, საჭიროა გამოყენებულ იქნეს მუშა-მოსამსახურეთა და ფიზკულტურის კოლექტივის წევრთა საერთო კრება, რადიო-გადაცემა, ფოტო-გამოფენა, კედლისა და მასობრივი ტირაჟის გაზეთში გაშუქებული იქნეს მასალები საერთოდ ტურიზმის შესახებ და კერძოდ ტურისტული გასვლებისა და ექსკურსიების შედეგების ანგარიში და სხვა.

ზემოთ დასახელებული ღონისძიებებისა და, რაც მთავარია, ორგანიზებულად ჩატარებული დასვენების დღის ტურისტულ გასვლებისა და ექსკურსიების მოწყობის შემდეგ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბიუროსთან აუცილებლად შეიქმნება ტურისტული აქტივი.

საორგანიზაციო ბიურო შემოიკრებს რა თავის გარშემო აქტივს და ჩაატარებს რამდენიმე ტურისტულ ღონისძიებას, ამის შემდეგ შეუთანხმებს საკითხს ფ/კ კოლექტივის საბჭოს — ტურისტულ სექციის ჩამოყალიბების თაობაზე და, ამ მიზნით, საერთო კრების ჩატარების შესახებ. ტურისტთა საერთო კრებაზე საორგანიზაციო ბიურო ჩააბარებს ანგარიშს ჩატარებულ მუშაობის შესახებ, რის შემდეგ ღია კენჭისყრით არჩეული იქნება ტურისტული სექციის ბიურო, ერთი წლის ვადით — 3—7 კაცის შემადგენლობით.

საქმიანობის წარმართვისათვის სექციის ბიურო პირველ რიგში მუშაობს ადგილობრივი ფ/კ კოლექტივის საბჭოს ხელმძღვანელობით და, აგრეთვე, კავშირს ამყარებს წარმოება-დაწესებულების თუ სასწავლებლის პარტიულ კომიტეტთან, ალკკ კომიტეტთან, პროფორგანიზაციასთან და ნებაყოფლობით სპორტული საზოგადოების რაიონულ ტურისტულ სექციასთან, (საქალაქო, სარაიონო) ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ტურისტულ სექციასთან, ტურისტულ კლუბებთან, საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროებთან და სხვა ტურისტულ სექციებთან და ა. შ. რომელთა დახმარებითა და მხარდაჭერით ეწევა თავის საქმიანობას.

იმ შემთხვევაში, თუ ბიუროს შემადგენლობა მცირერიცხოვანია და არ აღემატება 3 კაცს, მაშინ ირჩევენ თავმჯდომარეს და მდივანს. ამ შემთხვევაში დავალებები შეიძლება შემდეგნაირად განაწილდეს: თავმჯდომარეს დაეკისროს კადრების მომზადებისა და ორგანიზაციული მუშაობის საკითხები. მდივანს — საქმისწარმოება, აღრიცხვა, ანგარიშგება, ტურიზმის აგიტაციისა და პროპაგანდის საკითხები, დას-

ვენების დღის ტურისტული ლაშქრობებისა და ექსკურსიების ჩატარების ორგანიზაცია და სხვა.

ბიუროს წევრებს კი — საჭურველ-კაზმულობის იჯარით აღება ან ხანგრძლივ ტურისტულ მოგზაურობების ჩატარების ორგანიზაცია მათი სახეების მიხედვით, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს.

იმ შემთხვევაში თუ სექციის ბიუროს შემადგენლობაში 5—7 კაცი შედის, მაშინ მისი შემადგენლობიდან აირჩევა თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი და ბიუროს წევრებზე განაწილდება მუდმივი დავალებები — მუდმივმოქმედი კომისიების ხელმძღვანელობა.

ბიუროსთან შეიქმნება მუდმივმოქმედი კომისიები შემდეგი სამუშაო უბნების მიხედვით:

1. აგიტაციისა და პროპაგანდის;

2. კადრების მომზადების (ნიშნოსნები, თანრიგოსნები, ინსტრუქტორები, მსაჯები და სხვა);

3. საჭურვლის შეძენის (იჯარა, შეკეთება, განაწილება და ა. შ.);

4. ტურიზმის სახეობის (ქვეითი, სამთოქვეითი, სათხილამურო, ველო, სანაოსნო, სპელეო და ავტო-მოტო);

5, სამარშრუტო-საკვალიფიკაციო;

6. საშეფო ორგანიზაციებთან და პიონერ-მოსწავლეებთან მუშაობის;

7. ბანაკებისა და ბაზების მომწყობი და სხვა.

აღნიშნულ კომისიებში, თავმჯდომარეების გარდა, შეყვანილი უნდა იქნეს 3—5 წევრი აქტივისტთა რიგებიდან.

ბიუროსთან იქმნება აგრეთვე მწვრთნელთა ჯგუფი და მსაჯთა კოლეგია, ყოველი კომისია ადგენს თავის წლიურ და ექედან გამომდინარე სეზონურ სამუშაო გეგმას.

წლიურ გეგმაში შეტანილი უნდა იქნეს კომისიის მუშაობის ძირითადი, საკვანძო საკითხები; ხოლო ყოველთვიურ, თუ სეზონურ სამუშაო გეგმაში — კონკრეტულად გადასაწყვეტი საკითხები ზუსტი თარიღისა და პ/მგ. პირის ჩვენებით. საერთოდ, ტურისტული სექციის ბიუროს მუშაობის წარმართვა დამოკიდებულია სექციის წევრთა საერთო რაოდენობაზე, ბიუროს შემადგენლობაზე, მათ მომზადებაზე და მუშაობის მოცულობაზე.

ტურისტული სექციის ბიუროს სხდომა, როგორც წესი, შეიძლება ჩატარდეს თვეში ერთხელ ან ორჯერ, გამომდინარე გადასაჭრელი საკითხების რაოდენობიდან, სასურველია სხდომას აქტივიც ესწრებოდეს. აქვე განიხილება სამუშაო გეგმა (წლიური, სეზონური, ყოველთვიური და სხვა), რომელიც უნდა შეიცავდეს წარმოება-დაწესებულების თუ სასწავლებლის კულტურული და სპორტული განვითარე-

ბის ღონისძიებათა შემადგენელ ნაწილს და პირველ რიგში ასახავდეს შრომის ნაყოფიერების საკითხებსა და მშრომელთა ფართო მასების კულტურულ დონის ზრდას. ტურისტული სექცია ექვემდებარება კოლექტივის საბჭოს და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების რაიონულ (საქალაქო) საბჭოსა და ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული (საქალაქო) კომიტეტის სექციებს. სექციის ბიურო თავის სამუშაო გეგმას ამტკიცებს ბიუროს სხდომაზე და შემდეგ ფ/კ კოლექტივის სხდომაზე.

სექციის სამუშაო გეგმა ძირითადად უნდა შეიცავდეს ტურიზმის მასობრივ და სპორტულ განვითარების, ხანგრძლივი ტურისტული მოგზაურობის მომზადებასა და მის ჩატარებას.

ტურისტული სექციის მუშაობის წარმართვისათვის და მასობრივი და სპორტული შედეგების მიღწევებისათვის ყურადღება, უნდა მიექცეს მთელრიგ საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტას, რომელიც სექციის ყოველდღურ საზრუნავ საკითხს უნდა წარმოადგენდეს. ეს საკითხები შემდეგია:

1. **საგიტაციო-პროპაგანდის საკითხები** — ითვალისწინებს წარმოება-დაწესებულებების თუ სასწავლებლის, მშრომელი მასების ფართოდ ჩაბმას ტურიზმში. ეს კი შესაძლებელია საღამოების მოწყობით, ლექცია-მოხსენებებით ჩატარებულ ლაშქრობებზე და სხვა საკითხებზე, შეგროვილი მასალების გამოფენებით, ფოტო-სტენდებით, მხატვრულად გაფორმებული პლაკატებით, სპეციალურად მიძღვნილი კედლის გაზეთებით, სხვადასხვა სახის ექსკურსიებითა და დასვენების დღისა თუ მრავალდღიანი ლაშქრობებით. გადაღებული კინო-სურათების ჩვენებით, შრომის გმირებთან და გამოჩენილ ტურისტებთან და ადამიანებთან შეხვედრა-საუბრებით, საღამო-კონცერტებისა და მხატვრული თვითშემოქმედების ჩვენებით, ტურისტული მატარებლებით, თვითმფრინავებით, გემებით თუ მანქანებით მოგზაურობებით, ხელმძღვანელი ორგანოების მიერ დასახულ პოლიტიკურ კომპანიაში მონაწილეობით. კავშირის დამყარებით სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, მხარეთმცოდნეობის მუზეუმებთან, ბიბლიოთეკებთან და ა. შ.

2. **სასწავლო სპორტული მუშაობა** — ერთ-ორდღიან (დასვენების დღის) სასწავლო-საწვრთნო ლაშქრობებისა და ექსკურსიების ორგანიზაცია და მათი რეგულარული ჩატარება; საწვრთნო ფიზიკური მომზადების გეგმისა და გრაფიკის შედგენა, სექციის წევრთათვის სრულწლიური წვრთნის ორგანიზაცია და დახმარება; სხვადასხვა სახის კონსულტაციების ჩატარება, მარშრუტების შერჩევა და მათი დამუშავება, გამოცდილი ტურისტებისა და სხვა სპეციალობის მქონე პირთა მოწვევა საკონსულტაციოდ (მხარეთმცოდნეები, გეოგრაფები,

ბუნებისმეტყველები, ისტორიკოსები, მთამსვლელები და სხვა); სექციის წევრთა მომზადება „მშთ“ ნორმების, „სსრკ ტურისტის“ ნიშანზე ჩაბარებისთვის და სპორტული თანრიგების მიღებისთვის, მრავალდღიან ლაშქრობების მოწყობის ორგანიზაცია ტურიზმის სახეების მიხედვით; გეგმების განხილვა, ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება და მონაწილეთა საექიმო შემოწმების ორგანიზაცია და ა. შ.; სამარშრუტო ფურცლების გაცემა, ხანმოკლე მოგზაურობებისთვის, სამარშრუტო წიგნაკების გაფორმება და წარდგენა სარაიონო-საქალაქო ან რესპუბლიკურ სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისიაში დასამტკიცებლად და ნებართვის მიღება I, II, III, IV და V კატეგორიის სირთულის მარშრუტებზე სამოგზაუროდ; სალაშქროდ მიმავალი ჯგუფების მზადყოფნის შემოწმება, მათთან კავშირის დამყარება, მარშრუტებზე საკონტროლო ვადების დადგენა და მათი შემოწმება; საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა და მსაჯთა კადრების მომზადება, ტურიზმის სახეების მიხედვით, ლაშქრობათა ჩასატარებელ სამოქმედო რაიონების შერჩევა, მათი შესწავლა და ლიტერატურული დამუშავება; მოგზაურობის გეგმის დასახვა და მოძრაობის გრაფიკის დადგენა. საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობის გეგმის შედგენა ლაშქრობების დროს და მისი ცხოვრებაში გატარება; საჭურველ-კაზმულობითა და სხვა ინვენტარით უზრუნველყოფის ორგანიზაცია; ჩატარებული ლაშქრობების ანგარიშგების ორგანიზაცია: სარაიონო, საქალაქო ტურისტული კლუბებისა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება (ტურისტული შეჯიბრება, შოფრენები, ესტაფეტები, სხივური ლაშქრობა-შეკრებები, ტურისტული მრავალჭიდი, სააგიტაციო ლაშქრობები, გეგმიანი ტურიზმისათვის მარშრუტების შერჩევა, I, II, III, IV და V კატეგორიის ლაშქრობებში მონაწილეობა და სხვა); სექციის წევრებზე გამოყოფილი ტურისტული საგზურების განაწილება, სექციის წევრებისთვის ტურისტულ მატარებლებზე, გემებზე, ავტო-მანქანებზე, თვითმფრინავებზე და საზღვარგარეთის ტურისტულ მოგზაურობებზე მონაწილეობაში ხელის შეწყობა და ა. შ.

8. მოგზაურობათა მატერიალური უზრუნველყოფა — ლაშქრობების სათანადო ფინანსური სახსრებით დახმარება, საჭურველ-კაზმულობის შეძენა და იჯარით აღების ორგანიზაცია. ტურისტული ბანაკების მოწყობა. თხილამურების, ბაიდარების (ნავების), ველოსიპედების, მოტოციკლეტების შეძენა ან იჯარით აღება. საჭურველ-კაზმულობის თვითდამზადებისა და თვითშეკეთების საშუალებათა ორგანიზაცია. ექსკურსიებისა და მოგზაურობათა სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის ორგანიზაცია. კალორიული საკვები პროდუქტების შერჩევა და მათი შეძენა. ლაშქრობების დროს მონაწილეთა

ღამისთევის უზრუნველყოფის საშუალებების გამონახვა, ცეცხლის დანთებისა და ცხელი საჭმლის დამზადების ორგანიზაცია და სხვა.

4. საკვალიფიკაციო მუშაობა — სექციის წევრთა მიერ ტურიზმის სახეებისდამიხედვით ჩატარებულ მოგზაურობათა და ლაშქრობათა აღრიცხვა და მათი ანგარიშგების შედეგების შეჯამება. „მშთ", „სსრკ ტურისტის" და „სპელეოტურისტის" ნიშნოსან და თანრიგოსან სპორტსმენთა აღრიცხვა. ნიშანზე და თანრიგებზე მომზადებულ პირთა საბუთების გაფორმება და მისი წარდგენა დასამტკიცებლად. ინსტრუქტორთა კადრების, მსაჯებისა და თანრიგოსან სპორტსმენთა წარდგენა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ან წოდების დამტკიცებაზე.

5. მუშაობის დაფინანსება. ტურისტულ ღონისძიებათა ჩატარებისთვის, ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა უმთავრესად ხორციელდება, წარმოება — დაწესებულების ან სასწავლებლის ფინანსურ გეგმაში შემავალ „სასწავლო-სპორტული მუშაობა და მასობრივი ფიზკულტურული ღონისძიების, აგრეთვე, კულტ-მასობრივი და ფიზკულტურულ მუშაობაზე წარმოებების, დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ ხელფასის ფონდიდან 0,15% რაოდენობით გამოყოფილი თანხიდან; წარმოება-დაწესებულებების დირექტორის ფონდიდან; ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების ფინანსური გეგმიდან — ტურისტულ მუშაობისათვის".

ტურისტულ ღონისძიებათა დაფინანსება ასევე შეიძლება განხორციელდეს თვით ტურისტთა პირადი სახსრებით, რომელიც მათ მოიპოვეს წარმოებაში სხვადასხვა დამატებითი მუშაობის შესრულებით, საბჭოთა მეურნეობებსა თუ კოლმეურნეობებში დამხმარე საველე სამუშაოების უზრუნველყოფით, მაკულატურისა და ლითონის ჯართის შეგროვებით და ა. შ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. დიდ წარმოება-დაწესებულებებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, სადაც ტურისტთა დიდი აქტივია და მუშაობა წარმატებით ვითარდება, მიზანშეწონილია სექციის ნაცვლად ტურისტთა კლუბის ჩამოყალიბება.

დასვენების დღის ტურიზმის ორგანიზაცია და მისი ჩატარება

დასვენების დღის ტურიზმის ძირითადი მიზანია მშრომელთა ფართო მასების გამაჯანსაღებელი აქტიური დასვენება ბუნების წალკოტში.

დასვენების დღის ტურიზმი ხანგრძლივობის მიხედვით შეიძლება იყოს ერთდღიანი, ორდღიანი (ღამისთევით) და სამ-ოთხდღიანი (უქმე დღეებში).

დასვენების დღის გასვლები შეიძლება მოეწყოს ექსკურსიის ან უშუალოდ ლაშქრობის სახით, რომელიც უნდა ჩატარდეს ბუნების ღირსშესანიშნავ ადგილებში — მდინარის, ტბის, ზღვის ნაპირზე, ტყესა თუ მდელოზე, ჩვენი ქვეყნის მატერიალური კულტურის შესანიშნავ ძეგლებთან, ისტორიული, რევოლუციური, და სამამულო ომის ამსახველ ადგილებზე, კომუნიზმის დიად მშენებლობებზე (ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში), მუზეუმებში, სახელმწიფო ნაკრძალებში და სხვაგან.

დასვენების დღის ტურიზმი მოითხოვს მარშრუტის კარგად შერჩევასა და მის დამუშავება-შესწავლას, რადგან ასეთი გასვლების კარგ ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული სტუდენტი-ახალგაზრდობისა თუ მუშა-მოსამსახურეთა შემდგომი დაინტერესება და მოგზაურობისკენ სწრაფვა.

ყოველი ლაშქრობის დაგეგმვას წინ უსწრებს სათანადო მოსამზადებელი პერიოდი, რის დროსაც დაწესებულებაში (თუ სასწავლებელში) ხელმძღვანელ ორგანოებთან შეთანხმებისა და მარშრუტის დადგენის შემდეგ უნდა გამოიკრას განცხადება მარშრუტის სქემის ჩვენებით (შესაძლებლობის შემთხვევაში გამოცხადდეს რადიოთი), რათა ეცნობოს ყველა მოსამსახურეს, წარმოების მუშაკს თუ მოსწავლე-სტუდენტს ტურისტული ღონისძიების ჩატარების შესახებ.

პირველყოვლისა საჭიროა მარშრუტი საინტერესო და მიმზიდველ გარემოში გადიოდეს, არ იყოს ძალზე მომქანცველი და ერთფეროვანი. ამავე დროს, შესაძლებლობის მიხედვით უმჯობესია ჩატარდეს ნახევარწრიული ან წრიული (დაბრუნება სხვა გზით), ასეთი მარშრუტი უფრო საინტერესო, მიმზიდველი და ნაკლებად დამქანცველი იქნება.

ერთდღიანი მარშრუტი შეიძლება იყოს 15—20 კმ. ორდღიანი (ღამისთევით) კი 25—30 კმ. და მეტი. ამავე დროს გასათვალისწინებელია გზის ხასიათი და მისი რელიეფი (ვაკე, მთაგორიანი, ტყიანი, ჭაობიანი, ტრამალი და სხვა), მარშრუტის მანძილი შეიძლება რამდენადმე გადიდდეს ან შემცირდეს. მოძრაობის სიჩქარე სწორედ ამის მიხედვით უნდა განისაზღვროს. ალმართზე შედარებით ნელა უნდა მოძრაობდეს ჯგუფი, ირიბად, კლაკნილად და ა. შ. ხოლო ვაკე გზაზე, შედარებით, გაშლილი ნაბიჯით. ასევე გასათვალისწინებელია ჯგუფის (მონაწილეთა) რაოდენობა და მათი შემადგენლობა (სქესი), ფიზიკური მომზადება, კლიმატური პირობები, წლისა და დღის პერიოდი, მოძრაობის საშუალებები და სხვა.

მოძრაობის ყოველ 45—50 წუთის შემდეგ საჭიროა 10—15 წუთი შესვენება გზის რომელიმე მხარეს, უშიშარ ვაკე ადგილზე. ოფლიანზე ან დაღლილზე წყლის სმა, თოვლისა და ყინულის ჭამა, ცივ

წყალში ბანაობა, მიწაზე წამოწოლა დაუშვებელია. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ წყლის ხშირი სმისაგან ორგანიზმი დუნდება და მოძრაობაც ძნელდება.

სიარულის დროს უმჯობესია შილიფად ჩაცმა, რათა ნაკლებად გაოფლიანდეს ადამიანი და მოძრაობაც შეუზღუდველი იყოს. შესვენების დროს კი სასურველია რაიმე ტანსაცმელის ჩაცმა ან წამოხურვა.

ზაფხულის ცხელ, მზიან ამინდში უქუდოდ და შიშველი ზეტანით მოძრაობა დაუშვებელია. იგი მზის ე. წ. „დაკვრას" და დამწვრობას გამოიწვევს, რაც თავის მხრივ გაართულებს სიარულს. ასეთ ცხელ ამინდში უმჯობესია მოძრაობა დილით და საღამოს, შუადღით კი უნდა მოეწყოს დიდი შესვენება სადილისთვის.

მთიან ადგილებში მოსიარულე ჯგუფს გარკვეულ ხიფათს უქმნის ქვაყრილი ადგილებისა და განსაკუთრებით ფლატეების დაძლევის დროს ქვის ცვენა. იგი უფრო ხშირად მოსალოდნელია მზის ამოსვლიდან 1 — 2 საათის შემდეგ. აგრეთვე წვიმისა და ნისლიანი ამინდის დროს. ასევე საxიფათოა ზვავსაშიში ფერდობების არასწორად გავლა. თუ ასეთი ადგილების გავლა აუცილებელია, მაშინ საჭიროა შემოვლა, ან ზემოდან მოვექცეთ ქვის ცვენისა და ზვავის წარმომშობ კერებს, ან დილით ადრე იქნას გავლილი, თითო-თითოდ. მთიან გარემოში ჰექა-ქუხილის დროს საჭიროა თავშესაფრის მოძებნა. ლითონის საჭურველი (ნივთები) განზე უნდა იქნეს გატანილი 20—25 მეტრის დაშორებით. ნისლიან ამინდში, განსაკუთრებით მთიან გარემოში მოძრაობა საxიფათოა, უშიშარ ადგილზე ჯგუფი უნდა დაელოდოს მის აყრას, რის შედეგ გაერკვეს გარემოში და ისე განაგრძოს გზა.

ყოველგვარი ლაშქრობის დროს, ჯგუფის მონაწილენი გზის xასიათის მიxედვით უმთავრესად ერთ რიგად უნდა მოძრაობდნენ. ამასთანავე ინიშნება ჩამკეტი, რომელსაც კავშირი აქვს მეწინავესთან.

მეწინავე ირჩევს გზას და მოძრაობის ტემპს, ჩამკეტი კი ყურადღებას აქცევს, რათა ჯგუფის წევრები არ ჩამორჩნენ.

უცნობი ჭაობიანი ადგილების გატოპვა საxიფათოა, უმჯობესია მათი შემოვლა. ველად ცალკე მდგარი xეების ძირში, ჰექა-ქუxილის დროს საxიფათოა დგომა. წვიმიან ამინდში მოძრაობა რთულდება და უსიამოვნო xდება. უმჯობესია დალოდება, ვიდრე გადაიღებდეს.

ჯგუფის xანმოკლე და xანგრძლივი შესვენებისა თუ ღამისთევისთვის უნდა შეირჩეს სათანადო უშიშარი ადგილი. დასასვენებლად ჯგუფი გზის ერთ რომელსამე მxარეს უნდა მოეწყოს.

ღამისთევის და ბანაკის მოსაწყობად დაღამებამდე უნდა შეირჩეს უშიშარი ადგილი ტყის, მდინარის, ტბის პირას ან ფერდობზე მდებარე ვაკე ადგილზე. კარვების დადგმა, ბანაკის მოწყობა xშირ

დაბურულ ტყეში, ქვისცვენისა და ზვავსაშიშ ფერდობებზე, მდინარის ყოფილ კალაპოტში — დაუშვებელია.

გარკვეული ზომიერებაა საჭირო ტყის ხილის, განსაკუთრებით კი სოკოს ჭამის დროს, ან მის შერჩევისას. ლაშქრობის მსვლელობაში, საინტერესო ადგილებზე შეჩერების დროს) ისტორიული ძეგლები, მშენებლობები და სხვა), დიდ შესვენებაზე ან ღამის თევისას, საჭიროა, საუბრის სახით ჯგუფს განემარტოს ადგილის ღირსშესანიშნაობა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული დახასიათება. ასევე, განსაკუთრებით ღამისთევის დროს უნდა ჩატარდეს საუბრები, სიმღერები, ლექსების დეკლამირება, ცეკვა-თამაში და სხვა. სასურველია თუ ეს ყველაფერი ჩატარდება კოცონთან. მხოლოდ კოცონის ორგანიზაციას, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს, რათა იგი არ დაინთოს ახლო მდებარე ხეებისა და ბუჩქების სიახლოვეს და არ გამოიწვიოს ხანძარი. ამავე დროს, ყოველი კოცონი, როგორი მცირედიც უნდა იყოს იგი, გულდასმით უნდა იქნეს ჩაქრობილი, საბანაკო ადგილი კი მოსუფთავდეს. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ფრიად საყურადღებო ფაქტორი, რომელიც ყოველი ტურისტული ჯგუფისაგან მოითხოვს დასახლებულ ადგილებში, კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში, ქარხანა-ფაბრიკებში, მშენებლობებზე და მოსახლეობასთან წესიერ და ზრდილობიან ქცევას, მათთან სასარგებლო სამუშაოს შესრულებას (შეხვედრებს, საუბრებს, საჩვენებელ და სპორტულ შეჯიბრება-გამოსვლებს, შრომაში დახმარებასა და ა. შ.). ტურისტი, როგორც ისტორიული ძეგლების მეგობარი, უნდა უფრთხილდებოდეს მას, არ გააკეთოს წარწერები მის კედლებზე და სხვასაც აუკრძალოს ასეთი საძრახისი ქცევა.

ყოველი ლაშქრობის დამთავრების შემდეგ, აუცილებელია მისი ფართო რეკლამა მოხსენება-საუბრებით, კედლისა და ფოტო-გაზეთით, რადიოთი, შეგროვილი მასალების გამოფენით და ა. შ., რაც სტიმულს მისცემს ახალ-ახალი ლაშქრობების წარმატებით ჩატარებას და მშრომელთა ფართო მასების მოზიდვას ამ ფრიად სასარგებლო საქმეში.

ტურისტული ლაშქრობის ჩატარებისათვის საჭირო დოკუმენტები

დასვენების დღის ტურისტული ლაშქრობების ჩასატარებელ სამგზავრო დოკუმენტად ითვლება დადგენილი ფორმის სამარშრუტო ფურცელი (იხ. დანართი). სამარშრუტო ფურცელს გასცემს სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისია, იგი ივსება სალაშქროდ მიმავალი ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ, მას ხელს აწერს და

ბეჭდით ადასტურებს იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც აწყობს მოგზაურობას.

ტურისტული ჯგუფებისთვის, პირველიდან მეხუთე კატეგორიის სირთულის მარშრუტებზე, სამოგზაურო დოკუმენტებად ითვლება დადგენილი ფორმის სამარშრუტო წიგნაკი, რომელიც ფორმდება საგანცხადო წიგნაკის საფუძველზე.

მოგზაურობის მოწყობის ნებართვის მიღებისთვის წინასწარ ივსება საგანცხადო წიგნაკი, რომელსაც აფორმებს ჯგუფის ხელმძღვანელი, ხოლო ბეჭდის დასმითა და ხელის მოწერით ადასტურებს იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელი (ან მისი მოადგილე), რომელიც აწყობს მოგზაურობას, რის შემდეგ წარედგინება მოგზაურობის ნებართვაზე უფლებამოსილების მიხედვით სათანადო სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისიას.

I, II, III კატეგორიის მარშრუტების დამტკიცებისთვის საგანაცხადო წიგნაკი წარედგინება ერთი თვით ადრე მოგზაურობის დაწყებამდე IV და V კატეგორიის მარშრუტებისთვის არაუგვიანეს თვენახევრისა მოგზაურობის დაწყებამდე. სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისია თავის სხდომაზე განიხილავს წარდგენილ სამოგზაურო საბუთებს და მისი ზედმიწევნით შემოწმების შემდეგ (საჭირო შემთხვევებში ჯგუფის ხელმძღვანელთან და მონაწილეებთან გასაუბრების, ჯგუფის მზადების მდგომარეობის შემოწმების მიხედვით და ა. შ.) დასტურს აძლევს მოგზაურობის დაწყებაზე, რომელსაც სათანადოთ აფორმებს. სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისიას ნება აქვს ყოველმხრივ შეამოწმოს სალაშქროდ წამსვლელი ჯგუფი და რაიმე უწესრიგობის შემთხვევაში შეასწორებინოს ნაკლოვანი მხარეები, გადაუწიოს სალაშქროდ გასვლის ვადა ან საერთოდ აუკრძალოს მოგზაურობა. ხოლო საკონტროლო-სამაშველო სამსახური, თავის მხრივ, კონტროლს უწევს სამოგზაუროდ წამსვლელ ჯგუფს და უშუალოდ, სალაშქროდ გასვლის წინ ამოწმებს ჯგუფის მზადყოფნას, რისთვისაც, თავის მხრივ, ადგენს სათანადო აქტს. აქვე მიუთითებს მარშრუტზე დადგენილ საკონტროლო პუნქტებიდან მათი გავლის შეტყობინების თაობაზე, აზუსტებს მოგზაურობის ვადებს და აქტის გაფორმების შემდეგ ნებას აძლევს მოგზაურობის დაწყებაზე.

სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისია, თავის მხრივ, შექმნილია სარაიონო, საქალაქო ტურისტულ კლუბებთან, ნებაყოფლობითი სპორტული ორგანიზაციების საბჭოებთან, საუწყებო ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან და ტურიზმისა და ექსკურსიების საოლქო, რესპუბლიკურ საბჭოებთან.

მოგზაურობის მომწყობი ორგანიზაციები, თავის მხრივ, ახორციელებენ კონტროლს სამოგზაუროდ მიმავალ ჯგუფებზე მათ სა-

თანადო მომზადებაზე საჭირო საბუთებით, თანხით, საჭურველ-ინ-ვენტარით და მოძრაობის საშუალებით. უზრუნველყოფენ საუბრებით ტრამვული დაზიანების, მოყინვის თავიდან აცილებისა და პირველი საექიმო დახმარების საკითხებზე, ასევე ბუნების დაცვის, ტყეში ხანძრის გაჩენის საწინააღმდეგო უსაფრთხოებაზე და მისი ჩაქრობის საშუალებებზე, სამოქმედო რაიონის მეტეოროლოგიური სამსახურის ცნობებზე და სხვა საკითხებზე.

კონტროლს უწევენ ჯგუფის მიერ მარშრუტზე დადგენილი ვადების შესრულებას და საკონტროლო პუნქტების გავლას. მათი დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უკავშირდება ტურიზმისა და ექსკურსიების შესატყვის საბჭოებს, ჯგუფის ადგილსამყოფელის გარკვევის თაობაზე და მისთვის საჭირო დახმარების აღმოჩენისთვის.

მთელი რიგი საკითხები და მოთხოვნები აქვს დაკისრებული მოგზაურობის ჩამტარებელ ჯგუფის ხელმძღვანელებს და თვით ლაშქრობის მონაწილეებს, რათა მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ლაშქრობის ჩატარების ორგანიზაციას, მის უზრუნველყოფას უსაფრთხოების წესების დაცვისა და ტრამვული დაზიანების საწინააღმდეგო ხერხებს და სხვა.

მოგზაურობის ხელმძღვანელი უნდა იყოს პოლიტიკურად მომზადებული, ფიზიკურად განვითარებული და სათანადო ორგანიზაციულ უნარს დაუფლებული.

იგი პასუხს აგებს ჯგუფის მონაწილეთა შერჩევა-დაკომპლექტებაზე — მათი კვალიფიკაციის მიხედვით, მოგზაურობის სრულყოფილ და მარშრუტის უავარიოდ გავლაზე.

I კატეგორიის სირთულის მოგზაურობის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დასვენების დღის ლაშქრობათა ხელმძღვანელობის გამოცდილება, ხოლო II, III, IV და V კატეგორიის სირთულის მოგზაურობის ხელმძღვანელს ერთი კატეგორიით ნაკლები სირთულის მოგზაურობათა ხელმძღვანელობის გამოცდილება და იგივე სირთულის ტურიზმის სახის ლაშქრობაში მონაწილეობის გამოცდილება.

რაც შეეხება საწყლო მარშრუტებზე მოგზაურობის ხელმძღვანელს — უნდა ჰქონდეს სანაოსნო ტურიზმის იგივე სახესხვაობის (ნავები, ბაიდარები თუ ტივები) მოგზაურობის გამოცდილება. ხოლო სამთო ტურიზმის მოგზაურობის ხელმძღვანელი დაუფლებული უნდა იყოს მაღალმთიან გარემოში მოძრაობის ხერხებს, გავლილი ჰქონდეს სამთო ლაშქრობების ხელმძღვანელთა სემინარი და დაძლეული რამდენიმე მაღალმთიანი უღელტეხილი. მოგზაურობათა ყოველი ხელმძღვანელი, ლაშქრობის დაწყებამდე, უნდა გაეცნოს ლიტერატურული წყაროებითა და აღწერითი მასალით მოგზაურობის რაიონს, შეისწავლოს მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური თავისებურებები, გან-

საზღვროს სამოქმედო რაიონის ღირსშესანიშნაობათა გაცნობის გეგმა და მიიღოს სათანადო კონსულტაცია გამოცდილი ტურისტებისგან, გეოგრაფებისგან, მხარეთმცოდნეებისგან, ისტორიის. კულტურის, ძეგლთა დაცვის და ბუნების დაცვის ადგილობრივ საზოგადოებათა წევრებისგან.

მოამზადოს კარტოგრაფიული მასალა და შეადგინოს მარშრუტის სქემები, დაამუშაოს მოძრაობის გრაფიკი, მარშრუტის გავლის დრო და საკონტროლო პუნქტები, განსაზღვროს მარშრუტის რთული უბნები, მათი დაძლევის ხერხები, უსაფრთხოების საშუალებები და სვლაგეზის სათადარიგო ვარიანტები. უზრუნველყოს საჭურვლის მომზადება, პროდუქტების საჭირო რაციონის შერჩევა, სვლაგეზზე სურსათის მარაგის შევსების შესაძლებლობა მოგზაურობის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. ამასთანავე გააფორმოს სამარშრუტო და საგანაცხადო წიგნაკი და წარადგინოს შესაბამის სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისიაში. ზუსტად დაიცვას აღნიშნული კომისიის მიერ სამარშრუტო წიგნაკში განსაზღვრული მოთხოვნები და მითითებები.

რაც შეეხება ლაშქრობის მონაწილეს, იგი ვალდებულია შეასრულოს მოგზაურობის ხელმძღვანელის ყოველგვარი მითითება. გაიაროს ყოველმხრივი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება, მოგზაურობის დაწყებამდე მოისმინოს საუბრები, ლექციები და გაეცნოს მარშრუტის გავლის წესებსა და მოთხოვნებს. ლაშქრობის მსვლელობაში მკაცრად დაიცვას დისციპლინა და სანიტარულ-ჰიგიენური წესები, ყოველგვარ პირობებში სწრაფად აღმოუჩინოს დახმარება განსაცდელში ჩავარდნილ ამხანაგს. თავაზიანად მოექცეს ადგილობრივ მოსახლეობას, გაუფრთხილდეს ბუნებრივ სიმდიდრეს, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს. ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ლაშქრობის სრულყოფილ დამთავრებას და აქტიური მონაწილეობა მიიღოს მოგზაურობის ჩატარების საჯარო განხილვისა და ანგარიშგების დროს.

ტურისტულ მოგზაურობისათვის განკუთვნილი საველე აფთიაქი განსაზღვრული 10—15 კაცზე

აღნიშნულ აფთიაქში ჩამოთვლილი და წასაღები მედიკამენტების შემადგენლობა და რაოდენობა ბევრადაა დამოკიდებული მოგზაურობის ხასიათზე, სამოქმედო რაიონზე, მის ხანგრძლივობაზე, მის სირთულეზე და მონაწილეთა რაოდენობაზე.

1. პირველი დახმარების პაკეტი — 5—10 ცალი.
2. დოლბანდი (ვიწრო და განიერი) — 10—12 ხვეული.

3. ბამბა — 500 გრ.
4. თერმომეტრი — 1 ცალი.
5. პიპეტი—1 ცალი.
6. მაკრატელი — 1 ცალი.
7. პინცეტი — 1 ცალი.
8. ღვინის სპირტი — 100 გრ.
9. ნიშადურის სპირტი — 10 ამპულა.
10. სტრეპტოციდის ემულსია — 50 გრ.
11. ვაზელინი — 30 გრ.
12. ბორის მჟავა — 30 გრ.
13. კალიუმის პერგამენტის ხსნარი — 20 გრ.
14. საჭმელი სოდა — 100 გრ.
15. ინგლისური მარილი—50 გრ.
16. იოდის ხსნარი — 10 ამპულა.
17. კალიუმის პერმანგანატის ფხვნილი—30 გრ.
18. წყალბადის ზეჟანგი 3% — 100 გრ.
19. ვალერიანის წვეთები — 1 შუშა.
20. ვოლოკარდინი — 1 შუშა.
21. კბილის წვეთები — 1 შუშა.
22. ოქროს ფხვნილი — 5 დასტა (შეკრულა).
23. ბიომიცინი — 2 დასტა.
24. სულფადიმეზინი — 50 აბი (5 დასტა).
25. სტრეპტოციდი თეთრი — 50 აბი (5 დასტა).
26. ბესალოლი — 30 აბი (3 დასტა).
27. ფტალაზოლი—50 აბი (5 დასტა).
28. ანალგინი — 40 აბი (4 დასტა).
29. ხველების საწინააღმდეგო—40 აბი (4 დასტა).
30. მდოგვის საფენი — 1 შეკრულა.
31. პლასტირი (ლეიკოსალბუნი) — 2 ხვეულა.
32. რეზინის ლასტი — 1 ცალი.
33. გლუკოზა-ვიტამინი ტაბლეტებში — 10 დასტა.
34. კრემი — კანის დამწვრობის საწინააღმდეგოდ — 2 — 3 ტუბი.
35. დიმეთილეტალის 15% ემულსია (კოღოების საწინააღმდეგოდ) — 50 გრ.
36. ანტიგურზინი.

სამთო და სათხილამურო ლაშქრობის დროს სასურველია მოყინვის საწინააღმდეგოდ ბატის ქონის წაღება და მზისგან სახისა და კანის დამწვრობის აცილებისათვის ე. წ. „საყინვარო მალამო“.

საკარაულო კვების პროდუქტების განაკუთვნილი 1 დღეზე, მრავალდღიან მოგზაურობის დროს

1. პური — 800 გრ.
2. კრუპეული (მაკარონი, ვერმიშელი, მანი და სხვა).
3. ხორცი და ხორცის კონსერვი 100—150 გრ.
4. ცხიმეული, კარაქი —50 გრ.
5. შაქარი — 100 გრ.
6. შედედებული რძე — 1/4 ქილა.
7. კისელი და ხმელი ხილის კომპოტი — 50 გრ.
8. ბოსტნეული (კარტოფილი, ხახვი, მწვანილი, კომბოსტო და სხვა) — 500 გრ.
9. კონცენტრატები (მზა სუპეული და სხვა) — 20—25 გრ.
10. ყველი — 30 გრ.
11. მაგრად შებოლილი ძეხვი — 50 გრ.
12. ყავა, კაკაო — 5—10 გრ.
13. ჩაი — 1 გრ.
14. მარილი — 20 გრ.

იმ შემთხვევაში, თუ კვებისთვის გამოყოფილი თანხა დარჩა — აღნიშნულ პროდუქტებს შეიძლება დაემატოს: ნამცხვარი — 30—40 გრ. მეავე კამფეტი (კოწახური და სხვადასხვა ხილი, ჩირი, ჩურჩხელა და სხვა — 50 გრ.).

ამასთანავე, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება, ჩვენმა გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ რთული და ხანგრძლივი ლაშქრობების ჩატარების დროს აუცილებლად წაღებული იქნეს სხვადასხვა სახის მეავე საწებელა (ტყემალი, ღოღნაშო, კოწახური) და სხვა წვენები, კომპოტი, ლიმონი, ტყლაპი და სხვა. ამასთანავე, საჭმელში შესაზავებლად წინასწარ შეზავებული სხვადასხვა სახის მწვანილი, გამხმარი ან მარილში შერეული.

დანართი 1

სამაჩუქრო ფურცელი

_____
(ტურიზმისა და ეკსკურსიების საბჭოს)

სამარშრუტო ფურცელი № _____

I-ლი კატეგორიის სირთულეზე ნაკლებ ლაშქრობა-მოგზაურობისთვის

გაცემულია ტურისტულ ჯგუფზე _____
(მოგზაურობის ჩამტარებელი ორგანიზაციის

_____
სრული დასახელება)

შემადგენლობა _____ კაცი, ატარებს „_____"_____დან

„_____"_____მდე _____
(ტურიზმის სახე)

მოგზაურობას რაიონში _____
(გეოგრაფიული რაიონის დასახელება)

მარშრუტით _____
(ძირითადი პუნქტები)

_____

ჯგუფის ხელმძღვანელი _____
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

ხელმძღვანელის მოადგილე (სკოლის მოსწავლე ჯგუფისთავის)_____

_____
(გვარი და ინიციალები)

მოგზაურობის ჩამტარებელი ორგანიზაციის
პასუხისმგებელი პირის ხელის მოწერა: _____(_____)

ბ. ა. „_____"_____19____წ.

სამარშრუტო ფურცელი მოთხოვნისთანავე წარედგინება საკონტროლო-სამაშველო სამსახურის, სატყეო, სამონადირეო სამსახურის მუშაკებს და თევზჭერის ზედამხედველს.

სამარშრუტო ფურცლის საფუძველზე წარმოებს ფიზიკური კულტურის ტურისტული სექციის ან ტურისტული კლუბის მუშაობის აღრიცხვა, „მშთ" კომპლექსის ნორმატივების ჩათვლა, „სსრკ ტურისტის", „ნორჩი ტურისტის ნიშნის" და ჭაბუკთა თანრიგების მინიჭება.

ლაშქრობის გეგმა

თარიღი. მარშრუტის უბნები		მგზავრობის საშუალება	აღნიშვნები მარშრუტის გაყოლაზე

სულ, აქტიური საშუალებებით მოძრაობა ——————————კმ.

საზოგადოებრივი-სასარგებლო სამუშაოს შესრულების ვექმა თან ერთვის (საჭირო შემთხვევებში).

საბოგზაურო მარშრუტის სქემა

ჯგუფის ხელმძღვანელი ——————————

„————“——————19————წ.

ჯგუფის სია

№№ ხაზებზე	გვარი, სახელი, მამის სახელი დაბადების წელი	მოვალეობა ჯგუფში	ბინის მისამართი

გამოყენებული ლიტერატურა

1. „საბჭოთა ფიზკულტურელი", ჟურნალი. თბილისი, 1927, 28, 29, 30, 31, 32 წლების.
2. «На суше и на море» — журнал за 1929, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40 и 1941 годов.
3. «Турист Закавказья» — журнал, Тифлис, 1931 год.
4. «Турист Активист» — журнал, Москва, 1931, 32, и 33 года.
5. «Спутник туриста» — Москва, 1940 год и 1941 годов.
6. «Туризм». Руководящие материалы — Москва-Ленинград, 1948 год.
7. ი. ასლანიშვილი, გიგინეიშვილი, ფურცელაძე, მთამსელელობა საქართველოში, თბილისი, 1954 წ.
8. ხ. ადელუნგი, ტურიზმი, თბილისი, 1956 წ.
9. Сборник руководящих материалов по туризму — Москва, 1958 год.
10. «Спутник туриста» — Москва, 1959 год.
11. А. Н. Нагорный «Туризм в комплексе ГТО» — Москва, 1960 год.
12. Классификационные нормативы по туризму — Москва, 1963 год.
13. ა. ციბაძე, ვარძიიდან ზაპესამდე. თბილისი, 1965 წ.
14. Единая Всесоюзная спортивная классификация за 1962-72 год. Москва, 1969 год.
15. კ. ასტახიშვილი, ტურიზმი მასობრივი სპორტია. თბილისი, 1966 წ.
16. საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს საარქივო მასალები, დადგენილებები და ქალაქებისა და რაიონების ტურისტული კლუბები 1964, 65, 66, 67, 68, 70, 72, 73, 74 წლების ანგარიშები.
17. საქართველოს გამოჩენილ ტურისტთა მიერ მოწოდებული მასალები, ჩატარებული ღონისძიებების შესახებ.
18. სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—75 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. კომუნისტი 14/II, 1971 წ.
19. Турист. Журнал, Москва за 1966, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74 годы.
20. პრესის მასალების მიმოხილვა.
21. ტურიზმისა და ექსკურსიების საკავშირო ცენტრალური საბჭოს და საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები.
22. Колесников А. Туристское снаряжение, Москва, 1968 год.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა 3
ტურიზმის განვითარების ისტორიის საკითხისათვის სსრ კავშირში და საქართველოში 5
ტურიზმი და მისი სახეები 86
ტურისტულ ღონისძიებათა ორგანიზაცია 96
ქვეითი მოგზაურობა 99
სამთო მოგზაურობა 111
სათხილამურო მოგზაურობა 111
სანაოსნო მოგზაურობა 117
ველო მოგზაურობა 127
ავტო-მოტო მოგზაურობა 133
ტურისტული საჟურველი 140
მოგზაურობის დღიური ნორმები და „სსრკ ტურისტის" ნიშნის მოთხოვნები . 149
სათანრიგო მოთხოვნების შესრულების პირობები 152
მხარეთმცოდნეობისა და საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა ტურისტულ ლაშქრობა-მოგზაურობის დროს 153
ტოპოგრაფიული ელემენტები და ადგილმდებარეობაზე ორიენტირება . . . 155
წარმოება-დაწესებულების ტურისტული კლუბი 161
ფიზიკური კულტურის ტურისტული სექცია 164
დასვენების დღის ტურიზმის ორგანიზაცია და მისი ჩატარება 169
ლაშქრობების ჩატარებისათვის საჭირო დოკუმენტები 172
ტურისტულ მოგზაურობისათვის განკუთვნილი საველე აფთიაქი 175
საკარაუდო კვების პროდუქტები განკუთვნილი ერთ დღეზე 177
დანართი (სამარშრუტო ფურცლის ასლი 179
გამოყენებული ლიტერატურა 182

АСТАХИШВИЛИ КОНСТАНТИН ЯКОВЛЕВИЧ

ТУРИЗМ

(На грузинском языке)

რეცენზენტები: ივ. ციბაძე, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
რ. სიფრაშვილი, უფროსი მასწავლებელი.

რედაქტორი ნ. ნარსია
მხატვ. რედაქტორი ე. სულთანიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ჭყოიძე
კორექტორი ლ. გაგნიძე
გამომშვები მ. უელოშვილი

გადაეცა წარმოებას 20/II-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VI-76 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆. საბეჭდი ქაღალდი № 2. ნაბეჭდი თაბახი 11,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,74.

უე 00428 ტირაჟი 2 000 შეკვ. № 261
ფასი 48 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.

1976

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси ул. Марджанишвили № 5